გრეგორ ზამზა

ორი კანფეტი

ანუ
ზვიადიმ
გასცახურდა

თბილისი 1998

სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!

ტარიელ ჭანტურია

სისულელეა. სისულელე და სიბილწე!

რობერტ პენ უორენი

სისულელეა! დიდი სისულელე!

თომას მანი

მისთვის ახალი არ ყოფილა იმის აღმოჩენა, რომ ცხოვრება ერთი დიდი ქაქია. მაგრამ აღმოჩენა ერთია, დაჯერება მეორე, ვერაფრით იჯერებდა ამ მეცნიერულად გამართლებულ მიხვედრილობას და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ამ ფაქტის უარყოფას რომელთანაც ჭიდილში ჯერ ჯერობით ვერაფერს მიაღწია, თუმცა არც არაფერი დაუკარგავს. და მისთვის ჩვეული იქვნარევი გამოხედვით აკვირდებოდა ყოველივეს. გამომეტყველებაც გაურკვეველი ჰქონდა, ეტყობოდა ამ სახეს გაცინება არ შეეძლო, ღიმილი კიდევ უფრო სასაცილოს გახდიდა მის ცარიელ გამოხედვას. ისე აკვირდებოდა ყველაფერს, თითქოს ყოველი ნივთის სახელი დავიწყნოდა და ახლა მათ გახსენებას ცდილობდა.

იმ დილითაც გაურკვეველ ხასიათზე გაიღვიძა, გაურკვეველზე კი არა, ცუდზე, მაგრამ ზურგჩანთაში ჩახვავებული ბინძური საცვლებივით დააპირა მათი მიჩქმალვა. უშედეგოდ ცდილობდა ძილის შებრუნებას და ის მოახერხა, რომ გაოფლილ ფეხისგულებს უფრო გულდასმით მიტმასნოდა გამთბარი ზეწარი. ბოლოს ამოიოხრასავით და ლოგინზე წამოჯდა, ის ყური უხურდა, რომელზედაც ძილს იბრუნებდა, მიზანშეუწონლად გაიღიმა და ისევ გულაღმა გადაწვა. ზეწარი აღარ გადაუფარებია, ბალიში თავით გადააგდო ლოგინიდან და ისიც, ძირს დავარდნისთანავე, აფუებული ცომივით ჩაიჩუტა. ჭერში გაჩენილ ბზარს მიაშტერდა. დაჟინებით უყურებდა, პახმელიაზე წელში გაწყვეტილივით გადამსკდარ ღარს, თვალებით უპირებდა თითქოს ამოვსებას, მაგრამ ფაქტმა თვალი თვალში გაუყარა და მისი ფილოსოფიის წინაშე ყრუდ წარსდგა. მერე მავთულზე ჩამოხრჩობილი ნათურისაკენ გადაიტანა მზერა, თითქმის მოახერხა კიდეც მის მზერას დანებებოდა და ანთებულიყო, მაგრამ მიხვედრილობამ აქ ყველა დანარჩენ გრძნობას დაასწრო და ისიც ისე წამოხტა ლოგინიდან, თითქოს მხოლოდ ეხლაღა გახსენებოდა

კეთროვანის ლოგინში რომ იწვა. ჩუსტებში ფეხი არც გაუყვია, გიმნასტივით გაიზმორა მთელი სხეულით. უკან გადაიზნიქა და მთვარეულივით გაბორიალდა აბაზანაში. ცივი წყლით დაიბანა პირისახე. კი არ დაიბანა. გაიწუწა და გაუმშრალებლად გამოვიდა. ხასიათის შესაბამისად ძიეყინენ ცივი წვეთები მის კანს. გაურკვევლად შეავლო თვალი საშზარეულოს მაგიდაზე ახონხლილ და გაზეთილ თეფშებს და აღარ გაჩერებულა. ოთახში გამობრუნდა. შარვალში ისე გაუყარა ფეხი. თითქოს ნაპირზე კიბორჩხალები დასეოდნენ. იქეთ გაიხედა. საიდანაც ერთ დროს საათი კისერმოუხრელი ჭოტივით კიოდა ხოლმე დილის ბრელში. საკუთარმა სულსწრაფობამ ტუჩები მოაპრუწინა და გაბურძგლა. როგორც ნევროზიანს ატმის შეხებისას და ცარცის ნაფხვენებით გამოტენილ პირში დაბუჟებული ენა მეთიხის ყელში გამოყვანისას დოქზე გასრიალებული ხელივით გაატკლაპუნა დაჟანგულ კბილებზე. ვერაფრით გაიხსენა. რა დღე იყო. როლინგის სახელოებში ხელებგაყრილი სანამ თავზე წამოიცმევდა, ადგილს მიეყინა. და ქუჩას მიაყურადა. ქუჩიდან მოღწეულ გაიშვიათებულ ხმაურზე დაასკვნა. რომ შაბათი ან კვირა იქნებოდა და ორიდან ერთში დარწმუნებულმა როლინგი წამოიცვა. უშედეგოდ ჩამოიფერთხა ჩარაზულობისაგან ვაკუუმად ქცეული სივრცის ვერცხლისფერი ბუნტყლები. რომლებიც მტვრად აციმციმდნენ და ტილებივით ისევ როლინგის ღრიჭოებში ჩაიფერფლნენ. პირმოკუმულ ფეხსაცმელში ფეხი ხელის წახმარების გარეშე ჩაჰყო. ძირებიდან სინესტემ იმწამსვე შეუხიცინა ფეხისგულებს და მტვერში ამოგანგლული ოფლივით აეწება მათ. აკვარელის ფუნჯებივით გადაფურჩქნილი თასმები უარამდე გადაკვანძა. მაგიდაზე მიგდებული შექუჩებული თაბახების გროვა მხარქვეშ ამოიდო. ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ატმოსფეროს და კარები გამოიხურა.

ლიფტის კაბინა მის სართულზე გაჩერებული დაუხვდა. აღმოჩენილი ნაღმებივით გადააბოტა შიდა გუბეებს და ის იყო ღილაკს დააჭირა, რომ გრუხუნით გამომართულ კარებში ფეხის გაჩრვა მოუწია. უცნობმა ხმამ ითხოვა დალოდებოდა და სანამ ხმის პატრონი მიუახლოვდებოდა, უხეშფერიანი კარი ხელით ისევ გადასწია. კაბინაში ბნელოდა.(ალბათ ნათურა ვიღაცამ შემთხვევით ხელს გააყოლა), მაგრამ სადარბაზოს ჩატეხილი ფანჯრიდან მოღწეულ დილის შუქზე გაარკვია, რომ უცნობი ტანდაბალი, მაძღარი გამოხედვის

და თმაგაცვენილი თავის პატრონი იყო, რომელსაც ძუასავით ფეხ-ებს ნაცრისფერი უხასიათო შარვალი უფარავდა, ხოლო ქალივით ჩაქვირინებულ და ფორმადაკარგულ მხრებს ტყავის ქურთუკი. მის სახეს ოსტატურად გადაეჩიმვოდა მატყუარა ღიმილი და სანამ გაკავე-ბულ კარებში შემოძვრებოდა, მოუმადლობა. წამით აკიაფდა ნაწვი-მარი ობობის ქსელივით მზეზე ალაპლაპებული ოქროს კბილი და კარების მიხურვისთანავე ისევ გაუჩინარდა. კაბინა კი დაიძრა, მა-გრამ ერთი დაასლოკინა და შედგა, ორივენი ძალაუნებურად შეტ-ორტმანდნენ და კიბეებიდან მოღწეულ ქირქილზე მიხვდნენ, რომ გაჭედეს და როდესაც სიბნელეში ფათურით აღმოჩენილი ღილაკები აღარ დამორჩილდნენ მათ თითებს, დაასკვნეს, რომელიღაც სართუ-ლის კარებში ქვა გაჭედეს იმ მიზნით, რომ კაბინა აღარ დაძრულიყო. ოქროსკბილიანმა ხმამაღლა შეუკურთხა და კიბეზე დაშვებულ ხმას წყევლა დააწია, რის პასუხადაც ძალად დაბოხებული „აბა რასა მასხარაობ მანდა" მიიღო. „დასწყევლოს ეშმაკმა... რა ვქნა ახლა მე, ცხრაზე კაცს უნდა შევხვედროდი..." ისე ამოიოხრა ოქროსკბილიან-მა, თითქოს თაბახებიანი მიქელ გაბრიელი ყოფილიყოს ბედის დავთრე-ბით გამოცხადებული ლიფტის ფანტნარეე წყვდიადში და მის ბედს მხოლოდ ის თუ გადაწყვეტდა. მაგრამ გაბრიელი შეუვალი აღმოჩნ-და მისი ვედრებისადმი და მხოლოდ ქშინვა ამოუშვა. ქშინვასთან ერთად მხრებიც აიჩეჩა, მაგრამ ოქროსკბილიანს ეს არ დაუნახავს, კიდევ ერთხელ ამოიოხრა „ოოჰ" და გაჩუმდა. არაფერი ჰქონია მას საერთო ოქროსკბილიანთან და ყოველგვარ გაურკვევლობას რომ გარიდებოდა გაიჩოჩა, ფეხის ცეცებით მოძებნა კაბინის რომელიღაც კუთხე და ზედ აეტმასნა. თვალები ღია ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, უფრო ხვდებოდა თუ როგორ იფშვნიტავდა თითებს დაბალი თანამგზავრი და სულაც არ უნდოდა მასთან საუბრის გაბმა. რომ ეთქვა მუნჯი ვარო, მაშინ ლაპარაკიც არ უნდა შეძლე-ბოდა, მაგრამ შეეძლო მიეხვედრებინა და ამის დასტურად გადაკე-ცილი და გალურჯებული ენა დაენახვებინა, ოღონდ ამისათვის სინათლე იყო საჭირო. სწრაფად მოიქექა ჯიბეები ასანთის მისაგნე-ბად, თუმცა უშედეგოდ და კიდევ უფრო ნირწამხდარი გაირინდა, რათა თავის დუმილით პროტესტი განეცხადებინა საუბრისადმი, პროტესტი კი არა ბავშვური ბუტიაობა, თუ მე არ გელაპარაკები, არც შენ უნდა გქონდეს ჩემთან სათქმელიო. კაბინის კუთხის სინესტე

ახლა მის შარვალს აეკრო. მისი კანი გრძნობდა, თუ როგორ ქავილამდე ეკვროდა, მაგრამ არ განძრეულა, თვითგვემა არჩია მასთან საუბარს. ყოველი წამი ძვირფასი იყო და სჯობდა მოეთმინა, სჯობდა მიწა გასკდომოდა და არ დალაპარაკებოდა დაბალს, მიწა კი არა კაბინის ძირი ჩახსნილიყო და მის წყვდიადში კი არ ჩავარდნილიყო, არამედ გაუჩინარებულიყო. ხოლო დაბალი არ ისვენებდა, გაუთავებლად განაგრძობდა თითების ფშვნეტას და ყინვაში გაგდებული ლეკვივით წკმუტუნს. ბოლოს კი ვეღარ მოითმინა და ამას მისჩურჩულა „ასეთი ბედი მაქვს ყველაფერში." კედელზე აკრულმა არაფერი უპასუხა, არც უცდია გარკვეულიყო რისი თქმა სურდა ამით მოსაუბრეს და დუმილით შემოიფარგლა. თუმცა არ ჩანდა ლიფტის ჭერი, მზერა მაინც მისკენ ჰქონდა მიმართული, თითქოს უცნობის სიტყვების დანახვა შეიძლებოდა და თანაც მხრების სიმაღლეზე. ლაპარაკისას მართლაც წამოიშალნენ ფიქრები სადღაც შორიდან და ის იყო ტვინის არქივს ჩაუკირკიტდა, დაბალმა ისევ რაღაცა უთხრა და ფიქრიც გაუწყდა, ვეღარ დააკავშირა აზრები ერთი-მეორესთან და ყბები ისე დაჭიმა, რომ კბილები კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლნენ ღრძილებში. რა ბრძანეთო, უნდოდა ეთქვა, ქვევიდან დააბრახუნეს: „მორჩით კატაობას და ეხლავე დაძარით კაბინა". იგრძნობოდა, ხელოვნურად დაეყენებინათ მბრძანებლური ტონი, მაგრამ ეს კიდევ არაფერი; რაც მისმა თანამგზავრმა გააკეთა ამდენს უკვე მისგან ნამდვილად აღარ მოელოდა. ამანაც ბრახუნით უპასუხა და ისე დაიყვირა, რომ ფალსიფიცირებულ მბრძანებლამდე მის ხმას მიეღწია დახშული სივრცეედან: „გაჭედილები ვართ მეექვსეს და მეშვიდეს შორის, იქნებ დაუძახოთ ვინმეს..." მიმართა წყვდიადს. წყვდიადმა კი მისი სიტყვები მხოლოდ შთანთქა. კუთხეში აკრულმა მშვენივრად უწყოდა, რომ მათი მდგომარეობა საკმაო ხანს გასტანდა, მანამ, სანამ ვინმე გარეშე არ გადაწყვეტდა მათ ბედს და არ გამოიღებდა კარებს შუაში გაჩარულ ქვას. არაერთხელ გამხდარა ქვის მსხვერპლი და თანდათანობით, იძულებით გამომუშავებული მიჩვევა მისთვის ჩვეულ მოვლენად იქცა. ბევრჯერ გაუჭედავთ და თანაც სხვადასხვა ლიფტებში, განათებულში თუ გაუნათებელში, ჭუჭყიანსა თუ სუფთაში; რამდენჯერ გადაღლილა კიდეც და ჩეჩმასავით ჩაკუნცხულა კაბინაში, ერთი ორჯერ საკანში აბორიალებული პატიმარივითაც უცდია ნაბიჯების თვლა, მაგრამ გრძივის

მაგიერ წრე გამოსდიოდა, რამაც კინაღამ გულყრამდე მიიყვანა. ერთხელ ისიც კი ახსოვს ბრმასთან ერთად გაჭედეს ღამით და დილამდე მოუწიათ ყურყუტი. მაშინაც სიბნელე იდგა კაბინაში. ნაშუაღამევს ორივენი გადაიღალნენ ფეხზე დგომით, და ზურგებით მიეყრდნენ ერთმანეთს, როგორც კარლოსი და ჩრდილი. დილამდე გაუჩერებლად ილაპარაკეს, ათას წვრილმანს მიედ მოედნენ რამაც პირში მჟავე გემო და თავში სიცარიელე გამოიწვია. ახლა კედელზე აკრული იმას ფიქრობდა, ბრმასთან საუბარი სანატრელი გაუხდებოდა თუკი ეს, რომელიც, აი აქ გაუჩერებლად ცქმუტავდა მის ჩათრევას მოიწადინებდა. არა, არაფრის დიდებით არ ამოიღებს ხმას, დაე იფიქროს რომ გაგრია და ტეტიაა. იფიქროს ჯობია, ვიდრე ილაპარაკოს... „რა უნამუსობაა, რა არის ეს" ისე ბრაზიანად იკითხა პირში გაჭიმულ ობობისქსელიანმა, თითქოს კედელზე გაკრულს ბრალი მიუძღოდა მათს გაჭედილობაში, მაგრამ პასუხად კვლავ დუმილი მიიღო.

მტკიცედ გადაეწყვიტა ხმის ამოუღებლობა და, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა დაეცვა თავისი პოზიცია, მომზადებული უნდა დახვედროდა მის შემოტევებს და ამიტომაც შეძლებისდაგვარად დიდხანს იტოვებდა ჰაერს ფილტვებში, რათა სისხლის მიმოქცევის წნევა დაჭიმული ლოყებიდან თავისაკენ ამართულიყო, იქედან სიმაღლეზე ასულივით ყურები დაეხშოთ და მისი ბგერების ტონალობა ოდნავ მაინც დაბლაგვებულიყო. ენას არ უკიდებდა მოუსვენარი თანამგზავრი, არც აქცენტი ჰქონია, მაგრამ საგრძნობლად გამორჩეული ჩლიფინის მაგვარი მაინც ისმოდა მის საუბარში. თითქოს კარაქიანი პურით გამძღარიყო. კიდევ ერთხელ ჰკითხა თუ მიმართა მან ბნელ კუთხეს, თუმცა ამას უკვე აღარ ესმოდა მისი სიტყვები, ძილის წინა ლაქებივით უბეუტუნებდა დახუჭული თვალები და დაჭიმული ტერფებიდან სასიამოვნოდ იღვრებოდა დაგუბული სისხლის ბლანტი გუგუნი მუხლებისაკენ, მერე ხერხემალშიაც შეიღვარა ზურგის ტვინის პუნქციასავით და ამან სასიამოვნოდ დაუგუბა ტყავგადაკრული ძვლები, საკუთარი ხრტილის ხრაშუნიც კი მოესმა საფეთქლებში. კარაქით მაძღარი კი არ ისვენებდა. გაუთავებლად ბუტბუტებდა რაღაცას და ბოლოს, თანახმა ხართ თუ არაო, ისე ხმამაღლა იკითხა, რომ კუთხემ ქვედა ტუჩის ამოტრიალება მოასწრო. „თანახმა ხართ თუ არა" უფრო დამაჯერებლად გაიმეორა და „ჰა"

ისე დაამატა თითქოს ხელუკუღმა უპირებდა სილაქის გაწნას. „თქვენ დაიწყეთ და მე აგყვებით“ დაურწმუნებლად, თითქოს შეშინებულადაც უპასუხა კუთხემ. ხმადაბლა. ოქროსკბილიანს ეგონა მომეყურადაო. ხელის ფათურით გაიკვლია გზა კუთხისაკენ, რომლიდანაც ჩურჩული მოესმა და ის იყო მისწვდა გადაჯვარედინებულ ხელებს, რომ კუთხემ დაიკივლა. ამ დაკივლებაზე მოუსვენარი და შიშნაჭამი კინაღამ შეხტა, უკან-უკან ფლატუნით გაჩოჩდა ისევ თავისი ადგილისაკენ და ახლა თვითონ გაყუჩდა, თვითონაც ჩურჩულით უნდოდა ეთქვა უკაცრავადო, მაგრამ ვერ თქვა, მხოლოდ პირს აღებდა, თითქოს ობობის ქსელი ახლაღა შეამჩნია პირში და მისი გადმოფურთხება მოეწადინებინოს. ორივენი შეთქმულებივით მიკროდნენ კედლებს და ხმას არ იღებდნენ.

დიდხანს მოუწიათ დგომამ. ორივე ხვდებოდა მათი წვალება, სადაც იყო დასრულდებოდა, და მართლაც სადღაც შორიდან ჯერ ფეხის ხმა მოისმა, მერე რაღაცის მიჯახუნებისა და ისევ სიჩუმე. მათი ხელები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ღილაკებთან ფათურისას, ოღონდ არცერთს აღარ წაუღია უკან, არც დაუკივლიათ, უბრალოდ ღილაკს ერთდროულად დააჭირეს. კაბინა შეტორტმანდა და დაიძრა, სასიამოვნოდ გამოეცალათ ძალა ფეხებიდან, თითქოს უწონადობაში მოხვდნენ. ბნელი კაბინა გრუხუნით ჩაეშვა ჰუდრონით აგლესილ შახტაში და ორიოდ წამში ბლოყინით გაჩერდა პირველ სართულზე. ჯერაც არ გახსნილიყო ბოლომდე კარები, რომ მოსწრებაზე გაძვრა მასში ოქროს კბილიანი და ერთიანად შემოვარდნილ შუქში კუთხეს აკრულმა გაარკვია, რომ მას პორტფელი ჰქონია, პორტფელი კი არა, პლასტმასის შავი კეისი, კუთხეებში ოდნავ გაცვეთილი და ალბათ ცარიელი. სულ ერთი წამით შეავლო მას თვალი. დარწმუნებული იყო, რომ კეისიანი სპეკულანტი იქნებოდა. რისი, არა აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ გადამყიდველი ყოველი მოძრავი თუ უძრავისა (გრძნობების სპეკულანტი?!), ოღონდაც კი სარფიანი ყოფილიყოს გარიგება. თვითონ წყნარად გამოვიდა ლიფტის სამყარო მიკროდან, მიმოიხედა რათა კეისიანს უნებლიედ არ დაჯახებოდა და სადარბაზოს ჩატეხილ ფილაქნებს შორის გაჩენილ რუს ფაქიზად გადააბიჯა. ყოველი გაჭედვის შემდეგ მისი ფეხაკრეფით სიარული ერთგვარი რიტუალი იყო, რიტუალი კი არა მისი შემადგენელი ნაწილი. დაუწერელი მითოლოგიის მიმდევარივით გამოცუხ-

ცუხდებოდა ხოლმე განაჭედი კაბინიდან და უკან მოუხედავად გადიოდა სადარბაზოდან. რის გამო არ იხედებოდა უკან, წარმოუდგენელია, ალბათ ეგონა მჭედველი მის უკან იდგა და არ უნდოდა თვალებში გაჩხეროდა და უცნობად სურდა დარჩენილიყო მისი ვინაობა.

უსიამოვნოდ შეასკდა ჰაერი მის დაფეხვილ კანს. ახალგაზრდას ჰგავდა, მხრებიც სწორი და უშრომელი მოუჩანდა, მაგრამ მაინც უდროოდ დაბერებულს ჩამოჰგავდა თანდაყოლილი კლიმაქსიანივით. სახეზე თონთლოდ ეკიდა უცხიმო კანი, დაუღლელად ჩამოწელვოდა უპეები და გამოხედვა იმდენად ცარიელი ჰქონდა, რომ მოსაუბრე ძალაუნებურად თვალს არიდებდა. წელში ოდნავ მოხრილი სიარული იცოდა, ალბათ სიმაღლის გამო და ნაბიჯებს ისე მოუხერხებლად დგამდა, გზად ორმო ან ტლაპო რომ შეხვედროდა აუცილებლად ფეხს ჩაადგამდა. მუხლებშიც მოხრილი დადიოდა, ოღონდ დგომა იცოდა ისეთი გაშტრიკული, სარგადაყლაპულს ემგვანებოდა. არადა გაჭიმული იმიტომ იდგა, თუკი გასაქცევად შეექნებოდა საქმე, ყოველთვის მზადყოფნაში ყოფილიყო. თავი თავთავივით წინ ჰქონდა გადაგდებული, თავი კი არა კისერი ჰქონდა მუზარადისაგან გადაღლილი მეომარივით მოხრილი და გაშტერებული იყურებოდა წინ, თითქოს მუხლჩაუხრელი ბრძოლის შემდეგ ხვედრილ ულუფაში ჩახარშული ბუზი დაუნახავსო, მაგრამ გადაღლილს და მწყურვალს დაზარებოდეს მისი ამოღება და ახლა გულგრილად უყურებდეს მის ტივტივს. ახლაც თავდახრილი მიაბოტებდა ქუჩაში და თაბახების გროვას, რომელიც იღლიაში დაუნესტიანდა, წამდაუწუმ უსწორებდა სევდიანად ჩამოყრილ ბოლოებს. მართალია ამ ქალაქში დაიბადა-გაიზარდა, მაგრამ არავინ იყო აქ მისი ნაცნობი და ახლობელი და არც ოდეს მოუწადინებია ვინმეს ნაცნობობა, საკუთარი თავიც ყოფნიდა, კი არ ყოფნიდა აწუხებდა კიდეც, ბევრჯერ მოუპუტავს სასოწარკვეთილს თმები და ბღუჯად გაჩხერვია სპაზმით გაფარჩხულ თითებს შორის, ისიც უხმოდ, ამოშვებული ქშინვა შუილით ასკდებოდა კედლებს და სიმწრის ცრემლი უწყლიანებდა თვალებს. ასეთ დროს თუ ემგვანებოდა ნორმალურს და ცოცხლების სიაში ეწერებოდა, თორემ მართლა აწოწილი ლანდის შთაბეჭდილებას ტოვებდა; ღამით, ჩაბნელებულ კაბინეტში ფანჯრიდან ცივად შემოპარულ მთვარის შუქზე კუთხეებში ჩამუქებულ ნევროპათოლოგის რეზინი-

სთავიან ნიკელის ჩაქუჩს უფრო ჰგავდა, ვიდრე უბრალოდ მოკვდავს. არადა თვითონაც უბრალო მოკვდავი იყო, როგორც დანარჩენნი. არავის იცნობდა საკუთარ ქალაქში გარდა იმ ალუმინის ძეგლისა, რომლის დაშლაც უფრო ძვირი უჯდებოდა მთავრობას, ვიდრე მისი შენახვა და ამიტომაც იყო, ყოველთვიურად ბეტონს უსხამდნენ ფუნდამენტში, რადგანაც წვიმების დროს ლაფად ქცეული საძირკველი ვეღარ უძლებდა მის სიმძიმეს და თანდათანობით ისიც დიდი პიზელივით იხრებოდა თავისი გაყინული და ჟანგმოდებული სხეულით. ცივი, პირქუში და ერთმანეთის ზუსტად კოპირებული კორპუსებით ნაშენ მაკეტს უფრო ჰგავდა ქალაქი, ვიდრე ქალაქს. ძეგლიც მუდმივად თავისმახსენებელი შიშის ქვეშევრდომივით გადმოჰყურებდა მას და მის ცენტრში ცხედრიანი ბორცვის თავთან ჩარჭობილი შპაგასავით იდგა. ჩარჭობილი კი არა, ჭანჭიკებისა და ალუმინის ფურცლებისაგან კონსტრუირებული საშინელი ზომის ფეხებგადაფარჩხული და ხმალაღმართული ქალის ფიგურა იყო, რომელსაც სახის გამომეტყველება იმდენად გაურკვეველი ჰქონდა, ვერავინ ხვდებოდა მტრის დასამარცხებლად ჰქონდა ხმალი აღმართული თუ დანებების ნიშნად აფრიალებული. ამიტომაც შეარქვა ხალხმა მას „ხან ერეკლე ხანაც თეკლე" ახლაც ახედა ქალის გაურკვეველ სახეს შემოფარგლული კორპუსებიდან ძუაგაწყვეტილ სატყუარასავით რომ ტივტივებდა შემართული ხმლის წვერით. მის ცარიელ გამოხედვას ცარიელით უპასუხა და სანამ იმის გაფიქრებას მოასწრებდა რა საშინელებაა, უნებლიედ საპირისპირო მხარეს გაიხედა. იქეთ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა, იქაც ისეთივე ნაცრისფერკოსტუმიანი ხალხი დადიოდა და ნაცრისფერი კორპუსები იდგა, თვალები მაინც მოჭუტა დარწმუნებულმა თუ დაურწმუნებელმა იმაში, რომ რაღაც ნაცნობს დაინახავდა და ასეც მოხდა. ნაცრის ერთფეროვან აღმა-დაღმა მოსიარულეთა შორის წამით გაიელვა ტყავის ქურთუკმა, რომელიც ჩათქვირინებულ მხრებს ფარავდა, ძლივას მოასწრო მისი ცვეთილი კეისის დანახვა და კუთხეს მიეფარა. ყელში მწკლარტე გემო გაუჩნდა, მჟავედ გადაყლაპა უსიამო ნერწყვი და ხასიათმა თავი შეახსენა. შემცივნებულმა აიპრიხა როლინგის საყელო, წელში კიდევ უფრო მოიხარა და თავჩაღუნულმა განაგრძო სვლა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რომ ისევ იქეთ გაიხედა, საითაც კეისი მიეფარა მისი თვალთახედვის

არეალს და მისი მოუძიებლობით ოდნავ დამშვიდებულმა ძეგლის თავს მოწმესავით ახედა; დილის სუსხში გარკვევით იკვეთებოდა მისი ალუმინი, მაგრამ მასზე ოფლივით დასუსხული წვეთები, რომელიც ჰავის გამო არ შრებოდნენ, მისთვის შეუმჩნეველი დარჩა, ის უკვე აღარ იხედებოდა მისკენ, უწყლობისაგან გატანჯული ბედუინივით მიბორიალობდა კორპუსების ტრამალში. უკვე მერამდენედ მიდიოდა, უკვე მერამდენე გამომცემელთან ყოველ ჯერზე იმაში დარწმუნებული, ამჯერად მაინც წაიკითხავდნენ, თუ არ დაბეჭდავდნენ წაიკითხავდნენ მაინც და რაღაც თანხას სულაც უმნიშვნელოს, თუნდაც სიმბოლურს გამოუყოფდნენ ავანსის სახით, თუნდაც კაპიკებს, შიმშილით რომ არ ამოხდენოდა სული. მაგრამ, ამ დილით უკვე არაფრის იმედი აღარ ჰქონდა და მხარქვეშ უფრო მაგრად იკუჭავდა ისედაც გაცრეცილ ფურცლებს. თვითონვე წუნობდა საკუთარ შემოქმედებას. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, სხვასაც დაეწუნებინა იგი, პირიქით, სხვისი რომ ყოფილიყო, შეიძლება მოწონებოდა კიდეც. ახლაც ისე უაზროდ ეჭირა ხელში, როგორც ცარიელი აკვანი სამუდამოდ დაღლილ დედას. ნერწყვი ფურთხად შეაქუჩა პირში და გადაპურქყებას აპირებდა, რომ ნაცრის გამოხუნებულ პალტოში გამოხვეულმა ვიღაც მოხუცმა ქალბატონმა დაეჭვებული თვალებით შეხედა, კიდევ უფრო ჩააკვირდა ამის მომუწულ პირს და თავის ქნევით გზა განაგრძო. თვითონ კი ადგილზე შერჩა მავთულზე მკერდით შემსკდარი მწყერივით და ბებერი სავსე მზერით გააცილა, ერთი სული ჰქონდა დაწეოდა, კისერში ჩაეფურთხებინა მისთვის და დაეყვირა: რა გინდათ რას გადამეკიდეთო, მაგრამ არ ქნა. ამის მაგიერ ნერწყვი პექტუსინივით გადაყლაპა დამანჭულმა და საპირისპირო მხარეს გაუყვა. სიგარეტის უქონლობისაგან ფიქრი უფრო დაუმძიმდა, უფრო აუტანელი გახდა. რა უძღებივით დაღეჭდა კვამლის მიერ ღრძილებიდან გამოჟონილ ნერწყვს და მისით აიდღვებდა მშიერ კუჭს... ის გაზეთილი თეფშებიც თავის სამზარეულოში უფრო წარმოიდგინა, ვიდრე დაინახა, უფრო სწორად სურდა დაენახა და ოცნებასავით მარტო თავისთვის ხილული გახადა. არა საკვებით დახუნძლული, არამედ ცარიელი და გაზეთილი, ნიშნად იმისა, რომ უკვე მაძღარი იყო. იძულებითი შვება გაგზავნა გულყრამდე დაპატარავებული კუჭისკენ მაგრამ, ბოღმისაგან მუშტად შეკრულმა უკან ამოუფურთხა და დაასლოკინებინა. მოუსვენ-

რად აცეცებდა თვალებს ნაცრისფერი მწევლის მისაგნებად, მაგრამ სანეტარო კვამლი არსაით ჩანდა, თითქოს ყველას ერთიანად პირი შეეკრა მის წინააღმდეგ და უსიტყვოდ უცხადებდნენ ჩვენთან არ ეწევიანო. გასტრონომიის დახლისაკენ გაიხედა, გამჭვირვალე მინიდან უფრო მიმზიდველი რომ მოჩანდა. მაგრამ ტკბილეულითა და ნამცხვრებით შეფერადებული სურათი შერჩა და ამან კინაღამ მართლა გულყრამდე აუბუყბუყა ცარიელი მუცელი, ახლა ცხარეს ან მჟავეს უფრო შეჭამდა, თუნდაც უგემურს, ოღონდ არა ადღვებილი ცილით აფუებულ კრემს. სწრაფად მოაცილა მზერა გამაღიზიანებელ ხვავრიელობას და ნაბიჯს თავისდაუნებურად აუჩქარა. ტკბილმა ფერადულობამ დაარწმუნა იმაში, რომ ახალი მცდელობაც ფუჭი იქნებოდა. არათუ არ წაიკითხავდნენ, არც კი მოუსმენდნენ, განმჭოლმზერიანი მდივნის სამფლობელოსაც ვერ გასცდებოდა. თუმცა მდივანი ხმამაღლა არის ნათქვამი, შეიძლება თვითონვე იყვნენ გამომცემლები და უაზროდ რომ არ ეფლანგათ დრო უსაფუძვლო საუბრებში, იმიტომ ატარებდნენ ამ ნიღბებს და შესაბამის უნიფორმებში გამოწყობილნი ფუსფუსებდნენ საამშენებლო მასალებივით აწოწილ კანცელარიებში და მათი თვალების სიღრმე ვინმეს რომ არ განესაზღვრა, ამიტომ ხმარობდნენ სქელმინიან სათვალეებს, რომელს ქვეშაც ცრემლამდე აწითლებული უპეები მოუჩანდათ გამოუძინარი დურგლებივით. ყველაზე უფრო ბოლოს წინა დაამახსოვრდა, თორემ ბოლოს რა უშავდა, იმდენად თავმდაბალი აღმოჩნდა, პირდაპირ მიახალა დაკვეთებით გადატვირთულები ვართო და ზურგი შეაქცია, სალაპარაკოდაც არა მცალიაო, ხოლო მის წინამ სკამზეც ჩამოსვა და მოუსმსინა კიდეც, მაგრამ ისე ჩაუკირკიტდა რაზე წერთ და რამდენ ასონიშნიანია თქვენი წიგნიო, რომ აღარ გაჩერებულა და წამოვიდა. ახლაც წარმოიდგინა მისი, კათოლიკე მღვდელივით ყელში წაყრონჭილი უნიფორმა და მტვერჩამჯდარი ნუნები, ოღონდ აღარ დამანჭულა, ხელი ჩაიქნია, ხელი კი არა გული ჩაიქნია, არა ისე, რომ ხაზი გადაუსვა ყველაფერს, არამედ უკანასკნელ იმედად მოიტოვა, სადღაც ფიქრების აპკს უკან ავთვისებიანი წყლულივით და კორპუსებიდან ამომართულ თავს ახედა ისევ, რომელიც ორიენტირად მსახურობდა. მისი პროფილი დაინახა, ჟანგისაგან დაჭორფლილ გლუვ ყურს შეავლო თვალი და განსაზღვრა, რომ სადაც იყო მიაღწევდა დანიშნულების ადგილამდე. წამით ისევ

გაიელვა ნაცრისფერში რაღაცამ და ამანაც მონადირის გაფაციცებით მიაყურადა, თითქოს ეკალბარდში მიფარებულ კურდღელს, მაგრამ პირქუში და ზედაპირული სახეების გარდა ვერაფერი დაინახა და კიდევ მეტად რომ არ გაღიზიანებულიყო ნაჩქარევად მოაცილა მზერა. ისევ საკუთარი ნაბიჯის თვლით გაერთო, ნაბიჯის კი არა გადადგმულის წინასწარი დანახვით და ვერ გათვალა, წაბორძიკდა, თუმცა არ წაქცეულა. უმწეოდ გაასავსავა ფეხი ჰაერში. თითქოს ბურთს ურტყამდა, მაგრამ წონასწორობა შეინარჩუნა და შედგა. ამინდს დაყნოსა – ქაქში ხომ არ ჩამიყვიაო ფეხი, სუსხში ვერაფერი გაარკვია და ფეხსაცმლის ძირზე აკრული რაღაცის ქერქი ასფალტზე შეაზილა. სიარულ შენელებულთ ისე გახედა, იმათ ძალაუნებურად თვალი აარიდეს. გაუჩერებლად მიემართებოდა დანიშნულების ადგილამდე, ის კი ვითომ სიზმრის მდევარივით არ ამოკლებინებდა მანძილს, თითქოს კორპუსებიდან ამოშვერილი თავის გარშემო ტრიალებდეს და ვერაფრით გაერღვიოს ზღვარი, თუმცა არ დანებებულა და უფრო მეტი ყურადღებით გააგრძელა სიარული, გაუგებრობა აღარ განმეორდესო.

მეტი არაფერი გადახდენია საგულისხმო. წინა საღამოთი ელაპარაკა ტელეფონით იმას, ვისთანაც ახლა მიიჩქაროდა. მისი ნომერი რომელიღაც მდივნის მაგიდაზე მიგდებულ სადარბაზო ბარათზე ამოიკითხა და დაიმახსოვრა. კი დააეჭვა ყურმილის იქეთა მხრიდან ზედმეტად ზრდილობიანმა ხმამ, საერთოდ არ იყო ნაჩვევი ვინმეს მხრიდან თავაზიანობას და ხორცმა უგრძნო თუ რა იყო, ყურმილის დადებისთანავე მიხვდა, ამ ჯერზეც არაფერი გამოუვიდოდა, მაგრამ სხვა ალტერნატივა არ ჰქონდა. ფეხები უკან რჩებოდა, იცოდა აქაც იგივე განმეორდებოდა, რაც სხვა დანარჩენებში. ახლა ის ფურცელი ამოაძვრინა, რომელზედაც მისამართი ჩაეწერა და უკვე მერამდენედ გადაიკითხა, დემეტრეს ცამეტი – გაიმეორა გუნებაში და ნაგლეჯი ჯიბეში ჩაიკუჭა. არც ისე შორი გზა დარჩენოდა, როგორც თვითონ გამოთვალა. რამდენიც არ უნდა ეწრიალა, მაინც ფეხით მოუწევდა ასვლა, რადგანაც გაჭედვა არაფრით არ შედიოდა მის გეგმაში. ნომრის შესაბამის სადარბაზოში ნაბიჯის შეუნელებლად შევიდა. კარების ღიად დატოვება მოუწია, რადგანაც იქაურ ბნელში ვერაფრით ამოიკითხავდა მანიშნებელი აბრის მიმართულებას. გამომცემლობა დიოსკურია მეცხრე სართულიო – ამოიკითხა და ზამბარ-

იან კარს ხელი აუშვა. ზამბარამ გაიჭრიჭინა და ამითი ამოწურა თავისი შესაძლებლობები, ჭრიჭინის მეტი ვერაფერი შეძლო. ისიც ძლივას გაახერხა. მისი აზრით ასეთ შენობაში სერიოზული ორგანიზაცია არავითარ შემთხვევაში არ დაიდებდა ბინას. გადაწყვეტილი კი ჰქონდა ლიფტში არ ჩამჯდარიყო, მაგრამ რომც მოეწადინებინა ვერ შეძლებდა, ფართოდ დაეღო ხახა ბნელ კაბინას და მასში დახვავებული გაზეთები და ათასი სხვა სიბინძურე მოწმობდნენ იმას, რომ კარგა ხნის უმუშევრად იდგა. ნელა აუყვა კუთხეებში ჩამოტეხილ საფეხურებს, ნაცემივით ითრევდა ფეხს და ყოველ ბაქანზე ჩერდებოდა. კიბეებს შორის დარჩენილ ღარში იჭვრიტებოდა, ვერაფერს ხედავდა, გაურკვეველ ბგერებს უკვირდებოდა, თითქოს მათ დანახვას შესძლებდა.

კონსპირირებულ ბინაზე მიმავალივით აუჩქარდა სუნთქვა და სანამ თაბახებს ხელში დაიგორგოლავებდა, გადაივარცხნა თმა, საკუთარ ფეხებს უცხოსავით დახედა და დაკაკუნებამდე ჩაახველა. კაკუნზე არავინ გამოხმაურებია. ცოტა კიდევ შეიცადა, ისევ დააკაკუნა და სახელურს დააწვა, რომელიც არ დაემორჩილა. მერე ყური კარს მიადო, მაგრამ შიდა სივრცე საფლავივით სდუმდა. დაიხარა და გასაღების ჭურჭუტანაში დააპირა მზერის გაძვრენა, ოღონდ ვერ გაატია და იმედგაცრუებული ის იყო წელში გასწორდა, რომ მეზობელი კარი გაიღო, რომლიდანაც ჭაღარა მოხუცის თავი გამოჩნდა წვერიანად, სხეულის დანარჩენი კარს მიღმა დარჩა მოფარებული. ეტყობოდა, წვერი საკმაოდ გრძელი ჰქონდა, რადგანაც ბოლო არ მოუჩანდა, თითქოს კაშნესავით მხარზე ჰქონდაო მოგდებული. „ეგ კარი გაუქმებულია" თქვა და სათვალეს ზემოდან გადმოხედა ამას, თავისი გათეთრებული თვალებით. „მე გამომცემლობა დიოსკურიას ვეძებ" თქვა ამან და ერთადერთი იმედის მომცემს უიმედოდ შეხედა. მოხუცისთვის ეს სიტყვები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ სათვალე უკეთ მოირგო, ეს თავით ფეხებამდე ჩაათვალიერა, თვალები კიდევ უფრო მოპრუწა, რომ უკითხავად გაერკვია თუ ვინ იდგა მის წინ და სავსებით უცერემონიო თვალების ცეცების შემდეგ, როგორც იქნა იჭვნარევმა ოდნავ გამოაღო კარები და თვითონაც (კი არ გამოვიდა) ჩამოვიდა, რადგან კარს მიღმა იქვე ზევით ამავალი კიბე იწყებოდა თურმე. მოხუცს გრძელი წვერი ჰქონდა, ოღონდ მხარზე გადაგდებული კი არა, როგორც თავიდან ეგონა, არამედ სიფრიფა-

ნა თეთრი, და ბოლოში სავსებით უფერულდებოდა, ოღონდ ღამით ნაპირზე გამორიყული მედუზასავით შეიძლებოდა ხელით შეხება. წვერის ქვეშ გარკვევით მოუჩანდა ფერადი ფლომასტერები, რომლებიც წვერიდან ამოშვერილიყვნენ ჩოხის მუნშდუკებივით და უკეთ რომ დააკვირდა, მიხვდა, ყოველი მათგანისთვის ცალკე საქილე მიეკერებინა მოხუცს პერანგზე. ფლომასტერებს თავსახურები არ ეკეთათ და წვერშიაც ალაგ-ალაგ შეჟონილიყო სხვადასხვა ფერები. მოხუცი რკინიგზის ფერიას უფრო ჰგავდა, ვიდრე იმ იჭვნარევი სახის პატრონს, რომლადაც სურდა თავის გასაღება. კიდევ უფრო დააკვირდა და მიხვდა, ამ ერთი შეხედვით უწყინარ, მეორე შეხედვით მოწყინარ კაცის მიღმა რაღაც მესამე. მეტად გაურკვეველი იმალებოდა, თუმცა აღარ დაცალდა, თითქოს მიუხვდა განზრახვას ფერადი წვეროსანი და იკითხა „რასთან დაკავშირებით ეძებთ დიოსკურიას"? ამან პასუხად დაგორგოლავებული თაბახები დაანახვა, მოხუცმა სულ ერთი წამით შეავლო თვალი ფურცლებს, მხოლოდ იმიტომ, სისქე განესაზღვრა და ალბათ ოდენობამ დააკმაყოფილა, ხელით ანიშნა, წამომყევიო. დაუფიქრებლად დაემორჩილა მმართველ ხელს და ორიოდ წამში უკვე იმ კიბეზე ადიოდა, რომელზეც მოხუცი შესაშურისი სისწრაფით მიექანებოდა, ვერ ასწრებდა მის ტემპს აჰყოლოდა, ოღონდ სხვა გამოსავალი მაინც არ რჩებოდა. ცალი ხელით მოხუცის პერანგს ჩაბღაუჭებოდა, რადგანაც კარის მიხურვისთანავე უკუნეთი ჩამოწვა, ხოლო იქაურობა მისთვის ისეთივე ლაბირინთი იყო, როგორც ალეისთვის ისას სიყვარული. თავს ძალას ატანდა, რომ არ წაქცეულიყო და ისე ააღწიეს, არ წაქცეულა. კიბის ათავებისთანავე გემბანივით გასიპულ ბაქანზე გაჩერდნენ, თუმცა ეს უფრო წარმოიდგინა, ვიდრე დაინახა და ხელის გაშვებას აპირებდა პერანგისთვის, მოხუცმა თვითონ გააშვებინა და ხმადაბალი სუსუნით მიახვედრა, გაჩუმებულიყო. არც მის გაუფრთხილებლად ამოიღებდა ხმას, მაგრამ რახან გააფრთხილეს, ამან გაართო და ბავშვივით აუცეტა გული. ბერიკაცმა სამჯერ ფრთხილად დააკაკუნა, კედლის თუ კარის იქედან კი მის კაკუნზე რეაგირება არ მოუხდენიათ. ორიოდ წუთი კიდევ შეიცადეს და მოხუცმა ხელის ფათურით მიახვედრა, უკან გაჰყოლოდა. უკანა გზა საგრძნობლად სწრაფად ჩანვლეს და ცოტა ხანში საწყის ბაქანზე იდგნენ. შიდა სივრცისა და სადარბაზოს ამინდს შორის განსხვავება საგრძნობი იყო. მოხუცი

ზურგით გადაეფარა საკუთარ კარებს და ხმადაბლა თქვა „გვიანია... არ იყო მიზანშეწონილი თქვენი ამ დროს გამოჩენა, ხომ ხედავთ, დღეს ყველა წასულია, აბა როგორ? მუშაობს ხალხი. ხვალ მოდით უმჯობესია ზეგ, კი ნამდვილად ზეგ და სამჯერ დააკაკუნეთ, აი ესე" თქვა და ნიშანივით სამჯერ დააკაკუნა ამის დასანახად. „ვგონებ შიგ იყვნენ, უბრალოდ კარი არ გაგვიღეს თორემ..." ამანაც ხმადაბლა თქვა რატომღაც და დააყოლა, „თუ არ მოგაცდენთ ორი სიტყვით გიამბობდით ნაწარმოებს..." „არა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაინც გვიანია" თავი იმართლა მოხუცმა. „სულ ორიოდ სიტყვით..." ვითომ შინაურულად უთხრა ამან და ორი თითი დაანახვა, რითაც სიტყვათა ოდენობას უჩვენებდა. მოხუცს თითებისთვის არც შეუხედავს ისევე თქვა: „კარგით ბატონო, ოღონდ იცოდეთ ორიოდ სიტყვით... მეც საქმეები მაქვს", და თავის სიტყვების ნიშნად მსმენელის გამომეტყველება მიიღო, და ამანაც დაიწყო:

„გაიღვიძა რა, ერთ შაბათ დილით კარლსსონმა თავის ლოგინში აღმოაჩინა, რომ პროპელერი გატეხვოდა, ღილაკი არაფრით აღარ მორჩილდებოდა მის თითს და კარლსსონმაც მანამდე აწვალა, სანამ ტკივილი ფრჩხილის ქვეშ ზოლად შემორკალულ ჭუჭყში არ დაუგუბდა. კარლსსონი უკვე დიდი ხანია, რაც ამ დღეს ელოდა, იცოდა ცვეთა ადრე თუ გვიან მის პროპელერსაც მისწვდებოდა და აი, ეს დღეც დაუდგა. სინანულნარევი შვებით გაიზმორა ლოგინში, სიპატარავის გამო ეს სასაცილოდ კი არა, დამცინავად გამოუვიდა და ბალიშზე გადაწვა თვალღიად. მისი მისია ამოწურულიყო და ამიერიდან სუფთა სინდისით შეეძლო თავის თავზე ეზრუნა. პირნათლად შეასრულა შემქმნელის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულება, ის კმაყოფილი იღიმებოდა. მართალია გვიან, ძალიან გვიან აღმოაჩინა ეს, მაგრამ... გვიან რისთვის? დაგვიანებული იყო ქალისა და ღვინისათვის, მაგრამ ამას იგი ხომ არც მანამდე აუღელვებია. ამიტომაც იყო, კმაყოფილად იღიმოდა. მის სახეს შრეებად დალექვოდა ასაკი და საფეთქლებთან კანი ოდნავ დაკუჭვოდა, ჭორფლის, ხნიერებისა და არსებობის სიმძიმისაგან, გაუმჭირვალე თვალებშიაც ჩადგომოდა ბინდი, აღარც მათ შერჩენოდათ ძველი ხიბლი და ამ ყველაფერთან ერთად ჟღალი თმაც შეთხელებოდა, რომელიც მართალია აჩეჩილიყო, ოღონდ არა ახალგაზრდული შემართებით, მასზეც კი ჩამოკონწიალებულიყო ასაკი ტვირთად და თითქოს სხეულს ვერ

იმაგრებდნენ, წელში ვერ სწორდებოდნენ, ლამპიონებივით გადმოლუნულიყვნენ კარლსსონის შუბლზე. ამის გამო ნაყვავილარი სახე კიდევ უფრო გასაცოდავებული მოუჩანდა და ლოყებიც ოდნავ ჩავარდნოდა. დანარჩენ ყველაფრით ძველი კარლსსონი იყო, კვლავაც ერთაჭიმიანი ბრიჯები ეცვა, რომელიც წითურ ბალანს მუხლებამდე უფარავდა, კვლავ გაურეცხავი გეტრები, რომლებიც სიზმარში პორწიალისაგან ახლა დაკუჭულები მოუჩანდა, რომელთაც ამოფარებულ ცერა თითის ფრჩხილებში გეტრის ძაფი ჩახვეოდა. პირალმა იწვა, აღარ აჭერდა ღილაკს, მაგრამ თითი უნებლიედ მაინც ზედ შერჩენოდა, თავისუფლების წყურვილით ატაცებული აყურადებდა ქვემოდან ამოღწეულ ქუჩის გუგუნს. კარგად ნაცნობი ისე ჩაესმოდა, თითქოს კოსმიური სიმფონია იღვრებოდეს მასში, აქამდე გაუგონარი, მაგრამ არსის დაბადებიდანვე კოდირებული, დიადი, დამთრგუნველი და იმავ დროს სადა, ხელშესახები. როცა გამოერკვა ღილაკზე შეტოვებულ თითს გახედა თვალებით, თავი არც წამოუწევია ისე და გაღიმებულმა საზეიმოდ ჩამოაცილა მას, ამ მოძრაობით სურდა სიტყვის თქმა და ასეც იყო. ამიერიდან თავსუფალი იყო, საკუთარ ბედს თვითონ განაგებდა. წამოდგომას არ ჩქარობდა, გაუნძრევლად იწვა და ხელის გულს მჩხვლეტავ ჟღალ წვერზე ისმევდა, მეორე დღე იყო, რაც არ გაუპარსავს და შორიდან წვერიც ჭორფლს მიუგავდა. მერე წამოიწია, ფეხები ძირს გადმოყარა დაბალი ლოგინიდან, არსად ეჩქარებოდა, მაგრამ აღარ უნდოდა გაჩერება ამ ოთახში, რომელიც წარსულის მოგონებებით ისე გაჟღენთილიყო, რომ სუნთქვას უძნელებდა, ცოცხალ სურათებად გაზავებულიყვნენ დაბალ კედლებში და ჩუმად, ძლივას გასაგონად ჩურჩულებდნენ და თრთოდნენ, ეს ჩურჩული სხვის ყურს ვერ მისწვდებოდა, ის კარლსსონისთვის იყო ნაცნობი და მთელი ამ ხნის მანძილზე მისი გაუცხოვებაც კი მოესწრო. მას დედა არ ჰყოლია არასოდეს და არც უგრძვნია მისი ნაკლებობა ოდეს, მისთვის დედა ამ კედლებში ჩატეულიყო და სიყვარულის მაგიერ მიჩვეულიყო. უკანასკნელად უყურებდა ამ კედლებს და მის თვალწინ დამწვარი კინოლენტივით იფერფლებოდა წარსული. აღარაფერი აკავშირებდა მათთან და უხილავი ჭიპლარის გაწყვეტა არც იყო საჭირო, მას არც არასოდეს უარსებია. ზანტად წამოდგა, სანამ ფეხსაცმელს ამოიცვამდა, ჩვეულებისამებრ შეხტა და ბავშვივით აცეტებულმა

ახტომისას კეკლუცი გოგოსავით შეიერთა მტევნები მკერდზე, მაგრამ არ გამოუვიდა, ახტომის მაგიერ შეტორტმანდა გალუმპული ძაღლივით და მიხვდა, რომ გაღიმება აღარ ძალუძდა. რაღაც გასაცოდავებული ღიმილის მსგავსი გადაჭიმვოდა სახეზე, ოღონდ თვალები სდუმდნენ, არ აწყლიანებულან, სადღაც შორიდან, ნალექების უკანიდან იმზირებოდნენ და ძლივსღა ბჟუტავდნენ; მოხარშული თევზის მზერასავით სიფრიფანა გარსი გადაკროდათ და სწორედ ეს გარსი იყო წარსულის შრეები – ნალექები.

სარკეს მიუახლოვდა, რომელიც მას ნატურალურ ზომაში იმეორებდა და ჩაიხედა. ორეულს თვალი ჩაუკრა და სახე უფრო ახლოს მიიტანა. ყურადღებით აკვირდებოდა ამ სახეს და თუმცა საგრძნობლად შეცვლილიყო, მაინც გარკვევით იკვეთებოდა სახასიათო ნაკვთები. კანი ეუცხოვებოდა, რომელიც ძროხის ღაბაბად ჩამოშლოდა ყბის ქვემოთ, მაგრამ არ ნანობდა, ეს უკვე თავისუფალი ღაბაბი იყო, ორი დღის წვერით დაკირწყლული და თავისუფალი ღაბაბი. გარემონტებული ელექტრო საპარსი ჩართო და მის ბზუილს ასოს ამოსაჭრელად გაკავებული ხარივით შეუშვირა ღაბაბი. ბევრჯერ უფიქრია ამ დღის მოახლოებაზე და გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ულვაში დაეტოვებინა, პატარა, კოხტა და მოხდენილი ულვაში, მაგრამ ახლა თვალებში, რომ მისჩერებოდა ორეული, არ მოეწონა მის სახეზე თანამდებობის პირივით საკუთარი პერსონის ხაზგამსმელი ატრიბუტი და ისიც მოიცილა. უწვეროდ აღარ ჩანდა გასაცოდავებული. მოუხდა კიდეც. ლოგინის ქვეშიდან საკვოიაჟი გამოაჩოჩიალა, საგანგებოდ გადანახული ნივთები ამოალაგა და ლოგინზე გაშალა. ცოცხალი არსებასავით ააწყო, შარვალს კოსტუმი მიუერთა, რომელშიაც დებისაგან ნაკეცებგაჩენილი პერანგი განამწესა და მაუდის ჟილეტის ჯიბიდან საათის ძეწკვი გადმოაგდო, ვითომც შემთხვევით, რომლის ყულფიც ჟილეტის ღილს ახრჩობდა. შარვლის ტოტებს უხმარი ფეხსაცმელი მიულაგა და, უხილავი მწოლიარეს შექმნით გახარებულმა უკან გაიწია, რომ უკეთ დამტკბარიყო საკუთარი შემოქმედებით. ერთხანს აცრემლებული უყურებდა ლოგინზე პირაღმა გაშოტილ უცხოს და ხედავდა რა, რომ პატარა იყო, მაინც არ დაწყვეტია გული. პირიქით, აჩქარებული გულისცემით გამოეწყო უცხოს ტანისამოსში და ისევ სარკეში ჩაიხედა. პირველად ხედავდა ამ ანარეკლს და უხაროდა, ის აღარ

იყო და იმავდროს ისევ ის იყო. კოსტუმის ბორტი მოტეხილი ფრთასავით გადაიწია და ძეწკვის ხელშესახები სიმძიმისაგან ოდნავ გახალისდა. სანიმუშო მანეკენივით უყურებდა ორეულს და კმაყოფილი იყო. ოთახი აუჩქარებლად მიალაგა, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას, თითქოს ემშვიდობებოდა და გამოსვლისას მძიმედ დააქნია თავი. უკვე სახურავზე იდგა ჯიბეში ხელებჩაწყობილი, რომ საკუთარი საცხოვრებლის ფანჯარას გახედა, მაგრამ შუშაზე მიმსკდარმა დილის მზემ თვალი მოჭრა და მზერა მოაშორა. მაცხოვრებლის მანიშნებელი აბრა წინა დღით ჩამოხსნა კარებიდან და შესანდობარის ჭიქასავით ამოტრიალებული იქვე დასდო იმის მანიშნებლად, აქ აღარ ცხოვრობს კარლსსონიო. შეტრიალდა, მაგრამ არ განძრეულა. მზეში ბანაობდა თვალდახუჭული და ჩამოშორებული ტვირთისაგან განთავისუფლებულ მხრებს ზევით წურავდა. კმაყოფილი იყო და უხაროდა. გეომეტრიული ელიფსივით იხაზებოდა მისი ჩრდილი მის უკან და არაფერი იყო ამაში გასაკვირი, ისედაც ელიფსს მიუგავდა კომპლექცია სიმსუქნის გამო. ის არ იყო არც ადამიანი და არც პირუტყვი. მაშ რა იყო ის? კარლსსონი! მაგრამ, არა, კარლსსონის ბრიჯები ხომ ლოგინზე დატოვა გველის გამოცვლილი კანივით, რომელსაც ამ უკანასკნელივით აღარ მიუბრუნდება. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ არავინაა და კიდევ უარესი – არაფერი. ამიტომ სახელი უნდა იშოვნოს, ის ხომ ახალშობილია, ჩვილი-მოხუცი.

კორპუსის სახურავიდან ქუჩას გადახედა, მანქანების გამონაბოლქვში გახვეული ჭორები ღვთიური ნექტარივით შეიყნოსა და სახურავის კარებისკენ გაემართა. გზად ანტენებზე ჩამომჯდარი და მზეს მიფიცხებული მტრედები წამოიშალნენ და ფორიაქით გაეცალნენ წითურა მოხუცს, რომელსაც ბრიოლინით უკან გადაევარცხნა ბოლოებში ჭაღარაშეპარული თმა და რომელმაც „ჰმ" თქვა. თუკი აქამდე შინაურად მიაჩნდათ, ახლა იუცხოვეს და კოსტუმში გამოწყობილი შხუილით მიატოვეს, კარლსსონს არ სწყენია, გაფრენილი წარსულივით გააცილა მტრედები, თითქოს ველარასოდეს დაეწეოდა მათ და ამითი ოდნავ გამხიარულდა კიდეც. თავისი ბინისაკენ აღარ გაუხედავს, ისე შეაბიჯა კარში. პირველად ჩადიოდა ფეხით ამ სადარბაზოში, რომლის სახურავზეც იმდენი ხანი გაატარა, რომ ბოდვაში გადავარდნილი წმინდანივით გადაავიწყდა კიდეც. ნელა,

გამოზომილად ჩაუყვა კიბეს და ყოველი გადადგმული ნაბიჯით კიდევ უფრო შორდებოდა პატარა საცხოვრებელს, რომელზედაც აბრა აღარ ეკიდა. ნელა ჩადიოდა, როცა ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ კარნიზზე შედგომა დაჭირდებოდა ფეხის წვერებით, კოტიტა ხელებს ვითომ უმწეოდ გააფართხალებდა და თითქოს წონასწორობას ვერ იკავებდა, ძახილით „ბრრრ, კარლსონი მოდის...“ პროპელერის ზუზუნით ადგილს მოსწყდებოდა და კარნიზსაც და თვალებდაჭყეტილ მტრედებსაც უკან იტოვებდა (და თუ ადრე მტრედებს, ახლა ამ ფიქრსაც უკან იტოვებდა). მართალი იყო, სუფთა სინდისით ეშვებოდა კიბეზე, როგორც განკურნებული პაციენტი და მოაჯირზე ხელს ბავშვივით მიასრიალებდა, რომელიც მის სიმაღლეს ტოლად უთანაბრდებოდა და ვერ ამჩნევდა განწმენდილი რაში ეშვებოდა თავის ნებით.

ქუჩაში გამავალ კარებში გაჩერდა, თვალდახუჭულმა დაილექა კიდევ ერთ შრედ ქუჩის ამინდი, როგორც მარხვის შემდეგ ნეტარი ზიარება და თვალი გაახილა. მერამდენედ ხედავდა, მაგრამ მაინც შემთხვევით აღმოჩენილი განძივით უყურებდა მათ, ვინც სწრაფი ნაბიჯით იმას ცდილობდნენ, რომ ნაბიჯი უფრო აეჩქარებინათ. მტკიცედ გადადგა სიპატარავისაგან მოუხრელი ტერფი ცვეთილ ასფალტზე, მდინარეში ჩამავალი ქალივით აეკრო სიცივე მათ ძირებს და სახეებს შეუერთდა. სათუო იქნებოდა შეეძჩნიათ ქალაქში წითური მოხუცის გამოჩენა. ნამდვილად ვერ შეამჩნევდნენ მოხუცად შობილს, ის მათთვის წარსულის მოგონება იყო და სწორედ რომ მოგონება, არ ეცლებოდათ ასეთი სისულელეებისათვის. ის მათთვის უცხო იყო. იმდენად უცხო რომ თავს არ შეიწუხებდნენ მისით, არ დაუძახნიათ, მათგან უკითხავად შეუერთდა პარადოქსალურ მცნებათა საუფლოს, მუდმივად ზევით ამართულ კიბესავით განუწყვეტელ ჯაჭვად გადაკვანძულს კიდევ ერთ გორგოლაჭად მიეტმასნა. ეს საუფლო მიმზიდველიც იყო და დამთრგუნველიც და სწორედ ეს იზიდავდა მასში. მისი სიმაღლისთვის აქ არაფერი იყო გათვლილი, ის მათთვის ნახევარკაცი იყო, არც კარლიკი, უბრალოდ ნახევარი, არასრული – არასრულფასოვანი. ფეხი გადადგა, აუჩქარებლად შეუერთდა ამინდს და უმისამართოდ გაჰყვა მსწრაფლმოარულთ. კიდით მოუწია სიარული, ვერ ააყოლა კოტიტა ნაბიჯი მათსას და განზე გადგა. ყველაფერს სხვანაირად აღიქვამდა, ადრე ფრენისას,

მიჩვეული რაკურსიდან დანახული ახლა უფრო შთამბეჭდავი და დიადი ეჩვენებოდა. ადრე ვერ გრძნობდა სიპატარავეს, სიმაღლიდან სასაცილოდ მოსჩანდნენ ასკლიპიოდოტას თვალებსოდენა ფარნები, შორეული ციცინათელებივით რომ ფუსფუსებდნენ ღამის ქალაქში, მაგრამ ამჟამად დილა იყო და თავისი უხილავი საცეცებით ეჭაჩებოდა თავისკენ და კარლსსონიც მიუყვებოდა, სანახევროდ ბოძებულ ელიფსურ სივრცეს იკავებდა მიწის ზედაპირზე და არსებულ ჟანგბადს ზედმეტ შთანმთქველად მოევლინა ყველასაგან უკითხავად. ნელა მიუყვებოდა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და უცნობ სახეებს ყურადღებით აკვირდებოდა, ძნელი იქნებოდა იმის მიჩვევა, რომ ქვევიდან ზევით მოუწევდა ყურება, სივრცეში აწოწილ ფიგურების გარემოცვაში მიბორიალობდა მშობელს დაკარგული ბავშვივით და წარსულის სურათები დანისლულ თვალებზე ასკდებოდა, სუნთქვის შეკვრამდე ეტმასნებოდა, მაგრამ იცილებდა, პალტოზე აკრული ფოთოლივით იცილებდა და კიდევ უფრო გულდასმით ეტმასნებოდა რეალობას. ერთი ხელის მოსმით შეტრიალდა ყველაფერი, ვეღარასოდეს შეძლებდა განზე გადგომას, ისიც მოკვდავთა რიგში ჩადგა, დაუპატიჟებლად ჩაეწერა მათ ნუსხაში. ერთიანად დაკარგა ყველაფერი, აღარა რა ებადა ქვეყნის ზურგზე, არც სახლი არც კარი, არც სახელი და არც არავინ ეგულებოდა ისეთი, ვინც იცნობდა მაინც. ის არავისთვის იყო განკუთვნილი და მისეირნობდა უსახელოდ და უყველაფროდ, როგორც არარსებული, მაგრამ ხილული და წონადი. რა ეთქვა ვინ ვარო? კარლსსონი აღარ არსებობდა, ეს თვითონაც კარგად უწყოდა, კარლსსონი მოკვდა, როგორც ღმერთი. არავინ იცის ის ვინ არის, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ არც თვითონ იცის, მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობს შორეული პლაზმის ნაწილია. მაგრამ ნუთუ ამის ცოდნა კმარა რეალობისათვის? სინამდვილე ერთადერთი რამ არის ქვეყანაზე, რაც არც გრძელდება არც მოკლდება, სინამდვილე ბავშვივით ჯიუტია, ორსული ქალივით უხასიათო და ძაღლივით ორპირა, ის არავისთვისაა, უძრავად დგას თავისთვის და არსაით მიედინება, მსწრაფლმოარულნი ვერ ისვენებენ და გაუჩერებლად ურტყამენ წრეებს საკუთარ ფიქრებს და სიარულისას იცვითებიან, ხახუნის ძალას მორჩილდებიან და უტეხი ძილით იძინებენ ბოლოს. სინამდვილე არც კარლსსონისთვის იყო, თვითონ იყო სინამდვილე, ოღონდ

მოკვდავი სინამდვილე, განსაზღვრული ვადით და რეალობასავით ირაციო. ბევრი ნახა ამ ქვეყანაზე, ბევრს შესწრებია, დამკვირვებლის ფუნქციით იფარგლებოდა, არ ძალუძდა ჩარეულიყო არაფერში, ღმერთივით აკვირდებოდა თავის მიერ გამოგონებულთ და არაფერს განიცდიდა, მას გრძნობა არ ჰქონია, სიჩუმე იყო, ბუნდოვანი და დასაშვები, თუმცა შეუძლებელი. ის სამყაროსათვის არ არსებობდა ისევე, როგორც ჭეშმარიტება და ცალკეულთა წარმოდგენაში როკავდა ნისლოვანი ზმანებასავით, ისიც დროდადრო. ეს ყველაფერი ადრე იყო, ვერ დარჩებოდა მუდამ უკვდავად, ბოლოს და ბოლოს უკვდავებიც ხომ კვდებიან. უკვდავიც ხომ მანამ იარსებებს სანამ უკანასკნელი მოარულიც არ დაიძინებს და პირველქმნილ საშოს არ დაუბრუნდება? არა იმისათვის, რომ კვლავ ახლიდან იშვას ყოველივე და დაუსრულებლად წარედინოს კვლავინდებურად არამედ გათავდეს, სიტყვა უნდა გაჩერდეს, რადგანაც პლაზმოვანი საშო დასაწყისშივე უძღები იყო, ხოლო მისი ამოვსებით უკუპროცესი დაიწყება და ისიც უმწიკვლოების აპკივით კვლავ შეხორცდება იმისათვის, რომ გადაღლილი სინამდვილე დაასვენოს და თუმცა უსულოა, მაინც განამრთელოს დაქსაქსულობაში ნაფლეთებად დანაწილებული ერთიანობა. ამისათვის ჩამოდგა კარლსსონმა მიწაზე ფეხი და ელიფსური სინამდვილით ტროტუარზე შეჩერდა. მას ძარღვებში სისხლი არ დაუდის, მაგრამ ამაში არაფერია განსაკუთრებული, მაცხოვარსაც ხომ სისხლის მაგიერ წყალში ნაზავი წასკდა ბასრი კილოდან. მას არც სისხლი აქვს, არც წყალი, მასში არ მომხდარა მეტაპლაზია, ის ქიმიური ელემენტია, მაგრამ ეს ელემენტიც ხომ იმ პირველსაწყის მიკრობში იყო თავიდანვე. ის განწმენდილია ბინძური სისხლისაგან, საუკუნოვან კრისტალზე კიდევ უფრო სუფთაა, იმდენად სუფთა და განწმენდილი, რომ სადარისი არ მოეძებნება ამ ბედკრულ ქვეყანაში.

საათს დახედა, ხელისგულზე პირდაღებული ბაყაყივით რომ ეჯდა; თორმეტი ხდებოდა. დაკეტა და ისევ ჯიბეში ჩაიდო, წამით შეთამაშდა ღილზე გამობმული ძეწკვი. არსად არ ეჩქარებოდა. თავისუფლად შეეძლო ეხეტიალა და ასეც მოიქცა, კვლავ განაგრძო კოტიტა ნაბიჯებით სვლა. თავისუფლების მოედნისკენ მიდიოდა. გზად გაზეთი იყიდა და დაგორგოლავებული მუჭში მოიქცია, მუჭი კი მეორე მტევნით შეაკავა ზურგს უკან. მთავრობის სასახლესთან

შეჩერდა, დაკვირვებით უყურებდა უხერხულ შენობას და ახსენდებოდა რამდენჯერ ჩამომჯდარა მის შუაში ამომართულ ღერბიან გუმბათზე დროშის გვერდით და ფეხები გადმოუკიდია დასკლინტული კარნიზიდან. გაუნძრევლად იდგა, იცოდა, რომ ველარასოდეს გადმოკიდებდა ფეხებს და ისევ დაიძრა. ცოტა ხანში გადაავიწყდა სასახლის თავხედური კონსტრუქცია.

მოედანზე უმოქმედო საგაზეთო კიოსკის გვერდით გაჩერდა, მხრით მას მიეყრდნო და წრიულ ბორდიულში მოქცეულ ბალახს გახედა, რომლის გარშემო თვალის აჭრელებამდე წრიალებდნენ მანქანები, ადენოიდებივით იფურთხებოდნენ გამონაბოლქვს და საკუთარ ბუღში იკარგებოდნენ. ერთ დროს ამ ბალახზე კვარცხლბეკი იდგა. კვარცხლბეკზე კი ძეგლი, შემართული ხელით და დაკუჭული კეპით, ისე აექაჩა მარჯვენა წარბი, როგორც სიცოცხლეში სჩვეოდა, მაგრამ ქვაში ნათალი სახე ველარ ასხივებდა დამთრგუნველ აურას. წრიული ბალახი ეულად იდგა, წყალი ჩაერთოთ მხოლოდ, გამწვანება რომ არ გამხმარიყო. უკვალოდ გამქრალა ძეგლი თავის კვარცხლბეკიანად და კარლსსონმა ამის გახსენებაზე ჩაახველა. ერთხანს კიდევ შეიცადა და ისევ დაიძრა. არავითარი კვალი არ დამჩნევია მის ნაყვავილარ სახეს მეტამორფოზის შემდეგ, ისეთივე ჩავარდნილლოყებიანი წითური მოხუცი დარჩა, მსუქანი და მოხარშული თვალებით. ეს არ იყო მაძღარი სიმსუქნე, არ იყო არც მოთანთალებული ხორცი, ეს იყო პლასტმასსი, რთული თავისთავად უარსებო, თუმცა მარტივი და დასაშვები. მიაბიჯებდა კოტიტა ფეხებს წითური მოხუცი თაღად შეკრული ლამპიონების ქვეშ და წარსულის სიუხეშე აწმყოში იღვრებოდა მის თვალწინ. ორთოდოქსულ მორწმუნეთა ჯგროს აგონებდა ეს ხალხი ყოველთვის, მუდამ ერთნაირები რომ იყვნენ და სნობიზმით ფარავდნენ თავიანთ უსუსურობას. იმ ნიღბოსანი ექიმების კარნავალისა არ იყოს, დიდი შავჭირიანობის დროს რომ გაიმართა ღამით ზღვის ნაპირას, კოცონების ფონზე ლანდებივით რომ ცეკვავდნენ ჯადოსნურ ცეკვებს ეპიდემიის განსადევნად და შავ მოსასხამში გახვეულ ტოროლას ნიღაბს მაშხალებით შანთავდნენ. თვითონაც იქ იყო კარლსსონი, შავ ანაფორაში გამოხვეული კოჭებამდე რომ უფარავდა სხეულს და ჟღალი სახე დიდ ნისკარტიანი კაჭკაჭის ნიღაბს უკან მიემალა, ხეში დაყოლებული კილოებიდან ირეკლავდნენ კოცონს მისი თვალები...

მუდამ ერთიდა იგივე მეორდებოდა, შემსრულებლები იცვლებოდნენ და ეს ცვალებადობა ევოლუციაში იკარგებოდა, რათა უფრო დახვეწილი ყოფილიყო იერიშიც და თავდაცვაც (agere contra – resistere) ორივე ერთდროულად და ცალ-ცალკე, პირველყოფილი ბარბაროსობიდან ცივილიზებულ ბარბაროსობამდე.

შემოდგომის მზეში იძირებოდა შუადღის ქალაქი. ცოტა ხანში სუსხი შეცვლიდა თბილ მოლეკულებს, მანამდე მიწა, გამოზოგილი მურაბასავით ინახავდა ატალახებულ ნეშომპალას, მის საბურველში ეხვეოდა თითქოს სუსხისათვის ემზადებოდა და ინფარქტიანი გულივით აფაკლულ მაგმას ნესტიან სხეულში კიდევ უფრო იკუჭავდა მიტოვებული სატრფოს ფოტოსურათივით. ოქროსფრად ბეუტავდნენ ქარვის ფოთლები, თითქოს ბრონზის მტვერი დაებნიოს წინა ღამით ვარსკვლავთა რემას. ცოტაღა დარჩენილიყო შლეგიანი ქარის ჩამოვლამდე, უძღები ყაენივით, რომ დაეპატრონებოდა უკაცრიელ ქუჩებს და აჩეჩილ ღრუბლებს კიდევ უფრო აიჩეჩდა საკუთარი ქშინვით. მეფისტოფელის მისტიურ აღლუმს ემგვანებოდა იმ დროს ღამის სილურჯე... მანამდე კი იხრწნებოდა სქელლაფა ქერქი და გაუხეშებული, აქერცლილი კანით ემზადებოდა მისი გამოჩენისათვის. კარლსსონი თაღად შეკრული ლამპიონების ქვეშ აფუებულ ქარვაში მიაბიჯებდა და მათზე დაბნეული ბრონზა მზეზე აციმციმებული ბუტკოს მტვერივით მისი ფეხსაცმლის კანტს კრაზანას ნექტარივით ეგლისებოდა. სად მიდიოდა არ იცოდა. სეზონის გასვლის შემდეგ უკაცრიელ კურორტზე უმისამართოდ მოხეტიალე პენსიონერივით ჩაძირულიყო ფიქრებში და კოტიტა ფეხები ფოთოლცვენაში ეფლობოდა. ლესელიძის ქუჩაზე ეშვებოდა, ქვევით, ნარიყალასაკენ. ქალაქის ამ ნაწილში კიდევ უფრო შეუმჩნეველი იქნებოდა მისი გამოჩენა. ეს ებრაელების უბანი იყო.

აქაც საკმაოდ იყვნენ ჭორფლიანი სახეები და წითური თმის უკან მალავდნენ გრძელ ყურებს, გაუჩერებლად ფუსფუსებდნენ და ეჭვიან თვალებს მზეს მიფიცხებული ნამძინარევი კატებივით ზანტად ახამხამებდნენ. უხუცესნი საცხოვრებლებთან გამოდგმულ სკამებზე ჩამომჯდარიყვნენ და მოკლე თითებით ვინ იცის უკვე მერამდენე კრიალოსანს ცვეთდნენ, ანდა სულაც სინაგოგას კედელთან ატუზულიყვნენ და საუბარში ჩართულნი ერთმანეთის მხრებიდან აკვირდებოდნენ გამვლელ გამომვლელს. ძველი ხის სახლები იდგა აქ,

თითქოს ცივილიზაცია მათ არ შეხებოდეთ, არც თუ ისე დამღლელი შენობები გუშაგებივით გამომდგარიყვნენ ერთადერთ, არტერიასავ-ით ჩაპრესილ ქუჩაზე და მათი მზის შესაღვრელად გამოღებული ვერანდის ფანჯრებიდან მოღწეული იატაკის ჭრიალი კარლსსონის ყურს სწვდებოდა. პირველად არ ჩაესმოდა ეს ხმები, ბევრჯერ შესწრებია ღამით მორიდებულ ჩურჩულს ფარდის უკანიდან, ბევრ-ჯერ მოუსმენია რა ხმას გამოსცემს ებრაული ცრემლი, როდესაც ლოყას ჩხაპნის ფირფიტის ნემსივით და ისეთი შთაბეჭდილება ჰქო-ნია, თითქოს ფრჩხილებით კაწრავდა ვიღაცა შუშას. მაგრამ ვერადა ვერ შეეჩვია მათ მენსტრუალურ თვალებს, მუდამ აწითლებული რომ ჰქონდათ ციკლის `დამთავრებასავით. ახლაც ამ ჭორფლიან თვალებს შორის მიაბიჯებდა და მათ სარკისებრ ზედაპირზე უხუც-ესთა კრიალოსანის კაკლისოდენად ირეკლებოდა მისი სილუეტი. სიონთან ჩაუხვია.

ფეხით მოსიარულეთა ქუჩაზე შედგა ფეხი და ნესტოებში მტ-კვრიდან მონაბერი დამპლის სუნი ეცა. ეკლესიის წინ სკამზე ჩამოჯ-და, გუმბათებისაკენ აიხედა და მათი დასკლინტული კარნიზები წარმოუდგა თვალწინ, მასაც ჩვეულებრივი ჩიტები ასკინტლავდნენ, როგორც სხვა დანარჩენს. მერე მზერა მოაცილა და ფიქრებში ჩაერთო. ერთადერთი ადამიანისაკენ მიუწევდა გული. მართალია არ იცნობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო ის არ გამოისტუმრებდა უარით და მოუსმენდა. სათქმელი არაფერი ჰქონია, მაგრამ ჯერ კიდევ ადრე გადაეწყვიტა, რომ აუცილებლად წვეოდა ამ უცნაურ ჭაღარას, ასაკის მიუხედავად მაინც ჯინსებით რომ დადიოდა. ამ ჭაღარას ომარი ერქვა, მაღალაშვილი და ისტორიას ასწავლიდა საშუალო სკოლაში, აბითურიენტებსაც ამზადებდა და სწორედ ერთ ერთ ასეთ მზადებას შეესწრო კარლსსონი ღამის სიბნელეს ამოფარ-ებული. მისი სიმაღლე ვერ ამართლებდა საგვარეულო შეხედულებას და ტვინის ძარღვებს თავდაჭერასა და ირონიას უკან მალავდა. ის არ იქექებოდა ისტორიაში სხვებივით, მას თავისი ისტორია ჰქონ-და გამოგონილი და ამ მიზეზის გამო გადაწყვიტა კარლსსონმა სტუმრებოდა. კარლსსონი იმისათვის არ მიდიოდა მასთან, რომ რაიმე აინტერესებდა, უბრალოდ გარკვევა სურდა იმისა, რამდენად მართალი იყო ომარი თავის ქადაგებაში. ამ მიზეზით ესწრაფვოდა შეხვედრას და ეს დღეც დაუდგა. დღესვე ინახულებს თუკი სხვა რამ

განსაკუთრებული არა მოხდა რა.

იმ დროს, როცა კარლსსონი ეკლესიის წინ სკამზე იჯდა და ომარიზე ფიქრობდა, ომარი სკოლაში გაკვეთილს ატარებდა და სხვა არაფერზე ფიქრობდა გარდა იმისა, როდის დასრულდებოდა მისი ტანჯვა და დაირეკებოდა ნეტარი ზარი, ნაგვის მანქანის ჩამოვლასავით რომ რაკუნობდა უკაცრიელ დერეფნებში. ამ ზარს თან სდევდა დერეფნებში ატეხილი აურზაური და აურზაურში ლანდის გაძრომა. ლანდი ომარის ასაკისაგან გამრუდებულ ხერხემალს ეკუთვნოდა. თავს არ იწუხებდა სამასწავლებლოში კოლეგებთან ჭორაობით და ერთი ორის მისამართით ვალის მოსახდელი ღიმილის სროლით ნაჩქარევად სტოვებდა სკოლის ტერიტორიას. ვერის აღმართს შეუმჩნევლად ფარავდა და იტალიურ ეზოში შემავალ ჭიშკართან წამით ყოვნდებოდა, ქუჩის მეორე მხარეს აყუდებულ ბირჟის წევრებს ხელს აუწევდა და რკინის გისოსებიან კარს მძიმედ აწვებოდა. მათ მტვერს ხელისგულზე იკრობდა და ეზოში ფრთხილად შედიოდა. ეზოს შიდა აბორიგენთათვის განკუთვნილ მისალმებას მდუმარე თავის ქნევაში აქსოვდა და მის ფეხებს ქვეშ ხის საფეხურები ჭრიალდებოდნენ ბინისაკენ ამავალ კიბეზე. სახლში შესვლისას მის თვალებს ცოლის გაწამებული სახე აწყდებოდა და ქალის კოსმიურ სიუხეშეს მოურიდებლად არიდებდა თვალს. არც ცოლი ეკონწიალებოდა კისერზე, ასეთი სისულელეებით თავს არ იწუხებდნენ. ერთადერთხელ უთხრა მანანამ: სიყვარულისთვის ალბათ სხვანაირი დამოკიდებულება არის საჭიროო და ომარიმ უპასუხა რომ ასეთი მოსაზრება სავსებით დასაშვებია და ასე მოათავეს ამ თემაზე საუბარი. მანანა არ ერეოდა ომარის საქმეებში და პირიქით. მათი დამაკავშირებელი ჯაჭვი სამი რგოლით განსაზღვრულიყო, რომლებიც სიმაღლისდამიხედვით კითხულობდნენ; პირველი ანატომიას, მეორე ზოოლოგიას და მესამე ბოტანიკას. შვილებს ერთ ოთახში ეძინათ და ეს ფაქტი არ ეღობებოდა უფროსს ყველაზე ნიჭიერი ყოფილიყო ძმებს შორის.

მამის მსგავსად უდროოდ გატეხილიყო წელში და განუვითარებელ კიდურებს ტყავის კოსტუმს უკან მალავდა. პროკლამაციის გამავრცელებელივით ჩუმად დადიოდა და მართლაც ავრცელებდა ოღონდ არა პროკლამაციას, არამედ რომელიღაც საეჭვო ორგანიზაციის ბიულეტენებს რეკლამის სახით. ომარი შვილის ამგვარ გადაწ-

ყვეტილებას არ მისალმებია, მაგრამ არც საპირისპირო გამოუხატავს რაიმე. დღესაც ცოლის სახეს თვალი რომ მოარიდა, მომღიმარი სახით მიუახლოვდა საწერ მაგიდას და რომელიღაც მოწაფეზე განათხოვრებული წიგნი, რომელიც დღეს დაუბრუნეს, ზედ ჩამოსდო, წიგნზე კალმისტარი, ხოლო მასზე მტევანი და თვალები მილულა. მეორე თავისუფალი ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით დახუჭული თვალები მოისრისა. მართალია სათვალეს არ ხმარობდა, თუმცა სათვალიანის ცრემლივით გამოწველა არარსებული წირპლი და ტუჩები სუსხისაგან დახეთქილებივით გაეშიმა. „ჯერ დაისვენებ თუ უკვე ისადილებ" – ომარის კეფას ჰკითხა მანანამ და კაცი გამოერკვა შორეული ფიქრიდან „ჰა?.. ხო, ხო, ვისადილებ" გაურკვევლად უპასუხა მისმა კეფამ და სკამზე ჩამოჯდა. ქალს არ უკითხავს გაეცხელებინა თუ არა სადილი, კაცისთვის ამას მნიშვნელი არ ჰქონია, ცივ ლობიოსა და მჭადს რომ მიუჯდა, იკითხა ვინმეს ხომ არ დაურეკავსო, რაზედაც პასუხად ქალმა თავი გააქნია და ოთახიდან გავიდა. ყელზე რომ არ დადგომოდა ქმარს. მერე შუათანა მობრუნდა სასწავლებლიდან და შემოსასვლელის კომოდზე რვეული ისე დაანარცხა, ნათელი გახდა – მისი გული მიღებული ფრიადით დამძიმებულიყო. ჯერ კიდევ არ შემოსულიყო მამასთან, რომ ამ უკანასკნელმა გაიფიქრა, ნეტავ რაშია განსხვავება ძმებს შორისო. თუ შუათანა იტყოდა: ...რას ერჩოდნენ, მშვენივრად უკრავდა, გადასარევად მღეროდა, მეტი რა უნდოდათო, ასეთ დროს უფროსი თავისთვის ჩაიბურდღუნებდა: ნარცისი გოდებდა გოლდმუნდის ბალებთანო და ოთახიდან თავდახრილი გადიოდა, თორემ სულ პატარა ჯერ სათვალავშიაც არ იყო, ის იმდენად პატარა იყო, რომ ჯერ კიდევ ჯვარი ეკიდა კისერზე.

ომარი ყოველთვის გამოზომილი ლუკმით კმაყოფილდებოდა, არასოდეს ისწრაფვოდა დიდი იდეალისაკენ, მაგრამ ცხოვრება ხომ აბსურდია და სწორედ ამ თეზისით ხელმძღვანელობდა იგი ცხოვრებაში. ტყუილად არ გაეხაზა წითელი ფანქრით აფორიზმების რვეულში credo quia absurdum est, თუმცა ამ რვეულთან პარადოქსალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, რადგანაც მასში ისეთივე წითელი ხაზი ძველ კლასიკურ ფორმულასაც გასდევდა ქვეშ omnis determinatio est negatio. ვერანაირი დასკვნის გამოტანა ვერ მოხერხდებოდა ამ ფაქტიდან, რადგანაც თვითონ ამბობდა ხშირად,

კეთილ სწრაფთათვის იმის გულია დახურული, ვისაც სიცოცხლის მადლი აკლიაო. ეს მოსაზრება ზუსტად და ლაკონურად უდგებოდა მის შეხედულებებს და ომარის მამას აპრეხილ ულვაშებში ეცინებოდა კედელზე მიჭიკარტებულ სურათზე. ფოტო ქაღალდიდან აწმყოში იყურებოდა, ჩოხა ახალუხში გამოწყობილი და ხანჯლის ვადაზე ხელებდაწყობილი. ამ სახეზე ნათლად აღბეჭდილიყო ის მდუმარება, რომელიც წარსულის აჩრდილებს თან სდევთ, გარკვევით ეტყობოდა ამ კეხიან ცხვირს, რომ ფოტოგრაფის კეკლუცი გაფრთხილების მიუხედავადაც არ დაეხუჭებოდა თვალი ბლიცის უნებლიე აფეთქებისას. იღიმებოდა მამა გაყვითლებული ფოტოდან და ვინ იცის იმაზე ეცინებოდა, რომ შვილს ლამპის შუქით განათებულ წიგნის ტრამალებში ჩაკარგულს ხედავდა. შეიძლება უნდოდა ეთქვა, შვილო, განა რა დაგკარგვია მაგ წიგნებში, მოდი მამას წაეხმარე, მოდი მიწის მადლს ეზიარეო, მაგრამ ფოტო მხოლოდ იღიმებოდა, თქმით კი არაფერს ამბობდა, და ვინ იცის იქნებ თქმა ვერ მოასწრო და ფოტოგრაფმა მანამდე ააფეთქა ბლიცი. არა, მამამ მოასწრო, უსიტყვოდ მოასწრო ამის თქმა, მისმა გაყვითლებულმა თვალებმა დაასრულეს სიტყვები: მიმიხედე, ეგეც ჩემი შვილია, ძმად გეკუთვნის შვილოო; გავერანდება, მაგის გოდება იქ მომწვდებაო... და კუბოში მას შვილის ძირში მოკვეთილი მარჯვენა ჩააყოლეს – წარსულის ცრემლებივით ასხმულლებნებიანი აკიდო.

მერე ვენახი გავერანდა. ან მამამ თან წაიყოლა ან ომარიმ ვერ შეასრულა დანაბარები, უფრო ამ უკანასკნელის ბრალი იყო. წყალს უსხამდა მზის ჩასვლისას და მწკრივებიდან ნაჩქარევად მობრუნებული, ატალახებულ კალოშებს კარებთან აყუდებდა. დედას ერთხელაც არ უთქვამს – შვილო ვენახს სხვანაირი მიდგომა უნდა, გულიდან უნდა ამოგდიოდეს მისი სიყვარულიო, არც ის უთქვამს, არ გახსოვს მამაშენი როგორ ეჩურჩულებოდა მიწაში წაჩოქილი, როგორ ეფერებოდა დაძარღვულ ფოთლებსაო, არც ის უთქვამს, განა არ გახსოვს დაჭრილი ძმასავით რომ იხუტებდა გულშიო, არაფერი უთქვამს. დედა გულით გრძნობდა, შვილი არ წავიდოდა მამის კვალობაზე. ომარის ქალაქისკენ მიუწევდა გული და დედამ იცოდა ეს. დუმილით გაჰყურებდა ვენახში გასულ შვილს, როგორ სამოწყალოდ რწყავდა დაკოჟრილ სხეულს და ბახუსის ჟინით გაჯერებულ მტევნებს შორის დაქირავებული მუშახელივით დაბორი-

ალობდა. კაცი გარეშესავით დააბიჯებდა მფეთქავ ძარცვებს შორის და ეს ფეთქვა არ სწვდებოდა მის გლუვ თეძოებს, ეს ფეთქვა მისთვის უცხო იყო, კანაფის რიგში გაფრენილ ულაყზე დაგლესილი მტვერივით ეკრობოდა ტანზე მამის ლანდში ჩატეული ჩურჩული და პაპანაქება სიცხეში გადახსნილი ხახით იჭერდა ცხელ ჰაერს არარსებული სიგრილის მისაგნებად. დროდადრო მზისაგან გაწამებული, ვაზის მოკლე ჩრდილში იკუზებოდა, რათა სიცხისაგან აჭრელებული თვალები დაესვენებინა; ჩრდილი ნახევრამდე იფარავდა, კალოშში ჩახარშული ფეხები მის გარეთ რჩებოდა, მაგრამ ესეც ყოფნიდა, რომ ამოესუნთქა და ცოტა ხანში თავიდან იწყებოდა ყველაფერი, მზე პოულობდა და კვლავ თავს ესხმოდა ძალა მოკრებილს. დედა დუმილითვე ხვდებოდა მის მობრუნებასაც და კიბეზე ჩამომჯდარი ნაუცბადევად სწორდებოდა წელში და სანამ შვილის გაოფლილ შუბლს მკერდში ჩაიძირავდა, დაკოჟრილი თითებით მის სახეს ეხებოდა – თითქოს ებოდიშებოდა.

ერთი რთველობაც ვერ აცოცხლა ომარიმ ღვიძლი ძმა. არ გამოჰყოლია მამის სიყვარული მის მიმართ, ისე იქცეოდა, თითქოს მამას სხვა ქალთან ეღალატნოს და დიდობის ჟამს გაეცნოს ძმები ერთმანეთისათვის და ვერ მოესწროთ დაძმობილება ისე მიეტოვებინოს მამას. ვენახი იმ ღამით მოკვდა, როცა გამობრუნებისას მტევანი მოწყვიტა და დედას წამოუღო. დედას არც მაშინ დაუძახია, შვილო მასე ნუ იზამ, გაგინაწყენდება, მაკრატლით უნდა, თანაც უნდა მოუბოდიშოო. იცოდა რითაც დამთავრდებოდა, მაგრამ დუმილი არჩია, გაჩუმდა, თითქოს დამბლადაცემული შვილის ბედი წყდებოდა და ლოგინში მწოლიარეს ყურებას ერჩივნა მკვდარი ენახა, გამოეტირა და ძაძები ჩაეცვა, ოღონდ აღარ გაგრძელებულიყოს მისი ტანჯვა. ვენახი ღამით მოკვდა, დილისათვის უკვე გაციებულიყო და თუმცა სისხლის კვალი არსაით ჩანდა, ქალი მიხვდა, რომ ძმამ ძმა მოკლა, უნებლიედ ჩაასო მკერდში ვადამდე მამისეული ხანჯალი, და მოწყვეტილი იარადან დაცლილიყოს. არცერთი ხმას არ ილებდა, შეთქმულებივით უყურებდნენ ერთმანეთს და დუმდნენ. მერე კაცს ცრემლი მოადგა, იგრძნო რა, ოჯახში კაცი მარტო თვითონ დარჩენილიყო და დედას ჩაეკრო გულში. პატარა ბავშვივით ზლუქუნებდა და ყოველი ცრემლი თითო ნაბიჯით აშორებდა ბავშვობას. მისი ცრემლი მკვდარი ძმის ლებნებში ჩატეულიყო და

ხორციან ბახუსს მზე ახმობდა, უმოწყალოდ აცხუნებდა და ვერ ხვდებოდა, რომ დაჭრილს ვეღარ დააპურებდა. მზემ თავისი გაიტანა. აქერცლილი კანი ქარმა ღამით ეზოში შემოხვეტა და თოვლივით გადაპენტა არემარე. ეს უკვე უცხო კანი იყო. მამის და ძმის დაკარგვა ერთად იგრძნო კაცმა, მაგრამ გვიანღა, ძმაც ისეთივე აჩრდილად ქცეულიყო, როგორც მამის ულვაში. მერე დედაც წავიდა, ჩუმად, უხმოდ მიიცვალა ლოგინში. ლოგინად ჩავარდნამდე მანამ არ მოუხრია წელი, სანამ მჭადის მოზელვა შესწევდათ მის დაკოჟრილ თითებს, ერთ დილით კი ჩხვლეტა იგრძნო მკერდში, მტკიცე და ცივი და მიხვდა, აღარ ეხუმრებოდნენ, მისი ჯერიც მოსულიყო და იგრძნო რომ ეჩქარებოდათ, ვერ დაელოდებოდნენ როდის მოათავებდა მჭადის ზელვას. ჩხვლეტა ხურდა ფულივით ჩაუგდო მკერდში და ხერხემალში ჩაუტოვა რიყის ქვასავით. თვალებიც სულ ერთიანად გასთეთრებოდა. ჯერ კიდევ ირხეოდნენ მისი ნესტოები ომარი მიხვდა, რომ მარტო დარჩა, ის მასთან აღარ იყო. სასთუმალთან ჩამომჯდარ დეიდას გახედა, თვალებით ანიშნა გასულიყო და, როდესაც მარტო დარჩა დედის ცარიელ სუნთქვასთან ოთახში, უფრო ჩააკვირდა მის სახეს. გაურკვევლად დაჰყურებდა, ან ბრალს სდებდა რაიმეში ან დამახსოვრება უნდოდა ამ სახისა. მერე მისი გათეთრებული ნესტოებისკენ წაიღო ხელი ძლივას შესამჩნევად რომ ირხეოდნენ და ცოტა ხანში დეიდასთან გამოვიდა...

კაცმა ძალზე გვიან იგრძნო საგვარეულო თესლის ფეთქვა შიგანში, ძირს რომ უღრღნიდა, თითქოს გაღვივებულიყოს და სიფრიფანა ფესვი ვერ ისვენებდეს, ხტოდეს და ღვიძლზე უხიცინებდეს წინაპართა ჩახშულ ჩურჩულს. ჯერ კიდევ მაშინ გაღვივდა ეს თესლი და სუროსავით შემოეხვია მის გამრუდებულ ხერხემალს, სანამ კუბოზე პირველი ბელტის ყრუ დახეთქებას გაიგონებდა. ბელტის სიბლაგვე მუცელში იგრძნო, გადაწოლილის მოშვებულ მუცელზე იგრძნო მისი სინესტე და თესლიც გადასკდა. და კაცის სულს, რომელიც მხოლოდ მარტოობისას იცნო, გადამსკდარი თესლის კვალი დააჩნდა. ძნელად, ყრუდ იგრძნო, ცხელ ტაფაზე გასრიალებული ენასავით გაუცივდა მკერდის ძვალი, მაგრამ გვიან, ძალიან გვიან. კაცისთვის მართლა გათავდა ყველაფერი, მარტოსულის ფიქრივით ზედმეტად ჩაჩხერილიყო მაღალაშვილების ნასახლარში და რარიგ ძნელიც არ უნდა ყოფილიყო მძიმედ იგრძნო ეს. აღარაფერი აკავ-

შირებდა ამ სახლთან, წინაპართა ჩურჩულით რომ გაჯერებულიყვნენ მისი კედლები, და მის თვალწინ სახლიც მოკვდა, ისიც ოჯახის ლანდად ქცეულიყო და მოესწრო კიდეც ამ კაცის გაუცხოვება, ახლა მის ზალაში რომ შემოპარულიყო რაიმის მოსაპარად. მართლაც მოიპარა. მამის მომღიმარი სურათი მოიპარა და იყო კიდევ რაღაც, რაიც ხელს გააყოლა. მშობლის სიყვარული წაიღო თან, დაგვიანებული და გამოუსადეგარი...

ამ დღეს, ცოლის კოსმიურ სიუხეშეს რომ მოარიდა თვალი, მას უკვე თვითონ გათეთრებოდა თმა, გაცვენოდა კიდეც და თეთრსავე ულვაშს გაყვითლებაც კი მოესწრო. მაგრამ ეს არ იყო გაყვითლებული ფოტოდან მომღიმარი ულვაში, ის თავდაჭერასა და ირონიას გაეყვითლებინა. ოთახში ბიჭი შემოვიდა, მამას მიესალმა და მჭადი აიღო, მის გვერდით ჩამოჯდა და მჭადი არც ჩაუკბეჩავს, უაზროდ აათამაშა ხელში. კაცმა ჯერ მჭადს გახედა, მერე შვილს და იკითხა დღეს რა ქენიო. ქიმიამ გამიძახა... ხუთი მივიღეო – ისე ვითომც არაფერიაო თქვა ბიჭმა და მჭადი ჩაკბიჩა. უხერხულად იგრძნო მშრალი ლუკმა, ზედმეტად აეკრო ისედაც გამომშრალ სასაზე და თეფშზე ჩამოსდო. კარგიაო თუ რაღაც ჩაიბურდღუნა კაცმა და მაგიდიდან წამოდგა. პერანგის ნაკეცებიდან ნაფხვენები იატაკზე დაიპნა. ოთახიდან გავიდა და საწერ მაგიდასთან გაჩერდა. შუქი ჩართო – ღამის ლამპა და მაგიდას მიუჯდა. მაგიდის გვერდით ძველი როიალი იდგა, კლავიშებჩატეხილი, ხანდახან ვინმე თუ დაარჩხაკუნებდა ძაღლურ ვალსს. როიალზე ელაგა წიგნები, საკმაოდ ბევრი. ეს აუცილებელი წიგნები იყო. კაცმა თვალები დახუჭა, მტევნებში ჩაალაგა სისხლძარღვებ დაბერებული ლოყები და ეზოდან მოღწეულ ხმებს მიაყურადა. მეზობლების ხმები იყო. ისინი ხმაურობდნენ ხოლმე და მათ ხმებს ნარდის რაკარუკი ახშობდა. „ჩარი“ იყო თუ არ იყო, ამის თაობაზედ შეეძლოთ გაუთავებლად ეკამათათ და ეს არ იყო მათი ბრალი, მათ ბრალი არაფერში მიუძღოდათ, ისინი ხომ სამსახურიდან მობრუნებული მეზობლები იყვნენ. ყოველ საღამოთი იკრიბებოდნენ თალარის ქვეშ, დაღამებამდე არაკუნებდნენ ტოლგვერდა ძვლებს ლაქგადასმულ ხეზე და უსაფუძვლო სანაძლეოებს სდებდნენ. თუკი შემოაღამდებოდათ და ძვლის მანიშნებელი წერტილების გასარკვევად თვალების დათხრა ხდებოდა საჭირო, თალარში აბაჟურივით ჩაყოლებული ნათურა ინთებოდა და მისი შუქი საბედის–

წერო ხდებოდა რომელიმე მათგანისათვის. განათებული თალარი ოლიმპოს მთას ემსგავსებოდა, თითქოს ღმერთები ბჟობდნენ და ქვეყნიერების ბედს კამათლით წყვეტდნენ. ძველი ეზო იყო – იტალიური ეზო, დაუსრულებელ წრესავით შემოეგმანა შიდა სივრცე. თალარის შუქი ფეთიანივით აწყდებოდა პარაბოლად შემორკალულ სახლის კედლებს და იქაურობა კიდევ უფრო ცივილიზაციას მოწყვეტილს ემგვანებოდა, დირექტრისად ღრუბლებში ჩაკარგულქიმიანი მთაწმინდა მსახურობდა, რომელიც თეატრის დეკორაციასავით აბსტრაქტულ კედლებს წინ ამომართულიყო. ომარი აქ ცხოვრობდა, საერთო საცხოვრებლად ქცეულიყო იქაურობა და თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო მათ შორის დამალული, თითქოს ყველაფერი სახეზე იყო და სწორედ ამ ხილულ რეალობას ამოფარებოდა ცალკეულთა ილუზიები. დასაყნოსად შესაძლებელ სინამდვილეს სუნი ასდიოდა.

სუნი უხიცინებდა ახლა ნესტოში ომარს და არა კამათლის რაკუნი. სუნი რეალობისა, რომელსაც ვერსად გაექცევი და არც გარბოდა, ხარბად იყნოსავდა თეთრ ოხშივარს, როგორც ცხვირსახოცების ნახარშს. თვალღიად იჯდა, საწერ მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი და სუნიან ორთქლს შორეული ნათესავივით აკვირდებოდა. ნათესავი მაგიდაზე გადაწოლილიყო შიშველ ქალად და არ ეუხერხულებოდა საკუთარი სიშიშვლე, მეტიც, გამომწვევად იღიმებოდა და თავხედურად გაესწორებინა კაცისთვის მზერა, ოდნავ, ძლივას შესამჩნევად უთრთოდა მოტიტვლებული მხრები და გადმოშლილი თმა სიშორეში ჩაკარგულ ცხელი ასფალტივით ულივლივებდა, დუღდა და ჟინს ვერ იოკებდა. კაცმა ნელა წაიღო ქალისკენ ხელი, მაგრამ იმან არ მიიკარა, ცივად წამოდგა. თმა უფრო სიშორეში დაეკარგა. თვალებში უყურებდა, ოღონდ უკვე ცივად და დამცინავად. დოინჯშემოყრილი იდგა მის წინ გაქვავებული ცარცის მკერდით და პატარა ძუძუსთავებს მუცელი ზოლებად დაეჩრდილათ. კაცი რომ დააკვირდა მერეღა მიხვდა, რომ ქალს ულვაში ჰქონდა, ოღონდ არა ძუძუსთავებივით თეთრი – სიყვითლე შეპარული და ისიც ნიკაპს უჩრდილავდა. ქალმა ნაბიჯი უკან გადადგა. თვალი არ მოუშორებია. საკმარისი აღმოჩნდა რომ ლამპის შუქს გარიდებოდა და იქ გაჩერდა. ჩრდილების თამაში ახლა უფრო საგრძნობი იყო და როცა კაცმა თვალი მიაჩვია, ისიც

გამოარჩია, იმას თმაც გასცვენოდა და წელშიაც მოხრილიყო, მაგრამ მეტი ვეღარაფერი მოასწრო. ქალი წინ გადმოიზნიქა, ხელებით მაგიდას დაეყრდნო. ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან და განათებული მისი სახე აღმოჩნდა. ამ გადიდებულმა სახემ დაფარა მთელი სხეული. კაცს ცხვირზე მიადო ცხვირი, თითქოს სარკეზე მიაჭყლიტა და ჩურჩულით უთხრა: ქალი მიუკარებელია მანამ, სანამ არ მიეკარებიო. თქვა და წელში გასწორდა. უკან უკან სვლით იკარგებოდა სიბნელეში და უკვე სიბნელეს მიფარებოდა, რომ მისმა კისკისმა მოაღწია კაცის სმენამდე. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. სანამ მანანა უპასუხებდა, ომარიმ უთხრა ვინც არ უნდა იყოს არ ვარო და ქალმაც იდეალურად მოატყუა იდუმალი აბონენტი.

კარლსსონმა რომ დააკაკუნა, ომარი არც მაშინ განძრეულა, ცოლმა გააღო კარი და სიბნელეში გაიხედა. მიახლოებით სიმაღლეში ვერაფერი გაარკვია და გაიფიქრა მომეჩვენაო, მაგრამ სანამ მოხურავდა კარლსსონმა ჩაახველა, ქალი შეხტა და გაფართოებული თვალებით უკან გაიწია, კარებიდან გამავალ შუქში კარლსსონის პატარა ფიგურა კიდევ უფრო დაბალი მოჩანდა. ქალს რომ უხერხულობა დაემალა, თავზე გადაისვა ხელი და თქვა „უი, მაპატიეთ ძაღლი მეგონეთ". კარლსსონს არ სწყენია, გაიღიმა კიდეც და არაფერიაო უთხრა. „ომარი თუ გახლავთ" მორიდებულად იკითხა და გაიფიქრა რა დასანანია, რომ გაზეთი ეკლესიის სკამზე დარჩა. თორემ ახლა კარგი იქნებოდა მისი დაგორგოლავებაო. „ერთი წუთით... ვნახავ, დაძინებას აპირებდა" და ამ სიტყვების ამარა მიატოვა კარლსსონი გამოღებულ კარში. ქალის მაგივრად ომარი მობრუნდა. ის აღარ იხედებოდა კარლსსონის ზევით სივრცეში, მან გამოზომილი სიმაღლით მიაგნო მის თვალებს და არც უკითხავს რა გნებავთო „მობრძანდით" თქვა და სტუმარი შინ შეიპატიჟა. მას მოესწრო ჩუსტების ჩაცმა და ნაჩქარევად მოხურულ ხალათში გარკვევით იკვეთებოდა ხნიერი გავა. თავის კაბინეტისაკენ გაუძღვა (კაბინეტი ხმამაღლა არის ნათქვამი, რადგანაც ის ოთახი, რომელშიაც სამუშაო მაგიდა იდგა, ვერ ამართლებდა ამ სახელს მითუმეტეს, რომ კარები როგორც ასეთი არ ჰქონია და შიგ მოხვედრა ისევე ადვილად შეიძლებოდა, როგორც სხვა დანარჩენში) სავარძელში ჩალაგებული წიგნები მაგიდაზე გადააწყო, დაცარიელებული ადგილი სტუმარს მიუჩინა და მისი დაბინავების შემდეგ მოკალათდა თვითონაც

მაგიდის უკან. მისი ხელები ლამპის შუქში მოექცნენ. „რითი შემიძლია გემსახუროთ", თავაზიანად იკითხა და, როგორც ასეთ დროს სჩვეოდა, თავი წინ წააგდო მშიერი გავიალივით. „თუ არ მოგაცდენდით და უარს არ მეტყოდით, რამოდენიმე შეკითხვა მქონდა ისტერიიდან" ომარის უარი არ უთქვამს, რომლიდანო იკითხა. „მსოფლიო" თქვა კარლსსონმა და ლამპის შუქით განათებულ ხელებს გახედა, რომლებიც ომარის ტოლმის გაშლილი კაპუსტოს ფურცლებივით დაეფინა ერთმანეთზე. „კერძოდ" იკითხეს ამ ხელებმა და კარლსსონმაც თქვა „კერძოდ მეგონდოლეთა შეჯიბრი მაინტერესებდა შემოდგომის მიწურულს რომ გაიმართა" ომარი სკამის საზურგეს გადაეყრდნო, ოღონდ ხელები შუქიდან არ განურიდებია „ეს შეჯიბრი ყველაზე უკეთ სიმიას აქვს აღწერილი თავის მოგონებებში, თუმცა ვგონებ რომ არც თვითონ ესწრებოდა და გადმოცემით აღწერს მას ისევე, როგორც შარლ პერო, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით სიმიას სხვა თხრობითი ფორმა აქვს გამოყენებული, რაითაც განსხვავდებიან ერთურთისაგან ეს ორი ისტორიული ძეგლი, მართალია, სიმია არ იშურებს მისებრ სისადავესა და უბრალოებას, ესოდენ წრფელად, შეუფარავად და შეულამაზებლად გადმოგვცემს ამ ღირსშესანიშნავ დღეს, მაგრამ ისიც ვგონებ არასრული უნდა იყოს, რადგანაც მისებრ მხატვრულ მიდგომაში იკარგება მისი ისტორიული ღირებულება, ის თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ მხატვრულ ნაწარმოებთა ძველ პლიადას" კარლსსონი ყურადღებით უსმენდა მთელი ამ ხნის მანძილზე. მერე თქვა „სიმართლეს ბრძანებთ, სიმიამ გადაუხვია ძირითად თემას და მხატვრულად განაზოგადა იგი. მითი ძაღლების შესახებ მისივე შეთხზულია, ღრმად აბსტრაქტული პასაჟები აქვს გამოყენებული და სწორედ ამის გამო იქცა იგი ესოდენ ფართო განხილვის საგნად ლიტერატურათმცოდნეთათვის და არავითარ შემთხვევაში ისტორიოგრაფთათვის, თორემ შარლ პეროს ეს შეჯიბრი ორიოდ სიტყვით აქვს მოხსენიებული და იქვე დასძენს კიდეც, რომ გაგონილს ჰყვება, თუმცა უფრო ტრაგიკულად აღწერს ვიდრე სიმია, რადგანაც მისი წერის მანერა მკაცრია. მეც იმავ აზრს ვიზიარებ, რომ არც ეს არის საკმარისი. მითუმეტეს, რომ ამ დღემ მოგვიანებით ისეთ მსხვილ მოღვაწეთა გამოხმაურება ჰპოვა, როგორებიც არიან ნიკოლა ბუალო-დეპრეო და ჟაკ-ბენინ ბოსიუე, ხოლო უკვე ჩვენს

თანამედროვეობაში კი არნოლდ დელაპერიერისა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაზე უკეთ ისევ და ისევ დელაპერიერთან სჩანს ამ ფაქტთან სრული თუ არა სხვაზე მეტად მიახლოებული სინამდვილე; ის აღმოჩნდა ერთა-დერთი, რომელმაც გაბედა, ეთქვა ეს ფრთები ვერტმფრენის წინამორბე-დიაო". თხრობისას ომარი ყურადღებით აკვირდებოდა სტუმარს და ეტყობოდა საუბარში თხემით ტერფამდე ჩართულიყო, მითუმეტეს რომ ისტორიული ფაქტი, რომელსაც ამჟამად განიხილავდნენ მისი სუსტი წერტილი იყო, ხოლო დელაპერიერის ამგვარი კუთხით დანახვამ მოსაუბრის მხრიდან მისი მოწონება დაიმსახურა, რადგა-ნაც არნოლდ დელაპერიერს, როგორც თაღლითსა და ავანტურ-ისტს მოიხსენიებდნენ ყველგან. სტუმარი გაჩუმდა, არც ომარი აპირებდა ხმის ამოღებას, ბოლოს კი თქვა „ეს დღე ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი დღეთაგანია მსოფლიო ისტორიაში, რომელიც გამოირჩევა როგორც გრანდიოზულობით ისევე თავის შინაარსით. ამ დღეს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „დღე წყურვილისა", თუმცა ის ცნობილია, როგორც „ფანტასტიკური დღე". მეგონდო-ლეთა შეჯიბრი, რომელიც გაიმართა შემოდგომის მიწურულს, დიდი გამოხმაურება ჰპოვა უკვე მოგვიანებით მრავალ გამოჩენილ მოღ-ვაწეთა ნაშრომებში, მაგრამ ყველაზე უფრო მასშტაბურად და ღრმად შეიძლება დელაპერიერის „ფიქრები" მივიჩნიოთ, რადგანაც ის დაუფარავად ამბობს: „...ის ეშმაკის ფრთები, რომელსაც სიმია აღნიშნავს თავისუფლად შეიძლება თანამედროვე ვერტმფრენის წინამორბედად მივიჩნიოთ" მას ტყუილად არ მოჰყავს თვით სიმიას სიტყვები, მაგალითად „...ბზუილი, რომელსაც ის გამოსცემდა ბოროტ სულს ეკუთვნოდა, ამ ხმას წისქვილის ქვის ტრიალისას თუ მივამგ-ვანებთ ოღონდ გაათმაგებულად და თან თუ დავურთავთ ბზუილს ბუზისას წყვეტილის გარეშე..." ეს სიტყვები რა საკვირველია არასაკ-მარისია იმისათვის, რომ დელაპერიერს „ეშმაკის ფრთები" ვერტმ-ფრენის წინამორბედად მიეჩნია, ამიტომაც უფრო ღრმად იჭრება და ისევ სიმიას იშველიებს „...თავს დაგვტრიალებდა და სულის გამაწვრილებლად ბზუოდა, ხოლო ვერტიკალური აფრენისას ამ ბზუილში შფეთქავი გულის ხმა მოისმოდა" მომდევნო ადგილას კი გვხვდება „...მის ზურგს უკან ნისლი იდღვიბებოდა, თითქოს ასხ-ივებდა რაიმეს და ამ უხილავ სხივს დამწვრის სუნი ასდიოდა..."

დელაპერიერის თეორიამ მარცხი განიცადა, მას ამისათვის თაღლითი უწოდეს, მაგრამ ამით მის თეორიას არაფერი დაკლებია პირიქით, უფრო მეტად იქცა სადავო საგნად. ამ დღესთან დაკავშირებით შარლ პერო თავის ცნობილ წიგნში „ფანტასტიკური დღეობა" წერს „...შეჯიბრი დასრულდა მისი გამარჯვებით და გამარჯვების აღსანიშნავად ღრუბლებში აიჭრა" შორს წაგვიყვანს ყველაფერ იმის ჩამოთვლა, რაც ამ დღესთან დაკავშირებით თქმულა, ტრისტან ცარა ღრიალით შემოიფარგლა, ხოლო მსოფლიო პოეზიის Magister bibendi უფრო შორს მიდის და ამბობს: დაარტყამს ქარი და მოგზაური ბაწარზე წავა, როგორც ობობა. მაგრამ დელაპერიერი ამსხვრევს ამ ყველა ზემოთ თქმულს და წერს: ეს იყო დღე, რომელიც თვით ღმერთის მეოხებით განხორციელდაო, და რაოდენ გრძელიც არ უნდა იყოს რაინერ მარიას სისხლი ვარდის სიწითლეზე, იმდღევანდელი სიწითლე მაინც უპირველესად და დამთრგუნველად რჩება ყველაზე უფრო სისხლიან ბატალიებთან შედარებით. სიმია ამბობს: ამ შეჯიბრისადმი მზადება ორი წლით ადრე დაიწყო, თითქმის ყოველი კუთხიდან მოედინებოდნენ მასში მონაწილეობის მისაღებად მსურველნი და მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულთ ხვდათ წილად შერკინებოდნენ ერთურთს. მონაწილეთათვის გამოყოფილ ფარვატერში დილიდან საღამომდე დგაფუნობდა წყალი, მისი მოსვენება არც ღამით ყოფილა, გონდოლებზე ამაგრებდნენ ფარნებს და ისე ვარჯიშობდნენ, არც ღამის სიცივეს ერიდებოდნენ და არც მზეში გაოფლილ ზურგზე დასხმულ თრიფსებს. მოვარჯიშენი სილით სავსე ტომრებს ალაგებდნენ გონდოლებში და ისე ვარჯიშობდნენ, რათა მეტად დახელოვნებულიყვნენ ამ საქმიანობაში და არც შემცდარან, შეჯიბრის დღეს გამოცხადდა, რომ ყოველი მონაწილე ვალდებული იყო ეკიპაჟში ძაღლი ჩაესვა. შეჯიბრის პრინციპი შემდეგნაირი სახისა იყო: ნაპირიდან მოშორებით მდგომ ვაპორეტოსათვის წრე უნდა შემოერტყათ და უკან მობრუნებულიყვნენ. ვინც პირველი მობრუნდებოდა გამარჯვებულიც ის იქნებოდა. შეჯიბრის დღეს ორასი გონდოლა იდგა ნაპირზე, ყოველ გონდოლასთან თითო ძაღლი, რომელთა გადმოგდებული ენები დილის ბურუსში ბუნდოვნად მოჩანდნენ. და აი გასროლის ხმაც მოისმა და ორასი ეკიპაჟი ერთდროულად მოსწყდნენ ადგილს და რამ გამოიწვია ის, რაიც შემდგომში მოხდა წარმოუდგენელია,

ბუნდოვნად ჩანდა, რომ ერთ ერთი ეკიპაჟი ამოტრიალდა, მერე მეორე და თანდათანობით ყველა დანარჩენიც მათ მიჰყვა. ნაპირზე სამარისებური სიჩუმე იდგა, რომელსაც წყლის დგაფანი და ორასი კაცის გახშირებული სუნთქვა კვეთდა, რომელიც ათობით ყმუილში გადაიზარდა, ალბათ ძაღლები ვერ ასწრებდნენ ნაპირამდე გამოღწევას და იძირებოდნენ. ამ დროს იყო, ყმუილი იმ ბზუილმა ჩაახშო, რომელსაც ის გამოსცემდა, ამ ხმას წისქვილის ბორბლის ტრიალს თუ მივამგვანებთ, ოღონდ გაათმაგებულად და თან თუ დავურთავთ ბზუილს ბუზისას წყვეტილის გარეშე. სიმიას ტყუილად არა აქვს ძაღლის კულტზე გამახვილებული ყურადღება, თქვენ როგორ ფიქრრრ... ფრრრ...“ ომარი გაჩუმდა, სტუმარი არ უსმენდა, სადღაც მის ზურგს უკან მიშტერებოდა ერთ წერტილს და ომარი რომ უკეთ დააკვირდა მიხვდა, სტუმარს თვალების მაგიერ ღილები მიეკერებინა, სტუმარი რატომღაც ერთიანად დამტვერილიყო და გაუნძრევლად იდო, სულელური ღიმილიც კი გაყინვოდა. მაშინ ომარი წამოდგა და სტუმარს მიეპარა, უჩუმრად მოკიდა თმაზე ხელი და „აჰა“ თქვა. სტუმარი არ განძრეულა. არც მაშინ, როცა ომარიმ ასანს გაჰკრა...

კაცი აწყლიანებული თვალებით და მომღიმარი სახით უყურებდა, როგორ იწვოდა სტუმარი და სიამოვნებისაგან ხითხითებდა...“

ერთ ამოსუნთქვად ამოთქვა ამან და არც გაჩერებულა, გააგრძელა: – მეორე ვარიანტი უფრო მეტად გასართობი ჟანრისაა, უფრო სალაღობო ხასიათისაა – თქვა და მოხუცს ერთ ლუკმად მიაფრქვია თვალებზე იმის შიშით, არ გამაწყვეტინოსო. – აი, მისი მონახაზიც:

„ქალაქი ტრუსკავეცი საკურორტო ქალაქი გახლავთ. სიმართლე, რომ ითქვას, მოზრდილი სოფლის ან დაბის ოდენა თუა, ყოველ შემთხვევაში უკრაინის ქარტაზე იგი მინიშნებულია, როგორც ქალაქი და ამაში ალბათ არის კიდეც რაღაც სიმართლის მარცვალი. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაც ასევე საკურორტო ზონად არის მიჩნეული, თუმცა ამ მიჩნევას მხოლოდ ტრუსკავეცი ამართლებს და ისიც მხოლოდ მისი ნაწილი.

ეს ერთი ბეწო ქალაქი თავის მხრივ შეიძლება ორ ძირითად ნაწილად დაიყოს. ცალ ფრთას მთლიანად სანატორიუმებისა და პანსიონატების კომპლექსი მოიცავს. მეორე მხარე კი ადგილობრივი

მოსახლეობისთვისაა განკუთვნილი. ორივე ეს ფრთა იმდენად განსხვავდებიან ერთურთისაგან, რომ თავის მხრივ ცალ-ცალკე ხასიათის ქალაქებს ჰქმნიან; თავის ვიწრო ქუჩებითა და მოკლე ჩიხებით.

ამ განსხვავებას აგრეთვე ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ სანატორიუმების ფრთა მთლიანად ფეხით მოსიარულეებს ეთმობათ. ავტომანქანით აქ სიარული სავსებით აკრძალულია, ხოლო ფეხით გასეირნება რამდენიც გენებოთ. ქალაქის დამპროექტებლებმაც, ალბათ გაითვალისწინეს რა დამსვენებელთა საერთო მიზანი, მრავლად მოუქცევიათ სანატორიუმების არც თუ ისე მაღალ შენობებს შორის მცირე ზომის პარკები თუ სკვერები. ეს პატარა საზოგადო ბაღებიც ერთმანეთზე ისე გადაბმულან, რომ კაცს შეიძლება ერთი მთლიანი სასეირნო მოედანი ეგონოს და რომ ასე არ ეგონოს, ამისათვის ხრეშმოყრილ შუკებზე ხშირად მოუთავსებიათ ამა თუ იმ სახელობის მატარებელი ფირნიშები.

აქვე იჩენს თავს აგრეთვე ქალაქის მესვეურთა ესთეტიკური სულისკვეთებაც. მათი ძალისხმევით არის ალბათ, ასევე რომ სჭარბობს მცირე სიმაღლის ძეგლები თუ მემორიალური დაფები, რომელთა სიმრავლეც არათუ თვალში საცემია, არამედ ვინმემ რომც მოინდომოს ვერსად გაექცევა. ამ გადაწყვეტილების მიღებაში იგრძნობა ერთგვარი მისტერია; ხოლო მისტერია თუ არა ერთგვარი უცნაურობა მაინც. აქ ყოველი კვარცხლბეკი და მემორიალური დაფა ერთადერთი პიროვნებისათვის მიუნდვიათ და ეს გახლავთ ტარას შევჩენკოს პიროვნება. დამსვენებელს ყოველ ფეხის ნაბიჯზე საშუალება ეძლევა თვალი შეავლოს ამ ულვაშა კაცს.

ხშირ შემთხვევაში ტარასი ზეზეულად შემოგხვდებათ, წიგნითა და ბუმბულით შეიარაღებული. ამასთანავე ვერც იმ გარემოებას აუვლით გვერდს, რომ ტარასი, როგორც წიგნით, ასევე მის გარეშედაც შესაძლებელია წარსდგეს თქვენი მზერის წინაშე. რა კავშირი ჰქონია ამ კაცს ოდესმე თვით ქალაქთან უცნობია, ყოველ შემთხვევაში საქმეში ჩაუხედავ ვინმეს შესაძლებლობა ეძლევა თვალი გააყოლოს ამ პიროვნების, როგორც სახელოვან, ასევე ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობის პერიოდებს. ეს უადვილესი რამ არის. ამისათვის სანატორიუმ „კრისტალიდან" (დამსვენებელთა ფრთის ბოლო შენობა) დაშვება არის საჭირო.

თავდაღმართის ცენტრალური ქუჩა მოასფალტებულია. ასფალტს

განივად ტანდაბალი იფნები ამშვენებენ, რომელთაც ტოტები მარ-თალია შეკვეცილი აქვთ, მაგრამ იღლიებში ემჩნევათ, რომ იდაყვები ახალგაზრდული შემართებით ჰქონიათ მოქნეული. ტარასის სახელი თავს იჩენს ამ ქუჩაზე მოხვედრისთანავე. ეს ქუჩა სწორედ შევჩენ-კოს სახელობისა გახლავთ. სანამ ტარასს, ასე ვთქვათ, ორიგინალში იხილავდეთ შესაძლებლობა გეძლევათ დატკბეთ დამსვენებელთა სპორტული სამოსის ფერებით და არა მარტო სამოსისა, აგრეთვე აღმართის დაპყრობისას აფორეჯებული და გაოფლილი სახეებითაც. ამავდროულად შესაძლებელია საყოველთაო ქშინვის მოსმენაც, რომელსაც აღმართზე ამომავალნი გამოსცემენ. რაც უფრო ქვემოთ ჩადიხართ, მაშასადამე ქალაქის ცენტრისაკენ ქშინვა მით უფრო ნელდება. თუმცა ცენტრამდე მანძილი ფეხით დასაფარავად არც თუ ისე პატარაა, ასე რომ ქშინვა თავისუფლად მიგაცილებთ პირველ ტარასამდე და თქვენ წარმოიდგინეთ გაგიკვირდებათ თუკი ის ონა-ვარი ბალღი, რომელიც დაბალ კვარცხლბეკზე ჩაკუნცხულა - ტარასია. არადა სწორედ რომ ასეა და რაიმე გაუგებრობას ადგილი რომ არ ჰქონდეს ქვაში მინიშნების სახით ამოკვეთილიც კი გასდევს „ტარა-სის ბავშვობა" ამასთანავე უკეთ უნდა დააკვირდეთ, რათა გამო-არჩიოთ რომ ამ ქანდაკის ავტორი ითვალისწინებს რა ტარასის მომავალს, ავტორისეული ფანტასმაგორული გადახვევით ბალღს ამკობს იმავე ულვაშით, რომლითაც ტარასი საერთოდ ცნობილია.

ქანდაკის შემდგომ ქშინვა ნამყოს ბარდება და ყურადღების არეში ექცევიან უკვე მშვიდი სახეები, რაც იმის მანიშნებელია, რომ დაღმართი გასრულდა და ქალაქი ტაფობად გაიღვარა. ცენტრალური ქუჩა ქალაქს შუაზე ჰკვეთს, მაგრამ ეს არ არის საინტერესო. ტარასის ბედით დაინტერესებულმა პირმა უნდა აირჩიოს ის პარკე-ბი თუ სკვერები, რომლებიც ამავე ქუჩიდან იტოტებიან. კერძოდ კი, თუ ასეთი პირი დაინტერესებულია ტარასის თანმიმდევრობითი ასაკით, მაშინ მან უნდა გაუხვიოს ხელმარჯვნივ, განვლოს ხრეშ-მოყრილი შუკა და ჩაუყვეს ქვის საფეხურებს, რომლებიც ცენ-ტრალურ პარკში ჩაედინებიან. ეს პარკიც ასევე შევჩენკოს სახელო-ბისა გახლავთ.

აქ დღენიადაგ ხალხმრავლობაა, რასაც უნდა ვუმადლოდეთ ადგ-ილობრივ მინერალურ წყალს რომელიც მოუთოკავთ და მილებში მოუქცევიათ. სანამდის მომდევნო ტარასამდე მიაღწევდეთ გზად

შემოგხვდებათ მუდმივი რიგი. ეს რიგი ქალაქის ერთ ერთი ღირსშ-ესანიშნაობათაგანია; რომლის ხილვაც წლის ნებისმიერ დროს შესაძლებელია. ამ წყალს, რა ძნელი მისახვედრია და ჰქვია „ტრუსკავეცკა", რომლის მინერალებსაც ადგილობრივნი ათას სამკურნალო თვისებას მიაწერენ.

სპორტულსამოსიანებს ხელში მახვილგონივრული სასმისები მოუჩანთ. ამ სასმისს ყურში საწრუპავი ღრუ აქვს დატანიებული, რაც თავის მხრივ აადვილებს სითხის მიღების პროცედურას. ხანგრძლივი დგომისა და დამსახურებული რიგის მოღწევისთანავე სპორტულსამოსიანებს ბედნიერება ეძლევათ კუჭი გაითბონ თბილი წყლით, რომელსაც მიართმევთ თეთრ ხალათსა და თეთრსავე ქოლფაკში გამოწყობილი და როგორც წესი ხნიერი ქალბატონი.

სასმისში მოხვედრისთანავე ირკვევა, რომ წყალი მღვრიე თუ არა, არც მთლად გამჭირვალე ყოფილა და ამავდროულად ისიც, რომ გარკვევით უდის ჟანგის სუნი. ამ წყალს სპორტულსამოსიანები რატომღაც აღტაცებული სახეებით ეტანებიან, რაც რაღა თქმა უნდა გასაკვირია, რადგანაც გარდა სუნისა გემოც გარკვევით ჟანგისა დასდევს, რაც თავის მხრივ აძნელებს ესოდენი ნეტარებით მასზე დაწაფებას. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იშვიათად ისეთებიც გამოერევიან ხოლმე, რომლებიც პირველივე ყლუპისთანავე სასმისებს უჩუმრად ცლიან ხის ძირებთან. ესენი ახალბედები არიან, თანაც არანამდვილი პატრიოტები მინერალებისა. ასეთები იშვიათობაა, უმეტეს წილად კი ასეთი გაურჩებულებიც საბოლოოდ ნებდებიან და უკვე დანებებულის სახეებით შეექცევიან „ტრუსკავეცკას" ასე რომ სუბიექტი, რომელიც ამ რიგში არა დგას, თითქმის არ არსებობს.

ახალბედების გამოცნობა ამ რიგის გარეშედაც მოსახერხებელია. აქა იქედან ხშირად მოგესმებათ უნებლიედ დაცდენილი ბოყინი. ეს ახალბედები არიან; ხოლო უკვე დახელოვნებულები კუჭიდან პირში ამოქარვებულ გაზის ნაკადს ოსტატურად იკავებენ და შემდეგ ნესტოებიდან უხმაუროდ დევნიან. ასეთ დროს მათ თითქმის შეუმჩნევლად ეჭიმებათ ნესტოები, მაგრამ ამ საქმეში უკვე თვალგაწაფული კაცი ადვილად გამოარჩევს, რომ ობიექტი სწორედ ამ საქმით არის დაკავებული. ასე რომ თუკი დაღმართზე დაშვებულ მოსეირნეს ქოშინი აცილებს, ტაფობზე ქოშინს ბოყინი ცვლის და პრინციპული

სხვაობა მათ შორის არც ისე საგრძნობია. ამ უცნაურ ხმებს სმენა პირველივე დღიდან ეჩვევა, თუმცა დღის გასრულებამდე ჯერ კიდევ შორსაა, სამაგიეროდ ახლოსაა მომდევნო ტარასამდე, სანამდეც რიგიდან სულ ორიოდ ნაბიჯი გაშორებთ.

პარკის ტარასი მეოცნებე ყმაწვილკაცია. მას რომანტიულად მიუპყრია მზერა ზეცისათვის. ამ ქმნილების ავტორს ყურადღების გამახვილება, ალბათ მეოცნების თითებისათვის ჩაუფიქრებია და იმოდენი ნიჭიერება ჩაუქსოვია, რომ სპილენძის მოდუნებული სახსრები მართლაც ცოცხალი ქსოვილივით აუმეტყველებია. თუ დაიღალეთ, შეგიძლიათ ქანდაკთან არსებულ ძელსკამზე ჩამოჯდეთ დასასვენებლად, მაგრამ როგორც წესი, აქ არ იღლებიან და ქალაქში უფრო ღრმად იჭრებიან. არც მაბეზარა ფოტოგრაფთან ღირს შეჩერება, რომელიც პარკის გასასვლელში ბობოქრობს. საქმეში ჩახედული ხალხი ასეც იქცევა, არაფრით ნებდებიან მის უშრეტ ტემპერამენტს, დაუყოვნებლივ გვერდს უვლიან და ფოტოგრაფიც დგას მათ მიერ აღძრულ ნიავში.

პარკიდან გასასვლელში გზასაყარი იწყება. ხრეშმოყრილი სამი არსებული შუკა სხვადასხვა მიმართულებით იტოტება. ისეთი პირი, რომელიც ტარასის სახოვანებათა ერთიანი და ნანაგოჯიანი შეცნობით არის დაინტერესებული, სამი არსებულიდან ირჩევს შუა ტოტს და ამ ვიწრო შუკას მანამ მიუყვება, სანამ დეკორატიული ბუჩქებით გამართულ რიგში არ მოექცევა. თუმცა ბუჩქი კი არა ნაღერალა უფროა, მაგრამ ეს ფაქტი იმდენად საინტერესო როდია, როგორც რიგის დამაგვირგვინებელი ტარასი.

აქაური ტარასი მოკლეფეხებიან სავარძელში მჯდომიარეა, თანაც აუცილებლად ჩაფიქრებული. აუცილებელ ჩაფიქრებას არა მხატვრული გადახვევის მიზნით გაესვა ხაზი. ეს ფაქტი სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ავტორი წვრილმანდება, თუ როგორ უძალიანდებოდა ტარასი ფიქრების შემოტევას და ამის დასტურად მეტყველებენ მისი უკვე ცნობილი თითები, რომლებიც ამჟამინდელ ქანდაკს გაღუნვამდე მიუბჯენია შუბლის ძვალზე; აგრეთვე ალბათ ისევ და ისევ ფიქრების დაუცხრომლობის ბრალია უკვე ცვეთა შეპარული თმაც.

ამ ნაწილში სპორტულსამოსიანთა გუნდები კვლავაც მრავლად შემოგხვდებიან, მაგრამ მათდამი ინტერესი ნაკლებად თუ გამოადგება ვინმეს, სანამ ტარასების დამაგვირგვინებელ პერიოდსაც არ

გაეცნობა.

ანუ პერიოდს, როდესაც ტარასი ყოველგვარი მიკიბ მოკიბვის გარეშე სრულად განწმენდილა თმისაგან. მას წარბები შესაძლებლობის ფარგლებში მოზრდილი მოუჩანს და უკვე არა ახალგაზრდული შემართებით, არამედ მძიმე გამოხედვით იცილებს მასზე ნატყორცნ მზერებს და მნახველს მიუთითებს წიგნსა და ბუმბულზე, რომელიც ცალ ხელში მოუქცევია. ამასვე იტყობინება პატარა, ფერადი ილუსტრაციებით დართული გზის მაჩვენებელიც, რომელიც ბროშურის სახით იყიდება ნებისმიერ ჯიხურში. ეს ბროშურა ამასთანავე იმასაც იტყობინება, რომ ცოტაღა დარჩენილა ტარასის საბოლოო ქმნილებამდე; ორიოდ ნაბიჯი და...

მის წინაშეც წარვსდგით! ტარასისაგან რაოდენ დასანანია და მხოლოდ თავიღა დარჩენილა. ოღონდ ბრინჯაოსი, რომელიც მილის ფორმის თეთრ მარმარილოზე მოუთავსებიათ. ავტორი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს – ამ პიროვნებაში მთავარი თავი ყოფილა, ხოლო სხეულის დანარჩენი ნაწილები არ ითვლება. მართლაც, ასეა თუ არა, ამას ვერავინ გაარკვევს, ამიტომაც ამჯობინებენ ამ ფაქტზე დაფიქრებას თავი ანებონ და სპორტულსამოსიანთა პირველსავე გუნდს გაჰყვნენ. აქ მოარული სპორტულსამოსიანები აუცილებლად ბაზრობისაკენ მიიჩქარიან.

ბაზრობაცა და ბაზარიც თითქმის ერთ სივრცეს იკავებენ იმ განსხვავებით, რომ თუ ბაზარი ერთსართულიან, ფართო და გადახურულ შენობაში მოუთავსებიათ, ბაზრობა პირიქით, ღია ცის ქვეშ აჭრელებულა. ამ ადგილს ისეთივე ხალხმრავლობა ახასიათებს, როგორიც მინერალების მოყვარულთა რიგს. მაშასადამე აქაც აუცილებელი პირობაა შორი ახლოდ უნებლიედ დაცდენილი ბოყინების გაგონება და ესე იგი აქაც სველი ჟანგის სუნი დგას.

მართალია, დამსვენებელთა ფრთასა და ჩვეულებრივი ქალაქის ფრთებს შორის საკმაო სხვაობაა, მაგრამ ერთადერთი და ალბათ მთავარი რამ მაინც აერთიანებთ ორთავეს. ეს არის ორივე ფრთის ინტერნაციონალურობა. დამსვენებელთა მსგავსად ადგილობრივი მოსახლეობაც საკმაოდ მრავალტომობრივია. ტრუსკავეცის მიწა თითქმის ფილოქსერაგამძლე სადედესავითაა. ასე რომ, ამ მიწაზე ნებისმიერი კავკასიური დიალექტის მოსმენა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც თავად უკრაინულისა და ასე განსაჯეთ საერთოდ

ნებისმიერისა. მითი იმის თაობაზედ, თითქოს უკრაინის მიწა ეჭვის თვალით ხვდებოდეს კავკასიურ სიშავეს აქ მოხვედრისთანავე სწყვეტს კავშირს სინამდვილესთან და მითი რჩება მითად. ამის დასტურად ადგილობრივი წარმოების ლუდის იარლიყებიდან მეგობრულად იღიმის ულვაშსევდიანი და შავქოჩრიანი კაზაკი; ასე რომ, ბაზრობაზე საკმაოდ შემოგხვდებიან სომხის კაცები, რომლებიც ღმერთმა უწყის რას აღარ ჰყიდიან. ხოლო თუ უკეთ დააკვირდებით, იმასაც გამოარჩევთ, რომ ისინი თავებს აქნევენ, როდესაც მათ დახლთან ქერათმიანი მანდილოსანი ჩაივლის და მათი ეს თავის ქნევა შესაძლებელია, როგორც გნებავთ ისე განმარტოთ. თათრები უფრო თავშეკავებული ხალხია. ისინი ძირითადად კრიალოსანს თითებით უყვებიან ახალგაზრდობის ამბებს, ანდა მუხლისთავებზე ჩამოცმულ „უშანკებს" ისე ეფერებიან, თითქოს კნუტი ეჯდეთ კალთაში, ხშირ შემთხვევაში კი თვალმოჭუტულები და ოდნავ მომღიმარნი შემოგხვდებიან, თითქოს ისინი ყველაზე ადრე ჩაწვდენოდნენ ცხოვრების უსაფუძვლობას. იმ დროს, როცა თათრის კაცები თითებს „უშანკებში" ძირავენ, მათი ქალები ბაზარში მოღვაწეობენ და ხურმას ჰყიდიან.

თავად ბაზარში, როგორც ხურმის შეძენის შესაძლებლობა არსებობს, აგრეთვე იმისაც, რომ გემო გაესინჯოს მეგრულ სულგუნს. ამისათვის საჭიროა გვერდი აეაროს ბოშა ქალებს, რომლებიც მხარზე მიბმული ჩვილებითა და საეჭვო სისუფთავის კარტით შეიარაღებულან და რომლებიც აუცილებლად ითავაზებიან მკითხაობას.

მაგალითად, მკითხაობის შესაძლებლობაზე ფერადი ბროშურა არავითარ ინფორმაციას არ იძლევა, აგრეთვე არც იმას იუწყება, რომ კაფესა თუ ბარში ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია კობზონის მიერ შესრულებულ „თბილისოს" მოსმენა. სამაგიეროდ ბროშურა იტყობინება, რომ ბაზრის იქეთ იწყება ბენდერელთა სახელობის ქუჩა; მაშასადამე პირველივე მანიშნებელი იმისა, რომ ქალაქის ჩვეულებრივ ნაწილში ტარასის გამოჩენა ძაბუნი მოვლენაა...

თუკი გამოჩნდა ვინმე ისეთი, რომელიც ბროშურის გარეშე გადაწყვეტს ტრუსკავეცის ორიოდ სიტყვით დახასიათებას, მაშინ ასეთი იტყვის, რომ ქალაქი თითქმის კვადრატული ფორმისაა და იქვე დასძენს კიდეც, რომ გარდა იმ ორი (უკვე ცნობილი) გვერდისა არის კიდევ ორიც, რომლებიც ხალხმრავლობით, მართალია პირველებს

ჩამორჩებიან, მაგრამ მათი მოუხსენიებლობა ნამდვილად არ იქნებოდა. ესენია, რკინიგზის სადგური - რომელიც ბაზრობის უკან არც ისე შორს განლაგებულა და მის საპირისპირო მხრიდან ტბა - სახელწოდებით „კარპატის ცრემლები"

სადგურს ძირითადად დილისპირს ეტყობა გამოცოცხლება ანუ მაშინ, როდესაც ლვოვის მატარებლის ჩამოდგომას მოელიან. ეს ხდება ყოველ დილით, დაახლოებით რვიდან ცხრის ნახევრამდე. ზუსტი დრო შეიძლება კიდეც შეტანილია რკინიგზელთა განრიგში და რომც იყოს უნდა აღინიშნოს, რომ ამ შენატან დროს არავინ მორჩილდება. ასე რომ, სადგური არასრული რვა საათიდან ნელინელ იწყებს გამოცოცხლებას; შემდეგ ერთიანად აზვირთდება და ცხრა საათისათვის ბაქანი კვლავ ცარიელი და მდუმარეა.

„კარპატის ცრემლებისა" და სადგურის მსგავსება შეიძლება მხოლოდ ამ მდუმარებაში გამოიხატოს. მათ შორის სხვა არანაირი მსგავსება არ მდგომარეობს. ტბასთან ყველასაგან მოწყვეტით დგას მრავალსართულიანი მასიური შენობა. ეს ფეშენებელური სასტუმროა და მკაცრად გერმანელებისა და შვეიცარლების კუთვნილება გახლავთ. მართალია ეს ტერიტორიაც ტრუსკავეცის კუთვნილებად მოიხსენიება (ამასვე იუწყება ბროშურაც), მაგრამ იქ მისული კაცი ადვილად დარწმუნდება, რომ ასეთი განაცხადი სავსებით განზოგადებულია. „კარპატის ცრემლები" თითქმის იმავე სიმაღლეზე იმყოფება, რაზედაც სანატორიუმი „კრისტალი", მაგრამ რადგანაც იქაურობა სპორტულსამოსიანთა ინტერესს არ წარმოადგენს, ეს ნაწილი მუდამ წყნარი და ეულია. ტბის შემომრკალავი ნოლაც ასევე მოვლილი და მიხედილია. ტბაზედაც ხშირად იხილავთ ნავით გასულსა და თევზაობისას ანკესის ტარზე მიძინებულ ხნიერ გერმანელსა თუ შვეიცარელს ზოლებიანი თექის ქუდით და იმასაც, თუ როგორ შეუმჩნევლად არწევს ნიავი მის ნავს. თუ მიძინებაზე მიდგა საქმე, არც ოლეს ჩრდილქვეშ ჭადრაკის თამაშისას ერთმანეთის მხრებზე თავმიდებული და სიზმრებში ჩაბრუნებულები გამოგრჩებათ მხედველობიდან, თუმცა ამ სანახობის სანახავად აქ არავინ მოიჩქარის, სამაგიეროდ მიიჩქარიან ბაზრობასა და ბაზარში, ხოლო დილის პირს კი სადგურზე.

მაგალითად, როგორც ის ახალგაზრდა კაცი, რომელმაც სანატორიუმ „კრისტალის" ფართო მინებიანი კარი შემოდგომის ერთ

მზიან დღეს მანამ გამოიხურა, სანამ დილის საუზმის პირველი გონგი დარეკავდა.

ეს ყმაწვილი კაცი ნელა ჩაუყვა შევჩენკოს ქუჩას და რახან ასე ადრიან დილით შეუძლებელი იყო ქშინვის მოსმენა, ყურადღება ტოტებშეკვეცილ იფნებს დაუთმო. ხეებს ნაიარევთან ღივებივით გამოზრდოდათ ჯერაც ნორჩი, თუმცა უკვე გამხმარი ფოთლები. ეს ერთი ბეწო, ნაღიტა მცენარეები, როგორღაც ახერხებდნენ იმას, რომ სპორტულსამოსიანთა ინტერესი არ დაემსახურებინათ, არადა სწორედ მათთვის იყვნენ ისინი გათვალისწინებულნი და ამავე მიზნით შეეკვეცათ მათთვის ტოტები, რათა განში გასულიყვნენ და სიგანეში გატოტილიყვნენ. შეიძლება იმ მიზეზითაც კვეცდნენ, რომ ქალაქის საერთო იერსახიდან არ ამოვარდნილიყვნენ. ასე იყო თუ ისე, ნალოპარის მონარჩენის შთაბეჭდილებას კი სტოვებდნენ და ეს ახალგაზრდა კაციც სწორედ ამასვე ფიქრობდა.

ასე ადრიანად ქშინვის მოსმენა მართლაც რომ შეუძლებელია, იშვიათად თუ შემოგხვდეთ ვინმე მარტოხელა მარათონელი, თორემ სხვა მხრივ ბეღურების ჟღურტული თუ დაგირღვევთ საკუთარი ნაბიჯის ჩქამს.

ასეთ დროს მინერალების მოყვარულთა პარკიც კი ცარიელია. იქ მეეზოვის ფუსფუსს თუ შეესწარით, მაშინ მის დუდღუნსაც გაიგონებთ, რომელსაც ის მანეულის ძირებთან მიყრილი ბამბის ნაყინის ჩხირების აგროვებისას გამოსცემს. ახალგაზრდა კაცმაც გაიგონა მისი დუდღუნი, რომელიც გატკბილულ ჩხირებს ეუბნებოდა „...ეს არის მიწა, რომელზედაც მოხვედრისთანავე იგრძნობა, რომ ღმერთი კარგა ხანია პენსიაზე გასულა“

კაცი არც გაჩერებულა, უხერხულად გაიცინა და მეეზოვე მისივე თქმულის ამარა მოიტოვა. არც პარკიდან გასასვლელში შეყოვნებულა გზასაყარზე და შუა ტოტს გაუყვა. ამ კაცმა ჯერ კიდევ გუშინ ჩაატარა მცირე ექსკურსი ქალაქის ამ ნაწილში, ასე რომ, ფიქრებს გაძალიანებულ ტარასისათვის ყურადღება არ დაუთმია და სადგურისაკენ გაუხვია.

სადგურს შორიდანვე ეტყობოდა გამოცოცხლება და არა მარტო ეტყობოდა, მოისმოდა კიდეც. აქ დამხვდურებსა და რკინიგზის თანამშრომლებს შორის ბარგის მზიდავებიც ირევიან, ვიღაც მოხუცი ბებია მინდვრის თაიგულსაც კი შემოგთავაზებთ; თუ ბედმა

გაგიღიმათ შეიძლება ტარსაწრუპავიან სასმისსაც კი გამოჰკრათ ხელი იაფად, ამასთანავე გამოუძინარ კომივოიაჟორებსაც მოჰკრათ თვალი, ანდა თუ სენტიმენტალობების მოძალება გჩვევიათ, დედას საჩუქრად უყიდოთ ხის კოვზი. თუ კოვზის შეძენას არ აპირებთ, მაშინ საშუალება გეძლევათ მატარებლის ჩამოდგომამდე თავი შეიქ-ციოთ სანდომიანი წვერა მოხუცის ცქერით, რომელიც ადგილზევე ამზადებს ამავე კოვზებს. თუ არც სენტიმენტალობებს უჩივით და პირიქით ჩხირკედელაობისაკენ გიბიძგებთ შიდა ხმა, მაშინ კოვზის მაგივრად მოხუცისაგან შეიძენთ ლობზიკს, ხოლო თუ არცერთი მათგანი, მაშინ თავისუფლად შეგიძლიათ რომელიმე დამხვდურს გამოელაპარაკოთ მატარებლის დაგვიანების თაობაზე. ეს იქ მუდამ აქტუალური თემაა.

ახალგაზრდა კაცი არავის არ გამოლაპარაკებია და სანდომიანი მოხუცის საქმიანობას იმდენი ხანი უცქირა, სანამ თვითონაც არ მოუნდა კოვზის გამოჩორკნა. მან მოხუცისაგან პატარა ხის კოლოფი შეიძინა, რომელშიც გარდა ბეწვა ხერხისა, პატარა ჩაქუჩიცა და სატეხიც ეწყო. ამ პატარა, თითქმის მინიატურულ ინსტრუმენტებს ერთი შეხედვითაც ეტყობოდათ, რომ ამავე მოხუცის იქნებოდნენ, მაგრამ რაში უნდა დასჭირვებოდა ახალგაზრდა კაცს ეს ხელსაწყ-ოები, უცნობია; ამას ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა, როდესაც შენაძენის საფასურს იხდიდა, მაგრამ დაბრუნება აღარ იკადრა და ხის კოლოფი მოხუცს გაზეთში გაახვევინა.

ამასობაში მოსახვევიდან მატარებელიც გამოჩნდა და ხალხის ერთიანად ახმაურებამ შთანთქა მისი მადლობა, რომელიც მოხუცი-სათვის ჰქონდა გადაწყვეტილი.

ეს ახალგაზრდა კაცი გახლდათ ნიკა გელაშვილი, რომელიც მშობლიური თბილისიდან რამდენიმე დღის წინ ქალთან ერთად გამოემგზავრა ამ მხარეში დასასვენებლად. ქალს ჯერ კიდევ გუშინ დილით დასცილდა ლვოვში, რათა აქ სანატორიუმთან დაკავშირე-ბული ამბები მარტოს მოეგვარებინა და ახლა სწორედ თავის ქალს უცდიდა. ეს ქალი არ გახლდათ იმ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელო-ბით, რასაც ქალი ჰქვია.

ნიკამ თითქოს თანხმობის ნიშნად დააცემინა და ვერც კი წარ-მოიდგენდა (ან კი როგორ წარმოიდგენდა), თუკი ეს დაცემინება ქალის ვაგონის მინაზე მოჭყლეტილმა ცხვირმა ჯერ კიდევ მაშინ

აირეკლა, სანამ ლოკომოტივი ბოლო მოსახვევს ნვლიდა. არადა დაცემინება უბრალო მტვრის ბრალი იყო, რომელიც მეკოვზე მოხუცმა დააყენა ფიცრის ხერხვისას და რომ აღარ განმეორებულიყო ხალხმრავლობას შეუერთდა.

ლოკომოტივმა ორჯერ ზედიზედ დაახველა, ერთი ომახიანად ამოიხვნეშა და საკუთარსავე ხვნეშაში შედგა. ქალმა ფანჯრიდანვე დააქნია ხელი, არც ნიკა ჩამორჩენია - მისალმების ნიშნად მანაც დაანახვა გაზეთში გახვეული კოლოფი, მაგრამ საჰაერო კოცნის გაგზავნისაგან თავი შეიკავა. სამაგიეროდ ვერ შეიკავეს დამხვდურთა გარკვეულმა ნაწილმა, მათ შორიდან ამცნეს იდუმალ ოპონენტებს ერთგულება და არა მარტო შორიდან, რამდენიმე მათგანმა სიახლოვე კიდევ უფრო შეამჭიდროვეს და ახსნა განმარტებანი სხეულთა სილბოს ანდეს.

მათგან განსხვავებით ქალი ნიკას ლოყაზე კოცნით შემოიფარგლა და იკითხა:

- როგორ ხარ?

- კარგად, შენ? როგორ იმგზავრე? - იკითხა ნიკამაც და ქალს გასასვლელისაკენ ანიშნა.

- ნორმალურად, - მიუგო ქალმა და კაცის ნიშანს დამორჩილდა.

ჩახუტებული ზვირთები ნაჩქარევად სტოვებდნენ სადგურის ბაქანს. მეკოვზე მოხუციც ალაგებდა ხელსაწყოებს ხელჩანთაში და რახან ქალს ბარგი არ ჰქონდა, გარდა მომცრო ზომის სპორტული ყაიდის ჩანთისა (რომლის ტარებაც ნიკამ ითავა), მზიდავებს არ დაურღვევიათ მათი დუეტი. ნიკამ შენაძენი ჩანთაში მოაქცია და ჩანთა მხარზე გადაიკიდა.

მატარებელმა საკმაოდ დაიგვიანა და მაშასადამე, სპორტულსამოსიანები მინერალებითაც კი მოასწრებდნენ კუჭის გათბობას. ფიქრებს გაძალიანებულ ტარასამდე მანძილი ისე დაფარეს, რომ კრინტი არ დაუძრიათ. ნიკას არ უნდოდა ხელი შეეშალა, არც ქანდაკთან შეჩერებულან, მერე დავათვალიეროთო და თითქმის ხუმრობით უთხრა:

- იცი, აქ გარდა იმ მრავალი უცნაურობისა, რომელთაც თანდათანობით ჩემს ჩაურევლადაც გამოარჩევ, აუცილებელი პირობაა საყოველთაო ბოყინის მოსმენა. - თქმულის დასტურად აქა იქედან

მართლაც მრავალწერტილივით გაისმა უნებლიედ დაცდენილი ბოყინი და ქალი შეიშმუშნა.

– ეს ხომ უზრდელობაა – თქვა მან.

– რასაკვირველია, – დაეთანხმა ნიკა. – უზრდელობაა, ოღონდ არა აქ.

ქალმა ინტერესის გამომხატველი სახე მიიღო და იკითხა:

– გამაგებინე ერთი რას ნიშნავს ეგ სიტყვა „აქ", აგრერიგად რომ ეტანები.

– ო, ეს სიტყვა ძალიან ბევრს ნიშნავს, იმაზე მეტს ვიდრე წარმოიდგენ და ამაში ადვილად დარწმუნდები თუ ნებისყოფას გამოიჩენ, შეკითხვებს გვერდზე გადასდებ და ყურს მიუგდებ ამ მაგიურ ფუგებს, – თქვა ნიკამ და არც ისე შორიდან შთამნერგავი დადასტურება მოისმა. ნიკამ ჩაიცინა თითქოს წინდაწინ იცოდა, რომ ასეც იქნებოდა და ქალის გაკვირვებას რომ თვალი შეავლო, კიდევ უფრო გახალისდა. ქალი კვლავ შეიშმუშნა, ნაძალადევად გაიღიმა და კაცს გადახედა. – გატყობ საკმაოდ გათვითცნობიერებულხარ ადგილობრივ ადათ წესებში, – თქვა მან.

– საკმაოდ – დაეთანხმა ნიკაც – და ეს უადვილესი რამ არის, ამაში შენც დამეთანხმები, ვიდრე სანატორიუმამდე მივაღწევდეთ.

ჯერ კიდევ დეკორატიული ბუჩქების მწკრივში მიაბიჯებდნენ, ფუგამ რომ სივრცეში აკორდი მოხაზა და ქალი ისევ შეიშმუშნა.

– არა, ეს წარმოუდგენელია, თანაც აშკარად ქალები იყვნენ, – თქვა მან აღშფოთებულმა და მინერალებით დამთბართ დაუწყო თვალიერება, თუმცა ვერ მიაგნო. ნიკამ თანაგრძნობით გამოხედა.

– არა უშავს, დრო და დრო მაგასაც მიეჩვევი, – თქვა მან და რახან ქალს უარმყოფელი სახით ეჭვი შეჰქონდა მის სიტყვებში, დაამატა – აგერ ნახავ თუ არა. კარგად მომისმინე, მაგ ხმებს ახალბედები გამოსცემენ, რასაც ვერ დავაბრალებთ უფრო დახელოვნებულებსაც, ეს უკანასკნელნი ოსტატურად იკავებენ გაზის ამოქარვებას და შეუმჩნევლადვე დევნიან შემდგომ ნესტოებიდან. ბასრი თვალი უნდა გქონდეს, რომ გამოარჩიო ამ დროს ისინი... შენ იკითხავ და რაში უნდა დამჭირდესო მაგეების ცოდნა? მაგასაც მოგახსენებ, ასე მაგალითად, თუკი სეირნობისას ვინმეს გამოელაპარაკე შესაძლებელია გაარჩიო ახალბედაა თუ არა, ამას უჩემოდაც მიხვდები, მაგრამ მეორე შემთხვევისას ვიმეორებ ბასრი თვალია

საჭირო, რათა მოახერხო ნესტოების დაჭიმვა-არდაჭიმვის გამორჩევა, ამასთანავე სველი ჟანგის სუნის დაყენება უნდა მოჰყვეს პირის არესთან, ისეთივე, როგორიც კუჭით წყლულიანებს სჩვევიათ და თუ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი აღსრულდა - ჩათვალე რომ მართალი ბრძანდები, ხოლო თუ არც ქარვება დასცდენია და არც სუნი, მაშინ გაიხარე რომ ბედმა გაგიღიმა, რადგანაც ეს აუცილებლად დროებით გაურჩებული პირია, რომელიც საბოლოოდ ნებდება და ისიც გაითბობს ადრე თუ გვიან მინერალებით კუჭს; ასეთ გაურჩებულთან გამოლაპარაკება თითქმის შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში გასაკვირი მაინცაა), ხოლო თუ ასეთი უცნაურობები ხშირად დაგჩემდა... ასეთ დროს ნუ დააყოვნებ და სანატორიუმის ექიმთან ჩაეწერე მიღებაზე, არც ესაა დასაძრახი, მითუმეტეს რომ ექიმი იმისათვისაა, რათა პაციენტი გასინჯოს. თუ გაფრთხილება არად მიიჩნიე, მაშინ ნება ინებე და თუ ვინმესთან დაგცდა, ვისთანაც „საუბრობ", ნურც იმას გაიკვირვებ, რომ სიცილი დაგაყარონ. მაშასადამე პირველი გაფრთხილება - თუ არც ქარვება ისმის და არც სუნი, დაუყოვნებლივ - ექიმი!

ქალმა გულიანად გადაიკისკისა.

- ბრავო! - თქვა მან. - გარდა ერთგულებისა, რჩევა დარიგებებშიაც კი გაწაფულხარ ჩემს არყოფნაში - თქვა და ისევ გადაიკისკისა. ნიკამ სერიოზულად დააქნია თავი და სერიოზულადვე მიუგო:

- ნამდვილად.

- არა ყველაზე უფრო ის მომეწონა ჟანგის გემოო რომ იძახდი, რა გასინჯული გაქვს თუ? - იკითხა ქალმა და ნიკამ ისევ დააქნია თავი.

- კი, ბავშვობაში, - თქვა მან. - ეზოში ყოველთვის ეყარა არმატურა, სადაც ბავშვები ვთამაშობდით მის შორიახლოს, ზედვე აწვიმდა და ათოვდა. როცა თამაში მომწყინდებოდა გვერდზე მივუწვებოდი ხოლმე, ყველაზე უფრო თხელ ბოლოს გამოვარჩევდი, პირში ჩავიდებდი და მანამ ვწუწნიდი, ვიდრე კბილებზე დურდო არ დამელექებოდა. აი, - დაამატა ნიკამ ბოლოსიტყვად და ტუჩები ისე გაჭიმა, რომ ყვითელი კბილები ქალს უკეთ დაენახა.

- ჰო, გეტყობა - თქვა ქალმა მას შემდეგ, რაც კბილების მწკრივს ჩააყოლა მზერა და კეთილგანწყობილების ნიშნად თავზე

გადაისვა ხელი.

– პატივცემულო საზოგადოებავ, თქვენს წინაშეა მინერალების მოყვარულთა ძირითადი ფლანგები! – ამას რომ იძახდა, ნიკამ ქალს ერთი ნაბიჯით წინ გაუსწრო და მუდმივი რიგისაკენ ამაყად გაიშვირა ხელი, – ეს გახლავთ მინერალური წყალი „ტრუსკავეცკა“, რომელსაც თუ საქმეში ჩახედულ ხალხს დავუჯერებთ, მრავალი სამკურნალო თვისება აჩნია.

ქალი გასწორდა და ღიმილით იკითხა:

– შენ რა, უკვე გაითბე მაგ მინერალებით კუჭი?

– ფრთხილად ქალბატონო! – წამოისროლა ნიკამ და შუბლი შეჭმუხნა. – ფრთხილად, ასეთი ბედნიერება როდი მხვდა წილად, ამ ამოცანის გადაჭრა არც ისე იოლი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენება, – შუა გზაზე გაწყვიტა ნიკამ სიტყვა და ქალს რიგისაკენ მიუთითა. – ე მანდ, გარდა დგომისა, თავისებური სასმისითაც უნდა შეიარაღდე, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოყინის გარეშედაც მოხერხდება თქვენი გამოაშკარავება, – დასძინა მან.

– რა თავისებური სასმისებია დღის წესრიგში? – თავის მხრივ აიტაცა ქალმა.

– რა სასმისებია და მახვილგონივრული გამომწვარი თიხის შემოქმედება, რომელთაც ტარში საწრუპავი ღრუ აქვს დატანებული, რათა სითხის მიღებისას თავის გადაწევა არ იყოს აუცილებელი, მაგრამ არც ეგ არის მთავარი. ასეთი სასმისები ყოველ ნაბიჯზე იყიდება, აი, იქ მაგალითად, – ნიკამ ქალს ფართო ზონტის ქვეშ განთავსებული დახლისაკენ მიახედა, რომელზედაც მრავლად დაელაგებინათ სხვადასხვა ფორმისა თუ შეფერილობის ასეთივე სასმისები – მაგრამ აქ ყოველი ნიუანსი საერთო სულისკვეთებით არის გამსჭვალული და სასმისის არჩევისას ამ ცოდნიდან გამომდინარე უნდა იხელმძღვანელო. პირველად უნდა გამოარჩიო თვით სპორტულსამოსიანთა ფლანგებზე რა შეფერილობის ჭიქური სჭარბობს და მხოლოდ ამის შემდგომ აირჩიოთ იმავე შეფერილობისაც თქვენც, ეს აძნელებს ახალბედების გამოაშკარავებას.

– მდა, აქ ვატყობ, ერთგვარი მისტერია უნდა სუფევდეს, – არც ქალმა დაახანა.

– ყოჩაღ! ამასვე ვფიქრობდი მეც, ჯერ კიდევ გუშინ. საიდუმლო

წესების შესრულება, ასეა! მაგრამ, ამაზე უფრო ის მიხარია, რომ უკვე სიტყვა „აქ" გამოიყენე და უნდა ვაღიარო, რომ ჩემზე უფრო ადრე მოახერხე - სიხარულით წამოიძახა ნიკამ და ჩანთა მეორე მხარზე გადაიკიდა.

შენ, გატყობ არ გისაუზმია - უთხრა ქალმა.

- რაზე შემატყე, - გაიკვირვა ნიკამ, მაგრამ როდესაც ქალის ერთიანად განათებულ სახეს შეხედა მიხვდა, წამოეგო.

- კბილებზე, - უპასუხა ქალმა და გადაიკისკისა, თან ნიკას მუჯლუგუნი ჰკრა ფერდში. ნიკა სხარტად გაერიდა მუჯლუგუნს, თუმცა ვერ აიცილა.

- კარგი იყო, - თქვა მან, - წამოდი სადმე კაფეში შევიდეთ - ქალი აღარ გაძალიანებია. წავიდეთო მიუგო.

ბობოქარი ფოტოგრაფი თავის უშრეტ ტემპერამენტს ამ დღეს პარკის მეორე გასასვლელში ავლენდა, მაგრამ მას დაუფიქრებლად ავლილ ექნა გვერდი წყვილის მიერ და ისიც როგორც ყოველთვის მარტოდ დარჩა მათ მიერ აღძრულ ნიავში. ქვის საფეხურები მალე აასრულეს და ვიწრო შუკაში გასვლისთანავე ნიკამ ქალს ჩარჭობილ ფირნიშზე მიუთითა, აქ ყველაფერი ამ სახელის მატარებელიაო უთხრა და ცენტრალურ ქუჩაზე გავიდნენ კიდეც.

ამ გასვლას უმალ გამოემცნაურა უხერხული ხმიანობა და ქალს სახეზე დაეტყო, რომ უკვე ცდილობდა შეგუებოდა. ნიკას სიტყვაც არ უთქვამს ქვემოთა ბოყინი სიმაღლეზე რომ ქოშინით იცვლება, არ უნდოდა ის სიამოვნება მოკლებოდა, რომელსაც ქალის სახე მიანიჭებდა ამ ფაქტის აღმოჩენისას. შევჩენკოს ქუჩა დუმილით გადაკვეთეს და დამსვენებელთა ფრთის იმ ნაწილში გავიდნენ, რომელიც ნიკას ჯერაც არ მოუნახულებია.

ქუჩის სიგანე, რომელზედაც ამჟამად მიაბიჯებდნენ, შევჩენკოს სიფართისა თუ არ იყო, არც ბევრით ჩამოუვარდებოდა მას. აქ ასფალტის მაგივრად ნათალი ქვის მასიური ფილაქნები ფარავენ მიწის ზედაპირს. ფილაქნების განაპირად აქ იფნებს ტოტებშეკვეცილი ნეკერჩხლები ცვლიან. დაბალი, ორ და სამსართულიანი შენობებიც ერთ ფერში გადაუწყვეტიათ, მორუხო მოცისფროში გარდამავალი. ეს შენობები თანამედროვე კონსტრუქციისა გახლავთ, მაგრამ გარე პირი, ასე ვთქვათ ექსტერიერი ანუ ფასადი გადაღებილი ლატანებით მოუპირკეთებიათ, რაც თავის მხრივ მყუდრო

შთაბეჭდილებას უქმნის მათს იერსახეს. დაქანებულ სახურავებზეც ნარინჯისფერი სილანარევი თიხის გამომწვარი ფირფიტები დაუფენიათ, ზოგიერთ მათგანზე ასევე ნარინჯისფრად შეღებილი ასტამურაც შეინიშნება; მათ უმეტესობას მოუჩანს კიდეც კრამიტში დატანიებული თუმცა არაგამურული საკვამურები. ეს ალბათ სილამაზისათვის არის და სიმართლე რომ ითქვას, შესაბამის ეფექტს ახდენს და სპორტულსამოსიანთა მოწონებას იმსახურებს. ამ ნაწილში განსაკუთრებული სიმყუდროვეა, რომელსაც დროდადრო მართალია არღვევს უნებლიე შორი თუ ახლო ბოყინი, მაგრამ ეს ხმები როგორღაც (და რატომღაც) ესადაგებიან აქაურ მყუდროებას. ნეკერჩხლებს ფილაქნები ზედ წელზე ესალტებიან, თითქოს მცენარეებს შარვლის ტოტები პაიჭში ჩაეტანიებიოთ და მართლაც, ამის შემყურე კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ხეები პირდაპირ ფილაქნებიდან ამოზვინულანო.

ქალაქის ამ ნაწილში გამოსულ კაცს, თუკი არ გააჩნია სიძველისადმი პატივისცემა, აუცილებლად რული მოერევა; მართალია ეს სიძველე მოჩვენებითია და მგრძნობიარე კაცი ადვილად გამოარჩევს, რომ ეს ყველაფერი დეკორაციაა, თუმცა ეს ხომ არ არის მთავარი, აქ ოდნავ მეტი ფანტაზიაა საჭირო...

ნიკა ჯერ კიდევ ხეებს გაჰყურებდა, ტოტებშეკვეცილმა ნეკერჩხლებმა ლერწებაჭრილი ავრეხი მოაგონეს და ეს მოსაზრება გაანდო კიდეც ქალს. იმანაც გახედა ხეებს, თითქოს უკეთ აკვირდებაო და არც თავის მხრივ ჩამორჩენია

– სიმართლე გითხრა, – თქვა მან, თვალები კიდევ უფრო შეავიწროვა და კაცს გამოხედა – უფრო იმ კაცის კალოშში ჩახარშულ ფეხისგულს მაგონებენ, რომელიც აჭრის მაგავე ლერწებს. – ამ შედარებისას ნიკამ ისევ გახედა ნეკერჩხლებს და უკეთ დააკვირდა.

– ბარემ ისიც მითხარი, რითი მიამგვანე ჩახარშულ ფეხისგულს, – ისე იკითხა ნიკამ, ხეებისათვის თვალი არ მოუშორებია; ქალმაც გახედა, ოღონდ უკვე სხვათა შორის თქვა, თითქოს ინტერესი დაეკარგა

– აი, შეხედე – წამით შეჩერდა და ისევ გააგრძელა – ნახე როგორ ფითრივით მოსდებიათ ქარაგოზი... რა ვიცი რაღაცით ჩახარშული ფეხისგული მომაგონდა კალოშში ჩაფენილ ქეჩის ბუნ-

ტყელს რომ აიკრობს ხოლმე, – თქვა ქალმა და მხრები აიჩეჩა. რამდენიმე ნაბიჯი ისე განვლეს ხმა არ ამოუღიათ, შედარების გამო ნიკა ფიქრებში გადაერთო.

სიმართლე ითქვას, ამ ქალის უცნაური ფიქრები თუ უადგილოდ მოქნეული ფრაზები და შედარებები საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი უფრო იყო, ვიდრე თვით ქალისა. აგრეთვე ისიც შესაძლებელია, თავის წილ ქალიც ასეთივე იმპროვიზაცია გამომდგარიყო, მაგრამ ამას როდი აუღელვებია ეს ყმაწვილკაცი როდესმე. რომ გამოჩენილიყო ვინმე ისეთი, რომელიც ჭოლოკით ჩამოუბერტყავდა ამ ფიქრებს ნიკას თავიდან, მაშინ ქალისაგან მართლაც ქალიღა დარჩებოდა და ეს ნიკამაც მშვენივრად (მშვენივრად თუ არა მტკივნეულად) უწყოდა... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, თავისუფლად შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ამ კაცს ასაკი ალბათ ფიქრში გამოეპარა...

დღეს მზიანი ეთქმოდა, ფარღალალა ღრუბლებს თავისი მაინც გაჰქონდათ და იშვიათად, თუმცა შესამჩნევად ცას ზოლებად რანდავდნენ. დროდადრო მზესაც კი უკბეჩდნენ ხოლმე და ისიც თითქოს ამას ელოდაო, მუზმუზელა ბავშვივით ამოეფარებოდა გამრანდავთ და ვიწრო ჭურჭუტანებიდან ისე იჭვრიტებოდა, თითქოს ვიღაცას უთვალთვალებდაო.

ასეთ დროს წყვილის ჩრდილები კიდევ უფრო იწელებოდნენ და ისინიც მოუხშავი ლანდებივით უჩუმრად მიუყვებოდნენ ნაკვალევს. ამ ნაწილში თითქოს ბოყინსაც კი ზრდილობიანობისა და ერთგვარი ქედმაღლობის იერიც დაჰკრავდა. შეიძლება ეს ოდნავ გადამეტებულად ჟღერს, ოღონდ არა უშავს, ნუ დავუკარგავთ სპორტულსამოსიანებსაც – ამ ნაწილში ისინი სერიოზული და დინჯი ნაბიჯით დაიარებიან.

მათგან განსხვავებით წყვილს ამ სიდინჯის არაფერი სცხებია და საერთო კოლორიტიდან საგრძნობლად ამოვარდნილიყვნენ. ამასვე ადასტურებდნენ თვით სპორტულსამოსიანებიც, რომლებიც წყვილს ისეთივე აღტაცებით ათვალიერებდნენ, როგორითაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფეხშუმსა და ბარძიმს ეკლესიის ნახევრადბნელში; მაგრამ წყვილს ეს აღტაცება გამორჩა და ერთ ერთ ლატანებგადაღებილიან შენობასთან გაჩერდა.

შენობის სარდაფში კაფეს სახელწოდებით „კობზარი" – დაედო

ბინა. ხის საფეხურები, რომლებიც მასშივე ჩაედინებოდნენ მოვლილობის შთაბეჭდილებას სტოვებდნენ და წყვილიც ერთსულოვნების გამომხატავი დუმილის ამარა ჩაემართა ქვემოთ.

ბარმენი პეპელა ბაბთითა და ღიმილით მოპირკეთებული ახალგაზრდა აღმოჩნდა. ის წყვილს გარდა ღიმილისა ჭიქის წმენდითაც შეეგება და ამავე ხელსაწყოებით მიაცილა ცარიელ მაგიდამდე. თუმცა ამ სიცარიელეს არც დანარჩენები უარობდნენ, ასე რომ წყვილმა ბარმენის შეთავაზებისაგან თავი შეიკავა და ფანჯარასთან არსებულ სხვა სიცარიელისაკენ გადაინაცვლა. ბარმენმა ღიმილის მოუცილებლადვე დააქნია თავი თითქოს გადაწყვეტილება მოიწონაო და ასპარეზი ოფიციანტ ქალს დაუთმო, რომელიც თავის მხრივ უკრაინის ტრადიციულ ქალის სამოსში გამოწყობილიყო. მართალია ამ სამოსში ძირითადად თეთრი და წითელი ფერები დომინირებენ, მაგრამ ალბათ ოფიციანტის მძიმე გამოხედვას მიუძღოდა ბრალი, რომ ეს სამოსი რაღაცით ქოქლოზე უბიძგებდა; ასევე, არც მის შიდა გულსაფარს ჰქონია რაიმე კავშირი სხვა ტრადიციულობასთან, გარდა უკრაინისა თუმცა ისიც კი მხევალს მოყოლილი ფარგულივით მოუჩანდა ამ ქალბატონს, რომელიც ღიმილს ალბათ ბარმენს დაესესხა.

კაფეს (თუ ბარის) ინტერნაციონალურობა ჯერ კიდევ მაშინ გამოვლინდა, სანამ ოფიციანტი ქალი შეკვეთის ჩანიშნებას თავს გაართმევდა მომცრო ზომის ბლოკნოტში და უკვე ცნობილი კობზონის „თბილისოს" პირველი ჰანგები გაისმა თუ არა, შეკვეთას წერტილი დაესვა კიდეც და ოფიციანტი იმავე ღიმილით თვალს მიეფარა.

– სიწყნარეა, არა? – იკითხა ქალმა და ნიკამ თავი ისე დააქნია, რომ ფანჯრისათვის თვალი არ მოუცილებია. არადა, შეკიდული შუკუმი უფრო ეთქმოდა ვინემ ფანჯარა, რომლიდანაც დიდი დიდი რომელიმე სპორტულსამოსიანის ფეხსაცმელს შემოეხედა კაფეს სიწყნარეში, ისიც თუ ზედმიწევნით მის სიახლოვეს გაივლიდა და ალბათ ამ შესაძლებლობას იყო რომ უარყოფდა ის წელგამართული კოინდარი, რომელიც შემოხედვაში ფეხსაცმლის მაგივრობას სწევდა.

შეკვეთა სავსებით სადა ხასიათისა გახლდათ, ორი ჭიქა ჩაი ღვეზელებითურთ და რადგანაც ამ ყველაფრის სიცხადეში ხილვას

ოდნავ შეაგვიანდა, წყვილს საშუალება მიეცა სარდაფის ინტერიერისათვის მიექცია ყურადღება.

აქ ყველაფერი განიერი ხის ფიცრებით მოპირკეთებინათ, ჭერის ჩათვლით. ამ ფართე ფიცრებს გადაბმის ადგილასა და კუთხეებში ასევე შთამნერგავი ზომის ღრმულები მოუჩანდათ, რომელშიც აბსოლუტური ბინდი გამეფებულიყო. კედლის ფიცარზე მშრალი ლაქი გადაესვათ თუ უბრალოდ ოლიფა, ამის გარკვევა ნიკამ ხელით სცადა და ვერ გაარკვია, სამაგიეროდ ამავე კედლებზე გამოფენილმა ტილოებმა იმდენად დააინტერესეს, რომ თვით კედლები სავსებით გამორჩა.

ფერადი პეიზაჟები ალბათ წელიწადის დროებს გამოხატავდნენ და ამის მიხვედრა ისევ და ისევ ფერების მეშვეობით ხერხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მათ ავტორს თუკი სხვა რამის თქმა სურდა, ან ვერ ეთქვა, ან შეგნებულად და წინასწარი განზრახვით დაუმალა მნახველს. ხოლო რაც შეეხება ავტორის ერთპიროვნულობას, ამაში სადაო არაფერია, ამ საკითხში იგრძნობა, მას სრულყოფისათვის მიუღწევია.

– ყოველთვის მიზიდავდნენ უცნობ ავტორთა უცნობი ტაეპები, – სერიოზული სახით მიართვა ნიკამ ქალს და არც ქალს მიუღია ნაკლებ სერიოზულობით.

– მეც მომწონს, – თქვა მან. – განსაკუთრებით აი ის ლაქა, რომელიც ტილოზე ისეა მოქცეული, თითქოს ობიექტივს შემთხვევით ფოთოლი აკრობიაო და ავტორი ვითომც შეგნებულად გვიმალავდეს თუ რა ხდება მის უკან.

ნიკასაც უნდოდა ორიოდ სიტყვა თავის მხრივ თვითონაც ჩაეგდო, მაგრამ აღარ დასცალდა, ოფიციანტ ქალს მისივე ხელიდან გამომართულმა ღვეზელების სუნმა დაასწრო მაგიდამდე. მან ოფიციანტს ღიმილი თავისაში გაუცვალა და ეს უკანასკნელი ისევ თვალს მიეფარა.

ჩაი საკმაოდ ცხელი აღმოჩნდა, ისევე როგორც ღვეზელები, რომლებიც ორნამენტებიან სალფეთქგადაფარებულ თეფშზე დაელაგებინათ. ნიკას სავსებით არ დაუხედავს მათი წყებისათვის, ისედაც ნათელი იყო რომ აუცილებლად გემრიელი იქნებოდა და ამას მხოლოდ ის ფაქტიც მოწმობდა თუ რა ცვალებადობა შემოიტანა მათმა სუნმა არსებულ ამინდში. ამავე ამინდს ანდვეს მათი სარდაფის

ტემპერატურით გაჯერება და ნიკამ ლაპარაკი წამოიწყო:

– რაც მართალია – მართალია, გემრიელად კი აკეთებენ.

– სანატორიუმში როგორღაა კვების საქმე? – იკითხა ქალმა უბრალოდ, რომ რაიმე თქმულიყო. ნიკამ ტუჩი ამოატრიალა, თავი გვერდზე გადააგდო და მიუგო:

– არ ვიცი, იქაური ხარისხიანობის საქმე ჯერაც უცნობია, სამაგიეროდ ცნობილია დროები, დილით რვაზე უნდა იყოს თუ არ ვცდები, შუადღეს პირველზე და საღამოს ექვსზე.

– მეზობლობაში ხომ არ გაგიბამს ნაცნობობა? – იკითხა ქალმა, და ნიკამ გაკვირვებულმა გამოხედა.

– მომიტევეთ, მაგრამ მაგ ცდუნებისაგან ალბათ ბოლომდის თავს შევიკავებ, – თქვა ნიკამ და ქალს იმ ღიმილით გაუღიმა, რომელიც ქალისათვის მუდამ იდუმალებით მოცული გახლდათ.

„თბილისო“ გათავდა და სანამ შემდგომი მელოდია გაისმებოდა, არსებული პაუზა ქუჩიდან დაცდენილმა ქარვებამ შეავსო.

– ხომ ხედავ, სპორტულსამოსიანებიც კი მეთანხმებიან, – ბოყინი დაიმოწმა ნიკამ და ქალმა თავშეუკავებლად ჩაიქირქილა.

– წუხელ ბიძაშენი დამესიზმრა, – თქვა მან და თვითონაც შუკუმს ახედა. ნიკამ რომელიო იკითხა და ქალს შეხედა.

– მურაზი – თქვა ქალმა ისე, რომ შუკუმიხათვის თვალი არ მოუცილებია. – და გამიკვირდა რამ მასიზმრა მეთქი, ცხოვრებაში საერთოდ არ მინახავს.

– რაო, ხომ არ შეგაშინა. – გაიცინა ნიკამ.

– არა პირიქით. რაღაც გასაცოდავებული მეჩვენა, თმები თხლად გადაღებული ჰქონდა, ისე რომ თავის კანი უჩანდა, წვერიც რამდენიმე დღის გაუპარსავი ექნებოდა, თან პალტოს აპრეხილი საყელოთი იფარავდა სახეს, არ უნდოდა დამენახა და მისკენ რომ გავიხედებოდი, თვალებს ჭუტავდა, ვითომ მე არ მიყურებდა... ღამე იყო, მაგრამ ქუჩის ლამპიონებს გარკვევით ირეკლავდნენ მისი თეთრონები, მაშინაც კი, როცა თვალებს ჭუტავდა...

– აუ, შეუშინებიხარ და ეგ არის, – ერთიანად გახალისდა ნიკა – კარგი იყო.

– გადასარევი – დაემოწმა ქალი და რითი მოკვდაო იკითხა.

– ტყვიით, – უპასუხა ნიკამ. – ახალი წლის ღამეს თავი მოიკლა ბებიაჩემის საფლავზე, ნაგანი ისროლა გულში, თან ცაცია იყო და

ასე, გვერდულად უსვრია... რომ დავარდნილა დანანებით უთქვამს აქაც ავაცილეო...

– ხო, გამახსენდა, მონაყოლი გაქვს, – თქვა ქალმა. მაგრამ ნიკას ეტყობოდა, ვერ გაეგო რა უთხრეს და გააგრძელა: ...მახსოვს, მორგში მაშინ პირველად ვიყავი და არაფერი გამკვირვებია. ესეც მახსოვს, იქ ნანახი სურათი თითქოს ისეთივე აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი. კარები რომ შევაღე, პირველი, რაც დავინახე, რეზინის ბორბლებიანი საკაცე იყო, მასზევე ესვენა მურაზი, რომელსაც ხალათ-მოხურული ექიმი აპატიოსნებდა მორგის ღარიბ განათებაში. მათ გარდა კიდევ ბევრნი იმყოფებოდნენ იქ, მაგრამ ისინი ხმას არ იღებდნენ და საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავებულიყვნენ... ატკეჩილ კაფელიანი კედლები მხოლოდ იმას მოწმობდნენ თუ რაოდენ კომიკური იყო ეს საერთო სცენა. სივიწროვის გამო იყო ალბათ რომ ცხედრები უანგაროდ დაელაგებინათ ერთმანეთზე, როგორც გასროლილი ვაზნები... ყველანი პირაღმა იწვნენ. საკმაოდ იყვნენ და მათგან რამდენიმე თუ დაიკვეხნიდა იმას, რომ მურაზივით რეზინის ბორბლებიან საკაცეებზე დაესვენებინათ, რომლებიც ქალაქგარეთ სასეირნოდ გასული მანქანებივით კუთხეში გაეჩოჩებინათ... მახსოვს, ამ „სიცილის ოთახში" კინაღამ მართლა სიცილი რომ წამსკდა, არადა სასაცილო არაფერი ყოფილა იმაში, რომ ცხედარი თუნდაც კისრის გარეშე პირგაკრულ ცელოფანში მოეთავსებინათ, რომელიც პირდაპირ ძირს იდო და კედელზე მიეყუდებინათ. ცელოფანში იჯდაო ისე მიებჯინა მოხრილ მუხლისთავებზე მკერდი და არარსებული ნიკაპი მუხლებზე აქვსო ჩამოდებული. მობუზულ მხრებზე მიკრულ ცელოფანშიც კი ატანდა რომ სანამ სიკვდილში ჩაჯდებოდა მის წინ შეციებოდა... არადა იმაზე გამეცინა, როცა წარმოვიდგინე ალბათ უპატრონო ცხედარი იქნება მეთქი, თორემ ის ჟამიანობა ხომ გვამებზე სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით ტაციაობა იყო, ოღონდაც კი აფხაზეთში მკვდარი ყოფილიყო, თუნდაც არა მოკლული და ისე, თუნდაც ინფარქტით მომკვდარიყო, ოღონდაც ქალაქიდან შორს და მნიშვნელი აღარ ჰქონდა იმას ნათესავი იყო სინამდვილეში თუ არა, შვილდაკარგულ დედებს ერჩივნათ თვითმფრინავებით ჩამოტანილ გვამებზე მოეტყუათ, დიახ ვიცანი ჩემი ბიჭიაო და მათ სიტყვებში არავის შეჰქონდა ეჭვი; მშობელს საშუალება ეძლეოდა მიცვალებული დაეტირა და ვინ

იცის, იქნებ იმ ცხოვრებისაგან სახეგამურულ გვამის ქვეშ მართლაც მისი შვილი განისვენებდა... უთავო უცნობს კი არ გამოუჩნდა პატრონი, ალბათ მშობლისთვისაც უხერხული იქნებოდა უთავო შვილი... - როგორც იქნა ნიკა გაჩუმდა და მართალია ქალს მისჩერებოდა, მაგრამ ნათელი იყო რომ სულაც ვერ ამჩნევდა მას. ქალი უცებ ჩამოწოლილმა პაუზამ უფრო შეაშმუშნა.

- რაებს ამბობ, - თქვა მან და ნიკას ცარიელ გამოხედვას რომ შეხედა დაამატა - de mortuis aut bene, aut nihil.

- მართალი ხარ, მართალი, - გაერიდა ნიკაც და გაიცინა, მაგრამ ქალი აღარ მოეშვა.

- და რაში ვარ მართალი? - იკითხა მან.

- რაში და იმაში, ბატონო ჩემო, რომ მიცვალებული არ უნდა შეაწუხო იმისათვის საკუთარი უთავბოლობა რომ ვერ დაგიოკებია... არადა ყოველთვის მაინტერესებდა რას წარმოადგენს ადამიანის სული მეთქი და ეგ ამბავიც სწორედ მაგის გამო გამახსენდა.

- რა შუაშია მერე ერთი მეორესთან, - გაიკვირვა ქალმა და გამოვარდნილი თმა გადაიწია.

- შეიძლება არაფერ შუაშიც არ არის, - თქვა ნიკამ, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთი სიტყვა ამეკვიატა „ნატეხარი". განმარტებით ლექსიკონში ასეთი ახსნა უწერია „თიხის ჭურჭლის ნატეხი, რომელიც კიდევ გამოდგება რამესთვის", და ეს სწორედ ის ახსნაა, რასაც ვეძებდი.

- რა, რომ სული „ნატეხარია"? - კიდევ უფრო გაიკვირვა ქალმა.

- სწორედ, ის თვით ადამიანის ნატეხარია და შენ წარმოიდგინე კიდევაც გამოდგება რამესთვის და ეს რამე მოგონებაა.

- მერედა მოგონებასაც ხომ გააჩნია, ის როგორც კარგი ისევე ცუდიც შეიძლება იყოს.

- არა მგონია, - თქვა ნიკამ. - მოგონება წიგნივითაა, ხოლო წიგნი კარგია თუ ცუდი, ეს მეორეხარისხოვანია, მთავარია საინტერესოა თუ არა. - ქალი ვერც ამჟამინდელმა პასუხმა დააპურა, თუმცა გაჩუმება არჩია და საუბრის თემა რომ შეეცვალა თქვა:

- მდა, მეტად გემრიელად შევექცევით ასეთი საუბრის შემდეგ შენს ნაქებარ ღვეზელს, - თქვა ქალმა და ღვეზელი გადაიღო, ნიკამ თითქოს მადლობის ნიშნად გაცივებული ჩაი მოსვა.

– შენ წარმოიდგინე, – თქვა მან და ღვეზელი ჩაკბიჩა.

„თბილისოს“ შემდგომი მელოდია გამორჩათ, სამაგიეროდ არ გამორჩენიათ უკვალოდ ჩავლილის მომდევნო და, მისი მოტივი გაისმა თუ არა, თითქმის ერთდროულად გადახედეს ერთმანეთს და ამაზე გაეცინათ.

– იცანი? – წამოიძახა ნიკამ. – ეს სწორედ ის მუსიკაა, რომელიც მიესადაგებოდა ჩვენს საუბარს, – თქვა და ღვეზელი კვლავ ჩაკბიჩა. – აბა დააკვირდი, კარგად მიუგდე ყური – ლუკმაში გააძვრინა და თვითონაც ყურის მიგდების მიმიკა გამოეხატა. კაფეში რატომღაც ჰენდელის რომელიღაც სონატა სრულდებოდა და ისიც ისე ხმადაბლა, თითქოს სულ სხვა შენობიდან მოისმოდა, იმდენად ხმადაბლა, რომ ქუჩიდან ქედმაღალი ფუგები თავისუფლად აღწევდა მათამდე და ნიკას ისევ გაეცინა.

– ეს ხომ ჰენდელია, ძალიან მჭრალი და სადა – თითქმის დაეჭვებით იკითხა ქალმა.

– მერედა ვინ ამბობს რომ ის მრისხანე იყოს? – ღიმილითვე მიაგება ნიკამ. ქალიც მიხვდა რომ საუბარი სულ სხვა კალაპოტში მოექცა, მაგრამ არ შეიმჩნია, თავი ხელში აიყვანა და იმავე დაეჭვებით იკითხა:

– კი მაგრამ, სიკვდილი ხომ წყნარი არ არის, ის ვგონებ ბუკის კვრითა და ზარ-ზეიმით უნდა მოდიოდეს.

– კი არ მოდის, არამედ იუწყება მოახლოვებას თორემ რა... რომ დაუკვირდები ის შენი სიკვდილიც ბალღივითაა, საშინელი ბუტიაა, თანაც სიმშვიდე უყვარს და აზიზია. მდაბლად მოდის, თავდახრითა და რიდით შებინდების მწირივით, ეს ჩვენ ვეგებებით ზარ ზეიმითა და დიდის ამბით თორემ... – ნიკას სიტყვები აღარ ეყო, ნებისყოფა ვეღარ შეინარჩუნა და გულიანად ჩაიქირქილა; აღარც ქალს ჰქონია რაიმე დასამატებელი და ისიც კისკისით გამოეპასუხა.

ეს არაფრის მთქმელი (თუ ცარიელი) საუბრები მათ შორის ხშირი იყო. უმეტეს შემთხვევაში დასაწყისშივე იცოდნენ, რომ ეს გამოღამებული სიტყვების რახარუხის გარდა არაფერია. ცდუნებისაგან კი არ იკავებდნენ თავს, ოღონდ გართულიყვნენ და საუბრებს მართლაც ისეთი სერიოზული სახეებით მართავდნენ ხოლმე, ვინმე გარეშეს რომ მათთვის მიეყურადებინა იფიქრებდა გადარეულან საწყლებიო.

ამასთანავე ქალი ყოველთვის ფხიზლობდა; მართალია, არც ისე ხშირად, უფრო იშვიათადაც კი ეთქმოდა, მაგრამ მაინც მოუვლიდა ხოლმე კაცს საროიანისეული მოზაიკის მსგავსი „რაღაც" და მაშინ ქალს უძნელდებოდა ნიკას ყურება. უფრო სწორად ვერ იტანდა, ან კი რა ასატანია უპეებგადაჭიმული და დანისლული თეთრონების ყურება, რომლებიც ყოველ წამიერად თითქოს კიდევ უფრო იბერებიან, ან კი იმ გაფითრებულ შუბლის ძვლის ცქერა, რომელსაც კანი ჭირხლივით შეყინვია, უფრო კი იმ უძრავი გუგებისა, რომელთა ძირზე მართლაც რომ ნაძირალივით დალექვია ის ქალისათვის უცხო „რაღაც", რაც ქალს არ უნდა რომ იქ დაინახოს...

და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, წყვილის ეს სიმბიოზი სწორედ ამ, ქალისათვის უცხო იპოსტასისეულის დამსახურება გახლდათ.

ეს ალბათ არ ლაგდება ნორმალური მეტყველების ფარგლებში, მაგრამ ნუ ლაგდება, ამით არც არავის უშავდება რაიმე...

საუზმის მოთავებას ჯერაც საკმაოდ უკლდა, მაგრამ კაფეს მყუდროება დაირღვა და წყვილის განმარტოებასაც ბოლო მოეღო.

თითქმის ერთიანი ღრიანცელით შემოიჭრა კაფეში სპორტულსამოსიანთა პატარა გუნდი. წყვილს არ დაუნახავს შეეგება თუ არა მათ ბარმენი იმ სამუდამო ღიმილით და ამის გამოკვლევა არც უცდიათ, ერთხმად წამოდგნენ მაგიდიდან. ნიკამ ზეზეულადვე მოსვა ჭიქიდან ცივი ჩაი და ქალს უთხრა – ანგარიშს გავასწორებ და დაგეწევიო.

ქალმა ის იყო ხის საფეხურები აასრულა, ნიკაც გამოვიდა და კაფეს კარები გამოიხურა. ჩანთა კვლავინდებურად მხარზე გადაეკიდა. ქალმა ადგილზევე მოუცადა და ნიკა რომ უახლოვდებოდა ჰკითხა:

– ნამგზავრი ხარ, დასვენება ხომ არ გინდა.

– არა, მაგრამ ოთახი მაინტერესებს.

– წავიდეთ?

– ხო, წავიდეთ.

ამინდი საკმაოდ შეცვლილიყო. ცა როგორღაც ერთიანად მოქუფრულიყო და სადაც იყო წვიმასაც დასცხებდა. მზეც კი განდევნილივით ამოფარებოდა ნესტიან ღრუბლებს და მათს უკანიდან ცდილობდა გამოეჭვრიტინა, ზედ მოჯრილნი კი არა რთავდნენ ამის

ნებას და ისიც თითქოს უფრო მეტი ვნებით ეტმასნებოდა სინესტეს, მხოლოდ ბოღლიწოსავით იეღინთებოდა თვითონვე და ისედაც ამღვრეულთ, კიდევ უფრო ბუნდოვნად ამღვრევდა.

– ალბათ იწვიმებს, – ზოგადად თქვა ქალმა და მოიბუზა, თითქოს უკვე გაწვიმებულიყო. მის მობუზვას ნიკამ ინტერესით შეავლო თვალი.

– შესაძლებელია, – თქვა მან. – თუმცა ისიც დასაშვებია, არც იწვიმოს, აი ხომ ხედავ არც სპორტულსამოსიანები ჩქარობენ, იმავე სიდინჯით განაგრძობენ გაზის ამოქარვებას, გუშინაც ასე იყო და რომ მეგონა არიქა წვიმას დასცხებს მეთქი, შენ წარმოიდგინე შევცდი, ეს თითქოს ბუნება გვეთამაშებოდეს ისეა, – მიუგო ნიკამ და ალბათ ვერც თვითონ წარმოიდგენდა თუ რაოდენ სიმართლეს ქადაგებდა.

მისი სიტყვები მალე გამართლდა. ჯერ კიდევ ნეკერჩხლებს შორის მიაბიჯებდნენ, მზემ ისევ გამოანათა და საკუთარი აბსტრაქცია უხერხული მანათობლობით შეცვალა. აი, ხომ გეუბნებოდიო თქვა ნიკამ და ქალს გადახედა, რომელიც თავის ქნევით ალბათ თანხმობას გამოხატავდა.

ქალი ჯიშიანი ქართველი გახლდათ. ქართული რასის ქალებისათვის დამახასიათებელი ამოღამებული უპეებითა და მუგუზალივით მოელვარე კუნაპეტი თვალებით. წარბებიც გაცვეთილი ნამგალივით მოღუნვოდა, თითქოს სასოებასა და მის წარკვეთასაც ერთდროულად გამოხატავდა, ხოლო პირზე ამ ქალისათვის სჯობდა ის პირბადე აეფარებინათ, რომელიც შემთხვევით ისიდას ააფარეს... მძიმედ და თითქოს უშნოდაც კი დგამდა ნაბიჯს, მაგრამ მთელი სილამაზე და ლაზათი სწორედ ამ სიმძიმეში იმალებოდა, ის იყო თითქმის... და სწორედ ეს „თითქმის“ იყო თვით ქალი, რომლის შემყურე კაცს მთქნარებას აწყებინებდა... ძნელი და უცხო იყო ყველასათვის, როგორც საერთოდ ქალი და ამასთანავე ის იყო შვილი იმ ასიმილაციამოუშლელი ერისა, რომლის სიძველეც თავის მხრივ კიდევ უფრო აძნელებდა მის, როგორც ქალის სწრაფწარმავლობასა და ხანმოკლეობას...

– გახსოვს, რომ ჩამოვედი შენ რაღაც უცნაურობებზე მეუბნებოდი, – დუმილი დაარღვია მან.

– ხო, მახსოვს, – მიუგო ნიკამ.

– რა უცნაურობებია ამისთანა, მეც გამანდე, რა, – შეევედრა ქალი და ნიკა ვითომ შეყოყმანდა.

– რა უცნაურობებია, ბატონო ჩემო, და... აი, მაგალითად, კვების საკითხი. თურმე ხუთშაბათობით ჩვენს სანატორიუმში სხვა დღეებისაგან განსხვავებით თევზის დღე ყოფილა, პარასკეობით მარხვისა, თუმცა გამონაკლისის სახით შესაძლებელი ყოფილა მარხვის დარღვევა და იცი ამ საკითხში როგორ არის საქმე? გამონაკლისს მთელი სანატორიუმი შეადგენს, – თქვა და გაიცინა ნიკამ. ქალმაც გაიცინა, მაგრამ არა დიდი ხნით, მისი სიცილი ქედმაღალმა ქარვებამ გაახუნა. ამასობაში შევჩენკოს აღმართიც დაიწყო და მათაც გამოზომილი ნაბიჯით იწყეს ზეასვლა.

რამოდენიმე სპორტულსამოსიანთა მცირე გუნდმა დროულად აუარეს გვერდი მათ სიზანტეს და ქალმა აქაურ ხეებს გახედა, უფრო სწორად ხის ტარებს და იკითხა:

– ეს იფანია? – ნიკა სიტყვიერად არ გამოხმაურებია თავი დააქნია და ქალიც მოეშვა.

სპორტულსამოსიანები ამ აღმართს სავსებით სწრაფად ფარავენ, თითქოს ეს აღმართი მათ ცხოვრებაში არ ითვლებოდეს. არც ერთმანეთში ლაპარაკობენ, ან კი როგორ ილაპარაკებენ, როდესაც ყოველ ნაბიჯზე სუნთქვა კიდევ უფრო უმძიმდებათ, რომელიც თანდათანობით ქშინვაში უნდა გადაეზარდოთ. სპორტულსამოსიანებთან დაკავშირებით ნიკამ კიდევ ერთი პუნქტით გაამდიდრა დაკვირვება, მათ თურმე გარდა ქშინვის მატებისა ის ცალი ხელი, რომელშიც მოუჩანთ მახვილგონივრული სასმისები, უძრავად ჰკიდებიათ და ამას ქალიც მიხვდა.

– ხედავ, – თქვა მან. – გარდა იმისა, რომ ადგილზევე მიირთმევენ მინერალებს, ნომერშიც კი მიაქვთ, რათა ორჯერ არ გახდეს რიგში დგომა საჭირო, მაშასადამე მათი კუჭები ოცდაოთხი საათის მანძილზე გამთბარია.

– არა მგონია მთლად მასე იყოს – გამოეპასუხა ნიკა და წამით შეჩერდა, თითქოს აზრს აყალიბებდაო და განაგრძო – ვგონებ რიგი, ე მაგეებთან არაფერ შუაშია, რადგანაც ისედაც ცნობილია, თითო ჩამოსხმა თითო რიგია, მაგათ უფრო ამ აღმართის უგულებელყოფა მოეწადინებიოთ ასე მგონია, აბა თვალი გააყოლე რა სისწრაფით აიჩქარიან, თითქოს ეს აღმართი მათგან უკითხავად

მოეთავსებინოთ ცხოვრების გზაზე. - ეს სრული სიმართლე გახლდათ და ნიკას გაუკვირდა თუ რატომ აქამდის ვერ შენიშნა. ქალი მძიმედ და უშნოდ დგამდა ნაბიჯს და არც გაემტყუნებოდა ის ქალი იყო. მისგან განსხვავებით ნიკა უფრო თმა გაბურძგვნილი იყო, დაბალიც კი ეთქმოდა, მოკლე ფეხებითა და სველი ხელისგულებით...

აღმართზე ქარვებასაც კი ერთგვარი სისწრაფე ემჩნევა. ოღონდ ეს ხდება ჯერ კიდევ ქვემოთ, თორემ რაც უფრო ზემოთ ადიოდნენ ნიკა და ქალი ეს ფუგები თანდათანობით ქრება, რადგანაც ქშინვა ყოვლისმომცველია, თითქოს უქარასხო სტვირებში ბერავდნენ ყველანი ერთიანად და თანაც მოსწრებაზე. მართალია ეს ხდება თანდათანობით, მაგრამ ამის გამორჩევა მაინც ხერხდება და ქალს თითქოს ყურები დაუგუბდაო ყბა დაჭიმა და ისე იკითხა:

- ვიმედოვნებ შემდგომში უცნაურობისაგან რამოდენიმე ნაბიჯი უნდა გვაშორებდეს.

- ფრთხილად ქალბატონო, ფრთხილად, ჯერ კიდევ თბილა, მიუგო ნიკამ.

მაგრამ სითბო თანდათან გაძლიერდა და საბოლოოდ ერთ ტონალობაზე გაჩერდა. მანვე მიაცილა ისინი სანატორიუმ „კრისტალის" ფართო მინებიან კარებამდე და იქ ოდნავი ვარდნა დაეტყო. სამაგიეროდ ეს ვარდნა მოჩვენებითი აღმოჩნდა და თავისუფლად გააჯერა სანატორიუმის ვესტიბიულიცა და ლიფტამდე გაჭიმული ტალანიც, უფრო კი ეს უკანასკნელი, რომელიც თითქოს თვითონვე ქშენდაო.

სპორტულსამოსიანები არც ლიფტთან ყოვნდებიან, ბოლოს და ბოლოს სათაკილოც კი იქნებოდა შეჩერებულიყვნენ მას შემდეგ, რაც ესოდენი თავგანწირვით დაფარეს აღმართი.

წყვილი მარტო აღმოჩნდა კაბინაში, თუ არ ჩავთვლით სართულის დამლაგებელ ქალს, რომელიც კაბინის წმენდით იყო დაკავებული და სანამ წყვილი თავის სართულამდე მგზავრობდა, მას წამითაც არ დაურღვევია თავშალწაკრული სიჩუმე და ჭინჭმომარჯვებული მორიდებულად იდგა თავისთვის კუთხეში. მორიდების გარდა მას თავშალის გვერდებიდან ნაბუარა თმაც მოუჩანდა და ნიკას ალბათ ამის გამო იყო, ფარას აცდენილი ნერბი მოაგონდა, იმპროვიზაცია ხანმოკლე აღმოჩნდა, ნერბს უნებლიედ ამოაქარვებინა... ოღონდ დარცხვენილად, ხელებჩამოყრილსაც კი.

სართულის დერეფანიც ცარიელი აღმოჩნდა. ნათურები არ ენო, ან რა საჭირო იყო, როდესაც მის ბოლოში გამოღებული ფანჯრიდან საკმაოდ იპნეოდა მზის ნატეხები.

ორადგილიანმა ნომერმა ქალზე საკმაოდ სათნოდ იმოქმედა. ასევე მაგიდაზე მოქცეულმა გამჭვირვალე გრაფინმაც, რომელშიც მართალია წყალი არ ესხა, მაგრამ თუ ზოლების სიმაღლისდამიხედვით იმსჯელებდა, არ იყო ძნელი იმის მიხვედრა, რომ ხელი არავის შეეშალა მის აირისებულ მდგომარეობათ გადასვლაში.

იმ დღეს საგულისხმო მეტი არაფერი გადახდენიათ. რომ წვებოდნენ ქალმა აივნის კარი გამოაღო, სუფთა ჰაერში დავიძინებთო გაივლო და შუქიც გამორთო. ნიკას კარგა ხანია რული მორეოდა და შეიძლება ითქვას, თვლემდა კიდეც. ღია კარში სუფთა ჰაერთან ერთად მინერალებიც შემოიჭრნენ, რომელთაც ნომრის სიბნელე კიდევ უფრო იდუმალებრივი გახადეს და ოთახი იავნანასავით სასიამოვნოდ დაარწიეს. ალბათ ძილიდან იძახიანო გაიფიქრა ქალმა და თვალდახუჭულმა ჩაისუნთქა ეს უცნაური ფუგები. ქალს ეჩვენებოდა, თითქოს ნოყოს შორიახლოდ გასულიყოს ღამით სასეირნოდ, რომლიდანაც მყვარების ორგია ახშობდეს მთვარის სილურჯეს და მათივე ქივილხივილით იქღინთებოდეს ნოტიო ნისლი, რომელიც შემდეგ ქვავივით ეწვეთებოდეს ხის ფოთლებს.

საკმაოდ აყურადა ამ ფუგებს, რაღაც მოტივიც კი შემოხაზა, რამაც საბოლოოდ მედიტაციურად იმოქმედა და ქალი მიაძინა კიდეც. ის უკვე სიზმარეულ ზმანებებში ჩაგრაგნილიყო, ნიკას რომ გამოეღვიძა, არც განძრეულა ისე გამოიხედა სიბნელეში. მთვარესაც გვერდის უცვლელად გახედა, ის სავსე და დალაქავებული იყო, როგორც გაზაფხულობით იცის ხოლმე და თვალებიც ისეთი ჩაშავებული მოუჩანდა, რომ ნიკას სიგარეტი მოუნდა.

ვეღარ მოისვენა, ფეხზე წამოდგა, შარვლის ტოტში გაუყარა ფეხი და ნომრის კარები ფრთხილად გამოიხურა, არ უნდოდა ქალი გაეღვიძებინა.

შენობიდან ისე გამოვიდა სულიერი არ შეხვედრია, თუ არ ჩათვლიდა გაურკვეველი ასაკის ადმინისტრატორს, რომელსაც სათვალე ჩამოცურებოდა და სადაც იყო მაგიდას ჩაეხუტებოდა.

გრილი ღამე იდგა, სასიამოვნო. ასფალტს ცისფრად ეფინებოდა ცის სილურჯე და მოკლე იფანთა ჩრდილები ლამის მისტიურად

ზოლავდნენ მის თალათინს.

კაცს არც პარკამდე შეხვედრია ვინმე და არც თვით პარკში. წამით შეჩერდა პარკის ტარასთან, რომელიც ზეცას მისჩერებოდა და გუგების ადგილას მთვარის ტყუპები ჩაჯდომოდა ქვის თეთრონებში. კაცმა რაღაც გაივლო და გზა განაგრძო.

ბაზრობისკენ მიიჩქაროდა.

შორიდანვე დაინახა, იქაურობა გაეჩახჩახებინათ და გაგანია ვაჭრობა მიდიოდა. საზრიანია ღამითაც რომ ვაჭრობენო გაიფიქრა კაცმა და შეუხვია.

შესასვლელი მთლიანად დაწნული გოდრებისათვის დაეთმოთ და რამოდენიმე მუშტარი ფასის დაკლებას თხოულობდნენ ლეჩაქმოხურული გამყიდველი ქალებისაგან, რომლებიც უარის ნიშნად ყველანი ერთ ტაქტში მდუმარედ აქანავებდნენ თავებს, თან ლეჩაქი საკმაოდ გადმოეწიათ შუბლზე ისე, რომ ლამპიონებიდან ჩამოღვრილი შუქი ვერ იტაცებდა მათ პირისახეს და ერთიანად ბინდი დაფენოდათ, მხოლოდ თვალები მოუჩანდათ, რომლებიც ლეჩაქის ქვეშ თითქოს ბნელ სიცარიელეში კიდიანო, მაგრამ ნიკა მათთან არ შეჩერებულა. უფრო ღრმად შევიდა და ამ თვალიერება-თვალიერებაში გადაავიწყდა რისთვის გამოსულიყო.

არ წვიმდა, ყოველი დახლი მაინც ფართო ზონტებს ქვეშ განეთავსებინათ. დახლებს უკან მდგომიარე გამყიდველებსაც იმ ლეჩაქმოხურული ქალებივით დაფენოდათ ბინდი და ამ სიცარიელეში თვალები მოუჩანდათ წერტილებივით; ეს ჩრდილის სიღრმეში თორემ თვით დახლებზე გამოფენილ საქონელს საკმაოდ ეფინებოდნენ ლამპიონები. ფარვანათვალები ხან შევიწროვდებოდნენ, ხან ისევ ფართოვდებოდნენ და ამის შემყურე კაცმა იმის გამოთვლა სცადა, თუ რომელი ღიმილისას იჭუტებოდა და რომელი მთქნარებისას, მაგრამ ვერ გაარკვია ორივე შემთხვევაში წყვილი წერტილები მაინც წყლიანდებოდნენ და თავი ანება.

ბაზრობის ბოლოდან ავტომანქანის საყვირების ხმა მოისმოდა, რომლებიც ნაწყვეტებს ასრულებდნენ ცნობილი მელოდიებიდან, და კაციც სწორედ მათკენ გაეშურა, თან გზად დახლებზე გამოფენილ შარვლებს აყურადებდა.

სანამ მიაღწევდა, ერთ დახლთან გაჩერდა და შარვლის ნაჭერი მოსინჯა ხელით. საერთოდ არ მოეწონა, მაინც შეყოვნდა და ზონტქვეშა

ბინდში შეიხედა ფარვანების მისაგნებად, თუმცა ვერაფერი გამოარ-ჩია და იქაურობა ცარიელი ეჩვენა. კიდევ უფრო ახლოს მიიწია, ოდნავ დაიხარა და შეიხედა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა, მაშინ დახლზე გადაიზნიქა და ის იყო სიცარიელეში ხელის მოფა-თურება დააპირა, ბუნდოვნად დალანდა ისეთივე წერტილები, ოღონდ იმდენად მოჭუტული, მათთან სიახლოვე რომ არა ალბათ ვერც კი შენიშნავდა. ისევ წელში გასწორდა და სინათლიდან გახედა, ისინი ისევ იქ იყვნენ სადაც დატოვა, მაგრამ მათზე შემოსალტული სიბნელე ხან თვალს აფარებდა ხან ისევ გამოაჩენდა. კაცი სულაც არ ჩქარობდა, იდგა და იცდიდა თუ რას იზამდა დახლს იქეთ მდგომიარე, და იმანაც თითქოს მიხვდა, რომ აზრი აღარ ჰქონდა და ნელი ნელ მოიწია შარვლებზე დაფენილი შუქისაკენ.

სინათლეც თანდათანობით აიტოტა მის პალტოზე და ბუნ-დოვნად, თუმცა შესამჩნევად, დაეფინა სახეზე, რომელსაც ნახ-ევრამდე უფარავდა აპრეხილი საყელო.

– ძალიან მომენატრე, – ხმადაბლა თქვა ნიკამ.

– მეც მომენატრე, – საყელოს ზემოდან მიუგო მურაზიმ.

– აქ რას აკეთებ, – ისევ ხმადაბლა იკითხა ნიკამ და მურაზიმ ჩაახველა.

– შარვლებს ვყიდი, – თქვა მან ისე, რომ საყელო არ ჩამოუ-შორებია. „ხო შარვლებს ჰყიდი" – ჩაილაპარაკა ნიკამ და შუბლი მხარზე ჩამოადო მურაზის. ის არ გარიდებია, მაგრამ თითქოს ეუხერხულაო. „წამოდი, გავისეირნოთ" ყურში უთხრა მან და შუბ-ლიდან გამოუძვრინა მხარი. „ხო, გავისეირნოთ, წავიდეთ" – ჩურ-ჩულით თქვა ნიკამ და კვლავ ხმადაბლა იკითხა „შარვლები?"

– მაგის დარდი ნუ გექნება, ხელს არავინ ახლებს, – მიუგო მურაზიმ და გასასვლელისაკენ გატრიალდა. ნიკა უხმოდ აედევნა, ისე რომ თავი არც აუწევია და ჩამოშლილი თმებიდან მურაზის ქუსლებს ხედავდა, ისიც რომ აიწეოდნენ ხოლმე, მაშინ.

ბაზრობის გასასვლელში გოდრებს მუშტარი აღარ ჰყოლოდა, ლეჩაქმოხურული ქალები თავებს მაინც აქანავებდნენ, როგორც ღობეზე ჩამომსხდარი ბეღურები. მათთან არც გაჩერებულან ისე გამოვიდნენ. „აქეთ წავიდეთ" მხარს ზემოდან გამოსძახა მურაზიმ და პარკის შუკებისაკენ გაუხვია.

ბაზრობა მალევე მიეფარა თვალს და ახლა ასფალტის თალათ-

ინზე დაფენილ მთვარეს ირიბ ზოლებად ჩრდილავდნენ გვიანი მგზავრები.

ნაღერალების რიგმა ზედ პარკამდე მიაცილათ და იქ დაფხვნილი აგურით დაემტვერათ ფეხსაცმლის კანტები. პარკი ცარიელი იყო, მხოლოდ მეეზოვის დუდღუნი მოისმოდა სადღაც შორიდან და ალბათ საქმიანობდა. ,,მაგას ყური არ ათხოვო" მხარსზემოდან უთხრა მურაზიმ და ნიკამ იკითხა რატომო.

– ერთი მურდალი და ოხერი ვინმეა, თავი გაანებე, – თითქმის კატეგორიულად თქვა მურაზიმ, მაგრამ ნიკა როგორადაც არ ეცადა დუდღუნი მაინც ჩაესმა. ,,ერთ დღესაც ღმერთმა გადმოხედა კოსმოსურ მიზანსცენას და შენიშნა, დედამიწას მოსვენება არ ჰქონია, მაშინ ღმერთმა გაიფიქრა დიდი სახლაფორთოაო და უნენბლიედ დედამიწა სათვალავიდან ამოვარდა"

– ნუ მიუგდებ მეთქი ყურს, – კატეგორიული ხმით წამოისროლა მურაზიმ, ოღონდ არა ისე რომ განაწყენებულიყოს, არამედ თითქოს დანანებით.

პარკის გვერდითა მხარეს შეუხვიეს, მინერალების მოყვარულთა რიგის უკანა მხრიდან და ეს ვიწრო ბილიკი ისე დაჩრდილეს, თითქოს თოვლში ქელავდენო ქაშანს და ჩრდილებს უკან, ბილიკის სივიწროვეზე მოუყვებოდათ მთვარის სიყვითლე და ახლად გაქელილს ისევ პაპყით ავსებდა. ბილიკი მოკლე აღმოჩნდა და ხეებს შორის გათავდა. იქვე გაჩერდა მურაზიც და ზურგშექცევით დადგა ნიკასთან. ,,ხედავ იმ შენობას?" – იკითხა მან, თუმცა უადგილოდ, ერთსართულიანი სახლის ღია ფანჯრებიდან საკმაოდ იღვრებოდა შიდა განათება.

– ხო, ვხედავ – გამოეპასუხა ნიკაც ისე რომ ფანჯრებისათვის თვალი არ მოუცილებია.

– გინდა შიგ შესვლა? – ჰაერში იკითხა მურაზიმ და ხმას დაუწია.

– ეგ რა შენობაა? – იკითხა ნიკამაც და მურაზის მართალია სახე არ უჩანდა, ყოყმანი მაინც შეეტყო.

– როგორ გითხრა – თქვა მან – თავისუფალი ოთახია.

– არა, შესვლა არ მინდა ისე მომიყევი – შეევედრა ნიკა და მურაზი ისევ შეყოყმანდა.

– იქ არაფერია, – თქვა მან და ჩაფიქრდა თითქოს რაღაცას

იხსენებდა. - არაფერი, ცარიელი კედლებია.

- კიდევ, - ვეღარ მოისვენა ნიკამ.

- კარგად მიგდე ყური, - გაცხარებით ითხოვა მურაზიმ - ეს მხოლოდ სიტყვებია, თუმცა მაინც მოისმინე. თავიდან თურმე ძველი აღთქმა მთელი თოთხმეტი გვერდით მეტი ყოფილა იმასთან შედარებით, რამაც დღევანდლამდე მოაღწია და იცი რა წერებია იმ ფურცლებზე? - სავსებით არაფერი, ფურცლები სდუმდნენ... მაგ შენობაშიც სწორედ მაგის აღდგენას ცდილობენ, წარმოგიდგენია სიცარიელის აღდგენა? იმ კედლებზე არაფერია გამოფენილი, ის მნახველმა უნდა შეავსოს სასურველი ხატოვანებით და სურვილისამებრ გადაწყვიტოს ესაუბროს თუ არა, - ერთ ამოსუნთქვად მიახალა მურაზიმ ნიკას.

- ესაუბრო, გულით? - იკითხა ნიკამაც.

- არა, მაქ ეგენი არ გამოგადგება... სხვაგვარად გეტყვი, აი მაგალითად, როგორ წარმოგიდგენია სალხინებელი.

- სალხინებელი? - დაეკითხა ნიკა, - სავსებით არ წარმომიდგენია.

- მაშინ მომისმინე, იქ როგორც ამბობენ თურმე ცარიელ ფურცლებს არიგებენ, რომელიც საკუთარი curriculum vitae-თი უნდა შეავსო და ამასთანავე არავინ გამოწმებს.

- ხო, მაგრამ ასეთ დროს ხომ ბევრი რამის გვერდის ავლაც შეიძლება, - დაეჭვდა ნიკა.

- კი, - დაეთანხმა მურაზი. - ოღონდ ეგ უკვე შენს სვინდისზეა დამოკიდებული.

- დიდი საჩოთირო რამ არის. - თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკამ. - მასეთ რამეზე მწყემსი განაწყენდება.

- განაწყენდება? - გაუკვირდა მურაზის და ჩაფიქრდა. - გინდა მწყემსი დაგანახო? - იკითხა და რახან ნიკამ პასუხად მხრები აიჩეჩა, ისევ მურაზიმ თქვა. - წამოდი არც ისე შორია.

თქვა და ნიკას აღარც დალოდებია - გატრიალდა. იმავე ბილიკით გამობრუნდნენ პარკში, არ შეჩერებულან და ქვის საფეხურებზე აემართნენ, რომლებიც შევჩენკოს ქუჩაზე აედინებიან.

მურაზის ეტყობოდა, რომ ჩქარობდა და კაცისკენ საერთოდ არ გამოუხედავს, არც ნიკა უძახდა და ისევ ისე თავდახრილი მიუყვებოდა მის ნაბიჯს. შევჩენკოს აღმართსაც ნაჩქარევად აუყვა მურაზი.

იფნებს ისევ ირიბ ზოლებად დაეჩრდილათ ასფალტის თალათინი. ნათელი ღამე იყო, ლურჯი და გრილი. კაცი ოდნავ წელში მოხრილიყო, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაეწყო და ცისფერ თალათინს დაჰყურებდა. სანატორიუმს რომ გაუსწორდნენ მურაზის გასძახა, აქ მომიცადე ახლავე მოვბრუნდებიო და რახან მურაზის აღარაფერი უთქვამს დროულად გაემართა და სანატორიუმის ფართო მინებიან კარს მიეფარა.

ადმინისტრატორს უკვე მოესწრო მაგიდასთან ჩახუტება და არა მარტო, საურივითაც კი ამოედო მოხრილი ხელი თავქვეშ და ასეთ დროს მისი ასაკის გაურკვევლობა კიდევ უფრო თვალშისაცემი ეჩვენა ნიკას.

ნომრის კარები სიფრთხილით გამოაღო და მიხვდა, ქალს არ შეემჩნია მისი არყოფნა, გვერდი ეცვალა და ოთახისაკენ ზურგით იწვა. ნიკა გაუხდელად მიუწვა გვერდით და თავზე გადაუსვა ხელი. ქალი შეიშმუშნა

– გათენდა? – იკითხა მან ძილიდან.

– არა, არ გათენებულა, – ჩუმათ ჩასჩურჩულა ყურში და რახან ქალი ისევ შეიშმუშნა, ჩურჩულით დაამატა, – მწყემსის სანახავად მივდივარ, გინდა წამოხვიდე?

– რა დროს მწყემსია, დაწექი დაიძინე – ბალღივით დაუბუზღუნა ქალმა და ნიკა მიხვდა, ის ისევ ძილში ჩაგრაგნილიყო.

კაცი ფრთხილად წამოდგა, აღარ გაჩერებულა და გამობრუნდა, მხოლოდ აივნის კარები მოხურა, არ შეეცივდესო.

მურაზი სადაც დატოვა იქ დახვდა და ალბათ არც განძრეულიყო. ნიკა რომ მიუახლოვდა არც მაშინ გამოუხედავს ისე უთხრა წავედითო.

სანატორიუმს ხმისამოუღებლად აუარეს გვერდი და მის უკან ჩაშვებული ხეობისაკენ აიღეს გეზი.

ხეობის ყელი არც ისე ღრმა აღმოჩნდა, როგორიც თავიდან ეჩვენა კაცს. სანამ დაღმართი დაიწყებოდა ვიწრო ბილიკი ერთი ხანობა იკლაკნებოდა, თუმცა მაინც სწორად მიემართებოდა და მერე ერთიანად ქვევითკენ იღუნებოდა. დაღმართში გვერდულად მოუწიათ ჩასვლა, რომ არ წაქცეულიყვნენ, სვლა შეანელეს, ნიკა რამდენიმეჯერ წაბორძიკდა, თორემ მურაზის ემჩნეოდა თვალაფარებულიც გაიკვლევდა გზას.

ეს ბილიკი კვეთდა შუაზე ხეობასაც და იმ საფეხურებივით

გადაბმულ გადანაფსკვული მთებისაკენ მიუყვებოდა, რომლებიც ქვემოდან, როგორც ერთი მთლიანი აღმართი, ისე მოსჩანდა, როგორიც ზაფხულის ღამით დანახული მოთხილამურეთა ტრამპლინი. მთების გამოყოფა ერთმანეთისაგან მთვარისფრად მოციმციმე ქიმებითაც შეიძლებოდა და ნიკა ჯერ კიდევ მანამ მიხვდა, რომ გრძელი და მძიმე გზა ელოდათ ვიდრე ბილიკი აღმართს აუყვებოდა. ქიმების გარდა მათამდე გაჭიმული ფართობებიც სხვაობრივ ტონებად დალაქავებულიყვნენ, ეს ალბათ ჩრდილების თამაშიაო გაივლო ნიკამ და ბილიკიც გაწყდა, ოღონდ არა ერთიანად, არამედ თანდათანობით თითქოს ფეხქვეშიდან გამოეცალათო. მან პირველი მთის ძირამდის მიაცილათ და იქ გათავდა, შეუმჩნევლადაც კი გადავიდნენ დატკეპნილიდან უვალ მიწაზე.

მურაზიმ შეიძლება ვერ შენიშნა ბილიკის გასრულება და ალბათ ასეც იყო.

მანძილი პირველ ქიმამდე მოკლე აღმოჩნდა, უფრო ბორცვი ეთქმოდა ვიდრე ქიმი; მასზე შეჯოგილი alchemilla და veratrum lobelianum მთვარით დაცვარულიყვნენ, ისინი ჯგუფებად დაბორცვილიყვნენ და მათ შორის მიწას კიდევ უფრო ემატებოდა სიშავე. ქიმი სავსებით მოტიტვლებულიყო, მისი წვერი მთვარეს ირეკლავდა, თითქოს ზედ კვარცის მტვერი დაპნეულიყო.

პირველი მაღლობი მურაზიმ მალევე გადაიარა და მის მომდევნოს აუყვა. მცენარეთ ახლოს რომ ჩაუარეს, ნიკამ მერეღა იცნო oxsalis corniculata და hibiscus trionum ამ მაღლობსაც კვარცდაპნეული ქიმი მოუჩანდა.

ესეც მალე გადაიარეს და შემდგომს გაირკვა რომ zugophyllum fabago და colutea orientalis დაუფლებოდა, რომელთა ბუჩქებს შორისაც რამოდენიმე ალაგას lactarius deliosus ამოეყოთ თავები.

მის შემდეგი ძირიდან უფრო მუქად აფორეჯებული ეჩვენა კაცს და არც გაემტყუნებოდა. ქვემოდან tulipa და stachus silvatica აბაცებდნენ მთვარეს. ყოველი მომდევნო ფერდობი თვალსა და ხელსშუა მუქდებოდა და ჩრდილების თამაში აქ არაფერ შუაში ყოფილა, როგორც თავიდან ეჩვენა კაცს.

ამაში ადვილად გადარწმუნდა, როდესაც geranium და glycyrrhiza glabra საუფლოზე შედგეს ფეხი. მომდევნო კი მთლად შავად დალაქავებულიყო.

ეს aiuga genevensis და muscari ალაქავებდნენ წვიმის წვეთებივით მიწის სიშავეს.

წამითაც არ გაჩერებულან არსად გვიანი მგზავრები. ყოველი ქიმი ისეთი სისწრაფით გადმოიარეს, რომ არც დადიოდნენ და ვიღაცის მონაყოლს ან სადღაც და ოდესღაც გაგონილს იხსენებდნენ. მაშინ და აქ და მერე და არსად.

უკანასკნელ მაღლობს მთლიანად scilla და nigella sativa კირწყლავდა და ფერდობს ფეთქავდა, ცა ტბაზე ჩამომჯდარიყო და საკუთარი თავის დანახვაზე ეცინებოდა.

არც აქ გაჩერებულან. ერთ ნაბიჯში ზედ გადაევლენ აქაურ დანაპნევს და იქვე გაჩერდნენ. მთის უკან ჩავარდნილ ქანჩახისაკენ სანამ ჩაადგამდნენ ფეხს, სვლა ოდნავ შეანელეს და მურაზი გაჩერდა.

– მანდ ჩამოჯექი სადმე, – უთხრა ნიკას ისე, რომ არც მოტრიალებულა მისკენ. ნიკაც გაჩერდა მაგრამ, არ ჩამომჯდარა, ქანჩახის იქეთ ამართულ ფერდობს აყურადებდა, რომელიც ამ უკანასკნელს უთანაბრდებოდა მგზავრები რომ იდგნენ. თურმე რა ახლოს ყოფილაო ფიქრობდა ნიკა თავისთვის და აშლილ ფერდობს გაჰყურებდა, მაგრამ რას გამოჩნდებოდა თურმე მთები ეფარებოდნენო.

ფერდობი წინებთან შედარებით როგორღაც თვალშისაცემად და ერთბაშად დალაქავებულიყო. ლაქების ნაწილი თავის სიმუქით თითქოს მიწის სიშავეს შერწყმოდნენო, ნაწილიც კი დატბორილიყო, ისე ამოვარდნილიყვნენ საერთო ხასიათიდან. იქაურობას trolius patulus და agrostemma githago ლოკავდნენ, ძირითად ფონს მაინც conium maculatum ელაქუცებოდა. ასე რომ, მათზე დაფრენილი ბზიკები ზედვე იღიმოდნენ შეჩერებული კადრივით.

ფერდობის შუაში პატარა ეზო შემოეღობათ და მის შიდა მიწაც მოვლილი და მიხედილი მოსჩანდა შორიდან. შემოღობილში ქოხი იდგა, რომლის გამურული ფანჯრებიდან მქრალად გამოღამებული სინათლე ეზოსაც კი ძლივას ეფინებოდა. ღობის გაყოლებაზე რამდენიმე ვაზის ძირი გაეშვათ საკმაოდ ტანმსხვილი და დაფოთლილი, ალბათ ამის გამო ოლიხნარის წელკავები შეეყენებინათ, როგორც ხნიერთათვის. ქოხის ბუხრიდან კვამლი ამოწელილიყო და ცის სილურჯეზე მიცოცავდა. ფანჯრიდან გადმომქრალებულ სინათლეს დიდი ბომბორა მურა ამოწოლოდა, საბანივით გადაეფარებინა და

ალბათ ეძინა.

მურაზი არც მოტრიალებულა ისე უთხრა – ე მაგ ქოხში ცხოვრობს მწყემსი – და ნიკაც თითქოს ამის გაგონებასღა ელოდა, ხმადაბლა ითხოვა რაიმე მომიყევიო.

– აბა რა ვიცი, რა მოგიყვე, – თქვა მურაზიმ. – ამჟამად ალბათ ღომს ხარშავს.

– რა, ღომი უყვარს? – იკითხა ნიკამ.

– ხო, – მიუგო მურაზიმ. – მასე ამბობენ, იმასაც თითქოს ერდოს ქვეშ დღენიადაგ შუა ცეცხლი ენთოს, ზედ ნაჭაქვაბს ათუხ-თუხებს თურმე და ყოველწუთას იმას ამოწმებს არ გადადუღდესო. სტუმარი როცა მოუვა, თურმე ამოუსმევს იმ დიდ ლაფერას და ასინჯებს. თან ერთი და იმავე სიტყვებით ეხმიანება „გამისინჯე ბაბუკა, მეშინია ძირი არ მიიწვასო" და ვერც კი ხვდება ალბათ, როგორ ეთუთქება სტუმარს ტუჩები...

– სხვა დროს რას საქმიანობს?

– რა ვიცი აბა, – გააგრძელა მურაზიმ. – მაგისას რას გაიგებ, მოუსვენარი ბერიკაცია, გამობაჯბაჯდება ხოლმე თავის ვეება პლა-შით, მიუჯდება ხოლმე იმ უსურვაზებს და ელაპარაკება და ედუ-დღუნება გაუთავებლად. ხანდისხან ისეთ მიეთ მოეთს მოჰყვება, მცენარეს კი არა, არც თვითონ უნდა ესმოდეს. მაღალი კაცია, ძვალმსხვილი და გამხდარი, მართალია ერთიანად მოხრილი და მოტეხილი დაბაჯბაჯებს მარა კუზიანი არ ეთქმის. თმაცა და წვერიც მთლად გასთეთრებია, დიდი მარღი თვალები აქვს, ოღონდ ლამაზი... წვიმის მერე ხანდისხან თურმე ცისარტყელას მიაშტერდება და მაშინ ერთი საცოდაობა ყოფილა მაგის ყურება; დგას ამოდენა კაცი წელში მოხრილი, გულში ფაფანაკი ჩაუხუტებია და იცრემლე-ბა თურმე, თანაც ისეთი მოხრილი დგას, თითქოს კვერს უკრავდეს... ამბობენ მაგ დროს ცისარტყელა უდგას თვალებშიო...

მურაზი უცებ გაჩუმდა. ქოხის კარები ჭრიალით გამოიღო და ღრიჭოში აცაბაცად ჩადგა სინათლე; შიგნიდან ძაღლს გამოსძახეს რაღაც და იმანაც თავი წამოსწია, მერე როგორც იქნა ფეხზეც წამოდგა და მძიმედ შებუნძულდა კარში.

– ჭაღარა წვერი ჰქონია, – ჩაილაპარაკა ნიკამ.

– კი, – გამოეპასუხა მურაზი. – ჭაღარა აქვს, ახლოდან რომ ნახო თურმე სულ მთლად თივთიკივით ფარღალალა ჰქონია.

– რაო, სულ ვეღარ მწყემსავს? – იკითხა ნიკამ.

– ვერა, ამბობენ ბოლოს პატარა ნოტოღა შემორჩენიაო, რომელიც იქვე ქოხის უკან ჰყოლია ეზოში გაშვებული. მაგრამ ისინიც სულ პეტელ-კიჟინით დაჰფანტვია აქეთ იქეთ და დარჩენილა ახლა მარტო იმ ძაღლთან ერთად.

– რა ძაღლია, ხნიერია? – აღარ მოისვენა კაცმა.

– ხნიერია, თითქმის მაგის ტოლაა... ისე რა ვიცი, ნაგაზი უნდა იყოს...

ნიკამ იცოდა, ქალი მის უკან იდგებოდა, ასე იყო მუდამ, ქალი ყოველთვის მის უკან იდგა და მიტრიალდა, მურაზიმაც მოიხედა. ქალი ქიმზე იდგა და წვეტზე დაპნეული კვარცი კოჭებსა და მუხლისთავებზე ეფინებოდა. თავდახრილი იდგა, თმებჩამოშლილი...

– გინდა ვინახულოთ? – ჩუმად ჰკითხა ნიკამ და ქალი შეიშმუშნა.

– ხო, მინდა – თქვა მან. ნიკა მივიდა, ხელი ჩაჰკიდა და თმაზე გადაუსვა ხელი. მურაზის არაფერი უთქვამს, უხერხულად გატრიალდა, მხოლოდ ჩაილაპარაკა „აუ, ეგ მეტისმეტიაო“ და უკან გაბრუნდა.

ერთი ხანობა ქიმზევე იდგნენ ხელჩაკიდებულნი და ალბათ ვერც ამჩნევდნენ artemisia annua თავის სურნელში რომ ახვევდათ. ბოლოს კაცმა „დროაო“ თუ რაღაც მისდაგვარი ჩაიბურდღუნა და დაეშვნენ.

ქანჩახი დიდი არა ყოფილა, ბნელი კი იყო, ოღონდ ადვილად სავალი, მალევე ამოიარეს მისი ღრუ და დალაქავებულ ფერდობსაც ნაჩქარევად აუყვნენ. კაცი წინ მიდიოდა, ხელი ქალზე ჰქონდა ჩაკიდებული და ისიც მიუყვებოდა თავდახრილი, თავის მძიმე და თითქოს უშნო ნაბიჯით.

არც კუტიკართან შეჩერებულან, ჭრიალით გამოაღო ნიკამ და ეზოში შევიდნენ. ქოხიდან ძაღლის ხველება მოისმა და კარიც გამოიღო, „მოით, ბაბუკოებო, მოით, სად დაეხეტებით ამ ბნელში“

ქოხი ისეთივე იყო, როგორიც მურაზიმ აღწერა, შუაცეცხლზე მართლაც დიდი ქვაბი თუხთუხებდა და მანაც აღარ დაახანა „ბაბუკა, ერთი გამისინჯე, მეშინია ძირი არ მიიწვას“ თქვა და ორთაყვირივით ორივ ხელით ამოუსვა დათუთქული ლაფერა.

ნიკა განზე იდგა და კაცს ისე უყურებდა, თითქოს ვერც ამჩ-

ნევდაო. ქალმა ახლა ასწია თავი, თმა ხელით გადაიწია და ტუჩები დაადო ფაფას.

– არა, ჯერ უკლია, – თქვა მან და თავი ისევ ჩახარა.

– მოით, ბაბუკოებო, მოით, აქეთ ჩამოვჯდეთ, – ჩაიდუდღუნა ბაბუაწვერამ და კედელზე მიდგმულ მოკლე ნალოსაკენ გაბაჯბაჯდა. ქალმაც გადადგა ნაბიჯი, წამით შეყოვნდა, თავჩაქინდრული იდგა, მერე თვითონაც გვერდით მიუჯდა და კალთაში ჩაუდო თავი; და ალბათ დაეძინა. ნიკა ადგილიდან არ დაძრულა, ჭროღა თვალებში ჩახედა და ისე იკითხა:

– მწყემსო, თოვლი მართლა შენი ქერტლია? – პასუხად ძაღლმა ჩაახველა ყრუდ.

– ე მაგას მიუგდე ყური, მაგ მუდომ ყველაფერი იცის, – ჩაიცინა ჭაღარა წვერში ბაბუაწვერამ და თავის კალთაში ჩაძინებულ ქალს თავზე მიეფერა. – მოი ბაბუკა, შენც ჩამოჯექი. – თქვა მან მაგრამ, ნიკას არ გაუგია, ქალს უყურებდა, უფრო სწორად ქალის ძილს და ხვდებოდა რომ მუდამ ასე იყო, ქალს ყოველთვის სხვა ეფერებოდა.

აღარ დალოდებია, ნაჩქარევად გაბრუნდა და კარები გაიხურა.

დილით სანატორიუმ „კრისტალის" ერთ-ერთი აივნის რაფაზე პატარა ასპუჭაკი იჯდა და აფხორილი რაღაცას გალობდა, ოღონდ მისი ჟღურტული ალბათ არავის ესმოდა. ის კი იბუზებოდა, თითქოს შეამცივნაო და დილის სინოტივეს მხრებზე იფენდა. უცებ საიდან-ღაც ქარვებამ დაუბერა, შორედან, თითქმის ბავშვურად ან არასე-რიოზულად, მაგრამ ასპუჭაკმა შეწყვიტა გალობა, ერთი შეფრთხ-იალდა და გაფრინდა"

„ძალიან კარგი" თქვა მოხუცმა დამთავრებისთანავე და ეს ვერ მიხვდა რას გულისხმობდნენ. კარგია რომ დამთავრდა თუ კარგია შინაარსი. არც ჩაძიებია და თქვა „თქვენ როგორ მირჩევთ, ღირს ისევ მოსვლა თუ არა". მოხუცმა ქვედა ტუჩი ამოატრიალა და დაიწყო „მე ვერაფერს გეტყვით, ამ საკითხში მე არაკომპეტენტური ვარ, თქვენს მონათხრობს გადავცემ და თუ დაინტერესდნენ იმ შემთხვევაში აუცილებლად დაგიძახებენ" ამან მეტი ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო, მოხუცი კარებს მიეფარა და სანამ ბოლომდე მოხურავდა ნაპრალიდან დაიჩურჩულა „ზეგ მოდით" და კარებიც დაიხურა. საკეტმაც გაიჩხაკუნა და ის კვლავ იმ კარებთან აღმოჩნ-და, რომელზედაც მოხუცის გამოჩენამდე აკაკუნებდა. იცოდა რომ

აღარაფერი ესაქმებოდა იქ. მაგრამ ადგილიდან ფეხს ვერ იცვლიდა. მზად იყო ზეგ დილამდე აქვე დაეცადა, კიბეზე ჩამოჯდებოდა და გადაატარებდა როგორც იქნებოდა, მაგრამ არ უნდოდა მოხუცს თვალში გაჩხეროდა, მოხუცს კი არა იმათ, კონკრეტულად ვის, თვითონაც არ იცოდა, შეიძლება რაღაცას ხვდებოდა, ოღონდ ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა.

კიბეს ჩაუყვა, ნელა მიაფლატუნებდა ძირგავარდნილ ფეხსაცმელებს, დაპყრობილ, გაძარცვულ და მიტოვებული ქალაქის ხნიერი ლანდივით უმისამართოდ ბორიალობდა კუთხეებწატეხილ საფეხურებზე. სადღაც ქვევიდან, არც ისე შორიდან ჩქარი ნაბიჯების ხმა მოესმა და ის იყო ნაპრალში გაიხედა, რომ ვიღაცის ზურგმა გაიელვა და ისევ თვალს მიეფარა. მერე ისევ გამოჩნდა და კვლავ გაუჩინარდა. ეტყობოდა, ისიც ზევით ამოდიოდა და ცოტა ხანში მისი ცარიელი მზერის წინაშე წარსდგა. უცნობმა ნაბიჯი შეანელა. ერთმანეთს საზიარო საყვარლის პაექრობაში გადაზრდილი ნაცნობებივით შეავლეს თვალი და გვერდი აუარეს. მისკენ აღარც გაუხედავს, კაკუნი მას უკვე შორიდან მოესმა და დაასკვნა, უცნობიც მასავით პირველად იმყოფებოდა, რადგანაც მოხუცის მიერ მოცემულ ნიშანს არ უტოლდებოდა მისი კაკუნის ოდენობა. და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, კარის გაჭრიალების ხმა მაინც გაიგონა. ამან ისე გააკვირვა, მტკიცედ გადაწყვიტა ფეხი არ მოეცვალა იქედან და რამდენი ხანიც დასჭირდებოდა, იმდენი დაეცადა მისი გამობრუნებისათვის. სართულის მანიშნებელს გახედა. ხუთიანი წაქცეულად ეწერა კედელზე. კუთხეში აყუდებული და დამტვერილი ყუთებიდან შეძლებისდაგვარად მყარი ამოარჩია, რომელზედაც დაფენილ მტვერს ვერაფერი დააკლო, კი არ დააკლო, კიდევ უფრო გამოაღვიძა სიცივისაგან ჩაძინებული და ზედვე ჩამოჯდა წინგადახრილი და მუხლებზე ჩამოეყრდნო. ცოტა ხანში აუტანლად შეაწუხა ყუთიდან ამოსველებულმა სინესტემ და მისგან თავისდაღწევის მიზნით ფურცლები ამოიღო, რამაც ტანჯვა ოდნავ გაუნელა და უძრაობისაგან სიცივეშეპარული სახსრები რომ გაეთბო ხელფეხი უხასიათოდ აათამაშა. ვერაფრით მოახერხა სიცივისაგან თავის დაღწევა და ფეხზე წამოდგა. რამდენჯერმე აიარ ჩაიარა გრძელ კიბეებზე და ოდნავ სული რომ მოითქვა, ისევ ყუთზე დაფენილ ფურცლებზე ჩამოჯდა. ახლა საკმაო დრო მიეცა რაიმე მოეფიქრებინა, მაგრამ

ჯინაზე ვერაფერს ფიქრობდა. ძალად გადაიტანა ყურადღება სადარბაზოს მოწყობილობაზე. გაჭიმული თვალებით ასრიალდა სხვადასხვა ზომის გამოხუნებულ მილებზე, რომლებიც ერთად მოექციათ საპირისპირო კუთხეში. ყველაზე უფრო ფართოს შუშბამბა შემოხვეოდა, შუშბამბას მავთული, რომელიც იქამდე გაეწყვიტათ, სანამდენაც ფეხის წვერებზე შემდგარი მისწვდენოდნენ. ბოლომდე აუყვა ბამბიან მილს და მეზობლისგან ჩამოჟონილი წყალივით დალაქავებულ ჭერს ახედა. ნერწყვიანი გაჯით მიკრული ასანთის ჩამწვარი ღერები მარჯვნიდან მარცხნივ რამდენჯერმე გადაითვალა. ბოლოს ანგარიში აერია და ისევ მილების საუფლოს მიაშურა. მათში გაჩხერილი წარბჩატეხილი თოჯინა შეამჩნია, ყურადღება არ გაუმახვილებია და ძალაუნებურად ისევ მუხლებს დაეყრდნო. სიცივე კვლავ უტევდა მის ფეხისგულებს და აიძულა ამდგარიყო და ადგილზე მაინც ჩაებუქნა. მცდარი ნიშნით მოკაკუნე კი არადა არ ჩანდა. გაიფიქრა, ხომ არ მომჩვენებიაო და სიცარიელისაგან თავი ისე დაუმძიმდა, მზად იყო დაეჯერებინა ეს. ძილმორეულმა შეისხა უხილავი წყალი სახეზე და გაშლილი მტევნებით სიფხიზლემდე გაიღიზიანა კანი. ერთი პირობა ისიც კი დააპირა კედელს მიყუდებოდა, ისე გადაეღალა საყრდენად ქცეული ხერხემალი, მაგრამ პაპირუსებივით უხეშად მიბნედილ საღებავში დაუზარლად ატანდა შიმშილის თავის მახსენებელი სიცივე და ბოლომდე რომ არ დანებებულიყო წამოდგა და ხელით მოსინჯა მილები, ხომ შეიძლება თბოგაყვანილობის ყოფილიყო რომელიმე მათგანი და დაასკვნა, რომ თურმე არ შეიძლებოდა. ვეღარ ჩერდებოდა ერთ ადგილას, ვერც წასვლა გადაეწყვიტა და გაუჩერებლად დადიოდა ერთი კედლიდან მეორემდე, საკუთარ ნაბიჯებს სახლისკენ მიმავალი ლოთივით ითვლიდა და ციფრების შეჯამებამ უფრო დაღალა. ისევ ახსენეს თავი უნიკოტინობისაგან წამებულმა ფილტვებმა და დაასლოკინებინეს. მათ მოთხოვნას რომ გაქცეოდა ფანჯრის ძებნა დაიწყო, იქნებ ქუჩაში ყურებით გადაეტანა ყურადღება... ეს მაინც რა იქნა, სად არის ამდენი ხანი. არ დაუნახავს რომელ კარებზე დააკაკუნა, ხომ შესაძლოა, სულაც სხვა სართულზე შეუხვია, მაგრამ, რაღა მაგრამ, შეიძლება ტყუილად ზის და უცდის. რომც ადგეს და წავიდეს, სად წავა, შეუძლია უმისამართოდ იხეტიალოს ქუჩაში, ანდა სახლში მიბრუნდეს და ლოგინზე წამოწვეს... არა, ოღონდ სახლი არა, ისევ

ქუჩაში ხეტიალი ჯობია, ისე არც ქუჩაში დაკარგვია რაიმე. ამაზე უკეთეს ადგილს მაინც ვერ მოძებნის, მართალია ცივა და უკვე ჩამობნელდა კიდეც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არავინ აწუხებს. ბოლოს და ბოლოს ტყუილად ხომ არ იცადა ამდენი ხანი. ამას ძალიან გვიან მიხვდა, აღარ გამობრუნებულა უცნობი, ვის გამოც მთელი დღე დაკარგა ამ სადარბაზოში. მიიკარგა, თითქოს მართლა მიწას ჩაეყლაპოს. აღარც ფაჩუნი გაუგია და აღარც საკეტის ჩხარუნი. ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობასავით ეულად იდგა წახნაგოვანი სადარბაზო. ღამის გათენება ნამდვილად აქ მოუწევს. აღარ გაბრუნდება, სანამ უცნობს არ ნახავს თავისი თვალით.

ფათურით მოაჩოჩა მეორე ყუთიც რომ უკეთ მორგებულიყო. არც ამან უშველა, საბნის მაგიერ ღამის ყინვა გადაიფარა და მუმიასავით გაყუჩდა გარდუვალობის წინაშე. არაფრით ეკარებოდა სანატრელი ბურანი, ეპარებოდა კი არა, კარგა ხნის წინ დააწყებინა მთქნარება, მაგრამ ძილს შავი დღისთვის გადანახული ფულივით თავქვეშ იკუჭავდა, როგორც უხეშ მუთაქას და ფიქრებწაშლილს მუხლისთავები სტკიოდა. ნათურებივით ბეუტუნებდნენ, როგორც ძვლებს შორის მოწეწკვილი ნერვი. ძილში შეხტუნებულივით ასავსავებდა მუხლებს, ერთმანეთზე ახახუნებდა და ცდილობდა ყურადღება არ მიექცია. საკმაო ხანი იწრიალა სიჩუმისაგან გაწამებულმა. უკვე აღარ სციოდა. სადარბაზოს ტემპერატურით გაჯერდა მისი სხეული. სიცივემ ცალკე, შიმშილმა ცალკე თავისი გაიტანეს და კისერწაწყვეტილს სანამ მამლის მაგიერ მამლებიანი საათები აყივლდებოდნენ, ჩაეძინა. კი არ ჩაეძინა, ჩაკვდა, ყურში რომ ჩაეჩხავლათ ვერ გაიგონებდა. თუმცა გაიგონა, როცა შეანჯღრიეს და უთხრეს აქ ძილი არ შეიძლებაო. მაშინ კი გამოღამებული თვალებით, მწიფე ალუჩასავით ამღვრეული სახით და დაღლილი სხეულით მოუწია წამომჯდარიყო და ყუთიდან ჩამოეშვა სიცივისაგან დასველებული ფეხები ძირს, რომლებიც იარასავით ექავებოდა. თავიდან ვერ მიხვდა ვინ ანჯღრევდა, წარბშეკრულმა გამოხედა ძილიდან. ვერც გამოფხიზლების შემდეგ გაარკვია მისი ვინაობა, დაინტერესდა კიბეზე ამავალი იყო თუ ჩამავალი, მაგრამ ვერც ამან გაარკვია უკეთ. სანამ უცნობი გაერიდებოდა, ჯერ თანაგრძნობის ღიმილი ესროლა, თითქოს იმის თქმა უნდოდა, შევდივარ შენს მდგომარეობაშიო, თქმით კი არაფერი უთქვამს და წავიდა. თანაგრძნობის ღიმილს

ლუდის სუნი ასდიოდა. მომღიმარი ზედა სართულზე ავიდა, საკმაო ხანს აბრახუნა, სანამ იქეთა მხრიდან მოახდინეს რეაგირება. ეტყობა კარს არ უღებდნენ, რადგანაც უცნობი ჯადოსნურ სიტყვებს ისროდა: „ლუბა გეფიცები... წვეთი... ლუბა... გააღე თორემ კარს ჩამოვიღებ“... თითქოს მუშტიც მიაყოლაო ნათქვამს, რაღაცამ დაიგრუხუნა... მერე ერთბაშად ყველაფერი ჩაჩუმდა და იდუმალმა კარმა შთანთქა მომღიმარი. მთელი ამ ხნის მანძილზე ჩრდილწამდგარი ხვლიკივით გატრუნულიყო, თითქოს მისი გაუნძრევლობით ვერ დაინახავდნენ. მაგრამ ამდენს არ ფიქრობდა, არ კი არა ვერ. ჩაწნეხილი ზამბარასავით ჩახვეოდა წნევა ძვლის ტვინში და პირველსავე ბიძგზე მზად იყო სმენა დაეგუბებინა.

ჯერ კიდევ ადრიანი დილა იდგა. შუქი არასაკმარისად შემოსვენებულიყო სადარბაზოს თავისებურებაში. უნდოდა წამოწოლილიყო და თუ ვერ დაიძინებდა უბრალოდ წოლილიყო მაინც. მაგრამ განძრევაც არ შეეძლო. წონასწორობის შენარჩუნებით გართული ბურთზე შემდგარი გოგოსავით მოხრილიყო და მართალია არ ინძრეოდა, ეტყობოდა, კი არ ეტყობოდა იგულისხმებოდა რომ ხელებს აკრობატის ჯოხივით ათამაშებდა. იჯდა ხნიერი მხატვარივით ჩაფიქრებულ და ცარიელ მოლბერტთან და არ იცოდა რა დაეხატა. ცოტა ხანში მაინც გაწვა. ქარს მინებებული იალქანივით გაიშალა ყუთზე. ფეხები ძირს ჩამოშვებული დარჩა. ხელით წაეპოტინა მუხლის ფორმამიღებულ შარვლის ნაჭერს ანკესს გამოდებული თევზივით. მაგრამ ძვრაც ვერ უყო და ხელი ზედ შეატოვა ძალაწართმეულმა.

სადღაც ძილს და ღვიძილს შორის ჩაესვენა, გათიშულ სხეულში გაუჩერებლად უტოკავდა ტვინი. ქუჩიდან მოღწეული გუგუნი, რომელიც თანდათანობით ძლიერდებოდა და საველე კარავივით აჯერებდა სადარბაზოს კედლებს, მათში ვეღარ ეტეოდა და მიწიდან ამოჟონილი წყალივით იღვრებოდა მის დაცქვეტილ ყურებში. გუგუნის გამომწვევ უხილავ ობიექტებს თვითონ იგონებდა გუნებაში და წინა დღით ნანახი სიზმარივით ხელოვნურად ანვითარებდა მოვლენებს, ოპერატორის ეკრანივით მოაწყო და დაალაგა აზრებში გაჭიმული სურათი. ბოლოს აკვიატებული მელოდიასავით ამანაც დაღალა, მაგრამ მექანიკური სათამაშოსავით ვეღარ აჩერებდა, სანამ თვითონვე არ შეასრულებდნენ ბოლო ბრუნსაც. არადა წახნაგოვანი

ზამბარა არ აპირებდა გაჩერებას, მისგან უმართავად მიედინებოდნენ ფიქრები. ფურცელი და კალმისტარი ხელთ რომ ჰქონოდა, საინტერესო იქნებოდა მათი ასოებად გარდაქმნა. ფურცელიც იქვე ედო. კი არ ედო, თეთრეულივით ეფინა ყუთზე და კალმისტარიც უხახუნებდა სუნთქვისას ამოწელილ ფილტვებს პერანგის ჯიბიდან. მაგრამ არც განძრეულა. დამახსოვრება ერჩივნა, თუმცა ყოველი მათგანი იმწამსვე ავიწყდებოდა და ისევ ახალს როცა დაუკვირდებოდა, ხვდებოდა რომ წინამორბედის სახეცვლილება იყო, მაგრამ ის წინა უკვე აღარ ახსოვდა და ასე გაუთავებლად. ბოლოს იძულებული გახდა წამომჯდარიყო და თვალები გაეხილა. ჯერ კიდევ ჩაფიქრებული სურათები ბჟუტავდნენ მასში, ხოლო გარემოსთან შეგუებისთანავე ისინიც გაქრნენ. ფურცლები ნაუცბადევად ისევ ერთად შეაქუჩა. მეორე ყუთი ადგილს დაუბრუნა და ისევ პირველზე ცარიელი ავტობუსის გვიანი მგზავრივით ეულად ჩამოჯდა. ხელში ეჭირა გალახულ შელახული ფურცლები და სახეზე ისეთი გამომეტყველება ეფინა, თუკი ვინმე ჩამოივლიდა და მას ასე მჯდომიარეს დაინახავდა, არაფერი გაკვირვებოდა. თითქოს არაფერი განსაკუთრებული ყოფილიყოს ბნელ სადარბაზოში სხვის ყუთზე ჯდომაში. კარგად ახსოვს, უცნობი აღარ გამობრუნებულა. იქნებ გამოეპარა, ვერ შეამჩნია როგორ ჩაიარა, ან იქნებ როცა ეძინა მაშინ აუარა გვერდი. ფიქრს ისევ ხორცმა დაასწრო და უკარნახა. არ ცდებოდა, არ გამობრუნებულა მოხუცისაგან და მაშასადამე ჯერაც მასთან იმყოფებოდა. მაგრამ რას აკეთებდა ამდენი ხანი იქ და საერთოდ რა საერთო ჰქონდა ასეთი სახისა და თვალების პატრონს ისეთ მოხუცთან, როგორიც წვერდალაქავებული იყო. ვერაფრით აკავშირებდა მათ ერთიმეორესთან. შეიძლება უცნობიც მასავით გამომცემლობას ეძებდა, თუმცა მოხუცის გამომცდელ თვალებს არ უნდა გამოჰპარვოდა მისი სიცარიელე, ვერ იჯერებდა მოხუცის შეცდომას. ასე იყო თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩებოდა. უცნობი ჯერაც არ გამობრუნებულა და ესე იგი ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდა და რახან ამდენი ხანი დაუცდია, ბარემ კიდევ შეიცდის. უნდა დარწმუნდეს რომ არ შემცდარა მის პიროვნებაში, პიროვნებაში კი არა არსში.

დილითაც უშედეგოდ ელოდა მის გამოჩენას და შუადღისათვის უკვე ვეღარ ისვენებდა სადარბაზოს მომაბეზრებელ ერთფეროვნება-

ში. აუტანელი სიჩუმე სულიერივით ჩამომჯდარიყო კიბეზე და ცოცხალმკვდარივით ძლივას შემოღწეული შუქი მხოლოდ იმას ახერხებდა, რომ არ დასთხროდა გამოუძინარი თვალები. ფიქრი არ ანებებდა, უფლებას არ აძლევდა გაჩერებულიყო და ხელის ქნევისაგან მყესნაღრძობი ყასაბივით ჩამომჯდარიყოს ყუთზე გაუნძრევლად. ფიქრს ხორცი არ მორჩილდებოდა, ახლად წარმოთქმული აზრივით მხოლოდ ფეთქვას ახერხებდა. იმასაც ხვდებოდა, რომ ტყუილად ელოდებოდა, თუკი აქამდე არ ჩამოუვლია შეეძლო არც მერე ჩამოეარა, ისე მისი საქციელი სულაც არ აკვირვებდა, პირიქით სადღაც გულის კუნჭულ'ში ეთანხმებოდა კიდეც, მაგრამ მისი თუ არა მოხუცის უკვირდა, უცნობი შეიძლება თავნება ყოფილიყო - განა მოხუცი ტყუილად იყო იქ? შეიძლება მიიღეს კიდეც და მოუსმინეს კიდევაც, მაგრამ ამდენი რა ჰქონდათ სალაპარაკო, ასე გაუთავებლად განა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო? აუცილებლად უნდა დაიცადოს, კი არ დაუცადოს არამედ დაიცადოს, იმისი ნებაა გამოვა თუ დარჩება ან გამოაბრუნებენ თუ დატოვებენ, თვითონ ხომ არ წყვეტს ამას? ამას უთხრეს ზეგ მოდიო, ხოდა ზეგ მივა და არავის განსასჯელი არ არის ზეგამდე სად იქნება და როგორ იქნება.

ეგონა ვერ დაიძინებდა, ძალიანაც კი უნდოდა, აუცილებელიც კი იყო. ხელში გასრესილი ბარტყივით გრძნობდა აღგზნებული ტვინის ფეთქვას, მარცხენა თვალის ატკიებით რომ იმუქრებოდა, კი არ იმუქრებოდა უკვე მიწოლოდა, თითქოს დახშულ სივრცეში საცობისთვის მიეგნოს საფუარს და ახლა გამეტებით აწვებოდეს მას. ამის მიუხედავად მაინც ჩაეძინა და სიზმრად არსებული მდგომარეობა იხილა, სადარბაზოს ამინდი, ისევ ლოდინი და შემაწუხებელი სიჩუმე. ნათლად აღიქვამდა მთელს სურათს, სურათს კი არა მის ხასიათს, საკუთარ სხეულს გვერდიდან ხედავდა, ხელში ჩაბღუჯულ და გადმოსავარდნად გამზადებული ფურცლების სინესტესაც გრძნობდა და ამასთანავე დანახულსაც არ იჯერებდა და თავს იმით იმშვიდებდა, რომ დანახვა თუ არა მიხვედრა ხომ შესაძლებელი იყო. ბურანიდან აღიქვა კედელზე მიყრდნობილი და მასზე თავმიდებული სხეული, კვლავ ყუთზე იჯდა შეერთებული მუხლებით და ფურცლები მართლაც გადმოსავარდნად გამზადებულიყვნენ. მგზავრობისას მიძინებულივით მიყუდებოდა კედლის სიუხეშეს, რომელიც არადა არ გათბა იმის მიუხედავადაც კი რომ ლოყა მთელი ამ ხნის

სანძილზე ზედ მიკროდა მისრესილი კოღოსავით. შუადღის ბინდი კვლავ ყველასგან მოძულებული ნათესავივით შემოსვენდა და მის ფეხებთან დასაფლავდა. უყურადღებოდ დაამთქნარა, პირი არც გაუღია მხოლოდ კისერი დაჭიმა. მერე გაიზმორა, ყუთი ადგილს დაუბრუნა და ნელა აუყვა კიბეებს.

რამდენიმე წუთი გავიდა, რაც ხელაწეული კარებთან ატუზულიყო, მაგრამ ვერაფრით გადაეწყვიტა დაკაკუნება. ცოტაოდე ხანი კიდევ შეიცადა და საკმაო შუალედებით სამჯერ დაუშვა ნახევარ მუშტის კუთხე კარის სისწორეზე, და მესამეჯერ აწეულიც არ ჰქონია, ჯერ კიდევ გრძნობდა მოხრილი თითებით ხის სიუხეშეს, კარიც გაიღო, უფრო სწორად გააღო იმავე მოხუცმა და გამოვიდა თუ არა ბაქანზე, ისევ მიხურა. მოხუცმა გაურკვევლად ჩახედა თვალებში და ნაწყენმა თქვა „ხომ გითხარით ზეგ მოდით მეთქი? რატომ იქცევით ასე? თუმცა აწი რაღა აზრი აქვს... თქვენი ამბავი მოვახსენე და სიმართლე უნდა გითხრათ დაინტერესდნენ. თქვენ კი თქვენი საქციელით ყველაფერი გააფუჭეთ. მთელი ამ ხნის მანძილზე თქვენზე ფიქრობდნენ, თქვენ კი? ახლაც სწორედ თქვენს საკითხს განიხილავენ...“ ამას მართლა გაუკვირდა და ვერ მიხვდა რაში სდებდნენ ბრალს. მართალია მოხუცს შიგ თვალებში ჩაჰყურებდა, მაგრამ ვერ გაერკვია ძალად ბრაზობდა თუ მართლა გაბრაზებულიყო, უფრო დააკვირდა და მიხვდა თუ იგრძნო, რომ რაღაც ცვლილება მომხდარიყო მასში. „როგორ ვიქცევი?“ მხრებაჩეჩილმა თავი იმართლა და სანამ მოხუცი უპასუხებდა მიხვდა, ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ მოხუცს ფერებად დალაქავებული წვერი დაებანა და ფლომასტერებიც უკვალოდ გაექრო, ახლა ის ტყის ჯუჯას უფრო დამგვანებოდა ვიდრე რკინიგზის ფერიას. „არ უნდა დარჩენილიყავით აქ, ძალიან (ამ სიტყვას ხაზი გაუსვა), ძალიან ავნეთ ამით თქვენს საქმეს“ ბუზღუნებდა მოხუცი. ამას კიდევ უფრო გაუკვირდა, იფიქრა მემასხრებიანო, მაგრამ მოხუცის მართლა ნაწყენ გამოხედვას როცა შეხედა, თვითონაც აუჩუყდა გული „რა დაშავდა ამითი, ვინმე შევაწუხე თუ...“ ვეღარ დაამთავრა. შემდგომი სიტყვები უფრო ბოლისხმებოდა ვიდრე ითქმოდა. „დაშავება რა შუაშია, უბრალოდ უყურადღებობა და უპატივცემულობაა. აქ რომ არ დარჩენილიყავით, ალბათ, დღესვე გადაწყდებოდა თქვენი საკითხი, ახლა კი აუცილებლად კრებამ უნდა განიხილოს და რა

პასუხს გამოიტანენ ასეთი უყურადღებო საქციელის შემდეგ ძნელია ამის წინდაწინ თქმა" ისე ლაპარაკობდა მოხუცი, ეტყობოდა ამას მართლა უნდა სცოდნოდა მთელი სტრუქტურის მუშაობის რიტმი და, რომ სცოდნოდა აუცილებლად არ ჩაიდენდა იმას, რაც უნებლიედ გამოუვიდა. „აწი რა ვქნა" იკითხა ამან. „არაფერი. წადით სახლ'ში და დაელოდეთ, თვითონ გამოგიძახებენ ალბათ" უპასუხა მოხუცმა და აცქმუტდა, რათა მიეხვედრებინა რომ სათქმელი აღარაფერი ჰქონდა და იქ ყოფნით მხოლოდ აცდენდა. „ძირითადი დრო სახლს გარეთ ვიმყოფები და..." მოხუცმა აღარ დაამთავრებინა,- ხელის აქნევით გააწყვეტინა და თქვა „ეგ კურიერის საქმეა, თვითონ იცის როდის მოვიდეს, თუმცა საჩქარო მაინც არაფერი გაქვთ, კრებას შეიძლება გაუჭირდეს საკითხის განხილვა, მითუმეტეს რომ კიდევ ბევრი რამ იქნება ალბათ დასაზუსტებელი". ბოლო სიტყვებით მოხუცს რისი თქმა უნდოდა ვერ გაარკვია და არც უთხოვია რომ დაეკონკრეტებინა, მიხვდა, საუბარი ამოწურული იყო. კიდევ მრავალი რაიმის კითხვა სურდა, თუმცა გაჩუმება არჩია, მხოლოდ მხრები ,აიჩეჩა, დამშვიდობების ნიშნად თავი დაუქნია და უკან მოუხედავად დაეშვა კიბეზე. მოხუცის სიტყვები მას უკვე შორიდან მოესმა „საკმაოდ დაინტერესდნენ, უნდათ თქვენზე იფიქრონ, ყურადღება გამოიჩინონ და თვალყური გადევნონ, თქვენ კი? ეეჰ..." ბოლო სიტყვები ვეღარ გაიგონა, მაგრამ ყურადღების მიუქცევლად დატოვა. ნელა ჩადიოდა საფეხურებზე. უკან არცერთხელ აღარ მოუხედავს, ისე კეფაზე გრძნობდა მოხუცის თვალებს, ხვდებოდა რომ არ შებრუნებულა და თავისი ხნიერი მზერით ახლა მას აცილებდა.

ამჩატებული გრძნობით გამოვიდა სადარბაზოდან. როდესაც გამოდიოდა, კარები გამოღებული დაუხვდა, როგორიც თვითონ დატოვა ჯერ კიდევ გუ'ძინ და ის იყო ცივი ასფალტი შეიგრძნეს მისმა ფეხებმა, რომ უკან მიბრუნდა, კარები ძალად გამოხურა და ისე შეხედა თითქოს, კარები კი არა წარსული გამოკეტაო. არსად ეჩქარებოდა. თავისუფლად შეეძლო ეხეტიალა კვირის ქუჩაში და ჯერ კიდევ კარებთან ჩაფიქრებულმა შეუმჩნეველი მარცხივით აიჩეჩა თმები. მერე ფურცლები დააგორგოლავა, ხელზე დაიტყაპუნა და ნელი ნაბიჯით გაშორდა გამოკეტილ სადარბაზოს. არ მონატრებია მთელი ამ ხნის მანძილზე ქალაქი, არც მისმა რიტმმა გამოაფხიზლა,

ანდაც ყურადღება მიაქცევინა, მხოლოდ კორპუსებიდან ამოტივ-ტივებულ ალუმინის სახეს შეავლო თვალი, ნაცნობივით სურდა მისთვის თვალი ჩაეკრა, მაგრამ დაავიწყდა და ჯერაც მას იყო მიშტერებული, რომ ვიღაცას დაეჯახა, ხმისამოუღებლად უნდოდა გაცლოდა, თუმცა ვიღაცამ არ დააცალა „წინ იყურე ახალგაზრ-დავ" ცუდი ხმით უთხრა საკმაოდ არახნიერმა ქალბატონმა და, სანამ პალტოს საყელოს შეისწორებდა და კატეგორიულ სახეს მიიღებდა, ამას ყველას შეუმჩნევლად უნდოდა ენა გამოეყო და ქალის შემცბარ სახეს რომ დაინახავდა ყურში ჩაეჩურჩულა რაიმე, მერე კმაყოფილი გამომეტყველებით გვერდი აეარა, ისე რომ აღარც დალოდებოდა მისი ლოყების აფაკვლას, თუმცა ერთიც მიბრუნებო-და ადგილს მიყინულს - გაეცინა და წელში გამართული გაშორე-ბოდა. რამდენიმე ნაბიჯს რომ გადადგამდა საერთოდ გადაავიწყდე-ბოდა, ისე არც თავიდან გაამახვილებდა ყურადღებას, უბრალოდ სრული სიალალით გამოთქვამდა თავის შეხედულებას, სრულ სიმა-რთლეს იტყოდა და როგორც ჭეშმარიტ სიმართლეს სჩვევია, ეს არც ეგოისტურ კმაყოფილებას გამოიწვევდა მასში და არც მომხ-დარის შემდეგ სინანულს. დაუმძიმებელი სინდისით განაგრძობდა გზას კვირადღის მოსახლოებაში. არავინ ელოდა, არავის უნერვი-ულია მისი არგამოჩენით; ამაზე არათუ არ დაწყვეტია გული, არც უფიქრია ოდესმე. მოასფალტებულ ქუჩაში მიბორიალობდა და ამასაც ვერ გრძნობდა, ვერც იმას, რომ მოსიარულეთა სივიწროვის გამო შემთხვევით მხარს კრავდნენ, ხედავდა, მხრის გაკვრასაც გრძნობდა, ოღონდ თითქოს საკუთარ სხეულს სხვა მართავდეს, მართავდეს კი არა - უყვებოდეს ძილის წინა ზღაპარივით. ესეც უსმენდა მონათხრობს, მონოტონური ჩურჩულის ყოველი ასო ბგერა გარკვევით ჩაესმოდა, ოღონდ, აზრი ვერ გამოჰქონდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, კი არ ფიქრობდა ძალად აფიქრებინებდა და მხრის გაკვრასაც, როგორც გარდუვალობას ისე ღებულობდა, გარდუვალობადაც არა, საკუ-თარი ხორცის შეგრძნების აუცილებლობად.

რა ქნას, რა მოიფიქროს; რომ სცოდნოდა ასე გაიფუჭებდა საქმეს, არავითარ შემთხვევაში არ დარჩებოდა ღამის გასათევად სადარბაზოში. ეხლა სინანულით ვეღარაფერს უშველის. რა უნდა მოიმოქმედოს ისეთი, რომ ისევ განაწყოს ისინი თავისადმი ნდობით? თუ მოხუცს დაუჯერებს, მასზე ფიქრობენ და თვალყურს ადევნებენ,

აწი ალბათ უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენენ. ვერაფრით აკავშირებდა აზრებს ერთიმეორესთან, მითუმეტეს რომ მასზე არაფერი არ იყო დამოკიდებული გარდა იმისა, რომ უფრო ყურადღებით უნდა მოიქცეს; არ მიიქციოს არავის ყურადღება, თუმცა არავისში მხოლოდ თვალყურის მდევნებლებს გულისხმობდა, მაგრამ ვინები იყვნენ ანდა როგორ გამოიყურებოდნენ არ იცოდა, ამიტომაც ისე უნდა იმოქმედოს, ვერ მიუხვდნენ იმას, რომ ხვდება მათ თვალთვალს, არ უნდა აგრძნობინოს რომ მათ დასანახად იქცევა ასე. შეუმჩნევლად შეიჭვრიტინა ნაცრისფერ კვირაში, საგულისხმო ვერაფერი დაინახა, გარდა მიჩვეული და ერთნაირი სახეებისა. აქაც ფრთხილად უნდა იყოს, აბა რაღა მოთვალთვალეები იქნებოდნენ, თუკი ასე ადვილი იქნებოდა მათი გამორჩევა. არ უნდა შეეჩეხოს მათ თვალებით და არც დაუწყებს ძებნას, როგორც მოხუცმა თქვა, თვითონვე მოძებნიან. წყნარად მოაცილა თვალი მიზანსწრაფულ მოსიარულეებს და კიდევ უფრო თავჩაღუნულმა გააგრძელა ხეტიალი.

არც უმოქმედობა ივარგებს, უკეთუ მართლა უთვალთვალებენ, მაშინ ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ რამოდენიმე დღეა, რაც ხელმომჭირნედაა და, რომ გამოეყოთ სრულიად მცირედი თანხა ავანსის სახით, თუნდაც სიმბოლური, არაფერი დაშავდებოდა. შეიძლება პირიქითაც იყო და სწორედ ის აინტერესებდათ, სანამდე ეყოფოდა ნებისყოფა და თუ მართლაც ასე იყო, რაში სჭირდებოდათ მისი კაჟი ვერ ხვდებოდა. ისიც შესაძლებელია ძაღლის თავი სულ სხვაგან იყო დამარხული და მეტი მონდომებით რომ დაკვირვებოდა მიხვედრილიყო, მაგრამ ისინი ეტყობოდათ არ მისცემდნენ ამის ნებას, ეტყობოდათ მომზადებულნი იყვნენ ამის დასახვედრად და თუკი მართლა ასე იყო, დასაშვებია სწორედ იმით იმართლეს თავი, ეს ღამის გასათევად დარჩა სადარბაზოშიო. ძალიანაც კი უნდოდა მიხვედრილიყო ამისთანა რა დააშავა, თუ არ უნდოდათ ეთქვათ, რომ არ დარჩენილიყო. ეთქვათ და წავიდოდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ არავინ არაფერს სთხოვდა, მოხუცმა ისიც კი უთხრა საჩქარო არაფერი გაქვთო, მაშასადამე როგორც ჩვენამდის ცხოვრობდი ისევლე გააგრძელეო და უკეთუ თქვენს სასარგებლოდ გადაწყდეს, თანაც როდის არავინ უწყის, თვითონვე დაგიძახებენო. ასე მარტივად, არც უარით გამოუსტუმრებიათ და არც რაიმე ვალდებულება უკისრიათ. ისიც დასაშვებია გამომცემლობის პრესტიჟზე

ზრუნავენ და არ უნდათ ისეთ პიროვნებებთან თანამშრომლობა, რომელნიც ეთიკის ნორმებს არ მორჩილდებიან? ამიტომ, ისე მოიქცევა, რომ მეტი ყურადღება დაიმსახუროს, ვითომც მათ გარეშედაც შესწევს ძალა არსებობისა, თუმცა ასეც არის, მაგრამ რაღაც გაურკვეველი სიმძიმე მაინც დააწვა მხრებზე, არა იძულებითი ანდაც ყურადსაღები, სწორედ რომ პირიქით – უსუნო და უხილავი, მაგრამ ხელშესახები.

სადარბაზოდან რომ გამოვიდა ვერ გრძნობდა ამას, სიარულისას უცაბედად იგრძნო და, სიმართლე უნდა ითქვას, არ შეშინებულა, მითუმეტეს რომ შესაშინებელი არაფერი ჰქონია. ქუჩის გადასასვლელს რომ უახლოვდებოდა შუქნიშანს ახედა. თავი უნდა დაეხარა, უცებ გაჩერდა, არა ის რომ სიარული გააჩერა – ფიქრი გაჩერდა და თვალებმა თვითონ მოძებნეს გაოფლილი და შეწუხებული სახე, რომლის ფეხებთანაც სავსე ტომრები ეწყო. დაუფიქრებლად შეტრიალდა, სწრაფად მივიდა და სწრაფადვე შესთავაზა „მოგეხმარებით ქალბატონო" – ქალმა სანამ უპასუხა თავსაფარი შეისწორა „გმადლობთ, ნუ შეწუხდებით", მაგრამ ამას ჩანთები უკვე ხელში ეჭირა და მხარქვეშ ამოდებულ ფურცლებს კიდევ უფრო გამეტებით უჭერდა. გაგახარა ღმერთმაო თქვა ქალმა და სადარბაზოს კარი კი არ შეაღო, არამედ გააღო – გასაღებით, როგორც ყველა პატიოსან სადარბაზოს სჩვევია. შევიდნენ თუ არა ზამბარამ დახურა კარები. ჩუმად გაიხედა ლიფტის მისაგნებად, რომ დაენახა მაინც ფეხით ავიდოდა. ერთგულებით იკაფავდა გზას ქალის წინ, ხელების დაწყვეტამდე მძიმე ჩანთებით, რომლებსაც გამეტებით ჩაფრენოდა, მაგრამ შრომას უჩვევი თითები ვეღარ უძალიანდებოდნენ სიმძიმეს. რომელიღაც სართული აასრულეს, რომ ორიოდ ნაბიჯით გაასწრო ქალს, ჩანთები ფეხებზე მიიყუდა და მტევნებით ჯერ კიდევ გამოუჟონავი ოფლი შეიწმინდა შუბლზე. „იყოს, აწი თვითონაც მოვერევი" ხელი წაატანა ქალმა, მაგრამ ამან არ აცალა, ფეთიანივით ეცა ჩანთის ყურებს და უსიამო ღიმილით მიახვედრა – როგორ გეკადრებათო. ფეხათრეული აბუნძულდა ზევით. ყოველი მომდევნო სართული დანიშნულების ადგილი ეგონა, მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა და თავისი გახშირებული ქშინვით წინ ერეკებოდა. მალე სანატრელი ჩიხის მოახლოებამ, ჩიხის კი არა სახურავში ჩაბუდებული მტრედების მოღწეულმა გუგუნმა უკარნახა, რომ ცოტაღა

დარჩენოდა. მიხვედრილობამ მომდევნო სართულზე გაამართლა. მის ზემოთ მხოლოდ სხვენში ასასვლელი კარები დაეგმანათ დამტვერილი ბოქლომით. ქალის უთქმელად გაჩერდა ერთ-ერთ კარებთან, სართულზე არსებული ორიდან მხოლოდ ის ერთი იქნებოდა იმ სივრცის დამხუფავი, რომელიც უნდა კუთვნებოდა ჩანთების პატრონს და შეცდა. აქლოშინებულმა კიბეებიდანვე აუწყა ეს. სანამ მინიშნებულისაკენ გადააჩოჩიალებდა ჩანთებს იჭვნარევმა შეავლო თვალი გამოხუნებულ და საღებავატკეჩილ კარებს, ვერაფრით დააკავშირა ის და კიბეზე ჩამორჩენილი ქალის სახე, რომელსაც სუნთქვა კიდევ უფრო დამძიმებოდა. ქალს არ შეუპატიჟებია და რომც შეეპატიჟებინა ეს არ შევიდოდა. უხერხულად დააქნია თავი და ის იყო, უნდა დაშვებულიყო, რომ ქალმა სანატრელი სიტყვები ესროლა „ერთი წუთით" მოუტრიალდა და ადგილს მიეყინა. ვითომც ვერ ხვდებოდა რატომ შეაყოვნეს. ქალი ხელჩანთაში იქექებოდა, როგორც წვრილნახვრეტიან ყუთში ფორთოხალწავლებული მაიმუნი, თითქოს უკან ვეღარ ატევსო. ეს მის ხელს არ უყურებდა. ქალს შესცქეროდა სახეში და გული დამნაშავესავით უბაგუნებდა. უნდოდა შემოტრიალებულიყო, როგორ გეკადრებათო - ეთქვა და სირბილით დაშვებულიყო, მაგრამ ვერა, ვერ ქნა, თავხედობამდე გაუხეშებული ნერვებით დაელოდა ხელის ამოღებას და აი ისიც იდუმალებრივ ამოემართა კოპწია თითებჩავლებული „რაღაცით". აღქმას სურვილმა დაასწრო. მაგრამ ხელი ვერაფრით გაიწვდინა, სულელივით უაზროდ ჩამოყროდა და ქალს, რომ არ ემარჯვა ფურცლები აუცილებლად გადმოუცვივდებოდა. ქალმა ხელი თვითონ გამოართვა, მტევანი გადაუშალა, შიგ ჩაუდო და ისევ დაუხურა, მოუმადლობა და სანამ ეს დაეშვებოდა ჩანთები თვითონვე შეაჩოჩიალა გამოღებულ კარში. დაუმშვიდობებლად გამოხურა და ამან უკვე თავისთვის ჩაილაპარაკა „არაფრის"

გაშლილ ხელისგულს ციებცხელება შეყრილი დაჰყურებდა, რომელზედაც ფოჩებიანი კანფეტი გამხმარი მწერივით დაკოსებულიყო. ფეხით უნდოდა გაესრისა. ანდა არა, გასრესა თუ უნდოდა, ხელით ჯობდა, და უსამართლოდ სილაგაწნულივით გაბრაზებულმა გათეთრებამდე მოუჭირა ფოჩებში გამოხვეულს. ვერაფერი დააკლო და მტევანზე კანფეტისაგან ღრმული გაუჩნდა. სწრაფად გახსნა, კი არ გახსნა, კიდევ უფრო გაჩეჩა ისედაც აჩეჩილი ფოჩები და

ბრჭყვიალა ქაღალდსქვეშ გამოხვეულ წუწნია კანფეტს სასოწარკვეთილ-
მა დახედა. ჯინაზე ჩაიდო პირში და სანამ ნერწყვით შეიგრძნობდა
მის გემოს კბილებით დაამსხვრია. სასაზე აეკრო გადამდნარი შაქარი
და ენაზე დაყრილი ნამსხვრევები უსიამოდ გადაყლაპა.

ყურები აუწითლდა და აუხურდა, მოექავა კიდეც, მაგრამ ყურა-
დღება არ მიუქცევია. სისხლს შეერთებულ სიტკბოს მოქმედებას
უკვირდებოდა და ხვდებოდა, გულყრას მხოლოდ ხშირი ნერწყვის
ყლაპვით ანდა ჰაერის შეკავებით თუ გაექცეოდა. შეუმჩნევლად
ჩაასრულა კიბის დაღმართი. ისევ შემოსასვლელ კარებთან იდგა.
უყურადღებოდ შეუერთდა მოსიარულეებს. დინების კიდეში მოუწია
სიარული, რადგანაც გულყრა რომ დაწყებოდა - გაჩერება და
ჰაერის შეკავება მოუწევდა, ხოლო ასეთ დროს დინების შუაში
გაჩერება იგივეა რაც აღიარება ჩაუდენელი დანაშაულისა. დიდი
მანძილი არ გაუვლია, რომ წაიქცა. ვიღაცამ ფეხი გამოსდო, ნებსით
თუ უნებლიეთ. ვერ მოასწრო ამის გამოკვლევა და ხალხის ყურა-
დღება, რომ არ მიექცია, რათა არ გაეგონა ხეიბრისთვის შეთავა-
ზებულივით: დახმარება ხომ არ გნებავთო, კი არ წამოხტა, არამედ
ტროტუარის ბორდიულზე ჩამოჯდა, ვითომც ეს ჰქონდაო ჩაფიქრე-
ბული. მხარქვეშ ამოდებული ფურცლები დაადო და ზედ წამოჯდა,
მარცხენათი ჩამოიფერთხა მტვერაკრული შარვლის ტოტი, ხოლო
მარჯვენა გაშლილ მტევანს ხელგახვრეტილი თათარივით დახედა; კი
არ უყურებდა - ღმერთს უჩვენებდა, ნახე რა მიქნესო. ჯერ კიდევ
კანფეტის ნაკვალევ ღრმულს დაჰყურებდა ბოლავარდნილი ტყვი-
ასავით, ვიღაცამ ხურდა რომ ჩაუგდო გაშლილ მტევანში. ღრმულ-
ში წრეებად ჩაშვებულ ხურდას, როცა შეხედა სწრაფადვე ახედა
მოსიარულეებს მისი გამცემის მისაგნებად და ვერ მოასწრო, ვიღაც
ქალბატონი უკვე ჯიბეებში იქექებოდა და სინანულნარევი გამოხედ-
ვით ამისკენ მოემართებოდა. წამოხტა და უკან მოუხედავად გაეცა-
ლა იქაურობას, მარჯვენაში ჩაბღაუჭებული მონეტა ხელს წვავდა.
ცეცხლში ჩაგდებული კენჭივით ტკაცუნობდა, მაგრამ უფრო მოუ-
ჭირა თითები და მუშტად შეკრა. არ დაუნახავს რკინაზე ამობურ-
ცული ხარისხი, არ შინებია მისი. რომც არაფერი მოსვლოდა ისე
არ ინაღვლებდა, ოღონდ არ დაეკარგა და რომ არ დაკარგოდა
(სიზმრიდან გამოყოლებულივით შიშობდა მის დაკარგვას) მომუწულ
მუშტში კიდევ უფრო ჩაკარგა, უფრო მაგრად მოუჭირა. მყესები-

თაც სურდა მისი სიბლაგვის შეგრძნება. არადა წარმოსახული ბლითი ყელზე ადგა, წარმოდგენაშიაც ვერ გადაყლაპა დამბალი ლუკმა, დამადლებულივით შუა გზაში გაეჩხირა და კინაღამ ხველა აუტყდა, თუმცა რაღა კინაღამ – ჩაახველა კიდეც და ხელი გაშალა. ხურდას დახედა. ის წებოვანი ჭუჭყისაგან კიდეებში ჩამუქებულიყო და ამობურცულ ნიშნებს კონტურად გვერდებში გასდევდა, უბრალო ხუთკაპიკიანი იყო, რომლითაც დიდი-დიდი მართლა ბლითი თუ მოუვიდოდა. დაუფიქრებლად შევიდა, კი არ შევიდა შებორიალდა პირველივე პურ-ფუნთუშეულში. ისე დაყნოსა იქაურ ამინდს, თითქოს გამომცხვარი ხორბლის სუნმა კიდევ უფრო დაგეშაო. ამინდი გემოსაგან კიდევ უფრო შედედებული და გასქელებული ეჩვენა. ხურდას შეუმჩნევლად უჭერდა ხელს, ის უკვე ბლითად კი არა, მის მორჩენილ ბოლო ლუკმად ქცეულიყო.

მოუსვენრად ცქმუტავდა სალარომდე გამართულ რიგში, რომლის ზღვარს მიღმა ისეთი გამომეტყველების გამყიდველი-ქალბატონი იღებდა ფულს, რომელსაც ეტყობოდა, მისთვის სულერთი იქნებოდა ვის რომელ პურს, ან ფუნთუშას, სულაც ბლითს არგუნებდა. ამ ქალბატონს მკერდის მიდამოებში თეთრ ხალათზე გართულებულ-ორნამენტებიანი ჩარჩო ამოექარგა, ჩარჩოში კი ალბათ საკუთარი სახელი, ზუსტად ისე, როგორც დაკარგული ახლობლის რეტუშირებულ სურათს მიიბნევენ ხოლმე. ეს ქალბატონი მყიდველთა მხარეს საერთოდ არ იყურებოდა, თითქოს ვერც ამჩნევდაო მათ – იმდენად ჩართულიყო თავის საქმიანობაში. მისი საქმიანობა კი იმას მოიცავდა, მყიდველის მოთხოვნის მიხედვით ნაწარმი ერგუნებინა მისთვის. ქალბატონი ალბათ იმდენად დახელოვნებულიყო საკუთარ ქმედობაში, რომ როგორღაც ახერხებდა იმას, მყიდველი შეუმჩნეველი დაეტოვებინა. სურვილისდამიხედვით ისე მიზანსწრაფულად აწოდებდა მყიდველს პურსა თუ ფუნთუშას, თითქოს ამ უკანასკნელს სიცარიელეში ისროდა.

ამას, სანამ რიგი მოუწევდა, საფუძვლიანად მოასწრო გამყიდველი-ქალბატონის ხასიათის შეცნობა და ფქვილისაგან გადაპენტილ ბლითების დახლს გახედა. შეშინდა კიდეც, თეთრხალათიან ქალბატონს სწორედ ის ბლითი არ ერგუნებინა, რომელიც დახლის კუთხეში გაეჩოჩებინათ ობოლი ბავშვივით. არადა კუთხეში გაჩოჩებული დანარჩენებთან შედარებით პატარა ეჩვენებოდა, როგორც

ხინკლებში შემთხვევით მოხვედრილი პელმენი. ამის ფიქრში იყო ჩართული, რიგმაც მოუწია და გამყიდველის სიტყვა „რომელიო“ გაათმაგებული სიძლიერით ჩაესმა. ქალბატონი სულ სხვა მიმართულებით იყურებოდა, პასუხს იქედან მოელოდა, თანაც ხელში ალუმინის მომცრო ორკაპი ეჭირა მინიშნებულ ობიექტზე დასაძგერებლად გამზადებული. ამან ზურგს უპასუხა ბლითიო, უნდოდა ხელი გაეშვირა და დაეყოლებინა ოღონდ, აი ის პატარა არაო, და დაყოლება ვერ მოასწრო. ნაქარგმა უგულოდ ჩაასო შემართული ორკაპი გამომცხვარ ცომში და გულზე მოეშვა, ორკაპს გადაურჩა ათვალწუნებული. ახლად დაძგერებულიც თითქოს ჰაერით ყოფილიყოს გაბერილი, ნახვრეტებთან ჩაიჩუტა და ისიც დაპატარავდა. ქალბატონმა ორკაპზე წამოგებული კეთროვანის ანალიზივით გვერდულად ასწია და შემოუბრუნებლადვე იკითხა რამდენიო, – „ერთი“ იყო ამის პასუხი და ქალბატონმაც ჩაფუშული ბლითი ველოსიპედის გახეთქილი კამერასავით დააგდო სალაროსთან. „ოთხი კაპიკი“, თქვა ჰაერში და ხელი გამოიშვირა. ძალაუნებურად შეშურდა ამ ხელის. დამარწმუნებლად იყო გამოშვერილი. თვითონ არასოდეს ყოფილა ამ ხელივით დარწმუნებული – ამიტომაც შეშურდა მისი. ხუთკაპიკიანი მორჩილად ჩაუდო გამოწვდილ მტევანში და სანამ ხურდას დაუბრუნებდნენ, სალაროსთან დაგდებულ ბლითს წაეტანა. ვიდრე აიღებდა თითებით მოსინჯა კრახმალწაცხობილი ზედაპირი. უნდოდა ეთქვა ხურდა არ მინდაო, რომ თეფშზე დანარცხებული კაპიკიანის ტკაცანი მისწვდა ყურამდე.

უხერხულად აიღო კაპიკიანი, რომელიც კანფეტისაგან დანატოვარ ღრმულში სიპატარავის გამო თავისუფლად აჩხრიალდა. მაღაზიიდან ბლითმომარჯვებული და კმაყოფილი გამოვიდა. ჯერ კიდევ კარებში ჩაკბიჩა პირველი ლუკმა და ახლა ქუჩაში მდგომი უყურადღებოდ იყურებოდა. ნელა, გამოზომილად ღეჭდა ყოველ ლუკმას, შიშობდა, ყელზე არ დადგომოდა და თვალებდაფჩენილი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ძალად გადაეყლაპა. ცოტა ხანში უკვე გამეტებით ჩაიტენა ბლითის მონარჩენი გადაწელილ ლოყებში როგორც ალყაშემორტყმული აგენტის privatissimum და ღეჭვა ღეჭვით ალუმინის თავს ახედა – გასარკვევად, ქალაქის რომელ უბანში იმყოფებოდა, მაგრამ მაძღარმა ვერ მოახერხა გამოკვლევა.

გზად მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაეშვა, ეტყობოდა სულერთი

იქნებოდა, სად ამოიყვანდა ის. ინსტიქტურად გაჰყვა ნაცრისფერ-ზურგიანთა დინებას. კიბეზე ჩასვლისთანავე ჩამოეკონწიალნენ სახელოზე „ბიძია დამეხმარე რა...“ სიტყვებით. მაგრამ მთხოვნელს კრინტიც აღარ დაუძრავს, ჩამოშორდა. იგივე სიტყვები უკვე ზურგს უკანიდან გაიგონა. გაბრაზებული მიტრიალდა, მაგრამ მაბეზარა სხვას ჩამოკონწიალებოდა. დაუფიქრებლად დაუძახა – მოდი აქო, და მაბეზარაც ჯადოსნური სისწრაფითა და მწარე ღიმილით უმალ მასთან გაჩნდა. აჰა შენო უთხრა და კაპიკიანი დამსახურებული ჯილდოსავით ძალად ჩაუდო გათხუპნულ ხელში. მაბეზარამ ჯერ ხურდას დახედა, მერე ამას ამოხედა მწარე თვალებით, მაგრამ ცარიელი გამოხედვა შერჩა და მადლობის უთქმელად გაშორდა.

გაოფლილ გვირაბში გადაავიწყდა გათხუპნული. ბრმა მუსიკოსებმა მიიქციეს ყურადღება. ისინი დარდიანად აქანავებდნენ თავებს, და სიმღერას საკუთარ შავ სათვალეებს უძღვნიდნენ. კუთხეებცვეთილ გიტარის სიმებზე იცვითავდნენ ფრჩხილებს და ერთადერთ სიტყვა ლიას ათასნაირ ტონალობაზე ჭიმავდნენ და წელავდნენ. მათი სევდიანი სახეების შემყურეს არანაირი სევდა არ მოწოლია, ოდნავ გახალისდა კიდეც, და გზა განაგრძო.

სევდიანების შორი ახლოს ორ ახალგაზრდას შემოხვეოდა ხალხი და შემორკალულებს პირქუში სახეებით აკვირდებოდნენ. ფეხის წვერებზე შედგა, რომ უკეთ გაერკვია რა ხდებოდა წრის შიგნით. ორი ახალგაზრდა სარეკლამო აგენტები გამოდგნენ და დაკისრებულ ვალდებულებას სავსებით მახვილგონივრულად ართმევდნენ თავს. უფრო დაბალი რომელიც იყო მეტყველი სახითა და კევის ღეჭვით ორიოდ ნაბიჯს დგამდა, ჩაფიქრებულ აგურს შემთხვევით ფეხს გამოდებდა და სანამ ვარდნის ამპლიტუდას ასრულებდა პირიდან კევა უვარდებოდა და საბოლოოდ წაქცევამდე, სწრაფად იძახდა: „რა დასანანია, ასეთი გემო და რა ცოტა დრო რჩება მმმ...“ მაგრამ ამ დროს მეორე, უფრო მაღალი მარჯვობდა. ვითომ შემთხვევითი გამვლელი ყოფილიყოს, სწრაფი მოძრაობით კევას ჰაერში იჭერდა, მეორე ხელით კევის პატრონს და სიტყვებით ვრიგლი სპერმინთ, დაბლ მინთ და ჯუსი ფრუთის ხანგრძლივ მოქმედი გემო იმაზე მეტ ხანს გაგყვებათ ვიდრე თქვენ გგონიათო – ამბობდა და თავის სიტყვების დასტურად წამოყენებულს კევას უბრუნებდა და ისიც კმაყოფილი აქნევდა თავს, თითქოს ეხლაღა ჩაწვდენოდეს ბრძნული სიტყვების

შინაარსს. თავის დაქნევისთანავე ყველაფერი ახლიდან მეორდებოდა. ამანაც რამდენჯერმე ზედიზედ უყურა, თუმცა მალევე მობეზრდა და მათაც გაშორდა.

„ერთი სახლის" მობინადრეთა შესევას ჰგავდა მიწისქვეშეთი. სულის შემხუთველი ოხშივარი, რომელიც მოძველებული ნათურების შუქზე კიდევ უფრო ხილული ხდებოდა გამეტებით ებღაუჭებოდა სლიპინა კედლებს კი არა, კედელზე უგულოდ გამართულ კაფელს, რომლის ფერის ამოცნობაც ვერ ხერხდებოდა. ამის ფონზე ქაოსი (რომელსაც მსწრაფლმოარულნი ქმნიდნენ) კიდევ უფრო შთამნერგავი ხდებოდა, გაურკვეველ მოსიარულეთა გაურკვეველი გადალაპარაკებანი, გაცოცხლებული ისტორიული გმირების ჩურჩულს ჰგავდნენ. თუმცა გმირებსაც არა, სწორედ რომ არაფრით გამორჩეულთა და არასაგულისხმოთა არც ჩურჩულს – უფრო ფიქრებს ჰგავდნენ. მოსიარულეთა აპათიური გამოხედვა, არც გამოხედვა, უბრალოდ გამომეტყველება, კიდევ უფრო აკნინებდა მათ აღქმას. ერთი ქარხნის ნაწარმივით ერთნაირი სახეები ჰქონდათ, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.

შეცბუნებული და განზე გამდგარი, უფრო ზუსტად კედელზე აკრული უყურებდა ფუსფუსს. ვერაფრით გაერკვია ნეტავ სად უნდა ჩქარებოდეთ მათ და საერთოდ რას ითხოვდნენ ცხოვრებისგან ან რისთვის ითხოვდნენ. დინებიდან გამორიყული განზე გამდგარიყო და შხეფები ახლა მას ეხებოდა. აქ რომ ჩამოვიდა ინანა კიდეც. ველარ გადაეწყვიტა ისევ შეერთებოდა დინებას. ისედაც ჩრდილებით გარშემორტყმული თითქოს უფრო საგრძნობ ჩრდილს ეძებდა დაჭიმული თვალებით იმისათვის, რომ საკუთარი ჩრდილის ჩამოხრჩობა მოეხერხებინა, მის ქვეშ ამოწოლა და მისივე საბნად გადაფარება.

ველარ მოითმინა, უცებ შეუერთდა აპათიას. გასასვლელისაკენ სწრაფად ვერ წავიდა, ჩამოყალიბებულ რიტმში მოუწია გამოზომილი ნაბიჯის აყოლება. არავის გამოუხედავს, არავის ეცალა მისთვის, მიზანსწრაფულნი მიიჩქაროდნენ, თითქოს ყოველი დაგვიანებული ნაბიჯი რაღაც განსაკუთრებულს აკარგვინებდათ ცხოვრებაში.

როგორც იქნა, შედგა ფეხი ზევითკენ ამავალ კიბეზე. ისევ მოესმა კარგად ნაცნობი და მვედრებელი სიტყვები სადღაც შორიდან.

დროულად ამოყო თავი მაბეზარას მისაგნებად და დაინახა. ის მისგან შორიახლოს ჩამოკონწიალებოდა ვიღაცის პალტოს და ბიძია ბიძიას ძახილით კოჭლობით ადევნებოდა, მაგრამ პალტოიანი არ აქცევდა ყურადღებას და მზესუმზირის კვნეტით გართული ნელა ჩადიოდა მიწისქვეშეთში.

მაბეზარას სახე ახლა უფრო ბინძური ეჩვენა, ოღონდ ბინძური – ფიქრი, არა სახე. მისით რომ აღარ გაღიზიანებულიყო, სწრაფად მოაცილა მზერა და ისევ დინებაში ჩაყურყუმალავდა.

ცუდად იმოქმედა მიწისქვეშეთის სამყარომ, და ძველი სურათი გაახსენა, მოხუცი გაახსენდა, რომელიც გაცხარებული რაღაცაზე ბუზღუნებდა. მაგრამ მისი სიტყვები არ ესმოდა, მუნჯი გმირივით თითქოს უნდა გამოეცნო მისი ჩანაფიქრი. ტროტუარზე ამოღვრისას გამოირიყა დინებიდან, თავისით, თითქმის უნებლიედ გამოეთიშა პროცესიას. მიედინებოდნენ პირქუშსახიანები გეგონებოდა ცხედრად საკუთარ სხეულებს მიასვენებენო. ვითომც მეტროში მჯდარიყვნენ, რომლის ბოლო გაჩერებაც გამოცვლილი კბილების ხაზინადარია და ჯიუტად არ ჩამოდიოდნენ ვაგონებიდან. აღარ აინტერესებდათ მისი სახე, თითქოს ის იქ დაუხვდებოდათ გაღიმებული ატრაქციონის ბუტაფორიასავით, რომელიც გასართობად გაღრეჯილიყო და ყველა ერთიანად შეჯლიგინებულები, ვაგონის ფანჯრებზე ცხვირმიჭყლეტილები შეავლებდნენ თვალს და უკან მოიტოვებდნენ, ის კი ვეღარ დაეწეოდა გაქროლებულ ლოკომოტივს.

უყურებდა და შურდა მათი, დაუსაბუთებელი, ბავშვური გაუცნობიერებელი შურით შურდა მათი გაკაჟებული აზროვნებისა, უმტკივნეულო და უბიწო ფიქრების შურდა.

არ იცოდა სად წასულიყო, ძალით რომ შეეგდოთ სახლში არ მიბრუნდებოდა, იქ არაფერი დარჩენია. რაც რამ აბადია ყველაფერი თანა აქვს, დიდი არაფერი ბედენაა; მხოლოდ განვლილი წლები, მაგრამ ესეც ბევრია, სხვისთვის თუ არაფერს წარმოადგენენ, ამისთვის ბევრს ნიშნავს, უბრალოდ წლები – როგორც ცუდი მთარგმნელი საკუთარი თავისა.

ისევ მოწყურდა თუთუნი, ოღონდ უკვე ყრუდ, სადღაც შორეული წარსულიდან მოღწეული. აღარ ეწვოდა ფილტვები, როგორც ამ დღეების მანძილზე, შიგნიდან ეფხანებოდა მოუცილებელი ჭუჭყივით და ეს აწუხებდა.

მწეველთა თვალიერება დაიწყო, იისფერი კვამლის მიგნებით გაერთო და ვერც შეამჩნია, როგორ მოიქავა გულმკერდი, ალბათ ამით აპირებდა წყურვილის მოკვლას. არსაით ჩანდა ცისკენ აწელილი კვამლი, მისი თავივით დაცარიელებულიყო კვირადღე და მოხუცის სიტყვები ყურებში გადაჭიმვოდა: არაფერი გაქვთ საჩქარო... არაფერი გაქ... ძალიან კარგი თუ არაფერიო – გუნებაში გაიმეორა და ისევ ბორდიულზე ჩამოჯდა. მტევნები შემცივნებულმა ჩაიკარგა მუცელში და აიბუზა. გამოქცეულივით უმალავდა მოსიარულეებს მაჯებს. თუმცა ისინი არ იხედებოდნენ მისკენ, თუ გამოიხედებოდა ვინმე, ისიც შემთხვევით. ოღონდ მზერას უმალავდა, თითქოს უბრად ყოფილიყოს მათთან.

მუხლებში ჩაკარგა თავი, უხერხულად მოიხარა, ვითომ მუცელი სტკიოდა. დახუჭული თვალები მუხლებზე ჩამოედო, და ხელოვნური ტკივილი სიამოვნებდა. ჩატრიალებულიყო საკუთარ სხეულში და იქაურობას ისე აკვირდებოდა, როგორც მრგვალი და დიდი თვე რომელიც ფანჯარაში იხედება. კვირადღის ქუჩას მალებგადაღუნული ზურგით უყურებდა, კი არ უყურებდა ზურგზე იკიდებდა აუცილებელი ტვირთივით და ვერც ამჩნევდა, კვირისათვის რომ არ არსებობდა. ვერ წარმოიდგენდა თუ მართლა ვინმე ფიქრობდა მასზე, მოხუცმა პირდაპირ უთხრა ფიქრობენო. რაში მდგომარეობს ფიქრი, თუ არაფერს მოქმედებენ – მაშ ფიქრიც ფუჭია. ოღონდ ისინი სწორედ უმოქმედობით მოქმედებენ, რაშია თურმე საქმე, არც უარი და არც რაიმე ვალდებულება, რაღაც შუა, რომელიც როგორც ეგონა არ არსებობდა. თურმე არსებობს, მაგრამ აქამდე მისი უარსებობის ცოდნით ცხოვრობდა და ახლა როგორღა უნდა მოიქცეს ის არის მთავარი. შეუძლია შეუტიოს და საკითხის დაჩქარება მოითხოვოს, თუნდაც წერილობით, სულაც საჩივრის სახით. თუ ფიქრობენ მასზე, მაშინ მის სიტყვასაც რაღაცა ძალა აქვს მაგრამ თუ ისინი ყველაზე ისე ფიქრობენ, როგორც ამაზე, მაშინ საჩივარიც უსაფუძვლო იქნება. იმასაც გარკვევით ხვდება, ვერ მიაღწევს მათამდე ხმას, მხოლოდ მოხუცის გარეგნობით რომ შენიღბულან, თორემ ვინც უშუალოდ ღებულობენ გადაწყვეტილებებს, რომც მიმართოს წერილით ვერ მიაწვდენს. ალბათ გზად მრავალი ინსტანციები იქნება გასავლელი, რომლებიც სათითაოდ განიხილავენ ფურცელს და შესაძლოა რომელიმე მათგანმა დაადოს რეზოლუცია და არქივში გადა-

აგზავნოს, მინიშნებით „ეს ფურცელი არ არის აქტუალური!“ შეიძლება გაძვრეს კიდევაც შემთხვევით, ეს რასაკვირველია წარმოუდგენელია, თუ მართლა ადევნებენ თვალყურს, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ მოხერხდება. არა, ყველაზე ვერ იფიქრებენ როგორც ამაზე, რადგანაც მზირთა რაოდენობით შეზღუდულები იქნებიან. ყველას ხომ არ ეყოლება სულ მცირე თითო მზირი მაინც, მაგრამ... რაღაც ეჭვმა გაუელვა თავში; ალბათ საყოველთაო თავშეყრის ადგილებში, სამსახურებსა თუ საცხოვრებელ ბინებში შესაძლებელია მათი დანიშნული აგენტები არიან. ელემენტარული სახლმმართველის ხელში გადის მაცხოვრებელთა ნუსხა, ვინ როგორ იხდის შესაბამის გადასახადს, ვის რამოდენა დავალიანება აქვს; ბოლოს და ბოლოს ძირითად აგენტს – სახლმმართველს, თავის მხრივ დაქვემდებარებულებიც ეყოლება უკვე მელიფტისა და მეეზოვის სახით და ასე უბრალოდ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახერხებენ ამოდენა მასისათვის თვალყურის დევნებას. მუდამ მათი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან მაცხოვრებელნი და ყველაზე ცოტა საცხოვრებლებში თორემ, მათ გარდა კიდევ რამდენი ორგანიზაცია დაწესებულებაა. ყველაფერს ისეთი დარწმუნებით ფიქრობდა, რომ თავის წამოწევის ხასიათიც კი აღარ ჰქონდა. ზოზინით ამოხედა გვერდულად, თავის აუწევლად მოსიარულეებს და თუ აქამდე სიცილით უყურებდა მათ, ახლა სინანულით ამოხედა, შეიბრალა, რომ ვერაფერს ხვდებოდნენ.

ფეხზე როცა დგებოდა, დარწმუნებული იყო თავის მოსაზრებაში, თუ აქამდე გაურკვევლობაში იმყოფებოდა, ახლა გაარკვია მაინც სად იმყოფებოდა. თუკი აქამდე იქ იყო და არ იცოდა, ახლა უკვე იცის, რომ გაურკვევლობაშია, ადრე თუ ამის უცოდნელად იყო, ახლა უკვე დანამდვილებით იცის და აუცილებლად ფრთხილად უნდა იმოქმედოს. არავის გაუმხელს მიხვედრილობას, თუმცა არც არავინ დაუჯერებს, „თუმცა“ არ არის მთავარი. პირველ რიგში აუცილებლად უნდა მოინახულოს სახლმმართველი. დღეს, ახლავე უნდა წავიდეს და ნახოს. მართალია არასოდეს დაინტერესებულა მისით და პირველად უნდა მივიდეს. ისე უნდა მოიქცეს, ვერ მიუხვდნენ თუ რისათვის არის მისული. ბინის თაობაზე შეკითხვების დასმით და გადასახადის ქვითრის მოთხოვნით ყურადღებას გააფანტვინებს და ხელსაყრელი პოზიციიდან უკეთესად ჩახედავს

მის თვალებს და თუკიღა იქაც ვერაფერი ამოიკითხა, მაშინ კაბინეტის მოწყობილობას დაუკვირდება. რაიმე საგულისხმოს მაინც მიაგნებს და თუ მართლა მიაგნო, მაშინ პირდაპირ კი არ ეტყვის თავის მოსაზრებას, – საქმეს ბოლომდე მიიყვანს, ქვითარსაც შეავსებს და ყურადღების გაუმახვილებლად გამოვა მისგან.

ნამდვილად ასე უნდა მოიქცეს, რაღა უნდა, უკვე მიდის კიდევაც. ფიქრებში ჩართული, ვერ ამჩნევდა ირგვლივ ვერაფერს. იმაზე იყო გადართული თუ როგორ უნდა შევიდეს კაბინეტში, რომ მეტად დამაჯერებლად გამოიყურებოდეს. როგორ სჯობია; დააკაკუნოს თუ დაკაკუნების გარეშე შეაღოს კარი? რომ დააკაკუნოს შეიძლება უბრალო მოსახლეში აერიოთ და რომ დაღლილნი იქნენ შეიძლება არც გამოეპასუხონ, ხოლო თუ დაკაკუნების გარეშე შეაღო, შეიძლება გაანაწყენოს კიდეც ზედმეტად შინაურულობისათვის. ამიტომ წინდაწინ არანაირი დასკვნების გამოტანა არა ღირს და ადგილზე მისვლისას გადაწყვეტს როგორ მოიქცეს. აქაც ფრთხილად უნდა იყოს, ერთხელ ჩადენილ მარცხს აღარ გაიმეორებს და უცებ ფიქრი გაუნათდა. დააკაკუნებს და უბრალო მოსახლეში რომ არ აერიოთ, მოხუცის მოცემულ ნიშანს გაიმეორებს. აღმოჩენით გახარებულმა ნაბიჯს უნებლიედ აუჩქარა. მართალია, არ იცის სად არის განთავსებული სახლმმართველობა, მაგრამ არა უშავს, თუ მანიშნებელი არ იქნა – მელიფტეს ჰკითხავს. მელიფტესთანაც სიფრთხილეა საჭირო და ამასთანავე მასაც უნდა ჩახედოს თვალებში. ხოლო მელიფტე რომ დაინტერესდეს რაში სჭირდება ამას სახლმმართველობა ასეთ შემთხვევაში რომ არ დაიბნეს პასუხი წინდაწინ უნდა ჰქონდეს მომზადებულ·ი და თანაც ისეთი რომ ეჭვი არ დაბადოს უთხრას დავალიანება მაინტერესებსო მაშინ ფულიც უნდა გააჩნდეს მართალია მელიფტე არ ეტყვის მაჩვენეო და შეუძლია დაუძვრეს მაგრამ აქ მეორე მხარეც გასათვალისწინებელია თუკი მელიფტე სახლმმართველს არის დაქვემდებარებული მაშინ ამას აუცილებლად დაბეზღებს და თუ სახლმმართველთან ნათქვამი არ დაემთხვა მელიფტესთან თქმულს ასეთ შემთხვევაშიც იფუშება გეგმა ამიტომ სახლმმართველთანაც და მელიფტესთანაც თქმული ერთი და იგივე უნდა იყოს ხოლო კონკრეტულად რა წინდაწინვე უნდა ჰქონდეს მოფიქრებული შესაძლებელია აგრეთვე თქმაც რომ საჩივრის შეტანა სურს იმის თაობაზედ რომ ლიფტის კაბინაში შუქი არ არის მაგრამ არ

ივარგებს ამით შეიძლება მელიფტე გაანაწყენოს დიდხანს არ უწვალია კვლავ გაუნათდა ფიქრი ეტყვის რომ კატის მიყვანას აპირებს სახლში და აინტერესებს – აუცილებელია თუ არა ამის გამო სათანადო ქვითრის შევსება ამოისუნთქა და მისი კორპუსიც გამოჩნდა რომელიც დანარჩენი შენობებისაგან არაფრით გამოირჩეოდა. ფიქრებით დატვირთული შევიდა სადარბაზოში და კედლებს (რომელშიაც გაიზარდა) ყურადღებით დააკვირდა. სახლმმართველობის მანიშნებელ აბრას ეძებდა. ეგაა, მაცხოვრებელთა ნუსხას გარდა არაფერი გაეკროთ ცივ გაჯზე, აგრეთვე რამოდენიმე ნაკაწრი იმის თაობაზედ ვიღაცეების ჯამი სიყვარულის რომ უდრიდა. ნაიარევ კედლებზე სხვა სახელებიც ამოეტვიფრათ. ეტყობოდათ მას შემდეგ კედლები ახლად გადაეღებათ, მაგრამ საღებავშიც კი ატანდა ერთ დროს დატანებული ღრმულები. დიდი ხნით არ გაჩერებულა, იცოდა სახლმმართველობის მანიშნებელს ვერ მიაგნებდა და მელიფტისათვის მოუწევდა ეკითხა.

მელიფტის ოთახი ზუსტად იცოდა სადაც იმყოფებოდა. საავარიო კიბის გვერდითა შესახვევში შეუხვია. ღარიბად იღვრებოდა ნათურის შუქი სადღაც შორიდან. ოთახის კარი გამოღებული დაუხვდა, რომლიდანაც შუქთან ერთად დამწვარი რეზინის სუნიც გამოდიოდა. შინაურულად შეიხედა გამოღებულ კარში. ოთახი ცარიელი იდგა. ამით ისარგებლა და ფეხაკრებით შევიდა, თუმცა არ იცოდა რისი გულისათვის. მძიმედ სუნთქავდა, პირველი რაც მოიფიქრა – შალგადაფარებულ რკინის ლოგინზე ხელი დაედო. შეამოწმა თბილი იყო თუ არა, ვერ გაარკვია და ღილაკებიანი მაგიდისაკენ გადაინაცვლა. მაგიდის შუაში თავჩაღუნული მიკროფონი გადმოღუნულიყო, როგორც ალპიური ვარდი. მის გარშემო მრავლად ბჟუტავდნენ ურიცხვი ღილაკები. მაგიდის ქვედა ნაწილს უჯრები იკავებდნენ რომელთა ჩაკეტილობაც გადაუდებლად შეამოწმა და დარწმუნდა ყოველი მათგანი ჩაეკეტათ. ნირწამხდარმა ხელი აუშვა, წელში გასწორდა და ოთახს მოავლო თვალი. კედელში ჩასობილ ლურსმანზე ნაცრისფერი შინელი ეკიდა და მხრები ჩამოეყარა; მის შემყურეს რაღაცით თავის პატრონს გაახსენებდა. უზურგო ხის სკამზე დაკუჭული და საკმაოდ დალაქავებული გაზეთის ცალი ფრთა მოეთავსებინათ, რომელსაც ნახევი ზოლად გასდევდა. გაზეთზე პურის ნაფხვენები მოექუჩებინათ, სწორედ იმდენი, საკენკად თუ გამოდგე-

ბოდა. ლოგინის ქვეშიდან ფეხსაცმლის წვერები ამოშვერილიყვნენ, თითქოს მის ქვეშ ვიღაც იწვაო. ფეხსაცმელები ლინოლიუმზე ძირებით კი არ იდო, არამედ ქუსლებით, ხოლო ძირები ოთახისაკენ იყვნენ მოშვერილები, თითქოს თავიანთ გაცვეთილობას ვიღაცას უჩვენებდნენო.

ძალაუნებურად ლოგინის ქვეშ შეიხედა. ჯერ გადმოშლილი შალი ასწია, რომელიც ნახევრამდე ფარავდა ფეხსაცმელს და შიგნით შეიჭვრიტინა. შიგ მართლა ვიღაცა იწვა, ხოლო მართლა ეძინა თუ თავს იმძინარუნებდა ვერ მიუხვდა. მწოლიარე ხმას არ იღებდა, თვალები ღია ჰქოდა და ამას უყურებდა. არ განძრეულა, სიბნელიდან იყურებოდა თითქოს დარწმუნებული ყოფილიყო რომ მას ვერ ამჩნევდა.

ამან უხერხულად იგრძნო თავი. უნდოდა მოებოდიშა და წასულიყო. ნაუცბადევად არ ივარგებდა. თვითონ მუხლებზე იდგა ხელებზე დაყრდნობილი და ლოგინის ქვეშ იყურებოდა, თითქოს ექიმ-პროქტოლოგთან ყოფილიყოს მორიგ სეანსზე. მწოლიარე არაფრის დიდებით არ იღებდა ხმას და ამას საკუთარი დაბნეულობა რომ დაემალა, ლიფტიორი მინდოდაო უთხრა და ლინოლიუმზე წამოჯდა მეგობრულად. „რომელზე" – გაუკვირვებლად, თითქმის ნირწამხდარმა იკითხა მწოლიარემ და ამას გაუკვირდა შეუსაბამო კითხვა, რა რომელზეო იკითხა პასუხად თვითონაც. გაიქედაო დაამატა ლიფტიორმა ლოგინის ქვემოდან, კიდევ უფრო დაიბნა და ვინ გაიქედაო ჰკითხა. „კაბინა", თქვა მწოლიარემ და როგორც იქნა თვალი დაახამხამა. „აჰ!" – გაუხარდა, კითხვას რომ მიუხვდა – არა, მე სხვა რამე მაინტერესებდაო, მიახარა და ისევ თვალებში მიაჩერდა მწოლიარეს. იმასაც ფიქრობდა, რომ ის ძალად იშტერებდა თავს, ხოლო თვითონ ძალად ართმევდა და ექაჩებოდა სიტყვებს. ატყობდა, მწოლიარეს გარიდება უნდოდა მისგან, კი არ ატყობდა დარწმუნებული იყო. „რასთან დაკავშირებით" იკითხეს ლოგინის ქვემოდან და ამან ახლაღა შენიშნა მის ხელში ბრტყელტუჩა და ისიც, მწოლიარე ლოგინის რომელიღაც ფეხს ჭანჭიკს რომ უჭერდა. სახლმმართველი მინდოდაო თქვა. იმან კი დააცემინა და უპასუხა – მაგათ ოთახში რემონტია, დროებით სხვა უბანში გადავიდნენ, მისამართი სადარბაზოს კარებზე აწერიაო. მწოლიარე ჭანჭიკს აღარ უჭერდა, ოღონდ არც გამოძრომას აპირებდა და გაიფიქრა მე

ვუშლიო ხელს. ფეხზე წამოდგა, მადლობთო უთხრა და გამობრუნდა კიდეც ლიფტიორის ოთახიდან.

როგორ მუხანათურად შემალულა ლოგინის ქვეშ და რა ოსტატურად მომიცილაო, ფიქრობდა თავისთვის. სახლმმართველიც, მაინცა და მაინც ახლა გადავიდა სხვაგან. ვითომ დამთხვევაა? შეიძლება მოთვალთვალეები მიუხვდნენ ჩანაფიქრს და რომ არ ენახა სახლმმართველის ოთახის მოწყობილობა, ამიტომაც შეიცვალეს კაბინეტი ნაჩქარევად. ფიქრისას ქუჩაში გამავალ კარებთან მივიდა. მართლაც დაუხვდა მანქანაზე ნაბეჭდი შრიფტით გაკრული ფურცელი სახლმმართველობის ახალი მისამართით. კარგად დაუკვირდა და შეამჩნია მანქანა ასო „მ"-ს ვერ იღებდა. იგი ბეჭდურებს შორის მელნით ჩაესვათ. შემთხვევა საეჭვოდ ეჩვენა და არც შემცდარა. ანუ, სადაც ხლართებია ბევრიო, დაასკვნა და ფურცელზე მინიშნებული მისამართი ამოიკითხა. მინიშნებული ქუჩა უცნობი აღმოჩნდა. ვერაფრით იხსენებდა, სუფრო სწორად წარმოდგენაც არა ჰქონდა სად შეიძლებოდა მდებარეობდეს. და გამვლელთათვის უნდოდა ეკითხა, რომ დროულად გაჩერდა. ჰიკარტებით მიკრული ფურცლის ქვეშ ცარცით წაეწერათ „ძმები ზუბალაშვილების ქუჩა", ხოლო ტექსტს ქვემოთ ისარი გასდევდა, რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიუთითებდა.

არ გაკვირვებია. ამათგან ყველაფერი მოსალოდნელიაო, ფიქრობდა და ისრის მიმართულებას მიჰყვებოდა ძალაუნებურად. პირველად ამჩნევდა ათასობით ისარს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ მიეხატათ, კორპუსის კედელსა თუ ხის ქერქზე. მხოლოდ ის უკვირდა რატომ აქამდე ვერ შეამჩნია ქალაქი რომ ისრებით აეჭრელებინათ, რომლებიც ყველა აღმოსავლეთისაკენ მიქროდნენ.

მორჩილად მიუყვებოდა ისრის წვერებს და უკვე საკმაო მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა ბოლო ისარი აღარ გაწყდა. აქამდე თუ ერთი ბეწოები მიეხატათ მტევნის სიმსხო დაშორებებით, უკვე ბოლო წყვეტილის გარეშე გასდევდათ კორპუსებს ერთ მთლიან გრძივ ხაზად. შეჩერდა წვეტის მიგნებით გართული და ვალერიანას ძირნაჭამი კატის ფიქრივით გაწელილ ხაზს ყალბად გააყოლა თვალი.

გაუთავებლად გაეხაზათ კორპუსები და ხაზიც სადღაც შორს იკარგებოდა. ხედვა ვეღარ სწვდებოდა სიშორეში ჩაკარგული ხაზის სიწვრილეს და ბევრი აღარ უფიქრია, ისევ აედევნა. თავიდან ნელა,

მერე ოდნავ აუჩქარა ნაბიჯს და ბოლოს გაიქცა. არა ისე, თითქოს მოსწრებაზე არისო, არამედ დუნედ. სუნთქვას აყოლილი ტკბილით მიბუნძულებდა და დაგორგოლავებული ფურცლები მყარად ეკავა მუშტში...

მერე ხაზმა ვიწრო ქუჩებისაკენ შეუხვია. ვერც კი ამჩნევდა, რომ პროსპექტის დამთრგუნველ რიტმს ჩამოშორდა და კარგა ხანია საეჭვოდ მომზირალთა გარემოცვაში იმყოფებოდა, კი არ იმყოფებოდა მათ ინტერესის მომცველ სახეებს შორის გარბოდა სარკეებიანი ოთახის ორეულივით. თითქოს სახეები მას იმეორებდნენ, ამას კი ვეღარ გაეძლოს მათი სიმრავლისათვის და ახლა სიცილის ოთახიდან გარბისო დაღლილი. არადა მართლა მირბოდა, ცარცის სისწორე ჯიუტად იზიდავდა და მორჩილად მისდევდა თითქოს გაექცეოდა სადმე.

ბოლოს დანებდა, ვერ შეინარჩუნა სირბილი. არც ურბენია, მხოლოდ მიბუნძულებდა იანვრის ძაღლივით და სიარულზე გადავიდა. ბოლოძის ,,არ გაჩერებულა, მუხლებმა არ მიუშვეს, ვითომ თავისით ფიქროობდნენო. მერე აღმართი დაიწყო. თავიდან არ გაძნელებია მისი დაპყრობა, მაგრამ ვეღარ გაუძლო, შუაში გაჩერდა. კედელზე მიხატულ ხაზს მიეყრდნო. ვერ იგრძნო როგორ გაუცივა ხერხემალი ცივმა კედელმა. ადენილი წნევა თავს აქავინებდა. თმის ძირებს არა - კანს. დიდი ხნით არ გაჩერებულა, სუნთქვის გადატანა მოასწრო და ისევ აღმართს აუყვა. უკვე ნელა, სისველისაგან ზურგზე გადასულმა ხაზმა დაამშვიდა. არადა ხაზი ზედმეტად აეკრო, თითქოს სამყაროს სიიდან ჩამოეწეროს ვინმეს და რომ არ არეოდათ ნიშანი დაედოთ. მიდიოდა ჩამოწერილი და უცნობი და ვერ ხვდებოდა, რომ ცხოვრება უსაფუძვლოდ განვლო, კი არ განვლო, ნვლიდა.

აღმართი რომ ვაკედ გაიშალა - გაჩერდა, ქალაქისაკენ მოტრიალდა, რომელიც მის ფეხებთან გაბერილიყო ჩაძირული გემის ვირთხასავით. შიგ თვალებში მისჩერებოდა კორპუსებით შემოგანგლულ ალუმინის სახეს, ტოლი ,,ამხანაგებივით იდგნენ, მის სიმაღლეს გასწორებოდა და ალუმინის თვალებს, შეამჩნია რომ გლუვი ზედაპირი ჰქონდათ, სიმპათიკური ბარათების მელავნებაში დაბრმავებულა, ფეხებთან ჩაძირულ ქალაქს კვლავ ზურგი აქცია, გაახსენდა სწორედ ასეთი ქარაფებიდან რომ უშვებდნენ ზამთარში მიცვალებულებს

ბობსლეის ციგებითო. ქალაქიდან გამოძევებულივით მარტო იდგა მაღალი ჩიხის თავზე და ხის საფეხურებიან სადარბაზოში (რომელიც რამოდენიმე ნაბიჯის მოშორებით გარინდულიყო) იყურებოდა. ხაზისათვის სწორედ სადარბაზოსთან მიეხატათ წვეტი.

რაღა უნდოდა, ადგილზე იყო, მოეღწია აქამდის, რისთვისაც ამდენი, მართლაც რომ ირბინა. სულელივით უყურებდა ხაზის წვეტს. ამისათვის ამოსულა. უცებ გამოერკვა, უჩუმრად გააპარა მზერა ფარდებჩამოფარებული ფანჯრებისაკენ, არ უნდოდა ვინმეს მზერას შეჩეხვოდა და აღარ გაჩერებულა, დამარწმუნებელი ნაბიჯით გაემართა სადარბაზოსაკენ.

როცა ხის საფეხურები აჭრიალდნენ ფეხებს ქვეშ, მერეღა მოაფიქრდა რომ შეცდომა დაუშვა. რა საკვირველია, საფეხურების ჭანჭიკებს იმ მიზნით არ ზეთავენ, მომსვლელი შეუმჩნევლად არ შეპარულიყო, საზრიანი იქნებოდა თავიდანვე გამოეანგარიშებინა ეს და კიბის შუა ნაწილში კი არ ევლო (როგორც ახლა), არამედ კიდით, რადგანაც ცნობილია, კონსტრუქციის ის ნაწილები, რომლებიც არადრეკად ფუძეს ემყარებიან არ ჭრაჭუნობენ. თეორიის პრაქტიკაში განხორციელება უკვე დაგვიანებულია, ამიტომ სჯობია სიარული ისევლე დაამთავროს, როგორც დაიწყო, და მანაც შუა, ყველაზე უფრო ცვეთილი ნაწილი აირჩია. წყნარად ავიდა ზედა სართულზე და იქ გაჩერდა. უფრო ზემოთ არა ესაქმებოდა რა. „სახლმართველები" – ეწერა საერთო საცხოვრებლის შესასვლელი კარების ცალ ფრთას. მის ქვემოთ „კაბინეტები 1-16" მიეწერათ, ისიც ცარცით და შეამჩნია, ის მართკუთხედი, რომელშიც ტექსტი მოექციათ ფერის მიხედვით უკეთ შემონახულიყო, ვიდრე კარების დანარჩენი ნაწილი, უფრო სწორად ამავე კარების საღებავი. მართკუთხედის კუთხეებში ნათლად, ნათლად კი არა, შავად შემორჩენილიყო ღრმულები ნიშნად იმისა, რომ ერთ დროს ამ ადგილს, ალბათ ფირნიში იკავებდა. ნამდვილად ფირნიში ეკიდებოდაო, გაიფიქრა მაგრამ ყურადღება გაეფანტა, თავშალით დაბურულმა და აცრემლებულმა ხნიერმა ქალბატონმა მხარი გაჰკრა, რომელიც უხერხულად გამოვიდა კარიდან და ტირილით დაეშვა კიბეზე. ქალბატონი კედელს აკრული ეშვებოდა, ზლუქუნისას მოხტუნავე ზურგის იმედი არა ჰქონდა და შიშობდა არ წაქცეულიყო. და მართლაც, რახან საფეხურების კიდით დაეშვა კიბე აღარ აჭრიალებულა. ნამდვილად

მახვილგონიერი ქალბატონიაო, დაასკვნა და ეჭვის თვალით ჩააცილა ქალის მოხტუნავე ზურგი.

ბაქანზე კვლავ მარტო დარჩა, აღარ შეყოვნებულა და კარებში შევიდა. შიდა ჰოლი იმ დონეზე გაენათებინათ, კაბინეტებზე მინიშნებული ციფრების გამორჩევა მოხერხებულიყო. მაგრამ ნათურას ვერ მიაგნო და გაახსენდა, არ იცოდა რომელ კაბინეტს ეძებდა. არ ღირდა ასე ბრმად შეეღო რომელიმე მათგანი და ეკითხა ვისაც ეძებდა. ჯერ ერთი, საეჭვო იქნებოდა ასეთი საქციელი და მეორე; შეიძლებოდა შემთხვევით სწორედ ის შეეღო, რომლისთვისაც ამოსული. ხოლო ასეთ შემთხვევაში იმის კითხვა, უკაცრავად, ამ და ამ მისამართის სახლმმართველს ვეძებო უხერხული იქნებოდა. არა, უხერხული ნამდვილად არ არის, უბრალოდ სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, – უყვიროდა ყურში ვიღაც და იმასაც აყოლებდა – პირველ შემხვედრ კარებში რომ შეხვიდე და იკითხო, რომც არ აღმოჩნდეს ის რომელსაც ეძებ და ვთქვათ მიგასწავლა კიდეც და თუნდაც არაფერი შეიმჩნია, სავსებით შესაძლოა, დაგაბეზღოს, აუცილებლად დაგაბეზღებს და როდესაც გახდება ცნობილი, რომ არ იცოდი იმ კაბინეტის ადგილმდებარეობა, რომელსაც ეძებდი ულამაზოდ გამოჩნდება, ამასთან არის მეორე მხარეც, შესაძლოა შეკითხვით კიდევ უფრო შეშინდნენ, ვითომც წინდაწინ იცი, რომელსაც ეძებ, მაგრამ თავს ძალად იკატუნებ, იმათმა არ იციან შენ იცი თუ არა და ამიტომ გაანგარიშება უნდა მოხდეს დამაჯერებელ ინტონაციაზე, უბრალო გამოხედვაზე, არა ზედმეტად განმჭვრეტელზე და ამავდროულად არც თვალშისაცემად სადაზე, საქმის კაცივით უცებ უნდა იკითხო, რათა მოსაფიქრებელი და დასაკვირვებელი დრო არ დარჩეთ, კარებშივე უნდა მიიღო პასუხი და გამოხვიდე. იმათ ყველაფერი გაანგარიშებული აქვთ წინდაწინ, გაუთვალისწინებელსაც კი ითვალისწინებენ, ამიტომ სისწრაფე და მხოლოდ სისწრაფე, ოღონდ აზრის სისწრაფე და არა სიტყვისა, წინადადება წყნარად, დალაგებულად უნდა ითქვას, მისი შინაარსი უნდა იყოს სწრაფი, სიფრთხილეს თავი არა სტკივა... ჯერ კიდევ ჩასძახოდა ვიღაც, დაუკაკუნებლად რომ შეაღო პირველი შემხვედრი კარები, რომლის ნომრისათვისაც არ შეუხედავს. მომზადებული სიტყვები უნდა ეთქვა და შესაბამისი სახის გამომეტყველება მიიღო, რომ სიტყვები ყელში გაეჩხირა. „ელემენტარული ეთიკა მოითხოვს დააკაკუნოთ“ ბრაზით

წამოიძახა დახვეული ჭაღარისა და შეთხელებული თმების პატრონ-
მა, რომელიც ფურცლების გროვაში ჩაძირულიყო და ლოყები
ავადმყოფურად აფორეჯებოდა. პატარა, ერთი ბეწო გალეული ფან-
ქარი ეკავა. იმდენად პატარა, ცერა და საჩვენებელ თითებს შორის
მოექცია. საშლელი უკავიაო იფიქრა, მაგრამ მის გაშავებულ ნუნებს
რომ დაუკვირდა მიხვდა, ფანქარი იყო. ამას, გათამაშებული სცე-
ნარის მიხედვით ეგონა, კითხვისთანავე პასუხს მიიღებდა და ამით
დამთავრდებოდა მცირე ექსკურსი, მაგრამ რახან გაუთვალისწინებე-
ლი რამ მოხდა, ვეღარ გადაეწყვიტა უკან გამობრუნება. ბოლომდე
არც შესულა, ოდნავ გამოღებულ კარში თავი შეჰყო ბავშვების
შესაშინებლად ხელის თითებით გაკეთებული ჩრდილივით და კარის
ღრიჭოში უხერხულად გაჭედილიყო. გრუზა თმების პატრონი კი,
არადა არ ისვენებდა, ისე იქნევდა გალეულ ფანქარს. ეგონა სრო-
ლას მიპირებსო და ძალაუნებურად თვალები მოჭუტა. რომ შიგ არ
მოხვედროდა. ფურცლებში ჩაძირულმა იფიქრა მანიშნებს - არ
გისმენთო და სულ მთლად გაალმასდა რას მემანჭებით. სულაც
არ მეშინია თქვენიო, მიახალა მან. კი მიაძახა გაგულისებით. თუმცა
იგრძნობოდა, შიშობდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში სიმხდალე ბო-
ლომდე რომ არ გამოეაშკარავებინა. ალბათ იმიტომაც დაამატა
მოელი ნახაზი გავაფუჭე თქვენს გამო... ახლიდან მომიწეკს გაკეთე-
ბაო, თქვა და რა გნებავდათო მერე დააყოლა. „სახლმმართველი"
თავისდაუნებურად წამოსცდა. „აქ ყველა სახლმმართველები არი-
ან" ბუზღუნით თქვა ფანქრიანმა და ფანქარი ნახაზზე დასდო,
მასზე მტევანი დააფარა, ფანქარი დაუმალა და ხმაზე დაიტყო,
დამშვიდებულიყო. „თქვენი მისამართი", უცებ წამოიძახა გრუზათ-
მიანმა, რომ გამორკვევის საშუალება არ მიეცა და ამანაც შეშინებ-
ულმა უთხრა მისამართი. „ეგენი მეთოთხმეტეში ზიან ", მიიღო
პასუხად და ჭაღარა თმამ ისევ ფურცლებში ჩაყვინთა.

არ გამოუვიდა. არ განახორციელებინეს ჩანაფიქრი, აშკარად
იგრძნობა, წინდაწინვე აქვთ გაანგარიშებული ყოველი ნიუანსი და
ამან როგორაც არ უნდა გათვალოს, მაინც მათი ზედამხედველობის
ქვეშ იმყოფება. როგორ ვერ ამჩნევდა აქამდე მათ მჭრელ თვალს.
ნუთუ ასეთი შენიღბულები იყვნენ ყოველთვის? ძნელია მათთან
ჭიდილი, მაგრამ დანებება არ იქნება, მითუმეტეს არცა ღირს.
უთხრეს შენზე ვფიქრობთო, მაშასადამე კარტი გაუხსნეს. მართალია

უმნიშვნელო, სავსებით არასაკმარისი, ყოველ შემთხვევაში საკმარისი იმისათვის, რომ დაანახვეს თავიანთი არსებობა. არ ნდომოდათ, ხომ ბოლომდე ჩრდილში დარჩებოდნენ, მითუმეტეს, ეს ვერაფერს ხვდებოდა, ხოლო თუკიღა გამოჩდნენ, აწი ნება ინებონ და მიხედონ. მართალია, არც უარი უთქვამთ და არც ვალდებულება აუღიათ რაიმე, მაგრამ არაფერს ნიშნავს, არ ნდომოდათ უარით გამოისტუმრებდნენ, მაშასადამე რაღაც ინტერესი მათაც გააჩნიათ და აქედან გამომდინარე ამასაც ეთქმის სიტყვა, ჯერ არავინ დაინტერესებულა მისი სიტყვით, ჯერ არაფერი უკითხავთ, მაგრამ რომც ჰკითხონ რა გაინტერესებსო, რას უპასუხებს? აი, რისი მოფიქრებაა სასწრაფოდ აუცილებელი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისცეს ცალმხრივი პასუხები, არ უნდა იგრძნობოდეს დოგმატიზმი მის საუბარში, უნდა ითქვას რომ; დასაშვებია ერთიც და მეორეც და არცერთის გამორიცხვა არ შეიძლება, აგრეთვე უნდა განამტკიცოს საკუთარი თქმული და დაამატოს, რომ მზის სისტემიდან დანახულ გალაქტიკათა არეალსა და უმცირეს ატომთა შორის ისე გაკვეტილა ადამიანის აზროვნება, თვითონ აზროვნება ითვლება ათვლის წერტილად უდიდეს და უმცირეს სიდიდეთა შორის, თუმცა ათვლის წერტილად უსასრულობაში. გალაქტიკების ხსენებისას ისინი რომ ამით დაინტერესდნენ და დაუსვან ის უმარტივესი შეკითხვა, რომელზედაც პასუხი ყოველმა პირველკლასელმაც იცის ანუ, რომ ჰკითხონ „იცით თუ არა რომ გალაქტიკებს შორის დღემდის დაფრინავს გაგარინის ქაქიო", რას უპასუხებს, რა თქმა უნდა იმას, რომ იცის, ხოლო თუ იმით დაინტერესდნენ „ამ ქაქს სამართლიანი იქნებოდა თუ არა სახელი დაერქვას როგორც სრულფასოვან პლანეტასო", მაშინ რაღა უპასუხოს? ასეთ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა ეთქვა

„რა საკვირველია სამართლიანი გადაწყვეტილებაა მას სახელი ეწოდოს, რადგანაც ეს ქაქიც ხომ ატომებისაგან შესდგება, ხოლო ყოველი ატომი თავის წილ ცალკეული სამყაროა, ამიტომაც თუკიღა გადაწყდა, რომ სახელი ეწოდოს, როგორც სრულფასოვან პლანეტას, თავისუფლად შეიძლება დაერქვას планета - Срань Гагарина" შესაძლოა, ამით არ დაინტერესდნენ და უფრო ალეგორიული, მეტად სახასიათო შეკითხვები დაუსვან, ასე მაგალითად, რომ ჰკითხონ - ხომ არ დაიღალეთო, რა უპასუხოს? შეუძლია უთხრას „ხშირად იტყვიან ხოლმე კაცი ცხოვრებამ დაღალაო; ცუდად არის ნათქვამი,

ცხოვრებამ კი არა საკუთარმა თავმა დაღალა. თორემ თავისთავი რომ არა ღლიდეს, მის დაღლას განა ცხოვრება შესძლებდა? დაღლასაც საკუთარი სიღრმის საშუალებით ახერხებს. განა ზედაპირული უფრო ადვილად არ იღლება? განა ადვილადვე არა ჰკარგავს იგი ინტერესსაც? ასეთს საკუთარი თავი არ მოსწონს და აბა როგორ შესძლებს ცხოვრების მოწონებას? სწორედ ამაშია სხვაობა. საკუთარი ზედაპირულობა ღლით და არა ცხოვრება. ხოლო ზოგიერთები, რომლებიც მართლა გადაიღალნენ ცხოვრებისაგან. საკუთარი თავის სიღრმემ ჩაითრიათ. ისინი ჩაფიქრებულნი არიან და არა გადაღლილნი" ეს მოსაზრებაც დალაგებულად ჩამოაყალიბა კაბინეტების ნახევრად განათებულ ჰოლში მდგომიარემ. ფეხი არ მოუცვლია. იმდენად ჩართულიყო კითხვა პასუხში. იმ განათებასაც ვერ ამჩნევდა რომლის შუქშიც ისეთი გადიდებული და დაუსწრებლის თვალებით იყურებოდა როგორც ფოთოლცვენაში ფოთოლი. კვლავ იმათი შეკითხვების გამოცნობით გაერთო. მართალია არავინ არაფერს ეკითხებოდა. მაგრამ ხომ შეიძლება ჰკითხონ რა გაინტერესებთო? უპასუხებს - მაინტერესებს. ნეტავ მოცარტი რას იტყოდა. როკ-მუსიკისათვის რომ მოესმინაო... მაგრამ არ ივარგებს. ისინი შეიძლება არ აიგივებენ მოცარტს როკ-მუსიკასთან. თუმცა არც ამის პასუხიდან გამომდინარეობს მათი გაიგივება. რადგანაც ამას აინტერესებს თვით მოცარტის მოსაზრება და არა იმათი რომელიმესი. ამიტომაც პასუხი ამომწურავია და თანაც გაშლილი და განზოგადებული. ამასთან დასაშვებია. არ ჰკითხონ რა გაინტერესებთო და იმით დაინტერესდენ თუ ვის აღიარებთო. ასეთ დროს შეუძლია უპასუხოს. რომ „გალაქტიონის იმ ჩანაწერს აქებენ. რომელიც სიმფონიის სიტყვებად გარდაქმნის ტექნიკას ეხება" იმიტომ იტყვის ამრიგად. რომ თუ ისინი მოცარტს როკ-მუსიკასთან არ აიგივებენ შესაძლებელია რომ გალას ამ ჩანაწერზედაც თავიანთი მოსაზრება გააჩნდეთ. ხოლო ამის პასუხით ვერ გაარკვევენ აღიარებს თუ არა მას. აი. ასე უნდა იმოქმედოს. არც „დიახ". არც „არა". „დასაშვებია" და „შესაძლებელია". ამ სიტყვებით უნდა შემოიფარგლოს. ხოლო. თუ ჰკითხეს ჩვენთან რაიმე შეკითხვა ხომ არ გაქვსო. ასეთ დროსაც უნდა განაზოგადოს და არ დააკონკრეტოს. შეუძლია იკითხოს მაინტერესებს. თუ გინახავთ ქარის მიერ გატაცებული ყვავი როგორ უშედეგოდ იქნევს ფრთებსო და ისინი თავებს ან

დააქნევენ ან გააქნევენ. აი, ასე ამომწურავად და გაურკვევლად იმოქმედებს.

როგორც იქნა დამშვიდდა. აუღელვებლად დააკაკუნა კარებზე, რომელზედაც თოთხმეტი ნომერი ეწერა. ორჯერ მიარტყა ნახევარ მუშტი უცნობი ფერის ხის ზედაპირს. ხელი რომ დაუშვა, მოხუცის მოცემული ნიშანი გაახსენდა. მესამედაც სურდა დაემატებინა. ვეღარ მოასწრო, მობრძანდითო დაიძახა კარებმა და სანამ შეალებდა, ფეხები არარსებულ ფეხსაწმენდზე გააჩოჩა. წარბაწეული და ფეხისწვერებზე შემდგარი შევიდა კაბინეტში, თითქოს ჩურჩულით აპირებდაო საქმის მოგვარებას, მაგრამ იძულებული გახდა წარბები კიდევ უფრო დაეძგიბა და ფეხისწვერებიდან ჩამოსულიყო. ფეხებში ძალა გამოეცალა. ოდნავ შეტორტმანდა კიდეც და მის სიახლოვეს სკამი რომ არა აუცილებლად ჩაიკეცებოდა. ხელით დაეყრდნო სკამის საზურგეს, რომლის მოყანყალებული ზურგი დაბნეულობის მიუხედავად მაინც შეიგრძნო და სანამ (შეთავაზების გარეშე) ჩამოჯდებოდა, გაიფიქრა მომეჩვენაო და კი არ ჩამოჯდა, უბრალოდ წაიქცა სკამზე – ფურცლები შეუმჩნევლად უფრო ჩაბღუჯა. თითქოს მუხლზე ბუზი დაჯდომია და ახლა მას ეპარებაო. არც კანი დაძაგვრია, არც გონი დაუკარგავს. სიცივემ ჩაურბინა ხერხემალზე და ტერფებთან გაჩერდა. ყველაფერი გაორებოდა თვალებში, ყველაფერი კი არა, მაგიდის უკან მჯდომიარე გაორებულიყო. დანარჩენი თავის ადგილზე იდგა (ალბათ) ჩვეულებისამებრ და არაფერი მოსჩვენებია საეჭვო გარდა ხნიერი ქალბატონისა, უფრო სწორად ქალბატონებისა, რომელთაც თმა ხნით შეეღებათ. ერთი, რომელიც შტერივით ახამხამებდა თვალებს ისე აკვირდებოდა, რომ ძალაუნებურად თავში გაკრა – ახლო მხედველობას უჩივისო, მეორე პირიქით, ოდნავ პირქუშადაც კი, პირქუშადაც არა უფრო საქმემოძალებული თანამდებობის პირივით. ისევ პირველზე გადაიტანა მზერა და შეამჩნია, ის კანტუზიანივით აქანავებდა თავს, ოღონდ შეუმჩნევლად. თითქოს იმის თქმა უნდოდა თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ეს ახალგაზრდა მომწონსო, თქმით კი არაფერი უთქვამს და თავის კანტური განაგრძო. მეორემ ჯერ თავის ორეულს შეავლო თვალი, მერე ამას და საქმიანად თანაც დამარწმუნებლად იკითხა რა გნებავთო. ამან პასუხად სულელური ღიმილი ესროლა და ვითომც შეკითხვა ვერ გაეგონოს, შინაურულად გადაიდო ფეხი ფეხზე; აზრები დაეღ-

ალა, ვერაფრით იხსენებდა რისათვის იყო მოსული და აშკარა, აშკარა თუ არა ნათელი გაურკვევლობისაგან ხან ერთს უყურებდა ხან მეორეს. ვერაფრით ანსხვავებდა მათ ერთურთისაგან; პირველს გარდა თავის კანტურისა თავისებური დამახასიათებელი ნიშანი ჰქონდა (თუმცა ხელოვნური), ოქტომბრელივით ორი ნაწნავი ჰქონდა ჩამოშვერილი მხრებზე აქეთ-იქედან და მკერდისაკენ გადმოშლოდა, მეორეს სვანური ქუდის კუდივით ცალი მოეგდო მხარზე და ისიც იმ ადგილას, სადაც რეზინით მოეხრჩოთ, მართლაც კუდივით აჩეჩილიყო. ოქტომბრელს აშკარად ეტყობოდა, შტერი რომ იყო, რადგანაც თუ ორაზროვან ღიმილს, თავის კანტურიანად მოახერხებდა, იმ ბრწყინვალების თვალებზე გახერხებას ვერაფრით შესძლებდა, რომელიც ოცნებაგაუწვრთნელთა ხვედრია. მეორე განსახიერებას შტერისა არაფერი ცხებია, შტერისა კი არა, მეტად დახელოვნებულიყო განმჭოლ მზერათა ტყორცნებში. სწორედ ამ მზერას, უფრო სწორად მზერათა მთელ კომპლექსს ესროდა ახლა ამის მუხლებს, თუმცა ეს კომპლექსს ყურადღების მიუქცევლად ტოვებდა. სწრაფად გადაჰქონდა ყურადღება ერთიდან მეორეზე, თითქოს მის წინ კროსვორდი მოეთავსებინოთ. მათ თვალები იმდენად პატარა ჰქონდათ, რომ რაღაცით ღორისას დამგვანებოდნენ, ზუსტად ისეთი როგორიც ბაკურიანელ ქალებს სჩვევიათ. იმის მაგივრად ეთქვა სახლმმართველი მინდოდაო – სახლმმართველები მინდოდაო თქვა, და მიუხედავად იმისა, რომ გული შტერისკენ მიუწევდა მაინც პირქუშს მიაშტერდა სახეში. დიდი არაფერი მიხვედრა ჭირდებოდა, საქმეს სწორედ პირქუში სწყვეტდა. „მისამართი" ერთდროულად იკითხეს მაგიდის უკნიდან კარპატებივით ამომართულებმა და თავებზე გადაფარჩხული სათვალეები ცხვირებზე მოირგეს; თანაც საზიარო რვეული მაგიდის შუაში მოაქციეს და შეხმაწყვილებულად მოემზადნენ გადასაფურცლავად. შეამჩნია რომ ოქტომბრელს შტერობის კვალიც აღარ შერჩენოდა და ისიც თავისი ორეულივით დამარწმუნებელგამოხედვიანი გამხდარიყო. გაიფიქრა ალბათ სათვალის ბრალიაო და მისამართი ისე სხაპასხუპით ჩამოაყალიბა, რომ თვითონვე გაუკვირდა, ეგონა აღარ ემახსოვრებოდა და ამით ოდნავ დამშვიდდა. ორმა უცებ მიაგნო საძიებელ გვერდს და მინიშნებულ გრაფაზე თითის გასრიალების შემდეგ ოქტომბრელი სკამზე გასწორდა, მის საზურგეს მიეყრდნო, სათვალე

კვლავ თავზე გადაიფარჩხა და შთამნერგავ მკერდზე ხელებგადაჯ-ვარედინებულმა საზოგადოდ უფრო გამოაცხადა. ვიდრე ამას უთხრა ეს მარინას ობიექტიაო და ამან რატომღაც გაუცინა, თითქოს წინდაწინვე იცოდა, რომ ეს აუცილებლად მარინას ობიექტი იქნებოდა. მარინამ (თუკი ის მართლა მარინა იყო), თითქოს ვერც გაიგონა საკუთარი სახელი ისე ჩაიძირა რვეულის შიგთავსში; მელნით გახაზულ გრაფაზე საჩვენებელი თითი ჩააყოლა და თავის აუწევლად იკითხა „გვარი", ამან კითხვას კითხვით უპასუხა ვისიო და თვითონაც რვეულისაკენ გადაიზნიქა. მარინამ გრაფას მტევანი დააფარა და ცოდვით თქვა „ვისი და ჩემი" მართლა ვერ მიხვდა რატომ ესარჩლებოდნენ და უნდოდა ეთქვა, თქვენი გვარი საიდან უნდა ვიცოდეო, რომ დროულად შეიჩერა სიტყვები უკვე სათქმელად გაღებულ პირში. მარინას პირდაპირ მაგიდაზე მოქცეულ ოთხკუთხედ მუყაოს შეავლო თვალი, რომელზედაც „მ. დვალი" ამოიკითხა, უჩუმრად ხელებგადაჯვარედინებულისაკენ გააპარა თვალი და ისეთივე წამოყენებული მუყაო ისეთივე ტექსტით „მ. დვალი" იქაც აღმოაჩინა, აღმოჩენით გახარებულმა წყნარად უპასუხა დვალიო. მარინა ისევ ჩაიძირა რვეულში, მაგრამ არა დიდი ხნით, თავი ამოსწია და სანამ ჩამოცურებულ სათვალეს ირგებდა, მეორემ იმ ვითომ შტერმა უთხრა, თითქმის მიახარა მოგვარეები ვყოფილვართო, შეიძლება იმის კითხვაც სურდა სადაური დვალი ბრძანდებითო, მაგრამ ველარ მოასწრო. მარინამ გააწყვეტინა სიტყვა და ყოყმანით იკითხა „სახუმაროდ მობრძანდით, ახალგაზრდავ?!" თითქოს თავიდანვე არ მიხვედრილიყოს, საკუთარი გვარის შესაბამის მოსახლეს მინიშნებულ გრაფაში ტყუილად რომ ეძებდა. ამან „არას" თქმა მოასწრო და კვლავ მარინამ იმარჯვა - რა გნებავთო, უკვე გამომწვევად ჰკითხა. არაფერი შეიმჩნია, მითუმეტეს, რომ აზრებიც მოეთოკა და დამშვიდებაც მოესწრო; გადაჯვარედინებულ ფეხის მუხლზე იმდენად დაუსწრებლის სახით იტყაპუნებდა რგოლად დახვეული ფურცლების გროვას, თითქოს როგორც იქნა მიესრისოს მასზე დამჯდარი ბუზი და მის ცხედარს სცემსო შეუმჩნევლად. მუხლის ცემა წამით შეაჩერა და თქვა, „კატის მიყვანას ვაპირებ ბინაში და მაინტერესებს ამისათვის შესაბამისი ქვითრის შევსება ხომ არ არის აუცილებელი", წინადადება დამთავრებული არ ჰქონია, მარინამ ჰაერში ისროლა „ცხოველების თაობაზე მანანასთან,"

მისმა ორეულმა კვლავ მოითავსა ცხვირის ჩაღრმავებაზე სათვალე და ამას გაურკვევლობა აღარ დასტეხია თავს, ორთა ჩაურევლად მიხვდა თუ მანანა რომელი იქნებოდა.

არადა, ორთავენი იმდენად ზუსტი კოპირებანი გახლდათ ერთმანეთისა, რომ თუ თვალს დახუჭავდა და ისინი ნაწნავებს მხრებს უკან მიმალავდნენ, გამორჩევა შეუძლებელი გახდებოდა. ამიტომაც გაუგებრობას რომ ადგილი არა ჰქონოდა და უნებლიედ თვალი არ დახუჭვოდა, უფრო დაჭიმა ქუთუთოები და დანისლული თვალები მანანას შეანათა. ახლა მანანამ იკითხა გვარიო და სანამ პასუხს მიიღებდა, მარინა ფურცლებში ჩაიძირა. დროულად მიხვდა, ვის გვარსაც კითხულობდნენ და უხერხულობა რომ აღარ განმეორებულიყო, დალაგებულად ჩამოაყალიბა: „მე საცხოვრებელს ვქირაობ მოქ. მალანიასაგან...“ ვეღარ გააგრძელა, მანანამ გააწყვეტინა, თან რაღაცას გამალებით იწერდა შესაბამის გრაფაში „სრულად ახალგაზრდავ. სახელი, მამის სახელი და ა. შ.“ თქვა. ოღონდ „ა“ და „შ“ მართლაც მხოლოდ ასოები თქვა. სანამ დაიწყებდა, ფურცლები მუხლისთავებზე დაიკრა და დაიწყო „მე ბინას ვქირაობ მოქალაქე ნაზი პარმენის-ასულ მალანიასაგან და შესაბამის ორგანოსთან იმის გარკვევა მსურდა, თუ მომიწევს შესაბამისი განაცხადის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ ვაპირებ კატის შეყვანას აწ ზემოთხსენებული მოქალაქის კუთვნილ ბინაში, რომელშიაც ჩაწერილი არ გახლავართ“ სავსებით აუღელვებლად დამარცვლა მან. ლაპარაკისას ორივე ქალბატონი საქმეში იყვნენ ჩართულნი, მარინა ფურცლებში ჩაძირულიყო, ხოლო მანანა ოდნავ მომღიმარი (შეიძლება ამას მოეჩვენა, ანდაც ქალს უბრალოდ ჩვეულება ჰქონდა) სახით ამოწმებდა რვეულში მიწოდებულ ინფორმაციას. როდესაც ქალები საქმეში ჩართულები დაიგულა დრო იხელთა და უჩუმრად ოთახს მოავლო თვალი. სწრაფად მიმოატარა მზერა და რადიატორზე აყუდებულმა ფიცარმა მიიქცია მისი ყურადღება. ფიცარზე ფერადი პლაკატი გაეკროთ, რომლიდანაც ახალგაზრდა ლამაზი კაცი იმზირებოდა; სარეკლამო ტექსტიც გასდევდა, მაგრამ ბოლომდე ჩაკითხვა ვერ მოასწრო, მანანამ რაღაც ფურცელი გამოუწოდა სიტყვებით „მარინას მოაწერინეთ ხელი“, ძალაუნებურად გამოართვა ფურცელი და, არც დაუხედავს მისთვის, მარინას გადააწოდა, გულში კი გაივლო; ვითომ თვითონ ვერ მიაწოდებდა? შეიძლება თანამდე-

ბობას უფრთხილდებიან და სრული სიზუსტით იცავენ სამსახურებრივ იერარქია-სუბორდინაციას. თავისი მახვილგონივრობის მეშვეობით მოახერხა პასუხის გაცემა კითხვაზე, ამ პასუხით თვითონ არ დაკმაყოფილებულა და ფეხზე წამოდგა, მარინასთან დაიხარა; სურდა ხელის მოწერის უშუალო მოწმე გამხდარიყო. ბოლომდე ვერ მოასწრო, წელში გასწორება მოუწია; მარინამ დამაჯერებლად დაასვა ბეჭედი ფურცელს და კაბინეტის სიჩუმეში ეს იმაზე მეტი სიძლიერით გაისმა ვიდრე საჭიროება მოითხოვდა. მარინამ თავის აუწევლად გამოუწოდა. დახედა საბედისწერო ფურცელს, საბედისწეროს თუ არა, თითქმის ჯადოსნურს მაინც. ფურცელი სავსებით ცარიელი გახლდათ, თუ არ ჩავთვლით ამ ბრევესავით დაცარიელებულს, იქ სადაც ბეჭედი იდგა გაწებილი ბულასავით, ორი ხელმოწერა გასდევდა, ორივე „დვალს" იტყობინებოდა და მათ შორის სხვაობა კალმისტრის ფერებში მდგომარეობდა მხოლოდ.

როცა გამოერკვა, კარებში იდგა. თავის დაკვრასა და გასვლას აპირებდა, რომ მანანამ იმარჯვა – „მაგ ფურცელზე ხელი მოაწერინეთ პირველ რიგში ნაზი მალანიას, შემდეგ სადარბაზოს მოსახლეთ და უკანვე მომიტანეთ, იმ შემთხვევაშიც, თუ გადაიფიქრეთ კატის მიყვანა, ანდა რომელიმე მეზობელმა ხელი არ მოგიწერათ, აუცილებლად უნდა შეგვატყობინოთ, რადგანაც გრაფა ცარიელი დგას, ხოლო მისი გახსნა ორმოცდარვა საათით არის დასაშვები, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად დაიხურება და თქვენი გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაბამისი ბინის მისამართზე გაფრთხილება აღინიშნება უყურადღებობისათვის" ამ ყველაფრის მოსმენა კარებში მდგომიარეს მოუწია და დრო რომ არ დაეკარგა თვალებს შეუმჩნევლად აქეთ-იქეთ აცეცებდა, თუმცა უშედეგოდ. „ნახვამდის" ამ სიტყვით შემოიფარგლა და გამოსვლისას კიდევ ერთხელ შეხედა ორივეს. ისინი ნაცრისფერ გარნიტურში გამოწყობილიყვნენ, კოსტუმის გულისჯიბიდან ვარდისფერი სამკუთხა ცხვირსახოცები ამოეშვირათ (ალბათ სუნამოდაპკურებული) და კოსტუმს შიდა თეთრ კოფტებს ფაიფურივით კრიალა ღილები უმშვენებდათ. გაიფიქრა, მათ გამორჩევას კაცი ნაწნავებით თუ მოახერხებსო და სანამ კარს გაიხურავდა მანანას გაუღიმა, იმანაც ღიმილითა და საწყისის თავის კანტურით უპასუხა, ხოლო მარინას ეტყობოდა, მოცლა არა ჰქონია, დამშვიდობებისმაგვარი ჩაილაპარაკა თავისთვის, ამიტომ აღარ

დალოდებია და კარი გამოიხურა.

გამოხურვისთანავე კაბინეტის მოპირდაპირე ოთახიდანაც გამოვიდა, ვითომ მოსახლე, რა თქმა უნდაო, გაიფიქრა და მოსახლეს დაასწრო. წინ გაემართა გასასვლელისაკენ სახლმმართველობის ვიწრო ჰოლსა და ვიწრო განათებაში.

ვითომ მოსახლე არ იყო მთავარი, მთავარი იყო რაც სუფევდა ირგვლივ, აქაც იგივე განმეორდა რაც ყველგან ხდებოდა გაუთავებლად. გაშიფრეს, წამსვე მიუხვდნენ ჩანაფიქრს. როგორ ახერხებენ რომ ყველაფრისათვის წინდაწინ მზად არიან? აქაც ხელი მოეცარა, თანაც უკვე საგრძნობი დარტყმა იყო, ერთის მაგიერ აწი წყვილებად მოდიან შეტევებზე, არა აშკარად რომ სადმე ჩანდნენ ან თავიდანვე აფრთხილებდნენ, არამედ ზიან თავისთვის ოთახებში, არსად არ გარბიან და მითუმეტეს, არავის ელოდებიან. მაგრამ საკმარისია დაუზეთავი კიბის ოდნავი გაჭრაჭუნება და წამსვე იფარგლებიან შეუსაბამო გამომეტყველებებით. ფიქრობდა, თან ფურცელს აკვირდებოდა, რომელიც სიცარიელით მის თავს დამგვანებოდა. დაჰყურებდა ლაქად ქცეულ ბეჭედს და მიხვდა, რატომ აეგლისათ ასე უგულოდ მელანი რეზინასა და ქაღალდს შორის, იმისათვის, რომ ამას (და არა მარტო ამას) ვერ გაერკვია ბეჭდის წრეში ნევროზიანის ფიქრებივით ჩატეული ასოები. ყველაფერი გასაგებიაო ჩაილაპარაკა, ოღონდ რა იყო გასაგები ამას ველარ მიხვდა და უჩუმრად მიმოხედვას აპირებდა ხმამაღლა ხომ არ მითქვამსო. ზურგს უკან არ მიუხედავს, უცებ გაშრა, ველარ გაბედა მიტრიალება, ნათლად, ნათლად კი არა თბილად გრძნობდა ვიღაცის ქშინვას კისერში. თუ აქამდე ფიქრების ძერწვით გართული ნელი ნაბიჯით მიაბიჯებდა ვიწროდ განათებულ ვესტიბულში, ახლა საბოლოოდ გაჩერდა, ადგილზე შედგა და კისერი დაეჭიმა უხერხულობისაგან. ალბათ, ვითომმოსახლეაო გაიფიქრა, მაგრამ გუმანმა უკარნახა, მოსახლეს წესით და რიგით უკვე უნდა გაესწროო და იმავე გუმანმა ისიც დააყოლა, შეიძლება გაგასწრო კიდეც და ახლა რიგითი მზირი აგდევნებიაო... გუმანს კიდევ ბევრი რაიმის კარნახიც სურდა, მაგრამ უკნიდან გააწყვეტინეს: ახალგაზრდავ! ან გაიარეთ, ან გამატარეთო. მოთხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა, კედელს აეკრო, რომ (ალბათ მზირი) გაეტარებინა. კედელს – არა, რომელიღაც კაბინეტის კარს და სანამ წაიქცეოდა, უფრო ზუსტად კი

შევარდებოდა, ნახტომში შეავლო თვალი იდუმალს. ჯერაც ვარდ-ნის ტრაექტორიას ასრულებდა, იდუმალი შეჩეხილ მოსახლეს რომ მიამგვანა, მაგრამ ამის სრული დამაჯერებლობით რწმუნება ვერ მოასწრო, რადგანაც კვლავ გუმანი ჩაერია საქმეში და უკარნახა, თუნდაც მოსახლე იყოს, მაინც საეჭვო იყო დამთხვევით თქვენი ერთდროულად გამოსვლა კაბინეტებიდანო... მაგრამ, აზრები გაე-ფანტა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით), ჰაერში ყოფნისას ვერ შეაფასა ვარდნის უხერხულობა. დანარცხება დიდი და ძირეული იყო. საჯდომით დაეცა და ხერხემლის კუდიდან ამოვარდნილი სიხ-ისტე იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა თვალებმა ფუნქცია დაკარგ-ეს, მაგრამ გონს არ დაუკარგავს, ნათლად არჩევდა უცნობ ხმებს. პირველი რაც ჯერ კიდევ დავარდნამდე ჩაესმა ვიღაცის შეშინებუ-ლი „ვაიმე" იყო, ალბათ ქალიშვილისო - დაასკვნა. ოღონდ არ დაუნახავს.

უკვე მხედველობის დაკარგვის შემდეგ ჩაესმოდა გაურკვეველი შრიალები, რაღაცეების ბრახუნები, ალბათ კარებებისო, ფიქრობდა საქორწილო პროცესიის თოჯინასავით უძრავი და იმავე თოჯინა-სავით ორაზროვნად მომღიმარი. მერე მართლა გაისმა კარებების გაჭრიალება და ფეხის ხმები, რომელთა რიცხვი ათობით და ასობით ჩაესმოდა დაბლაგვებულ და იმავდროულად აღგზნებულ სმენაში. ხელის გულები როცა მოეფხანა მხედველობა უკვე ნელი-ნელ უბრუნდებოდა, თავიდან ბუნდოვნად, როგორც ბნელ ოთახში შემოპარული სირცხვილი, ოღონდ თანდათან ისიც გაუუმჯობესდა, თუმცა არა ბოლომდე; ჯერ კიდევ ვერ მიჩვეულიყო ახალ პოზიციას რომ პირველი რისი, რისი კი არა ვისი გამორკვევაც მოახერხა იყვნენ ორნი. შეამჩნია ნაწნავები უკან მიემალათ, იმისათვისო - ფიქრობდა, - რომ ვეღარ გამოერჩია; აშკარად ეტყობოდათ, სპე-ციალურად გააკეთეს ამრიგად, და იმდენად ზუსტად გათვალეს, რომ არავის შეეტანა ეჭვი მათს ქმედითობაში, ისე მუხანათურად მიმალეს ნაწნავები, თითქოს ხმაურზე გამოქცეულებს ნიავმა გადა-უყარათო უკან და ახლა დავიწყნოდეთ მათი სამხრეებივით გადმო-შლა... მაგრამ, მათთვის აღარ ეცალა, თვალები აუჭრელდა, კი არ აუჭრელდა - გაუბევრდა. იჯდა უტყვი ქარაოცებით შემოსარკული და წამოყენებას არვინ უპირებდა, არც დახმარების ხელი გამოუწვ-დია ვინმეს. დაუზარლად აღებდნენ პირს, ამთქნარებდნენ და მიხვდა

მხედველობის დაბრუნებასთან ერთად სმენა წართმეოდა, სასმენ ორგანოს ყველაზე გვიან ეგრძნო ბიძგი. ოღონდ თანდათანობით ისიც დაუბრუნდა. ხოლო, სანამ დაუბრუნდებოდა ყველას აკვირდებოდა, პირველად ხედავდა ამ სახეებს იმ ორის გარდა, დაუზოგავად რომ იშვერდენ საჩვენებელ თითებს და უცაბედი ნათელი წერტილივით ისიც იცნო, თავის ავადმყოფურად აფორეჯებულ ლოყებიანად და გალეული ფანქრიანად, ახლაც უხერხულად ათამაშებდა ფანქარს. გაკრა - კვლავ სროლას მიპირებსო და თვალები დახუჭა. დახუჭვისთანავე ალიაქოთი დაატყდა თავს, მართალია სმენა ჯერაც არ აღდგენოდა, მაგრამ მაინც გარკვევით ჩაესმა სადღაც შორიდან „არიქა წყალი" და უკვე სხვა ხმამ დაიძახა „გონს კარგავს" ამან ვერ მოასწრო თვალის გახელა, რომ მიეხვედრებინა საპანიკო არაფერიაო, სახეში წყალი შეასხეს. თავიდან თუ უხერხულად იჯდა მხოლოდ, ახლა ამას გაწუწვაც დაემატა და დაბუჟებულ მკერდზე უსიამოდ იგრძნო პერანგიდან შეჟონილი სისველე. ის იყო ყურში ჩასძახოდა ვიღაც: ამ ორს ხედავ? ამ ორის ბედს განაგებს ამურიო... რომ იღლიებში ხელი გაუძვრინეს და სკამზე დასვეს.

მართალია ტკივილი ოდნავ განელებოდა, ოღონდ არა იმდენად, რომ წამომდგარიყო და წასულიყო, მაგრამ აქ ჯდომას ყველაფერი ერჩივნა და წამოიწია. მაგრამ, არ აცალეს, ძალად დასვეს და გაიფიქრა რაცხას მიპირებენო. წამოხტა და სანამ პირველ ნაბიჯს გადადგამდა კისერი დამარწმუნებლად დახარა, თითქოს თავით აპირებდაო წრის გარღვევას. გზა თვითონ დაუთმეს და ეს ჯერ კიდევ დათმობილ პოზიციას ნვლიდა, როცა გაიფიქრა ხმლები აკლიათო მხოლოდ. მართალია ყველას დამრგვალებოდა თვალები და ზოგიერთებს ყბებიც კი დაეღოთ, ოღონდ ეს უკვე ამას აღარ ეხებოდა, ვერ დარჩებოდა და ვერ დაამშვიდებდა, მაპატიეთ შემთხვევით მომივიდაო და თუ დარიგებას დაუწყებდნენ, ნუ ინერვიულებთ, თავს არა უშავს რა ვგრძნობო... ისევ ვესტიბიულში მოხვდა, აღმოუჩენელი ნათურა აღარ იკავებდა მის ფიქრს, მაგრამ ვესტიბიულის შუქი, რომელიც არც თავიდან ჭრიდა თვალს ახლა რომ მთლად დამპალ ლიმონის ფერს დამგვანებოდა გარკვევით გამოარჩია. იდუმალიც მიწას ჩაეყლაპა, არსაით ჩანდა და ასეც იქნებოდა, ხომ არ დაუცდიდა, როგორც მოსალოდნელი იყო, დროულად

გაეცალა იქაურობას.

აღმოჩენის გამო გაიცინა და როგორც იქნა, გაძვრა ვესტიბიულიდან გასასვლელ კარში. ჯერაც ბაქანზე იდგა. კიბეზე უნდა დაშვებულიყო, შორიდან რომ მოესმა „ახალგაზრდავ... მოიცადეთ". ის ქალიშვილიაო, გაივლო და კიბეზე დაუცადა იატაკის მომაახლოებელ ჭრიალს. ცალი თვალით გამოღებული კარებისაკენ იყურებოდა და ხმის პატრონი გამოჩნდა თუ არა, მიხვდა, – მწარედ შეცდა, თეთრად შეფეთქილი თმების პატრონს ქალიშვილობის კვალიც აღარ შერჩენოდა, რომელმაც ეს გრჩებოდათო თქვა. გამოართვა და მადლობის უთქმელად აპირებდა წასვლას მაგრამ, თეთრად შეფეთქილმა ქალბატონმა რაღაცა თუ ვიღაცა გაახსენა და ამანაც ნახვამდისო უთხრა. სანამ დაეშვებოდა გაახსენდა, თუ კიდით ჩავიდოდა კიბე აღარ გაჭრიალდებოდა. არ ქნა – მიხვდა, აზრი აღარ ჰქონდა, მთავარია შეუმჩნევლად შემოსვლა, თორემ გასვლას აღარ ენიშება იმოდენა უპირატესობა; ბევრი აღარ უფიქრია, კიბის შუა ნაწილს დაუყვა და საფეხურების ჭრიალთან ერთად ქალბატონიც უკან მოიტოვა.

ჩადიოდა და იქ მყოფთაგან არავინ მოიძებნებოდა ისეთი, რომელიც წარმოიდგენდა მაინც ამას ოდესმე რომ ქალი ჰყავდა, იქ მყოფთაგან კი არა, თვითონაც ვერ წარმოიდგენდა, ვერც დაუშვებდა თუკი ოდესღაც ვინმესთან ჰქონია საერთო, თუნდაც უმნიშვნელო და თუნდაც შეუმჩნეველი – მითუმეტეს ქალთან. არასოდეს გახსენებია მისი პატარა სახე, დარცხვენილი რომ იფარავდა საბნით ტიტველსა და მოკლე ძუძუსთავებს, ლოგინში წამომჯდარი რომ ტიროდა და ცრემლიც პატარა ჰქონდა. ცრემლოოდა ჯერაც ცხოვრებისაგან დაუმძიმებელი ცრემლით. ჯერ კიდევ დაუწერელი და ცარიელი ფურცელი, ამას რომ მიუშვირა, რათა დაეჩხაპნა და დაეწერა მასზე რაღაცეები. ამას არც ის ახსოვდა, გოგოს როგორ ერთიანად აეფაკლა სახე, თითქოს უხამსი ანეკდოტი მოეყოლოს ვინმეს, საცვლები საბანში გახვეულმა გაიძრო, მორცხვად შეაცურა ლოგინის ქვეშ და თავის ჩუსტებს დაადო. იწვა გაუნძრევლად და ბალიში თანდათანობით იეღინთებოდა მისი დაჭიმული კაპარჩხანა ნესტოებიდან მიბნეული ამონასუნთქით. თვალღიად იწვა და სწორედ ეს გაიფიქრა – ასეთი ,ძილი იცისო, ალბათ. დასაკლავი ხბოსავით გატრუნულიყო და თვალებდაორთქლილს ტირილი ვერ გადაეწყვი-

ტა, თითქოს ალესილი დანისა რცხვენოდეს და ეუხერხულებოდესო, ერთხელაც არ განურიდებია თავი და ღაბაბზე რომ იგრძნობს სიგრილეს, იკვირვებს განა არ ენდობიან? განა არ იციან, ხელი რომ აუშვან არ გაიწევა; თავს იმიტომ აქნევს, იქეთ წაეხმაროს, უკეთ ჩამოსდოს სიგრილეზე ჩამოშლილი ღაბაბი და არა იმისათვის, რომ შებრალებას ავედრებდეს ვინმეს. წამით თუ გადაურბენს ჩაზნექილ ხერხემალზე სიცივის ტალღა, წამით დაეძაგრება კანი და ისე გაშ-ტრიკინდება თითქოს უხერხულად ეძინაო, მაგრამ ამისათვის არ არის დასაძრახი, ეს სასაში შეღიტინებულის ბრალია და არა მისი... თუმცა, მთლად ასეც არ არის, კარგად უწყიან კი არა დარწმუნებ-ულიც არიან მის მინდობაში, ოღონდ ამ სანახაობის სილამაზე სულ სხვაგან იმალება, ეს ძირიდან მოდის, მიწაზე მყარად მდგომ ორთავე ტერფიდან მოედინება – მათ არ უნდათ არავის წახმარება, მათ აღტყინებული მელანქოლია აყიჟინებს და აცეკვებს, მუდვივ მიმა-რთულებას მოკლებული მარადისობის წრის ოინბაზობის საპატივცემუ-ლოდ. მის ნდობასაც ისე უყურებდნენ, თითქოს მკვდარ ვირთხას დასუნაო კატამ და თვალებით გაიცინაო...

იმანაც თავის ნებით მიუშვირა კისერი და ამიტომ იყო, რომ თვალები აუცრემლიანდა, მაგრამ ჯერ არ ტიროდა, ჯერ უკვირდა, არა გაკვირვებასაც ვერ ასწრებდა და გაურკვეველი აყურადებდა მისი გულისფიცრის მოძრაობას, თითქოს კანქვეშ ვიღაც ბუშტს ბერავდა და ისევ ჩუტავდაო, არ ეძინა, არ კი არა ვერ და სილაგაწნულივით უხურდა ლოყები, ვერ მიმხვდარიყო რაში მი-უძღოდა ბრალი, რატომ არ ჩამოაწუწეს ვერ ხვდებოდა. თავიდან, თორემ მერე საცვალიც აღარ გაუხდია, მობუზული და შეშინებული უცქერდა ხოლმე მთვარის შუქზე ამის გულისფიცრის მოძრაობას, და სულ ეჩვენებოდა – გაჩერდა, აღარ მოძრაობსო და სიბნელით გადაღლილ თვალებს რომ უფრო დაჭყეტდა გულზე ეშვებოდა, ოღონდ გულზე ლოდი ეშვებოდა, სადღაც მაღლიდან და ისიც თავისდაუნებურად. ტირილიც ბოლოს იყო, ტირილი კი არა დავი-წყებამდის ჩახშული ქირქილი და ვეღარც უკვირდებოდა რას სჩა-დიოდა... ბოლოს წავიდა, უკითხავად გაიხურა და ამან ვერც კი შეამჩნია, კვლავ მარტო რომ დარჩა. არ უგრძვნია ვისმეს ნაკლე-ბობა და ღამით რომ წვებოდა, ჯერ კიდევ იმის ნესტით გაჟღენთილ ბალიშზე ლოყის დადებისას გაუკვირდა, სველი რატომ არისო. ის

კი წავიდა ისევლე ცარიელი და სუფთა გვერდებით, როგორიც მოვიდა, ამას სიტყვაც არ დაუწერია მათზე და... ვინ იცის დადის დღემდის ცარიელი და სუფთა, თუმცა წასვლისას სახე უკვე აღარ ჰქონდა პატარა, რაღაც ერთიანად გარდასულიყო ყმაწვილქალობაში და თითქოს მოესწრო კიდეც გაგორობება, ყოველ შემთხვევაში კარს სანამ გაიხურავდა, ჩურჩულით მოაძახა „იცი რა არის მთავარი ქვეყანაზე?" ამის პასუხს არც დალოდებია, ალბათ არც აინტერესებდა და თვითონვე გააგრძელა „მთავარი ქუდია, ყველაზე უკეთ ქუდი მეტყველებს მის პატრონზე, არის ჩაფიქრებული ქუდი, არის ექიმი ქუდი, არის ქუდი მხედარი, მაგრამ ყველა ესენი ჩვეულებრივი ქუდებია, აპრეხილები რომ დგანან და თავის დასამალავად თუ გამოდგებიან, თორემ ნამდვილი ქუდი თუნდაც მარტოდ იდოს მაგიდაზე, პატრონის გარეშედაც ქედს მოგახრევინებს, ისე, ძალაუნებურად..." მიაძახა და კარიც გაიხურა. ვერ მიხვდა რას ეუბნებოდნენ, თავისთვის გაიფიქრა, მე ალბათ უბრალო ქუდის პატრონს მივეკუთვნებიო... და ქალი გადაავიწყდა.

კიბე ჩაიარა, უკან არ მიუხედავს, არადა ისე გავიდა სადარბაზოდან, ბოლომდე გრძნობდა იმ ქალბატონის მზერას საკუთარ კეფაზე; ღირდა განა ამის დაბრუნებაო, გაიფიქრა და ის იყო უნდა მოესროლა, რომ გამოერკვა, დარწმუნებულია კი იმაში მზირები მის ხელნაწერზე არ ნადირობენ?! ნაწერი ნდომოდათ - მათ ხელთ არ იყო? დაიტოვებდნენ და მორჩებოდა ამით. იქნებ სულაც ეს გამოცადეს, აინტერესებდათ გამოართმევდა თუ არა ან... უცებ გაშალა დაგორგოლავებული ფურცლები, არა არ შეუცვლიათ და არც გვერდები აკლიაო დარწმუნდა, როცა დასტაზე, როგორც კარტზე, ისე გააშრიალა თითი. უნებლიედ გაახსენდა მზირები. არ დაუწყია მათი ძიება, უხერხული იქნებოდა ასეთ უკაცრიელ ჩიხში მათი გამოაშკარავება.

ახლა რაღა ქნას, სად წავიდეს? სანამ აქ ამოდირდა კიდევ რაღაცის იმედი არსებობდა. აქაც მარცხი განიცადა, ვერც თვალებში ჩახედა სახლმმართველებს, ოღონდ მისი ბრალი არ არის, მათ ამოაფარეს სათვალის მინებს, ხოლო კაბინეტის მოწყობილობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ყველაფერი შენიღბული იყო, მშვენივრად იცოდნენ რისთვისაც იყო მისული, ჰაერზე კი არ ისვრიან სიტყვებს, ყოველი სიტყვა გაანგარიშებული და კოდირებული აქვთ. გაშ-

იფრეს, მიუხვდნენ. კატის მიყვანა მოგონილი იყო. ამიტომაც უთხრეს ორი დღით ვხსნით გრაფას. ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში ავტომატურად დაიხურებაო. რაღა უნდოდა, აგრძნობინეს. ყველაფერს მიმხვდარიყვნენ და ამ სიტყვებით იმის თქმა სურდათ. რომ შეგიძლიათ აღარ შეწუხდეთ. ჩვენ გავხსენით და ჩვენვე დავხურავთ. ხოლო თუ კაბინეტის მოწყობილობა გაინტერესებთ, აჰა დასამალი არაფერი გვაქვსო, მაგრამ... დამალეს რა თქმა უნდა. იმ ორმა კი უფრო გაართულეს საქმის ვითარება. თუ აქამდე თითოსთან უწევდა ბრძოლა, ახლა იმით დაიძაბა, უკვე წყვილებად მოდიან შეტევებზე. ასე გაუთავებლად ვერ გაგრძელდება. თუკიღა დაიწყო უნდა დამთავრდეს კიდეც. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს? ყველა შესაძლებელი გზა უკვე მოსინჯა. ლიფტიორიც ნახა და სახლმმართველებიც. აწი ვინღა დარჩა სანახავი ვისგანაც შეიძლება რაიმეს მიაღწიოს, არავინ! გარდა მეეზოვისა. თუმცა მასთან ლაპარაკი არცა ღირს. დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება, რომ მეეზოვე ძალად იშტერებს თავს. ყოველთვის ორაზროვანი გამომეტყველება აქვს გადაჭიმული ისედაც მეტყველ სახეზე. რაიმე რომ ჰკითხოს ძალად მოიშტერებს თავს. არაფერს იტყვის ღირებულს და დააბეზღებს. მეეზოვის ლოთობაც შეთხზული ამბავია. შეიძლება სვამს კიდევაც. ოღონდ ასე დღენიადაგ მთვრალი ხომ არ იქნება როგორადაც სურს რომ დაარწმუნოს ყველა?

ერთხელ, ახსოვს, მეეზოვეს გამოელაპარაკა. მორიგი გამომცემლისაგან შინ ბრუნდებოდა. საბარბაზოს მეეზოვე გვიდა. თან თავისთვის რაღაცას მღეროდა. გვერდის ავლა უნდოდა. მაგრამ მეეზოვემ შეაჩერა. ასანთი ხომ არა გაქვსო ჰკითხა და ტუჩებში გაკავებული და ჩამქვრალი ნამწვი აუთამაშდა. უარის ნიშნად თავის გაქნევით რომ უპასუხა. მეეზოვემ – დასანანიაო. და სანამ გვერდს აუვლიდა. ვითომც მსოფლიო სევდას მისცემოდა ისე ჰკითხა. შვილო შენა რაზე წერ წიგნებსაო. მაშინვე არ მოეწონა მეეზოვის ინტერესი. საეჭვოც კი ეჩვენა და ახსოვს უკმეხად უპასუხა. რაზე ვწერ და მწყემსზეო. თქმით კი უთხრა და გაცლაც კი დააპირა. ეგაა. მეეზოვემ არ გაუშვა. ცოცხის გრძელ ტარზე ჩამოსდო ყბა და თქვა: „ეეჰ. შვილო. შენ რა იცი მწყემსი რა არის; მწყემსი ქაოსიაო. – თქვა მეეზოვემ. – მწყემსი თავისთავად სიჩუმეა. ოღონდ სამყაროს გარეშე ის ვერ იარსებებს. ხოლო სამყარო თავის მხრივ ქაოსის

გარეშე. რამეთუ ქაოსის დასასრული იგივე სიჩუმეა ანუ მწყემსად ქცევა. ხოლო მწყემსის ცალკე მიკრობად მიჩნევა შეუძლებელია, გამოდის – ქაოსში არსებობს ის და არა მისგან ცალკედ. მწყემსი თვითონ ქაოსია" – თქვა მეეზოვემ. გაუღიმა და ღიმილიდან წამით გამოუკრთა ყვითელი და მოკლე კბილები. მის ღიმილს თავისიც დაამატა და უკვე ეჭვით ჰკითხა: „განა ქაოსის უარსებობა დაუშვებელია?" მეეზოვემ ისევ ჩაიცინა და მიუგო „დასაშვებია აგრეთვე დადამბლებული ქაოსი ანუ. სხეული უძრავად განისვენებს. ხოლო მის შიგნით მიმდინარე ბიძგები არასაკმარისია მისი ამოძრავებისათვის და პროვოცირება უპასუხოდ რჩება. მაშასადამე გარეშეთათვის შიდა ქაოტურობა შეუმჩნეველია. მაგრამ ბიძგები განაგრძობენ ფეთქვას. ეს მოჩვენებითი უძრაობაა" თავიდანვე დააეჭვა მეეზოვის ერუდირებულობამ და ეჭვი რომ საბოლოოდ განემტკიცებინა კვლავ შეეკითხა. „თქვენ გულისხმობთ დასაშვებ ეფუზიას?" მეეზოვემ გაიღიმა და თავი დააქნია „დიახ. გაზის გასვლა ფოროვან ტიხრში მუდმივად მიმდინარეობს. თუმცა ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვამჩნევთ მას" თქვა ღიმილით და ხვეტა განაგრძო; მაღალი კაცი იყო. ხმელი, საკმაოდ ხუმარა ხასიათით და იმდენად დიდი თავით. რომ ეტყობოდა ბევრს ფიქრობდა. მეეზოვე ცხოვრებასთან შეწყობილი კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ყველაფერი მოჩვენებითიაო გაიფიქრა და მისი გონება მეეზოვით დატვირთულიყო. რომ ყურში ჩაჰყვირა ისევ ვიღაცამ: ორი გახსოვს? იმ ორის. ბედს განაგებს ამურიო... და უცებ გამოერკვა „ამური" უკვე იყვირა და გაბრწყინებულ თვალებზე სიამოვნებამ გადაურბინა. „ამური" ისევ გაიმეორა. აი სიტყვა. რომელიც ლაბირინთის შემდგომი კარის გასაღებია. როგორ არ მოუსმინა აქამდე ამ ხმას? „ამური", აი რას ეძებდა თურმე და უცებ ისევ დაიძაბა. იქნებ რაიმე კი არა ვინმეა. შეიძლება კრების რომელიმე წევრის სახელია. ამასთანავე ისიც შესაძლოა. მხოლოდ პაროლია. ან სულაც არაფერ საგულისხმოს წარმოადგენს. თუმცა არა! რამდენიც უნდა აკანტურონ თავი. ამური პირველად გვესმისო. რა თქმა უნდა მოიტყუებიან და ბოლოს იძულებული შეიქნებიან დანებდნენ. განა რა დიდი ფიქრი სჭირდებოდა – რომ ორის ბედს ყოველთვის ამური განაგებს!

არ უნდა გააფუჭოს სიტყვა. წინდაწინვე უნდა მოიაზროს

ვისთან გამოიყენოს იგი; მეეზოვე გამორიცხულია, თავს მოიშტერებს, თავის უსაფუძვლო ფილოსოფიას მოჰყვება და უაზროდ დააკარგვინებს, ორთან აღარ ღირს, იმ მიზეზით – მეტნი არიან, ორს ყოველთვის ხელსაყრელი პოზიცია უკავიათ, ერთი დაიბნა, მეორე შველის საქმეს, მოხუცი სახიფათოა, თუ პირდაპირ მივიდა გამოძახების გარეშე, მაშინ მიხვედრილობა ძალას ჰკარგავს, რადგანაც მოხუცმა გარკვევით უთხრა: საჭირო თუ გახდით თვითონ მოგძებნიანო. მეტი არავინ დარჩა გარდა ლიფტიორისა. მასთან გამოიყენებს, სწორედ ლიფტიორთან აჯობებს. შეუძლია ახლავე ეწვიოს, მითუმეტეს, მიზეზი გააჩნია, ვითომც მადლობის სათქმელად მივიდა და სანამ ლიფტიორისაგან გამოვა, ცალყბად ჰკითხავს – ამური ხომ არ გამოჩენილაო დღეს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ლიფტიორმა თავის დაძვრენა დააპირა და დროის ჭიმვას მიჰყო ხელი, მაშინ ადგება და პირდაპირ ეტყვის, რასაც ფიქრობს მასზე – უკვე გაშიფრა და მიხვდა – ლიფტიორი კი არა, მზირი რომაა. სხვა გამოსავალი არ რჩება, თუ სიტყვა დაკარგა, ასეთ შემთხვევაში ლოდინის გარდა არაფერი რჩება. ამასთანავე თუ ლიფტიორს ეტყვის, რომ უკვე გაშიფრა, მაშინ ეს უკანასკნელი აუცილებლად დააბეზღებს; ძალიანაც კარგი თუ დააბეზღა, ჯერ ერთი, გაიგებენ სიტყვას უკვე მიხვედრილია და მეორე, რომ ლიფტიორიც გაშიფრა. ერთი გასროლით ორ კურდღელს ჰკლავს.

ჩამოაყალიბა თუ არა აზრი ცხოვრების რუდუნებისაგან გადასწორებულ თავში, კვლავ გაბუნძულდა. თავთან ერთად სხეულიც დაღლილიყო, მას ეგონა მივბუნძულებო, თორემ, ვინმე გარეშეს რომ შეეხედა იფიქრებდა გადაუფარებლად ეძინა და დამტვრეული მიტომ დადისო, მაგრამ ყურადღებას არაფერს აქცევდა ირგვლივ, აღარც კორპუსებზე მიხატული ისრები აღელვებდა, მათ რატომღაც თავისთავად დაკარგეს ინტერესი და ვეღარც იმას არჩევდა, მისი კორპუსი უკვე რომ გამოჩნდა. უკანა გზა საგრძნობლად სწრაფად განვლო, მიუხედავად ტკივილისა, რომელიც ტერფების უგრძნობელობაში გამოიხატებოდა და არც გაკვირვებია, მთელი უკანა გზა გონება ლიფტიორით რომ ჰქონდა დაკავებული. ლიფტიორით კი არა, მისი ფეხსაცმელებით, რომლებიც ლოგინის ქვეშიდან ამოშვერილიყვნენ კიბორჩხალის თვალებივით. ქვეცნობიერად იმას შიშობდა, ისევ ლოგინის ქვეშ არ დახვედროდა. იმასაც ხვდებოდა, რომ

შემალული აღარ დაუხვდებოდა, რადგანაც თავის მდგომარეობას გაუფრთხილდება და არაფრის დიდებით მისცემს ეჭვის საბაბს, თუმცა შესაძლებელია, სწორედ იქ დაუხვდეს და ამითი აგრძნობინოს, რამდენიც გენებოს იმდენი იეჭვიანეო. ამიტომ კიდევ უფრო ფრთხილად უნდა მოიქცეს, არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა ჩახედოს თვალებში...

უკვე სადარბაზოსთან იდგა. ცარცის საწყის ისარს უყურებდა და თითქოს პირველად ხედავდა, პირველად კი არა სავსებით ვერ ამჩნევდა. დაუსწრებლის გამოხედვით იყურებოდა სადარბაზოში და ლიფტიორთან საუბრამდე თავს იმაგრებდა. ვერაფრით მოახერხა ხელოვნური სიმშვიდის მიღწევა და სანამ შევიდოდა თავისთავს უთხრა, რაც იქნება იქნებაო. თავდახრილი შევიდა სადარბაზოში, კედლის ორნამენტებთან აღარ შეჩერებულა და ლიფტიორის ოთახისაკენ ოდნავ აღელვებული გაემართა. გამოზომილი ნაბიჯით მიუახლოვდა კვლავინდებურად გამოღებულ კარს და სანამ შიგ შეიჭვრიტინებოდა, მიაყურადა. არაფერი გაუგონია საგულისხმო. დაუკაკუნებლად შევიდა. ოთახი ცარიელი დაუხვდა. ყველაფერი თავის ადგილზე დახვდა, ოღონდ შინელი უფრო იდუმალი ეჩვენა და გაზეთის ფრთაც თითქოს სკამის კიდისაკენ გაეჩოჩებინათ ოდნავ.

ლოგინზე ხელი არ დაუდვია, აღარ დაინტერესებულა მისი სითბოთი და თავისდაუნებურად ჩამოჯდა. მართალია, ღელავდა, მაინც იგრძნო, ლოგინი უხეში რომ იყო, ასეთი რკინის ლოგინები ბევრი უნახავს და ესეც ზამბარებიანი ეგონა და შეცდა, აშკარად იგრძნობოდა ლეიბის ქვეშ ფიცარი; ოთახიდან არ გავიდოდა, სანამ ლიფტიორი არ მობრუნდებოდა, რამდენი ხანიც დაჭირდებოდა, უნდა დაეცადა.

შესაძლოა, ლიფტიორი სწორედ ლოგინის ქვეშ არის შემალული, ხოლო იმაში არაფერია გასაოცებელი მისი გამოშვერილი ფეხსაცმელები რომ აღარ ჩანს. ისინიც შემალა ალბათო ფიქრობდა და გეგმას იმუშავებდა თავში, თუ როგორ აღმოაჩინოს ლიფტიორი ლოგინის ქვეშ, თანაც ისე, რომ შემთხვევითობის სარჩული დაუდოს. ბევრი აღარ უფიქრია, გონება გაუნათდა, რომელმაც ამ ბოლო დროს საგრძნობლად მოუხშირა ნათებას და ჩამოაყალიბა, დაგორგოლავებული ფურცლები ოსტატურად უნდა შეაგოროს ლოგინის ქვეშ, რომ შემთხვევითი ჩანდეს, ხოლო მათი გამოღები-

სას, როდესაც დაიხრება ლიფტიორსაც აღმოაჩენს. მარტივად გაართვა თავი რთულ საქმეს და გადადების გარეშე მიჰყო ხელი მის სისრულეში მოყვანას. ფურცლები ისეთი გამოთვლით დააგდო, რომ ლოგინის ქვეშ შეცურებულიყვნენ. გამოთვლამ არ გაამართლა, რადგან მაგიდისაკენ გაგორდნენ. საკუთარი მოუხერხებლობით გაღიზიანებულმა ფურცლები სწრაფად აიღო ძირიდან და გამეტებით შეაგდო შალგადმოშლილის ქვეშ. აშკარად მოესმა მათი კედელთან მინარცხებისას გამოცემული ყრუ ხმა და სხვას აღარაფერს დალოდებია, ფურცლებს გაჰყვა, როგორც ქვაგამობმული მდინარეში. გადმოშლილი შალი არც აუწევია, ისე მიაშურა ლოგინის ქვეშეთს. იქაურობა ცარიელი დაუხვდა, თუ არ ჩავთვლით, ლიფტიორის ფეხსაცმელები ყურჩამოყრილი ძაღლებივით რომ იდგნენ ეულად. ხელი წაიღო ფურცლებისაკენ და გაშრა, შეიძლება ლიფტიორი მაშინ გაძვრა გვერდიდან, როცა ჯერ კიდევ იხრებოდა. ოთახიდან რომ არ გაესწრო, უკან გამოძვრა, მაგრამ წელში გასწორება ვერ მოახერხა, ოთხზე დამდგარი მიეყინა ადგილს.

პირველი, რაც გამოარჩია, მის გვერდით ატუზული რეზინის ჩექმები იყო, თანდათანობით ზემოთაც ააყოლა მზერა და ლიფტიორის სამოსში გამოწყობილ ლიფტიორს წააწყდა. ლიფტიორი მოჭუტული და გამომცდელი თვალით აკვირდებოდა. ამან კი სულ ბოლოს შენიშნა, ლიფტიორს მოხრილ მარჯვენაში ყურიანი ჯამი რომ ეკავა, როგორც ვარაყგადასული ემბაზი, რომელიც ამასთანავე ბოლავდა. ამის გონებამ მეტი ვერაფრის მოფიქრება გაახერხა თუ არა იმისა, აი დრო იხელთა და სული უნდა გამაფრთხობინოსო. ამ გონებამ ისიც უკარნახა, ცალი ხელი თავზე დაეფარებინა, რაც გადაუდებლად განახორციელა, ოღონდ ამ დროს ლიფტიორს კინაღამ გაუვარდა მბოლავი ჯამი, თუმცა იმარჯვა. მარჯვენიდან მარცხენა ხელში აპირებდა ჯამის მოქცევას, გონებამ კვლავ იმარჯვა და აზრი მიაწოდა, ალბათ ორი ხელით აპირებსო საქმის მოგვარებას, რომ არა ლიფტიორის საბედისწერო შეცდომა, არაფერი მოხდებოდა, თუმცა მოხდა. ის იყო ლიფტიორმა ჯამის ყურს მარცხენაც შეაშველა, ეს გვერდზე გადაგორდა. არც ხელი მოუშორებია თავისთვის და ამავდროს ისევ ლიფტიორს აკვირდებოდა. გადაგორების სისრულეში მოყვანისთანავე ლიფტიორს გამეტებით ჩასცხო კოჭში წიხლი და სანამ ეს უკანასკნელი ტკივილისაგან იგრიხებოდა, თვი-

თონ ფეხზე წამოხტა, რათა პოზიციები არ დაეთმო. წიხლისთანავე ლიფტიორის გაჭიმული „ა“ გაიგონა და მერე მისი დაცემის ხმა, უფრო სწორად ჯერ ემბაზივით ჯამისა - მერე ლიფტიორისა. ლიფტიორი ჯერ კიდევ ბორგავდა და დაფეთებული თვალებით მკერდს იფერთხავდა, თითქოს დაჭრილი ტყვიის ამოღებას ცდილობდა. ამან დასველებულსა და ბოლავარდნილ მკერდს რომ დახედა, ეჭვი შეეპარა მართლა დაჭრილი ხომ არ არისო. მეტი ვერაფერი მოიფიქრა, ძირს დავარდნილისათვის ხელი გაეწოდებინა წამოსაყენებლად. მაგრამ ამ დროს ემბაზივით ჯამი დაინახა, რომელიც მათ შორიახლოს პირქვე ამოტრიალებულიყო. გარშემო მდუღარე გუბე დაეყენებინა და ამ გუბეში უკვე გაბზარული კვერცხი, სწორედ ნაბზარი ბოლავდა ახლა. ლიფტიორმაც გამოუწოდა ხელი და უმალ მიხვდა რაშიც მდგომარეობდა საქმე. გაწვდილი ხელი უკანვე წაიღო, თითქოს გაეხუმრა. ლიფტიორმა ნაწყენმა იკითხა „დამცინით კიდეც?“ და მკერდიდან ამოშვებული დამდუღრული ორთქლის ნაკადი ოდნავ გაუნელდა. ლიფტიორი დახმარების გარეშე წამოდგა ფეხზე. პირველი რაც მოიმოქმედა იყო გაბზარული კვერცხის ხელში აღება, ნაბზარზე სულის შებერვა და კვერცხის ჯიბეში მოთავსება, შემდგომ ეტაპად ჯამისაკენ დაიხარა. ხელი წაატანა კიდეც, რომ ეს ღილაკებიანი მაგიდისაკენ გაჩოჩდა ჯერ კიდევ შთაბეჭდილებებით აღსავსე. „არაფერსაც არ დაგცინით, უბრალოდ მეგონა რომ...“ თქვა, მაგრამ, მის მაგიერ ლიფტიორმა განავრცო აზრი „...რომ ჯამს ჩაგარტყამდით, არა?!“ თქვა და გამომცდელ თვალებთან ერთად ეტყობოდა გაღიზიანება. და არც იყო გასაკვირი. არც ამას გაკვირვებია და თქვა „არა! ვერ მიმიხვდით, ფურცლები შემიგორდა ლოგინის ქვეშ და თქვენმა უეცარმა გამოჩენამ ოდნავ...“ ისევ გააწყვეტინა ლიფტიორმა „არაფერი შეგგორებიათ, ძალით შეაგდეთ“ თქვა და ამის მაუარყოფებელი სახის გამომეტყველებას რომ შეავლო თვალი დაამატა „კარებიდან გაკვირდებოდით. და თუნდაც შემთხვევით მოგსვლოდათ წესრიგი მაინც დაარღვიეთ“ ლიფტიორი კმაყოფილი ღიმილით მიუახლოვდა კარებს. მასზე გაკრულ სქელ ასოებიან აბრას საჩვენებელი თითი დაადო, „აი“ დაამატა და თითი მიაკაკუნა აბრაზე. ეს ძალაუნებურად დამორჩილდა თითის მიმართულებას და წითელი ასოებით ამოიკითხა „უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია“ ტექსტის კითხვისას იმას ნანობდა, რატომ აქამდე

ვერ შეამჩნია იგი. თუმცა მიხვედრილობამ ჭორივით უმალ ჩაურბინა მუცელზე, ნაჩქარევად არის მიკრულიო და ლიფტიორს მომღიმარმა შეხედა და მიახარა „რა გინდათ რომ ამითი სთქვათ?" თვითონაც გაღიზიანებულმა იკითხა და ოდნავ დამშვიდდა, ლიფტიორის ნიშნის მომგებლური ტონი აღარ იძლეოდა დასაძაბ საბაბს. „რა და აი, ბატონო ჩემო" წამოიძახა აღშფოთებულმა ლიფტიორმა, უჯრა გამოსწია, (დილით რომ ვერ გააღო) და იქედან რვეული ამოიღო, რომლის ყდაზეც „ლიფტის გადასახადი" ეწერა. ამას სავსებით გაუკვირდა მსგავსი რვეულის არსებობა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, აინტერესებდა ვერაგი ლიფტიორი რას დაამატებდა. იმანაც თითქოს ფიქრს მიუხვდაო, თუმცა არც გაჩერებულა, მითუმეტეს, არც აპირებდა, რომელიღაც გვერდზე გადაფურცლა ამის დასანახად, ოღონდ შორიდან, თითქოს ვინმე ხელიდან უპირებდა წართმევას. შესაბამისი მწკრივი თვალით მოძებნა, ისევ საჩვენებელი თითი დაადო და თქვა „თქვენი დილის საქციელი, აი აქ არის სიტყვა სიტყვით აღწერილი - მწკრივზე ორჯერ მიაკაკუნა თითი ამის გასაღიზიანებლად და, საკუთარი სიტყვები კიდევ უფრო რომ გაემძაფრებინა, დაამატა. - ამჟამინდელი თქვენი ქმედებაც გვერდზე მიეწერება", თქვა და საკუთარი თქმულის დასტურად თითი ცარიელ მწკრივზე გაასრიალა, ამას უჩვენებდა - სად აპირებდა ჩაწერას. ამან თავიდანვე მშვენივრად შეიცნო ლიფტიორის სივერაგე. თავდამძიმებული და ხელგაშვერილი ლიფტიორისაკენ გაიწია, გზად ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს საკუთარი ქშინვა უნდოდა ლიფტიორისათვის სახეში შეეფრქვია, მაგრამ ლიფტიორი ადგილიდანაც არ დაძრულა, წელში გადაიზნიქა ოდნავ, რვეული წმინდა წერილივით თავსზემოთ ასწია და „სდექ" კი არ თქვა, ბრძანა. ამ სიტყვამ უმალ იმოქმედა და მართლა შედგა; შეიძლება უნდოდა ჩახუტებოდა და წაეტირა კიდეც, მაგრამ ვერ გაბედა. ლიფტიორი შუბლის პატივცემული ჭმუხვნითა და განუსაზღვრელი ღიმილით დაჯილდოებულიყო, თანაც ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად მაინც უსირცხვილოდ და უცენზუროდ ანიშნებდა რვეულის ყდაზე. ამან ტექსტი მიზანში ამოიღო, რომელიც ძახილით იტყობინებოდა „უცხო პირთათვის აკრძალულია!" შინაარსზე უფრო მის ქვემოთ დასმულმა ბეჭედმა მიიქცია ყურადღება, რომლის ამოუცნობი ლაქა ალბათ უხსოვარი დროიდან იქ იდგა. ბეჭედს ორი ხელმოწერა ადასტურებდა. ფეხზე ველარ გაჩერ-

და და ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა. სათქმელი ბევრი ჰქონდა, ოღონდ უპირველესად რომელი უნდა თქმულიყო ვერაფრით გადაეწყვიტა; ყოველი შეკითხვა სადღაც უკან ნადგურდებოდა, ერთიმეორეზე უბრალო და სადა ეჩვენებოდა, უნდოდა რაიმე აქტუალური და პომპეზური (ეს სიტყვა არ შეესაბამებოდა მის იმჟამინდელ არც მდგომარეობასა და არც ხასიათს, მაგრამ რატომღაც ეს სიტყვა უტრიალებდა თავში), აზრების სიმრავლეს თავს ვერ ართმევდა და მხოლოდ ღრმად სუნთქვას ახერხებდა, ამასთანავე ლიფტიორს ხან შეხედავდა, ხანაც მზერას აცილებდა, მისგან ამდენს ნამდვილად არ მოელოდა. ლიფტიორი როგორც კი მიხვდა რვეულის აღმართვივით სასურველ შედეგს მიაღწია, დამშვიდდა და რვეული კვლავ უჯრაში მოაქცია. უჯრა გადაკეტა და გასაღები, რომელიც ქამარზე გამობმულ ძეწკვზე ეკიდა ჯიბეში მოითავსა. როგორც კი გასაღები ჯიბეს მიეფარა, ამან იკითხა „და რა არის ამისთანა აღწერილი, ერთი გამახსენეთ, გეთაყვა ჩემი დილის საქციელი" გაღიზიანებული იმიტომ ლაპარაკობდა, რათა ლიფტიორი არ დაეჭვებულიყო, რვეულში ჩაწერილმა ასერიგად რომ იმოქმედა მასზე. „ვითომ არ გახსოვთ, არა" ნიშნის მოგებით აიტაცა ლიფტიორმა და ამანაც მტკიცე უარის ნიშნად ჯიუტად გააქნია თავი. ლიფტიორმაც აღარ დააყოვნა და დაიწყო: „კარგით ბატონო, გაგახსენებთ, დავიწყოთ იქიდან რომ კარებზე გაკრული გაფრთხილება არად მიიჩნიეთ ეს ერთი, – ერთი სიდიდის აღსანიშნავად ნეკა თითი მოკაკვა. – გამოავლინეთ რა, მიმაფურთხებელი დამოკიდებულება სამსახურებრივი დისციპლინისადმი, დაუკითხავად შემოიჭერით ოთახში, მეორე..." თქვა და ის იყო არათითის მოკაკვასაც აპირებდა, რომ ხელაწეულმა გააწყვეტინა და ოდნავ კატეგორიულადაც კი იუარა „კი არ შემოვიჭერი, არამედ შემოვედი, სავსებით ჩვეულებრივად, თუმცა ეს არ არის მთავარი, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ გაფრთხილების არმიჩნევა და დაუკითხავად შემოსვლა ერთი და იგივეა, იქედან გამომდინარე, თუ შემოვედი, გამოდის გაფრთხილება უგუვებელმიყვია, მაშასადამე ორი დანაშაულის მაგიერ მიმიძღვის ერთი" – თქვა თუ არა შეხედა, ხომ მართალი ვარო. „არავითარ შემთხვევაში, – ჩაუშალა გეგმა ლიფტიორმა, – სანამ შემოხვიდოდით მანამდე უნდა გაგერკვიათ დასაშვები იყო თუ არა და რომც მიგეღოთ ჩემსგან თანხმობა, მაინც არაფერს ნიშნავს, რადგანაც მე დაქვემდე-

ბარებული გახლავართ ზემდგომ ინსტანციას. ხოლო გაფრთხილება იმათია - არა ჩემი. ასე რომ ჩემი თანხმობა აქ უძლურია... გავაგრძელოთ. - სანამ ორ მოკაკვულ თითს მესამესაც შემატებდა თქვა. - როდესაც ნახეთ საქმით გახლდით დაკავებული. მაინც მომაცდინეთ და დრო დამაკარგვინეთ. თქვა და მესამეც მოკაკვა - დამაკარგვინეთ და ვინ იცის რამდენი კაბინა გაიჭედებოდა იმ დროს. რომ არა შემთხვევითობა და მადლობა ღმერთს არ გაჭედილა...'' დაასრულა ლიფტიორმა და ხელები ზურგს უკან შეიერთა. ,,სულ ეს არის?'' იკითხა სიხარულით. მაგრამ ლიფტიორმა სიხარულის დაჩრდილვა მოინდომა ,,მეტი რაღა გინდათ'' იკითხა გაკვირვებით. ,,კარგით ეს არ არის მთავარი. ღრმად მოიფხანა კეფა - რას წარმოადგენს თქვენი რვეული'' აი რა აინტერესებდა. აი რა იყო მთავარი. ,,როგორ თუ რას - სახელმწიფო დოკუმენტს'' თქვა და წელში გასწორდა ლიფტიორი. ,,ამას არ გეკითხებით. რა იგულისხმება ლიფტის გადასახადში'', თქვა და მიხვდა ლიფტიორი მის ხელთ იყო; ის უბრალოდ დროს უჭიმავდა მას აზრების მოკრება რომ ვერ მოესწრო. ,,ლიფტის გადასახადში იგულისხმება ლიფტის გადასახადი'', თქვა ლიფტიორმა. უსმენდა და ხვდებოდა. ლიფტიორი ცრუობდა. თუკი რვეული ლიფტის გადასახადთან დაკავშირებულ მოვლენებს მოიცავს. მაშასადამე ამაზედ დაწერილს იქ არაფერი ესაქმებოდა. ლიფტიორის ანონიმური ნაჩხაპნის თაობაზე აღარ ანერვიულებულა. საგრძნობიც კი იყო. ლიფტიორი სიტყვებით ეთამაშებოდა. დაასკვნა ეს და ლოგინიდან წამოდგა. მის ქვეშ შეგდებული ფურცლები ადრევე გაახსენდა. თუმცა ახლაღა გამოიღო და დაუსწრებლის სახით გვერდი აუარა სწორდზე მდგომს.

ლიფტიორი მის მხარეს შეგნებულად არ იყურებოდა. გვერდი რომ აუარა დანანებით უთხრა ,,აწი რამდენიც გენებოთ იმდენი წერეთ'' სანამ გავიდოდა. უკან მოუხედავად იკითხა. თითქმის სხვათა შორის ,,ამური ხომ არ გამოჩენილა დღეს'' ადრევე დაზეპირებულ სიტყვებზე სანამ პასუხს მიიღებდა დაასკვნა. რომ შესაბამისი ეფექტი გამოიწვია. მართალია ლიფტიორს ამ დასკვნის გამოტანის საბაბი არ მიუცია. ლიფტიორი არც განძრეულა. ჰაერში თქვა გაბუტულმა. წელან ადიოდაო. პასუხმა კარებშივე დასუსხა და. სადავეები ხელიდან რომ არ გაეშვა. პირველი. რაც პირზე მოადგა. დაუფიქრებლად იკითხა: ,,ბინა ხომ არ შეუცვლია. ისევ მეასეშია?''

„რა ვიცი შეიცვალა თუ არა, კი არ მითანხმდებიან. გუშინ ოთხ-მოცდამერვეში იყო, დღეს შეიძლება მეასეშიც გახლდეთ. ვერაფერს გეტყვით“. სივრცეში ისროლა ლიფტიორმა, მაგრამ ამას აღარ აინტერესებდა არაფერი. რაიც უნდოდა ყველაფერი გაარკვია და დამშვიდობება დაავიწყდა ისე გამოვიდა ოთახიდან.

ლიფტიორის ოთახიდან სადარბაზომდე რამდენიმე ნაბიჯი იყო, მაგრამ ნაბიჯი ახლა უსაშველოდ გრძელი ეჩვენა. ეგონა თუ არ იჩქარებდა ვეღარ მიუსწრებდა და აჩქარდა. გონება საფრთხეს ვერ გრძნობდა, არ იუწყებოდა დაბნელების მოახლოებას, პირიქით, ისე განათებულიყო, როგორც თავში ანთებული ზალა და იმდენად დიდი იყო შიდა განათება, რომ თვალს სჭრიდა. განათებას ბგერებივით სივრცე სჭირდებოდა და ქალას დახშული ატმოსფერო არ ჰყოფნიდეს, როგორც სისტემების მაკოწიწებელსა და უხმოდ მოსეირნე მტვერს.

ნათელმა გონებამ პირველი რაც უკარნახა ის შეასრულა; ჰოლის გასასვლელთან აყუდებული მეეზოვის ცოცხი და აქანდაზი დალანდა თუ არა, შიდა ხმას უყოყმანოდ ენდო. აქანდაზი სწრაფად აიღო. ტარზე შეზელილი მტვრიანი ოფლი ვერ იგრძნო და ასევე სწრაფად ლიფტის კარებში გაჩარა. მერე ღილაკი შეამოწმა და მისი დაუმორჩილებლობით ოდნავ დაწყნარდა. მართალია სახიფათო იყო აქანდაზით კაბინის გაკავება, მითუმეტეს რომ ალბათ მზირები თვალს ადევნებენ, მაგრამ მათ გამო არ ღირდა გაჩერება. გაჩერება კი არა ყველაფერზე მზად იყო, ოღონდაც კი ამურს (რომლის მიგნებაზედაც ამდენი იწვალა) გზაში არ აცდენოდა, თუნდაც სასაცილო და ბავშვური იყო აქანდაზის გამოყენება, ამას აღარ დაეძებდა. ისიც შესაძლოა ლიფტიორი უჩუმრად აედევნა, ახლა თვალს ადევნებს და თავის რვეულში მორიგ უსაქციელობად ჩაწეროს და თუნდაც ასე იყოს, არაფერია სახიფათო, რადგანაც ლიფტიორი უკვე მოტეხილია, არ უცდია პასუხისაგან თავის გარიდება, ხომ შეეძლო ეთქვა არ ვიცი და უცოდინრობით შემოფარგლულიყო, მითუმეტეს, შეკითხვა ამური დღეს ხომ არ გამოჩენილაო, სავსებით განზოგადებული გახლდათ, ლიფტიორმა კი პირდაპირ და ამომწურავად უპასუხა, შეიძლება აზრი აღარ ჰქონდა დამალობანას ანდა. ესეც ტაქტიკური სვლა არის მათი მხრიდან; ყოველ შემთხვევაში მოვლენების დაჩქარება არ ღირს, ადრე თუ შიშველი ხე-

ლებით ებრძოდა, კი არ ებრძოდა, იგერიებდა მათ უმოქმედო თავდასხმებს, ამიერიდან აუცილებელი სიტყვა უპყრია ხელთ, ამიტომაც მზირებს აღარ ერიდება, სიტყვა უებარი წამალივით უდევს ჯიბეში და ამის გამოა მშვიდად რომ არის. ამ ყველაფერს კიბეზე ასვლისას ფიქრობდა, ისიც კი გაიაზრა – ლოგიკური იქნებოდა სწრაფად ასულიყო, რადგანაც ყოველწუთას შესაძლებელია მეეზოვის მობრუნება და თავის აქანდაზს კარებში გაჩრილს რომ ნახავს, აუცილებლად გამოაძრობს და... კაბინა კვლავ მიძრაობაში მოვა, ხოლო მისი ამოძრავების შემთხვევაში დასაშვები ხდება ამურიმ სწორედ მაშინ გამოიყენოს კაბინა, როდესაც იგი ჯერ კიდევ კიბეზე იქნება და ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევითობით აქანდაზი წამში ჰკარგავს ძალას. ის იყო, ძალაწართმეული აქანდაზი წარმოუდგა თვალწინ, რომ ადგილს მოსწყდა და ხტუნვით აუყვა საფეხურების მწკრივს. მართალია ჩქარობდა სასურველი ბინისაკენ, მაგრამ წარმოდგენა არა ჰქონდა სად შეიძლებოდა ოთხმოცდამერვე ნომერი ყოფილიყო. ალბათ უფრო მერვე სართულს ეკუთვნის, რა თქმა უნდა თუ ლიფტიორმა განგებ არ იცრუა, მაგრამ ასეთ იაფფასიან სვლას არ იკადრებდა.

ამ მოსაზრებათა განხილვით მეშვიდე სართულამდე ააღწია, საკუთარი ბინის ბაქანზე შედგა ფეხი, არც გაჩერებულა, გზის გაგრძელებას აპირებდა, რომ უნებლიედ გაჩერდა, წელი არ გაუნძრევია, კისერი მოაბრუნა და კუთხის ბინაზე ვერმელაკრიალებული ორი ვენზელივით ერთმანეთში გადახლართული რვიანი ამოიკითხა, აზრი აღარ ჰქონდა ლოდინს, მაინც შეყოვნდა, სუნთქვას იბრუნებდა. არ უნდოდა მოუმზადებელი მისულიყო. საფეხურზე ჩამოჯდა, რომელზედაც გაჩერდა და ფურცლები რატომღაც თავის შორიახლოს ჩამოსდო, თითქოს მას არ ეკუთვნოდა და ასეც იყო, უკვე მოესწრო მათი გაუცხოვება. დღითი დღე უფრო და უფრო ბინდდებოდა შინაარსი, კარგად აღარც ახსოვდა ნაწერი და ახლა მტევნებში ლოყებჩაძირული იდაყვებს შეუმჩნევლად ისობდა მუხლებში და ფურცლებს გაურკვევლად უყურებდა. ძალაუნებურად გაიფიქრა, განა ღირდა ამდენ წვალებადო. წინამორბედებივით ამათაც იგივე რომ ეკითხათ რაზე წერთო ვერ უპასუხებდა, უბრალოდ აღარ ახსოვდა, ბურუსში გახვეულიყო ფურცლების შიგთავსი და მათთან ერთად ამის გონებაც. ახსოვს რაც მოადგებოდა იმას წერდა მაგრამ, კონკრეტულად

რას?

ფიქრს არც აუღელვებია, ეს სულაც არ იყო მთავარი ფიქრი. საკითხის დედააზრის ერთ-ერთ კვანძს უკვე მიუახლოვდა, და მეტიც, ორიოდ ნაბიჯის დაშორებით იმყოფება. პირველ რიგში უნდა ადგეს, ზარი დარეკოს და... უცებ ახალმა იდეამ გაიტაცა, შესაძლებელია, ზარის ღილაკი მწყობრიდან არის გამოსული და თუ მართლა ასეა, რას უნდა ნიშნავდეს მისი მუშაობა ან არმუშაობა, აი, რისი გარკვევაა მთავარი და აუცილებელი. რადგანაც, სანამ ამოდიოდა ლიფტიორმა, ალბათ უკვე მიანიშნა ამურის; რა გზით მოახერხა გაურკვეველია. შესაძლოა შიდა ხაზი არსებობს მათ შორის; ისიც დასაშვებია, თბოგაყვანილობის მილების მეშვეობით, მორზეს ანბანით ახერხებენ. მაშინ ასეთ შემთხვევაში ნუთუ არ ითვალისწინებენ იმ მოსახლეებს, რომელთა საცხოვრებელში გაყვანილმა მილებმაც უნდა გამოსცენ ნიშნის ხმა? გამოდის, მორზე სახიფათოა, მაგრამ თუ დავუშვებთ იმას, რომ ესენი ყველას თვალყურს ადევნებენ, მაშასადამე მათ შორის, ანუ გამცემ-მიმღებ მილებს შორის არსებული სხვა მილების პატრონებიც შესწავლილი და ყურადღების ქვეშ ჰყავთ, თუმცა რამდენიც არ უნდა უთვალთვალონ შესწავლილებს, ვერ გამორიცხავენ იმის საშიშროებას, რომელიმე მაცხოვრებელმა ბგერები ჩაიწეროს და ხანგრძლივი პროცედურისა და დაკვირვების შემდეგ მაინც მოახერხოს მათი გაშიფვრა. ასე რომ პროცენტული შანსი იმისა, ვერ მოხერხდეს მათი მხილება - უთანაბრდება მის საპირისპირო მხარეს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ყოველი მოსახლე სადარბაზოს მარჯვენა ფრთისა არის ორგანიზაციის წევრი... „წევრი" ექოსავით გაიმეორა გუნებაში და დაიბნა, თუ ასეთი მარტივი მსჯელობით მივიდა ამ დასკვნამდე, მაშასადამე უფრო ღრმა ჩაკვირვებით შეიძლება ისიც გაირკვას, რომ არათუ მარჯვენა არამედ... ეს უკვე ძნელად იყო სარწმუნო, მაგრამ დასაშვები და უნებურად სართულის კარებებში დატანებულ საჭვრეტელებს მიაშტერდა გასარკვევად, ახლაც ხომ არ უშზერდნენ. კარებებში ჩასობილი თვალისოდენა შუშებში გარკვევით ატანდა შიდა ოთახებიდან მოღწეული შუქი, მაშასადამე არა აქვთ თვალები მობჯენილიო, თავს იმშვიდებდა რომ ისევ დაეჭვდა, შესაძლებელია ოპტიკური თამაშით ახერხებენ ამას და თუ ასეა, გამოდის თვითონ უძლურია, თუკი ეს ყველაფერი დასაშვებია, მაშასადამე კარგა ხანია

უწყიან მისი მოახლოებაც და საფეხურზე უსაქმოდ ჯდომაც. ამიტომ თავგზა რომ აუბნიოს და აფიქრებინოს კიდევ დიდი ხნით აპირებს კიბეზე ლოდინს, ჩაფიქრებულ გამომეტყველებას მიიღებს, რათა დაარწმუნოს მზირები თავის საქციელში და თაბრუდამხვევი სისწრაფით წამოხტება რომ გონზე მოსვლა არ აცალოს და ზარს დარეკავს, არა, აქაც დააბნევს და დააკაკუნებს. მოხუცის მოცემულ ნიშანს გამოიყენებს და თუ გაუღეს კარი... და რა უნდა იკითხოს ასეთ დროს? იმის კითხვა ამური ხომ არ გამოჩენილაო უაზრობაა. თუნდაც იქედან გამომდინარე, შეიძლება თვითონ ამურიმ გააღოს კარი და ამის კითხვა გარდაიქმნება სათუოდ. თუკი ამურის ეძებს კონკრეტულად, მაშინ მას სახეზეც უნდა ცნობდეს, რადგანაც ლიფტიორთან ისე სადად და უბრალოდ იკითხა ხომ არ გამოჩენილაო რომ ლიფტიორმაც ირწმუნა. ხოლო თუ ლიფტიორმა უკვე გააფრთხილა ამური მაშასადამე მისაგან კონკრეტულ შეკითხვას მოელიან და არა სათუოს.

დარწმუნებულია, ამური საკვანძო ფიგურაა და მისი დაკარგვა არ შეიძლება. სასწრაფოდ უნდა მოახერხოს სადაკეების მოზიდვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვა ხელიდან უსხლტება და ასე ძლივას მიღწეულის დაკარგვით, კვლავ ლოდინი რჩება. მოიფიქრა: - ორთა ხელმოწერიან ბლანკს ვითომც უინტერესოდ დაიკავებს ხელში და თუ მამაკაცმა გააღო კარები, მაშინ რისკი უნდა გაწიოს, მითუმეტეს სხვა გამოსავალი არ რჩება და პირდაპირ ჰკითხოს, ბატონო ამურ ხელს ხომ არ მომიწერდით სახლში კატის მიყვანის თაობაზედო, სიტყვა „ბატონო" არ მოეწონა, რაღაც ძალიან ოფიციალურად და შინაურულადაც ჟღერს, ამიტომ სანამ ფურცელს გაუწოდებს ამურის დაბნეულობით იხელთებს დროს და მისი ასაკის მიახლოებითი გამოანგარიშების შემთხვევაში იხელმძღვანელებს სიტყვის გამოყენება-გამოუყენებლობით. ბევრი აღარ უფიქრია, ნახტომამდე მოემზადა, ოღონდ ჯერ ჩაფიქრებულის გამომეტყველება მიიღო, რათა მზირთა მწკრივებში გაურკვევლობა შეეტანა და წამოხტა. ამოსუნთქვის მოუსწრებლად ორ ნაბიჯში მიაღწია ნიშანში ამოღებულ კარამდე და ანერვიულებულმა სამის მაგივრად ოთხჯერ დააკაკუნა.

სანამ ჩუსტების ფლატუნი მოესმებოდა, ორხელმოწერიანი ბლანკი მოსეს ხელისგულივით ასწია და მოემზადა, კარებმა კი ჩუსტების

ფლატუნის გარეშე იკითხა - ვინ არისო ცოტა არ იყოს დაიბნა. ფეხის წვერებზე მოახლოვდენო იფიქრა და ერთი წუთითო მიმართა კარებს. „არა გენაცვალე. ჩვენ თვითონ სამოწყალოდ გვაქვს საქმე" სევდიანად თქვა კარებმა და უცებ დააფიქრა. პოზიციებს თმობდა. კიდევ ერთხელ დააკაკუნა და დააყოლა „არა. მაგისათვის არ გახლავართ. მე მეზობელი ვარ", ისევ გაჩუმდა. უკვირდა რატომ არ ჰქონდა კარებს საჭვრეტელი. უცებ გასაღების გაჩხარუნება მოისმა; რომ ეგონა კარი გაიღებოდა და უხილავ მოსაუბრეს უკვე ორიგინალში ნახავდა. შეცდა. კარი შიდა ჯაჭვის გაჭიმვამდე გაიღო და იქედან ვიღაცის ნახევარსახე გამოჩნდა ნაპრალში. რომლის ცალმა თვალმაც უცერემონიოდ ჩაათვალიერა და კატეგორიული ხმით ჰკითხა „რა გნებავთ ახალგაზრდავ?" სასწაულებრივ გაუმართლა. თუკი აქამდე კარები ფილტრავდა უხილავის ბგერებს. ახლა აშკარა იყო. რომ ღრიჭოში ქალი იდგა. მისი ასაკი მართლა ვერ გაარკვია. თუმცა მაინც ქალბატონოთი მიმართა: „ქალბატონო კატის მიყვანას ვაპირებ სახლში და ამის თაობაზედ სახლმმართველობიდან. აი ეს - ამ სიტყვებისას მოსეს ხელისგული დაანახვა. - გამომატანეს რათა კორპუსის მაცხოვრებლებს ხელი მოვაწერინო და თუ წინააღმდეგი არ იქნებოდით..." ვეღარ დაამთავრა. ქალის ნახევარსახემ გააწყვეტინა „ვერა ახალგაზრდავ. ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგიწერთ. ჩვენ ჯერ კიდევ გუშინდელი გადმოსულები გახლავართ. ხოლო ახალმოსახლის სულსწრაფი საქციელი დასაწყისშივე. თქვენ თვითონაც კარგად უწყით როგორც მოქმედებს ხოლმე ძველმოსახლეებზე. მითუმეტეს. ვხედავ ფურცელი ჯერ ცარიელია. ჩვენთან ბოლოს უნდა მოსულიყავით. თუ კორპუსი დაგთანხმდებათ კნუტის მიყვანაზე..." „კატის ქალბატონო კატის" შეუსწორა ამან. ამ სიტყვის ცოდნით წყდებოდა ყველაფერი „...გინდაც კატა იყოს. თუ დაგთანხმდებიან ჩათვალეთ. არც ჩვენ დაგზარდებით ხოლო წინააღმდეგ შეთხვევაში. არ გვიწყინოთ. მაგრამ" შემდგომი სიტყვების ნაცვლად. წესით და რიგით. ხელი უნდა გაეშალა იმის მანიშნებლად. ვწუხვართო. და რადგანაც ამის გარკვევის საშუალებას არ იძლეოდა მასზე გადაფარებული კარები. ვეღარ გაარკვია გაშალეს თუ არა შიგნიდან ხელი; აქ უფრო სიღრმიდან ჩუსტების ფლატუნთან ერთად უკვე კაცის ხმა მოესმა: „რა ხდება?" პასუხად ნახევარსახე ღრიჭოდან გაქრა და ჩურჩული გაიგონა. თუმცა სიტყვები ნათლად

გამოარკვია „მეზობელია“. – რატომღაც გასაცოდავებულად ითქვა. – რაღაცაზე ხელი მომიწერეთო... კაცმა კიდევ უფრო ხმადაბლა უთხრა, აბა გამატარეო და ახლა მისი ნახევარსახე გამოჩნდა ნაპრალში. ამას ისევ მოსეს ხელისგულივით ჰქონდა ბლანკი შემართული, იმის თქმა უნდოდა, მე რა შუაში ვარო, მაგრამ გაშრა, ნათელი იყო ამ სახეს იცნობდა, მართალია სახის მხოლოდ ნახევარს ხედავდა, ოღონდ დარწმუნებული იყო, იმანაც იცნო. უმალ მოიჭუტა ნაპრალში ცალი თვალი. არც ფურცელს ჩაკვირვებია, კარებს ჯაჭვი მოაშორა და გააღო. პირველი, რისი გამორჩევაც მოახერხა, იყო ის რომ სახის ნახევარს მეორე ნახევარიც შეუერთდა და გამთლიანდა. კიდევ ვერ იხსენებდა, საიდან იცნობდა ამ საცვლისამარას და კარგად რომ დაუკვირდა ხელში მოკბეჩილი და გადაკეცილი პრასის კონა დაუნახა, როგორც გადაზნექილი სიზმრების წელი. საცვლისამარამ რაღაცის თქმა დააპირა და სანამ პრასს ჩაკბეჩდა – გაიღიმა. უცებ იცნო ღიმილის ქვეშიდან ამოშვერილი ოქროს კბილი და მართალია ამური საცვალში გამოწყობილიყო, მან მაინც კეისიანად წარმოიდგინა, მოშიშვლებული მხრები. ახლა ქალისას აღარ მიუგავდა, ოღონდ არც კაცისას. დაუსრულებელი დურგლის ნათალივით იდგა პრასიანი და არც შეუნიშნავს ამის გაკვირვება, შემობრძანდითო უთხრა. სანამ შევიდოდა ჯერ ქალს შეხედა და გაუკვირდა, მისი სიმაღლის პატრონი როგორ ახერხებდა, რომ ღრიჭოში საშუალო სიმაღლის შთაბეჭდილება მოეხდინა, დახრილი იხედებოდაო დაასკვნა და სიმაღლესთან ერთად მისი ზედმეტი სიგამხდრეც რომ ეცა თვალში გაიფიქრა, არის მასში რაღაც მახვილგონიერ იდალგოსებურიო. იმან კი პრასი ჩაკბიჩა და უსიტყვოდ ხელის ორი სწრაფი მოქნევით, თითქოს ტალღას აპობდაო, მიახვედრა, რაღას უდგეხართ შემოდითო და ესეც შევიდა. ჯერ კიდევ აღმართული ეჭირა ბლანკი, ოღონდ, შესვლისთანავე დასწია და ფეხსამოსის ძირები რომ არ გაუწმენდია მერეღა გაახსენდა. შემოსვლა-გასვლა ერთ მოძრაობაში ჩაატია, ცალი ფეხი ჰაერში ჰქონდა, რომ უკან წაიღო, თითქოს წაიცეკვა და ფეხსაწმენდზე ძირები შთამნერგავად გაატარა. პრასის პატრონმა ხელთან ერთად თავიც გააქნია, თითქოს ამბობდა არ იყო საჭიროო და ალბათ ზედმეტი სიფრთხილის გამო იყო რომ უსიტყვოდ მიუჩოჩა ამას ქეჩები. უკვე მიხვედრილი შედგა ქეჩაზე ჭაობის ხამლივით, ამურიმ კი ოქროს კბილი ნაკეცს ჩაასო, ხელით

ანიშნა აქეთო და რომელიღაც ოთახისაკენ გაუძღვა. ხმას შეგნებულად არ იღებდა, პრასის კვნეტა წმინდა რიტუალი იყო. იგი მოთხილამურესავით მიჰყვებოდა ქეჩების სრიალით და საკმაო დრო მიეცა უკეთ დაკვირვებოდა ამურის ალაგ ალაგ ბალანმოდებულსა და უცნაურ მხრებს. ჯერაც ვერ მოესწრო გამორკვევა და გაუჩერებლად იმას ფიქრობდა, ნუთუ მათი გუშინწინდელი შეხვედრა მართლა შემთხვევითი იყო თუ ესეც მოწყობილი იყო როგორც ყველაფერი? არა, შემთხვევითი როგორ იქნებოდა, როცა ნათლად ახსოვს ამურიმ კაბინაში დასადგურებული უკუნეთით დრო იხელთა და ამას ვითომ შემთხვევით შეეხო, თორემ სინამდვილეში, ალბათ ამოწმებდა, თუ როგორ პოზიციაში ექნებოდა ამას ხელები, ალბათ არაფრის დიდებით არ მოელოდა ხელებს გადაჯვარედინებულს რომ წააწყდებოდა. ამიტომაც უკივლია და არა იმ მიზნით, როგორადაც სურდა მოეჩვენებინა. მას ბრწყინვალედ გაუმართლა, რომ არა ეს შემთხვევითობა, ალბათ ყველაფერი უფრო რთულად იქნებოდა, რადგანაც ამური სწორედ რომ მართლაც საკვანძო ფიგურაა, რაც ისედაც იგრძნობა. სწორედ ამურის დაევალა გამოკვლევა ამის ხელები რა მდგომარეობაში იმყოფებიან ხოლმე სიბნელისას და რომც შეუმოწმა ამურიმ ვითომ შემთხვევით რას მიაგნო - რას და ზუსტად არაფერს. ხვიშტი შენ! რადგანაც ჩამოყრილი ხელები დანებების ნიშანია, აღმართული კი თავდაცვისა, თითქოს რაიმე საფრთხე არსებობდეს და მუდმივი მზადყოფნა ეკავოთ მკლავებს, მაგრამ გადაჯვარედინებული ხელები სულერთიაობისა და უზრუნველობის გამომხატველია, მიცვალებულის მაგალითად! ამიტომაც არის რომ გაუმართლა და ამიერიდან მსგავს მდგომარეობაში აუცილებლად უნდა შეიერთოს ხელები როგორც ბაბტისმა მღვდელმა გაუმიზნავი ღაღადისისას. ძირითადი მომენტი ამან უკვე განვლო ანუ, მზირთა შემეცნებამდე დაიყვანა, რომ არც თვითონ სდუმს და მართალია არც თუ ისე მახვილგონივრული თუმცა გამართლებული ხრიკებით არ-თმევს თავს მათ თავდასხმებს თუ არა შემოწმებებს. ამ ყველაფრის უფრო ღრმად გაანალიზება გადაუდებელია... თუმცა გადაედო, ამურიმ დაკავებული ხელით ანიშნა ფარდაგგადაფარებულ სავარძელზე დაჯექიო და სანამ იგი დაჯდებოდა, თვითონ კონა ჩაკბიჩა. არადა გემრიელად კვნეტდა, თავს ვერ ართმევდა და ამასაც მოუნდა პრასი. სურვილი ამურისათვის არ გაუნდვია.

ამურიმ ლუკმიდან იკითხა „რით შემიძლია გემსახუროთ“ „მე პრასის თაობაზე...“ დაიწყო, ოღონდ ამურიმ იმარჯვა „ეგ უკვე ვიცი მაგრამ სიტუაცია მოგახსენეს და შემიძლია იგივე გაგიმეოროთ. ჩვენ ახალი გადმოსულები ვართ და არ გვინდა მეზობლების თვალში მითუმეტეს რომ საკმაოდ ხნიერი და პატივსაცემი ხალხია სულსწრაფების შთაბეჭდილება შევიქმნათ დავუშვათ და არავინ მოგიწერათ ხელი და რომ ყური მოკრან მათ არ დავეკითხეთ და ისე მოგიწერეთ წამსვე ცუდმოსახლის სახე გვექმნება ხოლო ჩვენთან ბოლოს უნდა მოსულიყავით თანაც იმ შემთხვევაში თუკი უცილობლად ყველამ მოგიწერათ“ სავსებით ლოგიკურად ჩამოუყალიბა ამურიმ და ფეხები მოუსვენრად ააცქმუტა რომ მიეხვედრებინა საუბარი ამოწურულიაო. ასე უბრალოდ არ აპირებდა დანებებას მითუმეტეს, როგორც იქნა შემოაღწია ამ მართლაც რომ იდუმალებით მოცულ ბინაში. ალბათ ნახატებზე (ყოველ შემთხვევაში ამან ასე დაასკვნა) ტილოები ჩამოეცვათ, მაგიდაცა და სკამებიც გადასაფარებლებით დაეფარათ, რათა მათი ორნამენტების გაშიფვრა არ მოეხდინა მას (ესეც მისი დასკვნა გახლდათ, როგორც სხვა დანარჩენნიც), ამასთანავე ისიც დასაშვებია, სკამის ხავერდს უფრთხილდებოდნენ და როდესაც ტილოში გახვეულ ჭაღს ახედა, ეჭვი საბოლოოდ განუმტკიცდა და სხვა გზა აღარ რჩებოდა, გარდა იმისა ამურისათვის პირდაპირ ეთქვა რასაც ფიქრობდა ყოველგვარი ქათინაურების გარეშე; არც დაუყოვნებია და პირდაპირ უთხრა „ამური! მორჩი თამაშს, ყველაფერი ვიცი“.„სუ! არაფერი არ იცი!“ რატომღაც ჩურჩულით უპასუხა ამურიმ და თვალები უჩუმრად შემოსასვლელისაკენ გააპარა. „გვიანია უარყოფა!“ თვითონაც მიუჩურჩულა და ამურის გამომცდელად შეხედა, არ უნდოდა მის სახეზე მიმდინარე ცვლილებები გამოპარვოდა, განა ვერ ხვდებოდა, ამური განგებ არიდებდა მზერას, რათა ამის თვალებს არ წაწყდომოდა. აშკარა იყო ამური დანებდა, უბრალოდ და უბრძოლველად, შეიძლება ამასაც თამაშობდა და აინტერესებდა თუ რამდენად იყო ვითარების არსს ჩაწვდენილი, ალბათ ცოდნის სიღრმეს უმოწმებდა და საბოლოო იერიში რომ განეხორციელებინა ჩურჩულით გამოუცხადა „ნიღაბს ქვეშ ნათლად ვარკვევ ჭეშმარიტ სახეს!“ თქვა ამან და ბლანკი დაანახვა ამურის, თითქოს დელფოსის ტაძრის ნაკვთებიან ნატეხს უჩვენებდაო. დამარწმუნებლად კი თქვა, მაგრამ, ამურის რომ ეკითხა

რა სახეს ხედავ ამისთანასო, მაშინ უპასუხებდა გულში ჩაიხედეო და თქმულით შემოიფარგლებოდა, თუმცა, თუ აქამდე ამური დაძაბული უსმენდა, ამჟამად დაძაბულობის კვალიც აღარ შერჩენოდა და თვალის გაპარებასაც ანება თავი. „სულ ეს არის?" იკითხა ამურიმ „არა - გააჩერა ამან - არა, სულ ეს არ არის, ახლავე ვაპირებ მოხუცთან მისვლას..." თუმცა არ აპირებდა, მაგრამ აინტერესებდა რა ზეგავლენას იქონიებდა დაშინება „სსუ! - ისევ იწყო თვალების გაპარება ამურიმ შემოსასვლელისაკენ და კიდევ უფრო ხმადაბლა გაიმეორა - მოხუცმა იცის?" მიხვდა, ამოწმებდნენ და რომ ეცრუა იცისო, ყველაფერი ემსხვრეოდა! ამიტომაც ზედაპირულად უპასუხა „არა მგონია იცოდეს, მაგრამ წინ არაფერი მიდგას. მივალ და მოვახსენებ ყველაფერს". რომ ამბობდა მართლაც დაფიქრდა ხომ არ აჯობებდა მოხუცთან მისულიყო. „არა - იფეთქა ამურიმ - არ მიხვალ მასთან", თქვა და წარმოუდგენელიაო, დაამატა. „კი მაგრამ, რატომ გგონია რომ არ წავალ" და მიხვდა ამური ბადეში მოქცეულიყო, თუმცა მაინც ფრთხილობდა „რატომ? - გაკვირვებულმა და აღშფოთებულმა ამურიმ საკუთარ თავს უფრო დაუსვა შეკითხვა. - რატომ და მოხუცის ყურამდე რომ მივიდეს ჩემი და მარინას ურთიერთობა აუცილებლად დამაბეზღებს მანანასთან, ეს კი - ამ სიტყვებისას ისევ ჩაახშო ხმა და შემოსასვლელისაკენ გააპარა თვალი - ისეთი ეჭვიანია..." თქვა და ბოლოს საბრალო გამოხედვა გაუხდა. ამას რომ არ სცოდნოდა მის წინ პირადად ამური იჯდა, შეიძლება კიდეც ემოქმედათ ამ თვალებს. ეგაა, შებრალება ვერ მოასწრო. ნაცნობ სახელების ხსენებაზე თაბრუ დაეხვა და აზრი საბოლოოდ რომ არ გაფანტვოდა, თქვენი მეუღლე სად არისო ჰკითხა. ამ უკანასკნელმა დაეჭვებულმა შეხედა, და თავაზიანად უპასუხა „წეღან არ ნახეთ?" კიდევ უფრო დაიბნა, მაგრამ უცებ გამოერკვა „გინდა თქვა რომ მანანა, აი ის, - და თვითონაც შემოსასვლელისაკენ გაიქნია თავი - მაღალი ქალბატონია?" ამური კიდევ უფრო დააეჭვა ამის თქმულმა. „აბა სხვა ვინ შეიძლება იყოს" იკითხა ამურიმ, თან ეტყობოდა ფრთხილობდა სიტუაციის გამწვავებას. ეს თითქოს რაღაცას მიხვდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში ამურის საუბარში არ იგრძნობოდა სიმუხთლე, ოღონდ მაინც შეიკავა თავი და არ ჰკითხა რომელ მარინას გულისხმობო, ალბათ უბრალოდ დამთხვევააო გაიფიქრა, თქმით კი არაფერი უთქვამს და

სიტყვის უფლება დაბნეულ ამურის დაუთმო. ამურიმ იკითხა „პირდაპირ მითხარით რა გნებავთ – და რახან ამან სულერთია სახით უპასუხა დაამატა – რა დამიჯდება თქვენი დუმილი" „მოსყიდვას მიპირებთ? – აფეთქდა, ამდენს ამურისაგან ნამდვილად აღარ მოელოდა – ჩემი სიმართლე შეუფასებელია" დამაჯერებლად კი თქვა, მაინც გაიღიმა და ამურიმ იფიქრა გადამწყვეტი ფაზა მოახლოვდაო და თავის პერსონის შესაბამისი შემპარებლური ტონით დაიწყო, „არავინ გთხოვთ რაიმის გაყიდვას. უბრალოდ მოხუცთან მისვლა არ იქნება, რა თქმა უნდა თქვენთვის არაფერს წარმოვადგენ, მაგრამ წამით დაუშვით რომ დამღუპეთ. განა რას აღწევთ ამით" რომ ამბობდა თვალები არ აცრემლიანებია, მაგრამ წარბები ისე გადაზნიქა რომ მიეხვედრებინა უცრემლოდ ვტირივარო „ისიც გაითვალისწინეთ, გამოსავალს არ მიტოვებთ, უკან დასახევი გზა აღარ მრჩება" „ამით რისი თქმა გსურთ?" უკვე დაძაბულმა იკითხა და სავარძლის სამკლავურს არ ჩაფრენია. თითები კი საგრძნობლად შემოაჭდო, ამური მიხვდა, ზედმეტი მოუვიდა, მაგრამ ენაზე კბენა გვიანღა იყო და ისევ თავის ენაკვიმატობას ანდო საკითხის გამოსწორება და აზრის მიმდინარეობას მახვილგონივრულად გაართვა თავი – „იმის თქმა მინდა რომ სხვა გამოსავალი არა მრჩება გარდა იმისა თქვენი მოთხოვნები დავაკმაყოფილო" ამან თავი დააქნია, მხოლოდ ამის გაგონება თუ დააკმაყოფილებდა და თქვა „ძალიან კარგი, ბოლომდე ჯერ არ გადამიწყვეტია მოხუცთან მისვლა, თანაც დღეს უკვე გვიანია" – ამ დროს მარცხენა ხელის მაჯაზე დაიხედა ვითომ წინდაწინ არ იცოდა საათი არ ეკეთებოდა, მისი აღმოუჩენლობით იყო რომ მაჯა მარჯვენა მტევნით მოისრისა და რაც მოაფიქრდა ისევე თქვა – „თუ თანახმა ხართ შეასრულოთ ჩემი მოთხოვნები – ამურიმ თანხმობის ნიშნად ერთგულად დააქნია თავი, – მაშინ, პირველ რიგში ლიფტიორთან გაარკვიეთ ჩემი საკითხი, რაღაც საჩივრებს რომ იწერს ლიფტის რვეულში, დანარჩენს შემდგომ მოგახსენებთ" „რაღა თქმა უნდა – სიხარულით აიტაცა ამურიმ – დღესვე ჩავალ და მოველაპარაკები ლიფტიორს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ყველაფერი კარგად იქნება" მოვლენების განვითარებას აღარ დალოდებია, ფეხზე წამოდგა, ფურცლები და ბლანკი ცალ ხელში მოიქცია. ამურისათვის ხელი არ გაუწვდია, არც დაზავების მანიშნებლად და არც დამშვიდობების ნიშნად და მარტოდ

გასრიალდა შემოსასვლელისაკენ ქეჩებზე შემდგარი ამაყი და ქედმოუხრელი.

შემოსასვლელი ცარიელი დაუხვდა. ქალი უკვალოდ გამქრალიყო და არავის დალოდებია, კარები გამოაღო და გავიდა. ნელა გამოიხურა და იქ, ბაქანზე გაჩერდა. ამავე ბაქანზე იყო მისი ბინაც, ამურისაგან რამოდენიმე ნაბიჯის მეზობლად. ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ჯიუტად არ აპირებდა ბინაში შებრუნებას. მართალია დაღლილიყო და არც სადღეისოდ დარჩენოდა მოსაგვარებელი რაიმე, მაგრამ არ უნდოდა ატმოსფეროში შებრუნება, ავანტურული ელფერი რომ დაჰკრავდა, რომელიც ყოველ ჯერზე კარის გაღებისას ვიღაცეების შემოცვენას ახსენებდა. კონკრეტულად ვისას აღარ ახსოვდა, ის ახსოვს შემოცვენისას რომ უთხრეს გოგოსიანები ვართო და მერე ბინის ისეთი ზედმიწევნითი თვალიერება დაიწყეს თითქოს მყიდველები ყოფილიყვნენ. ამისაკენ საერთოდ არ იყურებოდნენ, ვერც ამჩნევდნენ და ესეც ფეხშიშველა აედევნა შემოჭრილ პროცესიას, ნამძინარევი და მთქნარებით, ვინ გოგოსიანები ხართ ან ის გოგო ვინ არისო ეკითხებოდა, ჯიუტად არ პასუხობდნენ, ამისათვის არა სცხელოდათ. ბოლოს, უკითხავად გატრიალდნენ და იმავე იდუმალებით გაიჭრნენ, როგორითაც შემოცვივდნენ. მხოლოდ გასვლისას მოესმა რომელიღაცის ტფუო. პირველად და უკანასკნელად გამოეცხადნენ, როგორ ამღვრეულ ობსიდიანზე წამით გაკრთებიან ხოლმე წარსულის ზმანებები და შემდეგ აღარც უნახავს ისინი. დილით ისიც კი გაიფიქრა ხომ არ დამესიზმრნენო და არც გადაუღლია მათზე ფიქრით გონება. მაგრამ ახლა რაგომღაც თვალწინ წარმოუდგა და ზედმეტი დაძაბვის გარეშე გადაწყვიტა შინ არ შესულიყო.

ნელა, გამოზომილად დაეშვა კიბეზე. დრო თავზე საყრელად ჰქონდა, არსად არ ეჩქარებოდა და არც არავინ ელოდა. თავისუფლად შეეძლო ქუჩაში ეხეტიალა უაზროდ, თუმცა ატყობდა, უაზროდ ვერ მოახერხებდა, მრავალი შეკითხვა დაჰპენტოდა თავზე, როგორც ნათლისღების მწუხრს გვიანი თოვლი ნაქეიფარ შულტას და ეს რომ გაიფიქრა კიდევ უფრო დარწმუნდა არჩევნის გაკეთებაში.

ჩასვლისას არავინ შეხვედრია, არც საგულისხმო შეუნიშნავს რაიმე, მართალია ყოველ შემხვედრი კარის საჭვრეტელთ გულდასმით აკვირდებოდა, და უშედეგო მცდელობების შემდეგ მათაც თავი

ანება. მიხვდა რა, რომ ვერ მოახერხებდა გარკვევას შიგნიდან უჭვრეტდნენ თუ არა და რადგანაც არც ერთში არ იყო ბოლომდე დარწმუნებული, გადაწყვიტა ისე ჩასულიყო, გამომწვევად არ ჩვენებოდათ მზირებს მისი ჩასვლა. ამასთანავე არც ის ეფიქრათ რომ ვერაფერს ხვდება. რამენაირად უნდა შეძლოს მათს თვალთვალში იჭვის დათესვა, უნდა დააეჭვოს ნუთუ ბოლომდე სრულყოფილია მათი თვალთვალი? ამის გახერხება რამდენად შესაძლებელი იყო ამდენს ვეღარ ხვდებოდა.

ლიფტიორის შესახვევს სანამ მიუახლოვდებოდა, ლიფტთან შეჩერდა. აქანდაზი კვლავ კარებში გაჩრილი დაუხვდა. სანამ გამოაძრობდა ერთი პირობა ისიც გაიფიქრა, მეეზოვე მობრუნდა და ან თვითონ მიხვდა ანდაც ლიფტიორმა დააბეზღა ვისი გაჭედილიც იყო აქანდაზი და შეგნებულად აღარ გამოაძვრინეს. და ახლა სადმე შეყუჟული უთვალთვალებს ეს რას მოიმოქმედებს. გაშიფრა მისი დამალობანა, ამასთანავე დასკვნის გამოტანაც მოასწრო, მეეზოვე იმ მიზნით უთვალთვალებს რათა გაარკვიოს დაბნეულია თუ არა ამურისთან საუბრის შემდეგ. ამის გარკვევას აპირებს უმარტივესი პრინციპით, მაშასადამე: ისე ჩაუარა გვერდი გაჩრილ აქანდაზს რომ არ შენიშნა, მაშასადამე დაბნეულია, ხოლო თუ გამოაძვრინა და მეტიც, ადგილსაც დაუბრუნა, ამით კიდევ უფრო დააბნევს მეეზოვეს. აქანდაზის გამოძრობით უკვე უცერემონიოდ აცხადებდა, არც მე ვთვლემ, მეც ყურადღებით ვადევნებ თვალყურს მოვლენებსო. ამიტომაც იყო, აქანდაზის გამოძრობისას როდესაც დაიხარა, გაიცინა, და სიცილს შეძლებისდაგვარად ხაზი გაუსვა. ნელა, აუჩქარებლად გამოაძვრინა აქანდაზი და საზეიმოდ მოაქცია დამტვერილი იერიქონივით აყუდებულ ცოცხთან, რომელიც კვლავინდებურად ლიფტიორისაკენ შემავალ კედელზე აყუდებულიყო.

ნუთუ შესაძლებელი იყო ამურის ასე უბრალოდ დანებება? კარგად ახსოვს მისი შემცბარი სახე და ვითომ დაბნეული ლაპარაკი, თუმცა ისიც შესაძლებელია, თვითონ ამურისაც ჰქონდეს წყალი შეყენებული და თვით ამურისაც ჰყავდეს მიჩენილი მზირი? და თუ ეს მართალია, ნუთუ ამოდენა ფიგურა, როგორიც ამურია ვერ ხვდება რომ უთვალთვალებენ? შეიძლება იცის კიდევაც და ამიტომაც სურს თავი გამოიჩინოს? დასაწყისშივე მიხვდა ამურიმ ვითომ სხვა მოხუცი და სხვა მარინა რომ იგულისხმა, მაგრამ ამურის

მხრიდან იმის თქმა, მოხუცთან მისვლა არ იქნებაო შეცდომა იყო; რა საკვირველია თუ ამურიც შავ სიაშია შეტანილი, მაშასადამე ისმინება კიდევაც მისი საუბრები, ამასთანავე ისიც დასაშვები ხდება, ამურიმ თვითონ დაამყაროს კონტაქტი მოხუცთან საუბრის შემდეგ და დაწვრილებით მოახსენოს ყოველივე, თანაც ყველაფერს მისთვის სასურველი პოზიციიდან დაანახვებს. მოხუცს იმას კი არ ეტყვის, ლიფტიორის მონახულებას ვაპირებ აუცილებლადო, არამედ მას დაეკითხება როგორ მოიქცეს და მისი რჩევით იხელმძღვანელებს.

ამურის მუხანათობას თავიდანვე უნდა მიხვედრილიყო, განა მაშინვე არ იეჭვა, როდესაც ამურიმ თქვა, ლიფტიორთან ყველაფერი მოგვარებული იქნებაო? ამურიმ წარბშეუხრელად იცრუა და კინაღამ წამოეგო, ოღონდ კინაღამ. ამურის სიცრუის დასამტკიცებლად მისივე თქმული კმარა. როგორ დაუჯერა მის თვალებს და მის თქმულს ყველაფერს მოვაგვარებო? არაფერსაც არ მოაგვარებს! მითუმეტეს რომ ლიფტიორს რვეულიდან არავინ არაფერს ამოაშლევინებს, რადგანაც ყველაზე ღირებული ინფორმაციები სწორედ მისგან მიედინება.

იმიტომ შესთავაზა პირველ რიგში ლიფტიორთან საკითხის გარკვევა, რათა დარწმუნდეს მართალს ლაპარაკობდა ამური თუ არა. ამური თუ იტყვის, ლიფტიორთან საქმე მოგვარებულიაო, მაშასადამე სანდო აღარ არის და აზრი ეკარგება მასთან შემდგომ ურთიერთობას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ თავი მოისაწყლა (მითუმეტეს რომ ეხერხება), ვეცადე, მაგრამ უშედეგოდო, ასეთ დროსაც სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც ამური შეიძლება ორმაგი დარტყმისათვის ემზადებოდეს. რა თქმა უნდა ამური ორივე შემთხვევაში იცრუებს და მისი ნდობა გამორიცხული ხდება. ამასთანავე არც ის არის გამორიცხული, ამურის არავითარი წყალი არა აქვს შეყენებული და დიდი გათვლებისა და გაანგარიშებების შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესი იქნებოდა ამისათვის მიეჩვენებინათ, თითქოს ამურის მდგომარეობა ჰქონდეს შერყეული. ხოლო იმაზე ფიქრი, თუ რატომ გამოიტანდა ეს მაინცა და მაინც ასეთ დასკვნას არცა ღირს, რადგანაც თუკი ისინი თვალყურს ადევნებენ, მაშასადამე ალბათობა იმისა თუ როგორ იფიქრებდა ასეთ დროს გაანგარიშებული აქვთ. ამიტომაც უდავოა ერთი ფაქტი – ამური არ არის სანდო. ამური და სანდო?

საჩქარო არაფერია, ყველაზე დიდი ხვალამდე დაჭირდეს ლოდინი ამურისაგან შეტყობინებაზე. მაგრამ აქ იშლება მეორე მხარე, ამური თვითონ ხომ არ მოძებნის ამას? თუმცა რა მოძებნა სჭირდება, ერთი ტელეფონის ზარით გაარკვევს მის ადგილმდებარეობას, თუმცა ასეთ შეცდომას არ დაუშვებს, ძებნა ამურის მხრიდან შეიძლება საეჭვოდ გამოჩნდეს, თუმცა რაღა საეჭვოდ ნამდვილად დიდ რისკთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ წესით და რიგით ამურიმ თვითონვე უნდა დაუცადოს, ოღონდ ისიც გასათვალისწინებელია, დაცდით ამური საკუთარ სიტყვებს სათუოს ხდის, რადგანაც თუკი მართლა დაინტერესებულია ამის დუმილით, როგორც თვითონვე აღნიშნა, მაშასადამე უნდა იჩქაროს კიდეც დავალების შესასრულებლად და დროულადვე უნდა ამცნოს პასუხი. თუ პასუხის მიწოდება პირველადი გამოთვლით სახიფათოა, მაშინ უფრო ნაკლებად საშიშს აირჩევს და ნაკლები რისკის გაწევით – თვითონვე დაუცდის ამის გამოჩენას. ამურის მხრიდან ლოდინი საეჭვოცაა და საგულისხმოც, მაგრამ ლოგიკური გამოთვლით უფრო ღირებულია, ვიდრე ამის მოძებნა. ამიტომაც რომ არ გაიწელოს საქმის ვითარება, ვითომ შემთხვევით შეუვლის ამურს და ეტყვის რომ ლიფტიორის მონახულება არ არის სასწრაფოო. ამურის რა თქმა უნდა წესით უკვე მონახულებული უნდა ჰყავდეს ლიფტიორი, მითუმეტეს, საქმე არ იცდის ხოლო ამით ამურისთან თვითონ ამყარებს კონტაქტს. არაფერი იქნება საეჭვო ამის საქციელში და ვერც იმას გაარკვევენ მართლა არაფერი აქვს საჩქარო თუ უბრალოდ იმის თქმა უნდოდა, მე თვითონ ვწყვიტავ ჩემს გამოჩენა-არგამოჩენის საკითხსო. ამიტომ ამ ღამით სახლში მიბრუნება არ ღირს, რადგანაც ამით ამურის უადვილებს მდგომარეობას, იმას საბუთი ექნება და შეუძლია თავი იმართლოს, მთელი ღამე გეძებდით, მაგრამ ვერ დაგიჭირეთო, ხოლო ეს უკვე ერთი ნაბიჯით წინ იქნება, უკეთუ ამურიმ ამით იმართლა თავი.

შთაბეჭდილება, რომელიც ოთახში შესვლისთანავე ჩამოუყალიბდა, არც მერე შეცვლია. პირიქით, კიდევ უფრო ჩააფიქრა ტილოებგადაფარებულმა გარნიტურმა. გამორიცხულია, მისთვის შეეგმანათ, ვითომ ხილული რომ არ გამხდარიყვნენ? ასე რომც იყოს, რაღა მაინცა და მაინც იმ ოთახში შეიყვანა ამურიმ, რომლის მოწყობილობასაც არ უნდოდა რომ ეს დაკვირვებოდა. თუ განზრახ არ იყო

ყოველივე მოწყობილი, მაშინ იბადება კითხვა, რისი გულისათვის მოიმოქმედეს ამგვარად. ერთადერთი ახსნა ამისსავე მოსაზრებაში იყო, რომელიც ჯერ კიდევ კეისიანი ამურის ხილვისას ჩამოუყალიბდა, როდესაც ეს უკანასკნელი კაბინის წყვდიადს ნაჩქარევად სტოვებდა. ახსოვს მაშინათვე დაასკვნა, ალბათ გადამყიდველი იქნებაო და აი, დარწმუნდა კიდეც მოსაზრებაში. ტილოს გადაფარება განეხორციელებინათ იმ მიზეზით, რათა ნივთები არ დამტვერილიყვნენ, რომლებიც ალბათ მყიდველს ელოდნენ, ჭაღის ჩათვლით. არც ეს გარემოება წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ჭაღი ჩამოკიდებულ მდგომარეობაში და ისიც ტილოშემოხვეული იმყოფება. იმ მიზეზით არის ასე ქმნილი, შეიძლება მყიდველმა მისი გრაციულობა ვერ აღიქვას უკეთუ ჭაღი ყუთში შეფუთული იხილა, ისიც გათვლილია, ტილოს მოშორებისას დაინტერესებულმა პირმა მისი სრული მანათობლობის ძალაც იხილოს და ეს ყოველივე იმის გამო არის ამგვარად მოწყობილი, რომ გაუთავებლად არ გახდეს ნათურებისა და ბროლის წმენდა აუცილებელი. შუა საუკუნეების ტრაქტატი ბროლის ჭაღისა და მისი მყიდველის შესახებ.

დავუშვათ ყველაფერი ასეა მაგრამ როგორ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა რომ ამური შეგნებულად არ ცდილობდა თავისი საქმიანობის თავს მოხვევას? თვითონ არ იყო როდესაც შეცბა სიტყვებისას ყველაფერი ვიცი? არა ყველაფერი ზედმიწევნითი სიზუსტით იყო გათვლილი ყოველი ნიუანსი გაანგარიშებული იყო მათის მხრიდან და ამურის შემცბარი სახე ყოველგვარ ძალას ჰკარგავს ისინი იმას ცდილობენ თავგზა აუბნიონ და ერთმანეთის მაუარყოფელი ფაქტებით იმაში დაარწმუნონ მართალია ფაქტები ერთმანეთის მსგავსებას არ განიცდიან მაგრამ ამასთანავე არც იმის უარყოფა მოხერხდეს რომ ბედი და შემთხვევა ერთმანეთს ემთხვევაო (აფსუს, ამური) ამური უდავოდ ძლიერი ფიგურაა ხოლო ამოდენა ორგანიზაცია მის მოხერხებულობაზე რომ ამყარებს ამხელა იმედებს კიდევ უფრო ხაზს უსვამს მასზე არჩევანსს! ალბათ მრავალი ინსტანციისა და კომისიის მსჯელობის საგანი იყო თავის დროზე და რადგანაც ყველა მათგანმა ერთიანად სცნეს ამურის ნიჭიერება მაშასადამე ღირსეული პერსონაა და მაშინ ისიც შესაძლებელია ამასთან დაკავშირებული ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დაწინაურებასაც უმიზნებდეს აქედან გამომდინარე შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა

ამურიმ თავისდაუნებურად გაამხილა თავისი სუსტი წერტილი ანუ ის დაწინაურებას ელოდება ბრძანებას რომ ექვემდებარებოდეს მაშინ დასაკარგიც არაფერი ექნებოდა ძნელია ისეთ პიროვნებასთან თამაში რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს მითუმეტეს როცა ეს პიროვნება გასათვალისწინებელია! ოღონდ როდესაც ამურიმ თავის პირით თქვა დასაკარგი არაფერი მაქვსო სწორედ მაშინ შეცდა იგი არ მოელოდა ამურისაგან ამოდენა გაუთვალისწინებლობას ამურიმ იჩქარა პირდაპირ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეთქვა ეს სიტყვები რამენაირად უნდა მიეხვედრებინა ვითომც შემთხვევით შეიძლება ვერ გამოზომა თუმცა არც არის გასაკვირი შეცდომა ვის არ მოსვლია ეგაა ამურიმ თავის გაუთვალისწინებლობით კიდევ ერთი გასაღები მისცა ხელში უნებლიედ და ეს იდეალურად მოიქცა რადგანაც არ აგრძნობინა ამ სუსტი წერტილის გამოყენებით შეუძლია ამურიზე ზეწოლა მოახდინოს ოღონდ არა ისე რომ პირდაპირ უთხრას რასაც ფიქრობს არამედ თანდათანობით ისიც შეიძლება არ გამოიყენოს გასაღები ან არ დასჭირდეს მაგრამ თუნდაც გამოუყენებელი ცოდნა ამისა აუცილებლად წაეხმარება მაშასადამე ამურის პერსონა ასე თუ ისე ოდნავ მაინც გარკვეულია მაგრამ არსებობს იმის საშიშროებაც ნუთუ მარტო ამურის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება სადარბაზო? მოსახლეები რომ მას ექვემდებარებიან უდავოა ასევე მეეზოვეცა და ლიფტიორიც თუმცა თუ ლიფტიორის პოტენციალს გავითვალისწინებთ ისიც დასაშვები ხდება ლიფტიორი უშუალოდ უფროსობასთან იყოს კავშირში ბოლოს და ბოლოს ამხელა კორპუსში ერთი ძირითადი ფიგურა ხომ არ იქნება განწესებული? ეს რასაკვირველია წარმოუდგენელია ასეთი პედანტურად აგებული სტრუქტურა არ დაუშვებს ასეთ გაუგებრობას და თუ გამოირიცხება რომ ლიფტიორი არ არის უფრო ზემორე ინსტანციებზე დაქვემდებარებული და დავალებებს უშუალოდ ამურისაგან იღებს მაშასადამე არსებობს კიდევ სხვაც რომელიც უკვე კონკრეტულად ამურის უყურებს და მისგან დამოუკიდებლად აწვდის ზევით მისი საქმიანობის ამსახველ ინფორმაციას ამ შემთხვევაში ასეთი პიროვნება არც ამურისათვის უნდა იყოს ცნობილი მან შეიძლება ყოველ დაქვემდებარებულში ეჭვი აიღოს და სწორედ ამიტომ ვერ გაამართლებს ასეთ სიტუაციაში ლიფტიორი რადგანაც ძალიან ხმამაღლა ჟღერს ისიც დასაშვებია გათვლა იმ ფაქტზე

მოხდა, რომ ლიფტიორი ავტომატურად გამოითიშა მაგრამ ამური-სათვის კარგად არის ნაცნობი ორმაგი დარტყმა ამიტომ სარისკო იქნებოდა ესეიგი იმ პიროვნების ძებნა რომელიც კონკრეტულად ამურიზე არის განწესებული უნდა მოხდეს იმ უმნიშვნელოთა რიგებში რომელსაც შეადგენს სადარბაზოს დანარჩენი მოსახლეობა ოღონდ არავითარ შემთხვევაში მანამ სანამ ეს საქვაბესაც არ მოინახულებს რადგანაც გამორიცხული არ არის რომ ძაღლის თავი სწორედ იქ იყოს დამარხული.

მართალია, ოდნავ საეჭვოა, მექვაბეს არ შეიძლება ჰქონდეს ხშირი შეხების წერტილი ამურისთან, რადგანაც ეს უკანასკნელი ეჭვს აიღებს, მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს ორგანიზაციის ღირსე-ბა, თუკი ამური ამოდენა ფიგურაა და თვით ორგანიზაციის მიერ არის დანიშნული, გამომდინარეობს მექვაბე მასზე ზემდგომია, მარ-თალია ჩრდილში მოქმედებს, ოღონდ შორიდანაც კი იგრძნობა მისი მმართველი ძალა. მაშასადამე, დაუყოვნებლივ უნდა მოინახუ-ლოს საქვაბე. ამ ყველაფრის გათვალისწინების შემდეგ აბსურდული ხდება იმის ცალსახოვანი მტკიცილიც, თითქოს მექვაბისა და ამურის ძირითად საქმიანობებს დაჯერდეს მთელი სტრუქტურის ამოდენა კონსტრუქცია. თუ დავუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ ამურის სრული ინფორმაცია გააჩნია მექვაბის თაობაზე, მაშინ დასაშვები ხდება, თვით მექვაბისთვისაც ცნობილი იყოს ამურის მიხვედრილო-ბა და ორივესაგან უჩუმრად და მათვე სათვალთვალოთ ორთავეს ერთდროულად მიჩენილი ჰყავდეთ ლიფტიორი, მითუმეტეს, ლოგიკური გაანგარიშებით ის დასაწყისშივე ავტომატურად გამოითიშა. რა თქმა უნდა, ამის სრული თავდაჯერებულობით აღიარება დაუშ-ვებელია, რადგანაც გასათვალისწინებელი და ყურადსაღები ხდება სწორედ ის უმნიშვნელო ასპექტი, რომელიც თავის გაადვილებულ პრინციპზე არის გათვლილი, ანუ; თუ დავუშვებთ იმასაც, მექვაბე-მაც და ამურიმაც ერთმანეთის შესახებ ყოველივე იციან, ამავდროულად დასაშვები ხდება, მცოდნეთა რიცხვს ლიფტიორიც განეკუთვნე-ბოდეს და არა ისე, თითქოს სამივე მათგანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, არამედ იციან კიდევაც რომ ერთ-მანეთის თვალყურის მდევნებლებად არიან განწესებულნი, ამიტომ გახსნილად მოქმედებენ, არაფერი აქვთ გასაყოფი, მითუმეტეს ფუნ-ქციების განაწილება მათ არ ეხებათ და სამივე ერთად და ამავდროუ-

ლად ცალ-ცალკე ანხორციელებენ ზემოდან მიღებულ დავალებებს, ერთი ბირთვის დაქსაქსულ ნაწილებად არიან განწესებულნი და უშუალოდ თავ-თავიანთ განყოფილებებთან აქვთ კავშირი. ამიტომაც არის, რომ რომელიმე მათგანის ცალკე ნაწილად მიჩნევა შეუძლებელია, სამივეს ერთად, ერთიანი ბირთვის სახით უნდა ებრძოლოს, არ მოხდეს რომელიმე მათგანის კომპეტენტურობაზე აქცენტის გაკეთება დანარჩენი ორის გამოკლებით, სამივენი ტოლფასი ნაწილები არიან და მათ როგორც ერთიანობას, როგორც სამებას ისე უნდა მიუდგეს.

მექვაბესთან მისვლა მომზადების გარეშე არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც დანარჩენებთან თუ ვიზიტის მიზეზი გააჩნდა, მასთან უკვე გაძნელებული ხდება არა საერთო ენის გამონახვა, არამედ უბრალოდ მიდგომა. რომც მივიდეს მექვაბის სანახავად შეიძლება მთელი საქვაბის გადაკვეთა მოუწიოს, რადგანაც მექვაბე შეიძლება მის ბოლო ნაწილში იმყოფებოდეს, თანაც ერთის მაგიერ რამდენიმე მექვაბე დაუხვდეს და როგორ უნდა გამოარჩიოს მათში ძირითადი - წარმოუდგენელია. ამიტომ თუ ერთის მაგიერ რამოდენიმე დაუხვდა, ასეთ შემთხვევაში ყველას როგორც ერთს ისე მიუდგება ოღონდ, მთავარი ეს არ არის. მთავარია იმის წინასწარ მოფიქრება, თუ რისათვის არის მათთან მისული, რამენაირად უნდა გაამართლოს თავის საქციელი, არ უნდა დაიბნეს საუბრისას, თორემ თუ ეჭვი აიღეს შეიძლება არათუ ხელიდან დაუსხლტენ, არამედ იმასაც მიუხვდნენ, რომ ეს არაფერშიც არ არის ბოლომდე დარწმუნებული და მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა გააჩნია საკითხისა. ამიტომ მათთან ბლანკით მისვლა - კატის სახლში მიყვანის თაობაზე ხელმოწერათა შეგროვებისათვის არ გამოადგება, რადგანაც არანაირ კავშირში არ არის მექვაბესთან სახლის კატა, ქუჩის კატაზე რომ იყოს ლაპარაკი სხვა საქმეა, რადგანაც მექვაბეს, ალბათ ტვინი ექნება მათგან წაღებული. მითუმეტეს კატას სითბო უყვარს, საქვაბეში კი დღენიადაგ სითბოა, ამასთანავე ზომის სიმცირის გამო მათთან ბრძოლა გაძნელებული ხდება, საკმარისია დაუსხლტეს ხელიდან და ვიწრო ხვრელში გაძვრეს, დევნას აზრი ეკარგება, თუკიღა ხვრელს მიეფარა შეიძლება დაივიწყო კიდეც, მაგრამ დავიწყება არც ისე ადვილია ალბათ, რადგანაც კი არ კნავიან არამედ ჩვილებივით ტირიან და ამით მექვაბის ისედაც რთულ პროფესიას კიდევ უფრო

ამძიმებს. ალბათ ყოველდღიურად უწევთ გულჩვილ დეპრესანტ მექვაბეებს აღმოჩენილ სამალავებში მიგნებული ჯერაც თვალაუხელელი კნუტების საქვაბეში შეყრა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რაოდენ სწრაფად მრავლდებიან... მაშასადამე, კატის მიყვანის თაობაზე მათი შეწუხება არ ღირს. შეიძლება ამაზე ცუდი წარმოდგენა შეექმნათ, თავიანთი მტრის ოჯახის წარმომადგენლის ხსენებისას ნამდვილად განაწყენდებიან – უტაქტობაზე... მაგრამ... ერთი წუთით! შეიძლება პირიქითაც მოხდეს და სიმპატია დაიმსახუროს მათ თვალში იმით, რომ კატაში ქუჩისას კი არა სახლისას გულისხმობს და ამ ფაქტის მიგნებით გახარებულმა გადაწყვიტა სიტყვა სახლისაზე მოეხდინა აქცენტი, ამით ნამდვილად ეფექტს მოახდენს და შესაძლოა ისინი დადებითადაც კი განაწყოს თავის მიმართ, ამიტომაც მიახვედრებს კატაში მხოლოდ სახლისას გულისხმობს და ყველაფერი კარგად იქნება.

საფეხურები რომ ჩაიარა, სადარბაზოს შესასვლელი შეუმჩნევლად გადაკვეთა და შიდა ეზოს ბოლოში დაბინავებულ საქვაბეს მიაშურა თავისი მსჯელობის შედეგში დარწმუნებულმა. საქვაბემდე გაშლილი ეზოს ტერიტორიას ასფალტი გადაფენოდა, და ეს ჯიუტად გაჭიმული ასფალტი არ აძლევდათ უფლებას გუბეებსა და მიწას ერთმანეთს შეერთებოდნენ, ამავე ასფალტიდან ეზოს განივად ტოტებდადრეკილი ცაცხვები ამოზვინულიყვნენ სიმაღლისდა მიხედვით, თითქოს სუბორდინაციას იცავდნენ; უფრო მაღლები და მასიურები რომლებიც იყვნენ, ისინი ხნიერი სირაჯებივით შეუმჩნევლად შრიალებდნენ. ხანდახან მათ უკანა ფონს ცად გამსკდარი ელვა იტაცებდა და წყვდიადიდან კვეთდა მასიურ სილუეტებს მათსას, ხოლო უფრო ახალგაზრდები და ტოტებალოკილები რომლებიც ამოკიით იყვნენ შეპყრობილნი, ისე აკვირდებოდნენ გარემოს თავიანთი ღაზო თვალებით და უფრო ხნიერებს ისე უცქერდენ, თითქოს ვაჩასათვის ნიკაპსქვენა ღაღვის ჩამოწიწკნა მონდომებიათო. მაგრამ, ამის გონებას ცაცხვები ვერ იკავებდნენ, იმან ჩააფიქრა გარნა-ღა ეზოში მოხვედრა მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის არის შესაძლებელიო. რაღა თქმა უნდა არა და ამის დასტურად მეტყველებდა მეზობელი კორპუსის შუაში დატანიებული მაღალი თაღი.

ეს არ არის საინტერესო, გასათვალისწინებელი მხოლოდ ფილაქნებია, რომლებზედაც უკვე შედგა ფეხი – საქვაბის კარებამდე

რამდენიმე კვადრატულ მეტრს რომ იკავებდნენ. დაკაკუნებაზე რა საკვირველია და არავინ გამოხმაურებია. შიდა ხმაური თავიდანვე აღწევდა მის ყურებამდის და ისიც გამოითვალა, ბრახუნს ვერ მიაწვდენდა შიგნით მყოფთ ოღონდ, როგორც წესრიგი მოითხოვდა რამდენიმე წუთი შეყოვნდა, კარებს გულმოდგინედ დაუკვირდა, რათა ლიფტიორის მსგავსი გაფრთხილება არ გამოჰპარვოდა და კარის კაეშნიანი ფერის გარდა სხვა არაფერი საგულისხმო შეუნიშნავს. სახელურის ალაგას გაჩენილ ღრმულში მოკაკვული თითი გაუყარა, მოქაჩა და ვერ გააღო. თითი კიდევ უფრო მეტი სიძლიერით მოზიდა, თუმცა, კარები არც ამ ჯერზე დამორჩილებულა. დაძახებას აპირებდა, რომ მიწოლით მოსინჯა და გაჭრიალების გარეშე შეაღო. შეიძლება გაჭრიალდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში შიდა სივრცეში დასადგურებულმა გუგუნმა ალბათ შთანთქა მისი ფალცეტი.

შესასვლელში საკმაო განათება იდგა, რომელიც ცარიელ მაგიდაზე ანთებული ღამის ლამპიდან მოედინებოდა. იგრძნობოდა ლამპა ძველი პლიადის წარმომადგენელი იქნებოდა, ხოლო მისგან გამომართული შუქი ისე გაკვირვებული გადასცქეროდა მაგიდიდან იატაკს, როგორც კბოდეზე გაწოლილი ნიავი უმზერს ბებერი ქარის ტალღებზე თარეშს.

დიდი მიხვედრილობა არ სჭირდებოდა მაგიდასთან ვინმეს უიმედო ლოდინს. ლურსმანიც კი ეულად ჩაჭედილიყო შპალერგახუნებულ კედელში. არავის გამოჩენას არ დალოდებია და უფრო სიღრმისაკენ შემავალ კარებს მიაწვა და გაარკვია, ის თურმე პირიქით იღებოდა.

შიდა სივრცეს ნათურა არ ანათებდა და არც წარმოადგენდა საჭიროებას. მართალია, შუშები ნესტისაგან თვალის დათხრამდე დაბურულიყვნენ, ოღონდ მათში მაინც გარკვევით ატანდა ეზოდან შემოღწეული ბინდი. კიდეებში ჩაყოლებული რეზინებისა და მათშივე ჩამჯდარი მტვრის მიუხედავად მინები მაინც ზრიალებდნენ. სწორედ ზრიალი ირეკლავდა ეზოდან შემოღწეულ ბინდს და ერთი შეხედვით მუქ იასამნისფერ მილებს აფენდა. მილებს მშობიარე ქალის ოფლივით დასხმოდათ წყლის წვეთები და გაუთავებლად შუოდნენ. შუილისას თეთრ ბოლს უშვებდნენ, თითქოს მოსწრებაზე ეწეოდნენო და იმდენად შთამბეჭდავი იყო მათ მიერ დაკავებული

სივრცე. რომ სილრმისაკენ იკარგებოდნენ და მათი აღქმა გაურკვეველ
ხდებოდა.

ჯერ არავინ შეხვედრია, მილების შუილი აცილებდა და მათგ
ჩამოვარდნილ წვეთებს კოვზივით მოხრილ მტევანში იგროვებდ
უშედეგოდ იჭვრიტინებოდა მილებს უკანა წყვდიადში ვინმეს მისა
გნებად და ძალაუნებურად უფრო ღრმად შედიოდა. თანდათანობი
უახლოვდებოდა შენობის ბოლოში დასადგურებულ ნისლს, აქლოშინებ
ულ ორთქლმავალს რომ აგონებდა. ეჭვობდა ნუთუ ტყუილა
მიიწევდა თბილი ღრუბლისაკენ, მაგრამ სხვა გამოსავალი მაინ
არა ჰქონია, გუმანით ხვდებოდა. კვანძი იქ იკვრებოდა და ძა
ლაუნებურად იმასაც ფიქრობდა ნუთუ ცდება? ხომ შეიძლებ
ფანჯრიდანვე დალანდეს და მოასწრეს კიდეც მიმალვა? მაგრამ ვე
ირწმუნებდა ამას, გარნა რა ჰქონდათ დასამალი, პირიქით, უპრიან
იქნებოდა ეფიქრა კარგა ხანია რაც ელოდნენ. დასკვნების გამოტან
ჯერ ნაადრევია, შეიძლება სულაც რომელიმე მილი დაზიანდა დ
ახლა მას აკეთებენ და ალბათ ასეც არის. ალბათ, ის მილი ქლოშინებ
მატარებელივით და მისგან გამოფრქვეული ბუღი ფარავს მა
ნამდვილად ბუღი გადაეფარათ და ამიტომაც ვერ ხედავს მა
შორიდან. ამიტომ მანამდე არავითარ დასკვნას არ გამოიტანს დ
ბუღში მოქცევისთანავე გადაწყვეტს თუ როგორ მოიქცეს.

მართლაც, იქ დაუხვდნენ ვისაც ეძებდა. ბინტივით ახვევდნე
რკინის სალტეებს გახეთქილ მილს და განზე გამდგრები იმას ცდი-
ლობდნენ არ დაფუფქულიყვნენ გამოფრქვეული მდუღარე წყლის
ნაკადით. სქელი და იდაყვებამდე გრძელი რეზინის ხელთათმანებით
მუშაობდნენ, მაგრამ ისინიც დამდუღრულიყვნენ და გამოძრავებისა
ბოლავდნენ, როგორც თმიდან ამოშვერილი სიგარეტის კვამლი. ის
იყვნენ საქმეში ჩართულები, მისალმება უპასუხოდ დარჩა. ვერც
გაიგონებდნენ იმ ქშინვაში რომელსაც ნაიარევი მილი გამოსცემდა,
გუმანით თუ მიუხვდებოდნენ რომ დაენახათ, მაგრამ ვერ დაინახეს,
მისათვის არ ეცალათ. ზღაპრის გმირებივით ფუსფუსებდნენ და
მათი ფეხები ნისლში იკარგებოდა, გადაფენილ ღრუბელში ხან
გამოკრთებოდა მათი დანაოჭებული კეფა ხან ისევ თვალს ეფარე-
ბოდნენ და სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, დალოდებოდა.
ოდნავ განზე გაიწია და მოჩვენებასავით აიტუზა უსახო ნისლში და
იგრძნო კიდეც, როგორ ეკვლინთებოდა სამოსი ნესტით. ფურცლები

გაახსენდა და მელანი ნესტს რომ არ აეგლისა მუცელზე მიიდო, გულში ჩაიკრა და ხელები გადააფარა. ვინმეს რომ შეეხედა იფიქრებდა საჭმლის მონელება უჭირსო, ეგაა, ამის გამფიქრები არავინ იყო გარდა მექვაბეებისა.

დიდი ხანი არ დასჭირვებია ლოდინი, მალე მორჩნენ საქმეს და როდესაც ხელის ზურგებით, უფრო სწორად ხელთათმანის ზურგებით შუბლი შეიწმინდეს, მან ვერ გაარკვია ოფლი მოიწმინდეს თუ ნესტი, თუმცა არც დაინტერესებულა და სერიოზული სახით დაუცადა საკუთარი თავის აღმოჩენას. არც ამისათვის დასჭირვებია დიდ ხანს ლოდინი, მექვაბეთა ინსტრუმენტებით სავსე ხელჩანთების პირის გაკვრისთანავე ესეც აღმოჩენილ იქნა და რახან მისი ყვირილი ვერ გაარჩიეს, ანიშნეს გამოვდივართო.

მათ უკვე ბუღს გარეთ მიესალმა, მართალია დარბაისლურად, მაგრამ მაინც ყვირილით, რადგანაც სმენა იმდენად მიჩვეულიყო წუილს, საკუთარ ბგერათა სიმძაფრეს ვეღარ არჩევდა. ისინი ალბათ პირის მოძრაობაზე მიუხვდნენ და პასუხად თავები დაუქნიეს. არც დალოდებიან გასასვლელისაკენ გაეშურნენ. წყენაც ვერ მოასწრო, იფიქრა მცდიანო და უკან აედევნა. დასველებული უნიფორმები დაბურული შუშებიდან შემოღწეულ ბინდში შავად მოჩანდნენ და რახან მათი ფეხის ხმა არ სწვდებოდა მის დაგუბებულ სმენას, მართლაც ბნელი ლაქებივით აღიქვამდა მათ ზურგებს, როგორც გვირაბის ბოლოში ძლივას გამოჩენილი ნათელი წერტილივითო – ფიქრობდა თავისთვის და სიბნელეში თვალების ამღვრევასთან ერთად იმ წერტილივით თითქოს ეკარგებოდა კიდეც.

უკვირდა როგორ იყო ერთ დონეზე გადაჭიმული ამხელა შენობა, როგორ ახერხებენ ამოდენა მოწყობილობის მოვლა პატრონობას კიბის გარეშეო. მათ ზურგებს მიჰყვებოდა და როგორც მოელოდა იმ განათებულ შემოსასვლელში მოხვდნენ, რომლის კარის მიხურვისთანავე საგრძნობლად იკლო შიდა ხმაურმა. ნათურის შუქზე უკეთ გამოარკვია მათი ოფლიანი სახეები. ერთ-ერთმა მაგიდის გვერდით არსებული კიდევ ერთი კარები გამოაღო და მას გაუკვირდა, როგორ ვერ შენიშნა აქამდე იგი. მიხვდა მისი აღმოჩენა არც თუ ისე ადვილი იქნებოდა; კარებს ისეთივე შპალერი ფარავდა, როგორიც კედლებს და ის ეული ლურსმანიც სწორედ მის შუაგულში იყო ჩაჭედილი; გონივრული გადაწყვეტაოო მოიწონა და კმაყოფილი

მზერით მექვაბეები ოთახში შეაცილა. კარები ღიად დატოვეს და მიხვდა, მისთვის გააკეთეს ასე. მაშასადამე, მიახვედრეს შემოდიო და ესეც შევიდა. შიდა ოთახი შემოსასვლელის ზუსტი კოპირება გახლდათ და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზომებში მდგომარეობდა.

შესვლისთანავე მექვაბეებმა შეხმაწყვილებულად დაიწყეს ტანისამოსის გახდა და მას ძალაუნებურად ეუხერხულა, მოგვიანებით შემოვივლიო თქვა და გაბრუნებას აპირებდა, რომელიღაცამ ჰკითხა რა გნებავდათო. „საჩქარო არაფერია ამ სიტყვებისას აქამდე მუცელზე მიკრული ფურცლები მოიცილა, დაკუჭული ბლანკი ამოჭრილი თირკმელივით დაანახვა და გააგრძელა – სახლის კატის თაობაზე გაწუხებთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდით რომ ბინაში მიმეყვანა?" ამბობდა და ამავდროულად გარკვევას ცდილობდა, თუ რომელი მათგანი იყო მისთვის საინტერესო ობიექტი. „წინააღმდეგი არ ვართ", თქვა პირველმა და მეორემ დააყოლა – „ბედმა გაგიღიმათ". რისი თქმა უნდოდათ, ვერ მიხვდა და ისევ პირველმა რომ თქვა, ფურცელი არ არის საჭიროო, სულ დაიბნა. მერე კვლავ პირველმა – ახლავეო და ოთახიდან წელსზევით შიშველი ნაჩქარევად გავიდა. მეორემ, თითქოს ვერც ამჩნევდა მის არსებობას, გახდა ბოლომდე დაასრულა. რეზინის ფოსტლებში გაუყარა ფეხი და საკუთარი სიშიშვლე არად მიუჩნევია, უმეტყველო სახით ცხვირის ლულის წმენდას მიჰყო ხელი. ამ საქმიანობას მართლაც ლამაზად ასრულებდა, თითქოს მწორედ ამაში მდგომარეობდა მისი ცხოვრებისეული მოწოდება და გაართვა კიდეც თავი, რომ პირველი უკან მობრუნდა. თავიდან გაივლო „უშანკა" უჭირავსო, ოღონდ როდესაც „უშანკამ" კუდი კითხვის ნიშანივით მოღუნა, მიხვდა რაშიც იყო საქმე. დაუფიქრებლად გამოუწოდა და უთხრა – ნუ გეშინიათ არ იკბინებაო. თვალებში შეხედა, კატას რა თქმა უნდა და თოთოსავით ფრთხილად აიყვანა ხელში. „არ მიაჩვიოთ, თორემ ხომ იცით, მერე სულ ხელში აყვანას მოგთხოვთ", ურჩია პირველმა და გახდა გააგრძელა. მხოლოდ მადლობის თქმა მოასწრო, რომ უკვე მეორემ უთხრა „მაგას ჩანგა ჰქვია, თავიდან ორნი იყვნენ – ტყუპები მაგრამ, მეორე – ჩუნგა ერთი აქაური მეზობელია, ამური – იმან წაიყვანა, ორს ვერ მოვუვლიო და დარჩა ეს ასე გასაცოდავებული" ლაპარაკისას კარადის უჯრიდან საპონი ამოიღო და საკმაოდ ფარ-

თო პირსახოცი მხრებზე მოიგდო. „მაშასადამე, ჩუნგა ამურიმ წაიყვანა არა?“ იკითხა და პირველი ჯერ კიდევ ტრუსებს იძრობდა რომ უთხრა კიო. „უნდა მაპატიოთ, გვეჩქარება“ თქვა პირველმა და მანაც პირსახოცი მოიგდო მხრებზე, საპნის ნაგლეჯიც მოიმარჯვა და რახან ადგილიდან აღარ დაძრულა, მიხვდა, მის წასვლას ელოდებოდნენ. კიდევ ერთხელ მოუმადლობა და რომ დარწმუნდა საინტერესო აღარაფერი მოხდებოდა, შემოსასვლელში გამობრუნდა, არც იქ გაჩერებულა და ეზოში გამავალი კარები გამოაღო.

ისევ ფილაქნებზე იდგა, რომელთაც ნოტიო ბინდი დაპატრონებოდათ და ამავე ბინდით იეღინთავდა ხასიათს. ხელში ფრთხილად ეჭირა საჩუქარი და ვერ გადაეწყვიტა რა მოეფიქრებინა. არ ივარგებდა აქვე გადაეგდო და არც სადმე სხვაგან, თუკი გადასაგდებად უნდოდა, მაშ რაღას ართმევდა? ჩანგა, ჩანგაო... ჩაიბურდღუნა თავისთვის და მობუზულ კატას თითებით აუჩეჩა თავზე ბეწვი, მანაც სიამოვნებისაგან თუ უხერხულობისაგან თვალები მილულა და ყურებით რწყილები დაიფერთხა. ბეწვის ძირებში ბამბად ქცეული ბუნტყლიდან საგრძნობლად ატანდა მისი სხეულის სითბო, მაგრამ ეს ვერ ამჩნევდა, ყურადღების მიუქცევლად შეეძვრინა მათში თითები და უნებურად კანს უჭიმავდა და ძვლებზე უსრიალებდა. დიდი სპეციალისტი არც თვითონ გახლდათ, მაგრამ, მიხვედრა იძულებითი მეგობარი უჯიშო რომ იყო, არ წარმოადგენდა დიდ სირთულეს. შემოჭდობილ ბინდშიც აშკარად იკვეთებოდა მის ნაცრისფერ სხეულზე კიდევ უფრო ნაცრისფერი ზოლები და ამან უნებლიედ თვალებში ჩახედა, ჩანგამ კი მოარიდა დაღლილი მზერა და თათებში ჩარგო თავი.

რა მოეხერხებინა არ იცოდა, სახლში ხომ არ წაიყვანდა. სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, უნდა წაეყვანა და მიეხედა კიდეც, დარწმუნებული იყო ისე თავს ვერ გაართმევდა. საიდან უნდა მოეტანა მისთვის რძე? მითუმეტეს, რძეს თვითონაც მშვენივრად დალევდა, რომლის შოვნაც მისთვის არც თუ ისე ადვილი იყო. რძის შოვნა რომ შეძლებოდა სულაც არ მოხვდებოდა ასეთ სიტუაციაში და სწორედ, რახან რძე და სათამაშო არა ჰქონია თავის დროზე, ამიტომაც მოუწია მათთან ჭიდილი, რძე იგივეა რაც ტალონი არსებობისათვის. ამ ტალონის საშოვნელად არის რომ შეეჭიდა ამოდენა კონსტრუირებულ ბირთვს. არა უშავს, პირიქით, კარგიც

არის, მარტო აღარ იქნება, მართალია. ჩანგასთან ლაპარაკი არ გამოუვა. იმან დიდი დიდი კნავილით უპასუხოს. მაგრამ ესეც საკმარისია, არ გაუწვრილებს სულს რჩევა დარიგებებით და იკნავლოს და იყოს თავისთვის; და თუ ამან რძე ვერ უშოვნა, ნება ინებოს და ნუ აიფხორება. მასავით ბეწვი რომ ჰქონოდა შეიძლება თვითონაც აფხორილიყო, მაგრამ ფხორება რომ შველოდეს საქმეს... „კარგით ბატონო ჩემო. წამობრძანდით და როგორც საკუთარ სახლში... თუმცა რაღა როგორც, დღეიდან როგორც ჩემი ისევლე შენია და გთხოვთ ნუ მიაქცევთ ყურადღებას რომ ოთახი დაულაგებელია...“ იცოდა თავისთავს ელაპარაკებოდა. ოღონდ ჩანგა ისეთი ყურადღებით უსმენდა და აყოლებდა თვალებს თათებში ჩადებული სახით ამის ტუჩების ქარგვას, გულაჩუყებულმა გაიფიქრა – შეუკამათებელი მსმენელი მაინც მეყოლებაო. რაღაც ამოუცნობი გარსი გადაფენოდა ჩანგას დახაზულ თვალებს, თვითონაც არ იცოდა რას დარდობდა. თითქოს უკანასკნელი მოჰიკანელი ყოფილიყოს და წარსულთა აჩრდილების თრევა ახლა მას უწევდეს ზურგით. თავიდანვე მიენდო ამას და შეუკამათებლად დაადო მხარზე თავი, გრძნობდა ვისაც ადებდა, საკუთარ თავს ძლივას რომ ათრევდა, მაგრამ მაინც მიენდო და ახლა ინტერესით ამიტომ აცილებდა მის პირის კემსვას, მიეხვედრებინა უნდოდა – ლაპარაკი ზედმეტიაო, შენსავით მარტო სული ვარ; ნაცნობები ვართ, რაც არ ნიშნავს იმას – საკუთარი ფიქრები ერთიანეთს თავს მოვახვიოთო. ნაუცბადევად ჩაიწყვიტა ხმა და კიდევ უფრო ჩაუკვირდა ჩანგას დახაზულ თვალებს. კატამ კვლავ რომ მოარიდა მზერა მიხვდა, მის ხელში გაყურსული მართალი იყო. ვერ ლაპარაკობდა ყველას ენით, მაგრამ, არც იყო საჭირო, პირველქმნილ ლექსიკას იყო ნაჩვევი, უშეცდომო ნოტებს დაუფლებოდა და დუმილით დაბურანებული უსიტყვოდ ხვდებოდა ყოველივეს. რატომღაც უფრო ჩაიხუტა, შეამჩნია რომ აცივდა, მაგრამ არ მოისვენა და აგრძნობინა არც ეს არის საჭიროო. დარცხვენილმა მოაშორა საბნად გადაფარებული მტევანი და კატამ მადლობის მაგიერ ცხვირზე ჩამოისვა თათი, პირი შეიმშრალა. „მაშასადამე, ჩანგა არა?“ იკითხა, სარკეში ჩაიხედა და საკუთარი თავი ძლივს იცნო, მის ხელში მობუზულმა და ნამძინარევმა საკუთარი სახელის ხსენებისას ყურები შეიფერთხა და ამით შემოიფარგლა, არავითარი სხვა ნიშანი არ მოუცია, აქაოდა

ძაღლივით მზადა ვარ გემსახურეო. „ძალიან კარგი“ ჩაილაპარაკა და როგორც იქნა დაიძრა. შეუმჩნევლად გადავიდა საქვაბის ფილაქნებიდან ასფალტზე და განათებული ფანჯრებიდან მოღწეულ შუქზე არ გაძნელებია თავის სადარბაზოს გამორჩევა.

იქაურობა გარდაცვლილიყო. ლიფტიორის ოთახიდან ძლივ-ძლივობით მოისმოდა რადიომიმღების ხმა და სადარბაზოს უკუნეთს კიდევ უფრო ჩამაფიქრებელს ხდიდა. თუმცა ეს არ ჩაფიქრებულა და ფეხების ფათურით ფრთხილად გაიკვლია გზა ლიფტისაკენ, მაგრამ ღილაკისათვის არ დაუჭერია თითი, შემობრუნდა და ფეხით აუყვა კიბეს. ძნელი იყო ასეთ სიბნელეში გზის გაკვლევა, ჯერ ტერფით სინჯავდა მომდევნო საფეხურს და მერეღა დგამდა ნაბიჯს. სართულების გამორკვევა შეუძლებელი იყო და ყოველი მოტრიალებისას გუნებაში ითვლიდა, და ბოლოს ააღწია თავის სართულამდის. როგორც თავიდან ეგონა, სიბნელეში ჩანგას თვალები გაანათებდნენ - შეცდა, ვერც მის სხეულს არჩევდა, უფრო გრძნობდა მის სითბოს. ყველაფერი გარშემო ერთ დიდ ლაქად ქცეულიყო და ამავე ლაქას ეკუთვნებოდნენ თვითონაც. თითქოს ვინმეს ჯიბრით არ ანათებდნენ სადარბაზოს და გაიფიქრა - განა ამით უფრო არ ირთულებენ თვალთვალსო - და ამის მიგნებით გახარებულმა კვლავ აუჩეჩა ბეწვი ჩანგას.

გასაღებიც ფათურით ამოაძვრინა. მორგება არ გაძნელებია საკეტში. ოპერის ტუალეტივით ფართოდ შეაღო კარი და კატას შეუძღვა, თითქოს დავრდომილი ჰყოლოდა ხელში ატატებული და მას უჩვენებდა იქაურობას. მანაც ინტერესით წამოსწია თავი და გამოღვიძებული, ახამხამებული თვალებით დააკვირდა ყველაფერს, შეიძლება არ მოიწონა კიდეც არეულობა, რომელიც შიგ სუფევდა, ყოველ შემთხვევაში ამან მსგავსი ვერაფერი ამოიკითხა მეგობრის სახეზე და შემოსასვლელიდან სამზარეულოში გაიყვანა, აბაზანაშიაც შეახედა, ვითომც კატა როდესმე შხაპის მიღებას დააპირებდა. სრული დათვალიერების შემდეგ მიხურა შემოსასვლელის კარები, მანამდე არაფრით არ შეიძლებოდა. ჩანგამ სწრაფად დაკარგა ინტერესი და კვლავ თათებში ჩაძირა თავი; ყველაფერი დაიმახსოვრა და ერთფეროვნებით შეწუხებულმა ისევ ძილი არჩია. ჯერაც ხელში ეკავა და აქეთ იქეთ დააპორწიალებდა, მისთვის კუთხის გამოსაყოფად, ძირს დასმა რცხვენოდა და რომ ვერ მოუძებნა ვერცერთი

წესიერი კუთხე (ყოველი რატომღაც უხასიათოდ მიიჩნია) ბევრი აღარ უფიქრია, კარადიდან სამოსი გამოიღო, ლოგინის ფეხთან ბუდის ფორმა მიაღებინა ცალი ხელით და ისტორიული სიფრთხილით ჩასვა, როგორც გადმოვარდნილი ბარტყი. ჩანგამ ერთი კი გამოიხედა ძილიდან, გაიზმორა და ბუდეში უკეთ მოკალათდა. რაღაცნაირად საცოდავად სძინავსო გაივლო და ძონძი საბანივით შეუკეცა ფეხებთან, ანკესივით გამოედო ჩანგას ნაჭერი ბრჭყალებზე. – ძილი ნებისა, ჩანგა!

ახლა შეეძლო გადანახული სიგარეტი მოეწია, რომელსაც მაგიდის უჯრაში ინახავდა ხოლმე. ყოველ ჯერზე ისე ამოიღებდა, თითქოს დავიწყებული აღმოაჩინაო და მართლაც სიხარულით უკიდებდა ხოლმე, მაგრამ ამჟამად სიხარულისათვის არ ეცალა და მძიმედ ჩამოჯდა სკამზე. დაღლა მერეღა იგრძნო, ძლივს დასწია ხელი რომ თასმები შეეხსნა და ფეხებში თავისუფლების გრძნობასთან ერთად მასაც ძილი მოერია. დაამთქნარა, აწყლიანებული თვალებით გამხდარი სიგარეტის ღერს შეხედა, მაგრამ დილისათვის არ გადაუდვია. ერთადერთს, რასაც ყველასაგან დამოუკიდებლად შესძლებდა იყო მისი ამ ღამით გაბოლება. ამ სიამოვნებას არავის გაუყოფდა. მართალია, ფილტვები აღარ ექავებოდა, ოღონდ მწყურვალივით უნდოდა კვამლით მათი გაჟღინთვა, კვამლით უნდოდა მათი დასველება.

როდესაც უკიდებდა უნებლიედ ბუდეში მძინარეს გახედა, ისევ გაიფიქრა, რა საცოდავად სძინავსო და ნაფაზი რომ დაარტყა, თვითონაც ჩანგასავით გადაწვა მაგიდაზე. მასავით მოკუნტულმა ხელზე ჩამოსდო თავი. სკამზე იჯდა, ოღონდ გვერდულად, როგორც ვაგზალზე ჩაეძინებათ ხოლმე მომლოდინეებს და ნეკნები მაგიდაზე კლავიშებივით გაეფინა. გვერდულად მწოლიარე ამოუსუნთქველად ეწეოდა, კვამლი რომ არ დაჰკარგოდა უაზროდ. ნედლად ჩასდიოდა ფილტვებში ბოლი და ყელშიც სასიამოვნოდ უხიცინებდა. თითქმის დაახველებინა კიდეც, მაგრამ არა, ეს მხოლოდ ხველა გამოცოცხლდა ნაცნობი რომ შეიგრძნო და ერთიანად ამომშრალ ყელში კიდევ უფრო მშრალი ნერწყვი კი არა ქაფი ჩაგზავნა. პირს ამოძრავებდა, თითქოს ბოლოს ღეჭდა. როცა ამთავრებდა, უკვე თითები ეწვოდა, მაინც ბოლომდე გამოწუწნა და ერთიანად მთვრალმა ჩააჭიკარტა საფერფლეში.

ჩაეძინა. გვერდი არც უცვლია და ნათურა, რომელიც სახეს უნათებდა, კიდევ უფრო სასიამოვნოდ უთბობდა კანს. ვერ გრძნობდა, როგორ დაუბუჟდა ჩანგას თათივით მოღუნული ხელი და ქუთუთოებიდან შემოღწეული ნათურის წითელი შუქი სადღაც შორიდან ეჩვენებოდა...

სიზმარი არ უნახავს ამ ღამით. სიზმარიც ბავშვობის მოგონებასავით ბუნდოვნად ახსოვდა ხოლმე და დილით პირს რომ იბანდა წყალს ატანდა ღამის ფიქრებს. ამ ღამით არაფერი უნახავს, ყოველ შემთხვევაში არ ახსოვდა და სანამ თვალებს გაახელდა, მიხვდა, სხეულის იმ მხარეს რომელზედაც ეძინა, ვერ გრძნობდა, ერთიანად გაყუჩებოდა. მაგრამ გამოღვიძების მიზეზი სხვა იყო. ოფლით შეფეთქილი სახის კანი აწუხებდა და სუნთქვისას ცხლად შემოსული ჰაერი კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა სითბოს, რომელსაც ნესტოებში გრძნობდა. ცალი თვალით რომ გამოიხედა ჩანგა დაინახა, რომელიც სახეზე ყალიბივით მოკროდა და ეძინა. ცხვირი მის სილბოში ჰქონდა ჩაძირული და ამიტომაც იყო, სუნთქვისას ცხელი ნაკადი ჩასდიოდა სასაში. ჩანგას პირიქით, ალბათ სიამოვნებდა კიდეც. არ განძრეულა, არ უნდოდა მძინარე შეეწუხებინა და ისევ დახუჭა თვალი. საკმაო დრო ჰქონდა ჩანგას გამოღვიძებამდე გუშინდელი გაეანალიზებინა და თანმიმდევრობით შეუდგა განვლილი დღის განხილვას.

ყველაზე უფრო იმ გარემოებამ ჩააფიქრა, ჩუნგა თურმე ამურის მიეკუთვნებინა. ერთი სვლით ტყუპები ორად დაანაწილეს. რა მიზანს უნდა მსახურობდეს მათი ამრიგად განწესება, ეს იყო გასარკვევი. შესაძლოა, უბრალო დამთხვევა მოხდა და დაყოფა არც იყო გათვალისწინებული, მაგრამ ისიც შესაძლებელია ლოგიკური გათვლა იყო მათის მხრიდან. იქედან გამომდინარე თუკი ამის გაანგარიშებებს თვალყურს ადევნებენ, მაშინ არ იქნებოდა რთული იმის გამოთვლაც, რომ ეს ადრე თუ გვიან საქვაბეშიც შეივლიდა. რა საკვირველია მილის გახეთქილობა აქ არაფერ შუაშია, ოღონდ დაუფარავად რომ გადაუშალეს თავიანთი სხეულების სრული სიშიშვლე, უკვე უპრეცენდენტო შემთხვევაა და ამ ფაქტზე დაფიქრება ნამდვილად ღირს. დილიდანვე შეამზადეს ორმაგ დარტყმებთან, მაგრამ თუ ორნი აწი შიშვლებიც წამოვიდოდნენ შეტევებზე ამას ვერასგზით განსაზღვრავდა, მაშასადამე მათ თავის საქციელით დაანახვეს, რომ

შეუძლიათ როგორც შემოსილებმა ასევე შეუმოსავებმაც აწარმოონ თავდასხმები. კატაზე რომ ვერანაირ იმედს ვერ დაამყარებენ ერთმნიშვნელოვანია. ეგაა თუ ცხოველთა სიახლოვით სურთ სარგებლობა რომ ჯერ ერთი ტყუპები არიან და მეორე ერთ სართულზე იმყოფებიან. მაინც არაფერს უნდა ნიშნავდეს, რადგანაც ამურიმ ყველაზე დიდი, შემოიაროს ხოლმე ტყუპისცალის მდგომარეობით დაინტერესებულმა, შემთხვევით დრო ისარგებლოს და ამის საცხოვრებელს დაუკვირდეს ხოლმე. მაგრამ ამისათვის ტყუპების დაყოფა სულაც არ წარმოადგენდა აუცილებლობას. ამურის ისედაც შეეძლო შემოევლო, როდესაც მოისურვებდა. საკმაო მიზეზი გააჩნდა კიდეც. მათი დაშორება სულ სხვა მიზანს ემსახურება, დასაშვებია აგრეთვე, - ამის ნერვები აინტერესებთ და აკვირდებიან როგორ გაუძლებს ახალ მოსახლესთან ერთ ჭერქვშ ცხოვრებას; რომ ფიქრობდა, სადღაც შორიდან ვიღაცის ზერელე „ა" მოესმა. თუმცა აქამდენაც გაიგონა ცოტაოდე ხნის წინათ, მაგრამ ამჟამადაც ყურადღების გაუმახვილებლად დატოვა; იგრძნობოდა - ვიღაც ამას განგებ აკეთებდა. წყენა არ ყოფილა, ვალს იხდიდა. დაძახებებს შორის ჩატეულ შუალედსაც გამოზომილად ანხორციელებდა, როგორც საპანაშვიდო ექსტაზში გადავარდნილი ფოცხოელი ქეთო.

„ა" კიდევ ერთხელ მოესმა და ვეღარ მოითმინა, ფრთხილად გამოძვრა კატის ბუნტყლიდან და თასმებგახსნილივე გაუყვა სუნივით გამოწელილ ხმას. კარები გამოაღო, ბაქანზე არ გასულა, მხოლოდ თავი გაჰყო და უფრო მიაყურადა, ვიდრე რამის გარჩევას შეეცადა, მითუმეტეს რომ გასარჩევი არაფერი ყოფილა. სადარბაზო ეულად და უხერხულად სდუმდა. კარებში გაკვეტილმა დაუცადა ხმის გამეორებას, ანბანის მსწავლელივით გაუთავებლად პირველ ასოს რომ იმეორებდა და ის იყო განმეორდა, გამოარჩია საიდანაც იძახდნენ. ოღონდ იძახდნენ რაღაც უცნაურად, იგრძნობოდა არც თავიდან ექნებოდათ საქმე სატირლად, ან პირიქით ტირილისაგან დაღლილიყვნენ და ახლა უაზროდ კვნესოდნენ, რადგანაც დუმილი კიდევ უფრო აუტანელს გახდიდა მის მდგომარეობას.

ისევ აედევნა ხმას, ოღონდ დაბნეული, დაუჯერებელი იყო იმის წარმოდგენა საიდანაც სინამდვილეში მოისმოდა. მართალია, რეალობა კიდევ უფრო ჯიუტი იყო ვიდრე ეგონა, მაგრამ ვერ იჯერებდა და ხელებჩამოყრილი მიუყვებოდა სარეცხის თოკივით გაჭიმულ ექოს.

თითქოს უხილავი ძალა მიერეკებოდა, გაშტერებული უყურებდა ღიად დატოვებულ კარს და უმოძრაო თვალებით უახლოვდებოდა. ისევ განმეორდა ხმა და იგი მიხვდა, რომ კი არ ტიროდნენ ან ტირილისაგან დაღლილიყვნენ, არამედ სულერთიად იძახდნენ, რადგან სხვა რამ ვერ მოეფიქრებინათ და ისიც ისე, რომ იგრძნობოდა დამძახებელი იმას ეჭვობდა ღირს მაინცო! და მიუახლოვდა კიდეც ბოლომდე გადახსნილ კარს.

უხერხულობისაგან დაბნეულმა შეაწმინდა თასმებგახსნილი ფეხსაცმელის ძირები საწმენდს და ხელებუკანგადაწყობილი შევიდა ცარიელ შესასვლელში. იქაურობა ბოლომდე გაენათებინათ და საერთოდ ყველა დანარჩენი ოთახიდანაც აღწევდა ნათურის შუქი, გარდა ერთისა, რომელშიაც მიექანებოდა უხილავი ძალა. ერთი პირობა შეყოვნდა, მაგრამ გამოღებულ კარებზე დაკაკუნება ვეღარ გაბედა, ჰაერშივე გაეყინა ხელი და ისევ ზურგს უკან შეიერთა. თავდახრილი და ქვემოდან მომზირალი გაემართა იქეთკენ, დროულად რომ მოესწრო საფრთხის შემთხვევაში თვალის დახუჭვა, და ვერ მოასწრო. ორივე ფრთაგახსნილი ოთახის კარებშივე გაჩერდა და ნაბიჯიც ვეღარ გადადგა.

უცებ გაახსენდა ტილოებჩამოფარებული ნახატებიცა და ნაჭერგადაგმანული გარნიტურიც, ყველაფერი თავის ადგილზე იყო, გარდა ჭაღისა და მის მაგიერ ამური ეკიდა. მართალია ოთახში შუქი არ ენთო, მაგრამ მაინც იგრძნო მისი გრილი კანი. ჩინური ზარივით ძლივას შესამჩნევად ქანაობდა და ყურისათვის ძლივს დასაჭერ მელოდიასაც გამოსცემდა. ძალაუნებურად მისი ფეხებისაკენ გაიხედა დასარწმუნებლად, რამეზე ხომ არ შემდგარაო, რადგანაც შემოსასვლელიდან შეღწეული შუქი ისე აბაცებდა ამურის პროფილს თითქოს თვალს აპაჭუნებსო. ჩრდილი ეფინებოდა უძრავ სახეზე და მართლა იღიმოდა. ტერფებიც ძაღლის ყურებივით ჩამოეყარა და ცერა თითის წვერებზე ძლივასღა ეკიდნენ ჩუსტები, რომლებიც სადაც იყო ჩამოვარდებოდნენ კიდეც. ქანაობის მიზეზი თავიდან ორპირი ეგონა, მაგრამ თვალი რომ მიაჩვია, მიხვდა რაშიც იყო საქმე, ჩანგას ტყუპისცალი უკანა თათებზე დამდგარიყო და წინა ბრჭყალებით ამურის შარვალს ეკონწიალებოდა. ქალი გაუნძრევლად იჯდა სავარძელში და თვალს არ აცილებდა, ან ვერ იცნო ან სულაც ვერ ამჩნევდა მაგრამ „ა" უკვე ჩურჩულით თქვა, თითქოს ეკითხებოდა

ჰა, როგორიაო. მან პირველი რაც მოიფიქრა ის იყო, რომ თავი დააქნია, მერე ჩაიკუზა და მოუსვენარ კატას ჩუნგაო, დაუძახა, თანაც თითები აათამაშა, თითქოს ანიშნებდა ფულს ვგულისხმობო. ჩუნგამ ზურგის აბურძგვლით უპასუხა, ერთი დაიკნავლა, კბილები უჩვენა და ამურის შარვლის ტოტს შეეშვა, ოთხზე დადგა და ამის თითებს მიაწება ანთებული თვალები. კიდევ ერთხელ დაუძახა ჩუნ-გაო და ფს, ფს დააყოლა. კატა წამოვიდა, ზანტად, დაღლილი გამოემართა და დროდადრო ამურისაკენ ატრიალებდა თავს, პირს აღებდა, ამთქნარებდა და მთქნარებისას მოჭუტული თვალები უფრო ენისლებოდა. როდესაც ხელში აიყვანა, არ უუცხოვია, კისერი დაჭიმა და ისევ ამურის გაუსწორა მზერა.

ამოტრიალებული სკამი ამურისაგან შორს ეგდო, ძალად გაჩო-ჩებულს უფრო ჰგავდა და შენიშნა რომ მაგიდაც კუთხეში გაეწიათ. ტილოები ისევე ჩამოფხატულიყვნენ ნახატებზე, არავის ჩამოუხსნია ისინი და ოთახი სავსებით ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებდა რომ არა გამხმარი სიმინდივით დაკიდული ამური. ქალი აუღელვე-ბლად იჯდა ვითომც სკოლის დაქალთან მისულიყოს სტუმრად, ის კი ყავის მოსადუღებლად სამზარეულოში გასულა ერთი წუთით. ქალი ხმას არ იღებდა. ხან ამას უყურებდა, ხანაც ჩუნგას და თვალებზე ეტყობოდა, არც უტირია, ჯიუტად არ ინძრეოდა და წელი იდეალურად გაემართა, ნებისმიერ მხატვარ პორტრეტისტს შეშურდებოდა მისი. კრინტიც არ დაუძრავს, ისევ ამურის გახედა. კარგად დაუკვირდა მის სახეს, მაგრამ მაინც ვერ გაარკვია მართლა იღიმოდა თუ ეჩვენებოდა. ამურის გუგები უძრავად ამოელაგებინა ქუთუთოებს ქვეშ, ძალაუნებურად გაიფიქრა მე მაკვირდებაო და მზერა მოარიდა.

პირველმა დარტყმამ ჩაიარა და ახლა აუღელვებლად იდგა კატა ატატებული გადახსნილ კარებში. სურათს ცხადად აღიქვამდა. არაფერი ყოფილა ამორალური ამურის საქციელში, ბოლოს და ბოლოს ვის არ ჩამოუხრჩვია თავი. არაფერი იყო საპანიკო, მითუმეტეს, ამურის ალბათ მოსწონს ახალი მდგომარეობა, მართალია ლოყები ოდნავ შესიებული მოუჩანს, თითქოს ჰალსტუხი წაუყრონჭიაო, მაგრამ, ესეც არაფერია, მთავარია იღიმის. ალბათ თავიდანვე კმაყოფილი იყო, რადგანაც მერე ვეღარ გაიღიმებდა, მაშასადამე სინანულის საბაბი არც არის. „როდის" ამ სიტყვაში ჩააქსოვა ყველა ის

შეკითხვა, რომელიც თავში დაგროვებოდა და ჩუნგას თავზე გადაუსვა ხელი. „არ ვიცი, რომ გამეღვიძა და ჩემს გვერდით არ იყო ვიფიქრე მოსაწევად გამოვიდა თქო და... მაგის მაგიერ აი ეს, - ბოლო სიტყვაზე ამურისკენ გაიქნია ხელი ქალმა, - შემრჩა" მან ამურის გახედა, იმასაც გაეხარდა და ისევ ჩაუკრა თვალი.

ამური მართალია ამას მოშტერებოდა, ოღონდ შორიდან, ძალიან შორიდან, ნანობდა როგორ გამოგრჩათ და ვერ ნახეთო, მაგრამ, ისეთი შორეთიდან, რომ ვერ წარმოიდგენდა თუკი ეს მართლა ხვდებოდა როგორ იქნებოდა ყოველივე, საკუთარ ცხვირზეც კი გრძნობდა თოკის ჩამოცურებისას სანთლის დანატოვარ კვალს. ამურის ბოლოთქმაც გაიგონა მან უკვე სიკვდილში რომ ამოიოხრა, ესეც ასეო და ამოყირავებული სკამის დანარცხებაც მოესმა, რომლითაც წერტილი დაუსვა საკუთარ სიტყვებს. თვითონაც იგრძნო, როგორ ჩამოუსრიალდა ტერფის ზურგზე ჩუსტები, მაგრამ სპაზმისაგან მოკაკვულმა თითებმა არ მიუშვეს და ახლა იარაზე მიმხმარი ბინტებივით ეკიდნენ. ეს შეუმჩნევლად უსვამდა კატას თავზე ხელს, თითებით უქავებდა ბუნტყლს და ქალი აკვირვებდა - როგორ ახერხებს ასე იდეალურად გაასწოროსო კისერი. საიდანღაც საგრძნობლად დაუბერა ორპირმა და ამურიც ფოთოლივით გაშრიალდა, სიცივისაგან მოიბუზა კიდეც. ჩრდილი აუთამაშდა სახეზე. ნიავმა კი ერთ ტალღად ჩაიქროლა და ისევ დადგა ჰაერი, მაგრამ ამურის მოსვენება არ ჰქონია, ფრიალებდა და თითქმის უხერხული იყო, არ შეეფერებოდა ამურისოდენა პერსონას ასეთი საქციელი. ჩუნგა თავს აყოლებდა მის ქანაობას, მისით ერთობოდა და გაუჩერებლად უსლიკინებდა ზოლიან კუდს მის მკერდს მიკრული.

არათუ არ აპირებდა დახმარების შეთავაზებას, არამედ წარმოდგენაც არა ჰქონდა, როგორ უნდა ჩამოეხსნა. ამაზედ არ უფიქრია, კიდევ ცოტა ხნით შეიცადა და რახან ქალი ხმას არ იღებდა, თვითონ იკითხა დავუძახო ვინმესო? ქალმა აზრიანი თვალებით გამოხედა, ეტყობოდა ვერ მიხვდა რას ეკითხებოდნენ, შეუსაბამოდ აწურა მხრები, თითქოს ამბობდა ჩემთვის სულერთიაო და ისევ ამურის გახედა. მე არ დაგზარდებითო, დააყოლა მან, მაგრამ ქალს არ გამოუხედავს და მიხვდა ქალი ამურის არ უყურებდა, „იქნებ ლიფტიორის დაძახება მაინც ღირდეს" შესთავაზა მან ქალის დუმილს და რაც ამას მოჰყვა უკვე წარმოდგენაშიაც არა ჰქონია. ქალი

დაჭიმული წამოიმართა. გაშლილი მტევნები კაბაზე ჩამოისვა და თითქოს უხაროდაო ისე უთხრა: „რაც შემოხვედი მას მერე ველოდები როდის შემომაპარებდი. ლიფტიორი არა? არ დამანახო ეგ უნამუსო, ეგ. ეგ... – და რახან შესაბამისი სიტყვა ვერ მოუძებნა ენა დაება. – აი, – ამ სიტყვაზე ამურისაკენ გაიქნია ხელი რა ზომამდე მიიყვანეთ. კარგად შეხედე. კარგად... – ახლა საჩვენებელი თითი მას დააძგერა ჰაერიდან. – შენ და შენმა დამქაშებმა... სულელი როგორ ვერ მიხვდა ვერაფერს რასაც უპირებდით. არა! ჩემი ბრალია" თქვა და თვალები გაუბრწყინდა „ჩემი, ჩემი..." ისე დაჟინებით გაიმეორა თითქოს ჩემს თავში სხვას არ ვგულისხმობ. „მიბრძანდი ბატონო. მიბრძანდი. – რომ იძახდა თვალებით სხვაგან იყურებოდა. – აწი გინდა ლიფტიორს დაუძახე და გინდა. აი მაგეებს". ამას რომ ამბობდა თითი უკვე ჩუნგასაკენ ჰქონდა მიშვერილი. „თქვენ გინდოდათ გებრძანებინათ მექვაბეებს!" (მიხვდა მრავლობითში კატებს არ იგულისხმებდნენ) „დიახ ბატონო. ქვაბია თუ რაღაც ჯანდაბაა. აწი ვისაც გენებოს იმას დაუძახე" ქალის სიტყვები აღარ აღელვებდა. რადგანაც მრავლობითობის ხსენებისას გონის არქივმა სახლმმართველები ამოუტივტივა და ვერ გადაეწყვიტა სახელებით მოეხსენებია თუ წოდებებით „იქნებ სახლმმართველებისათვის შეგვეტყობინებინა..." ქალმა ზიზღით გამოხედა. დასცინოდა კიდეც. „ნუ წუხდები, უშენოდაც მოვლენ" თითები კატის ბუნტყლში ჩაეჭირა და ვერ გრძნობდა რომ ტკენდა. „ასეთ შემთხვევაში დაგტოვებთ" მეტი ვერაფრის თქმა მოასწრო. რადგანაც ქალმა მიაძახა არავინ გაკავებთო და დასტურად მხრები აწურა ისევ. ოღონდ გამოზომილად. ცივად.

დამშვიდობების ნიშნად თავი ორჯერ დააქნია უცნობი მისამართით და გატრიალდა. შემთხვევით გახსნილ თასმას დააბიჯა. ნაბიჯი არ გამოუვიდა. უაზროდ მოხარა მუხლი და რომ არ დავარდნილიყო ორივე ფეხს დააწვა ერთდროულად. რათა ბალერონივით გადამხტარიყო. მაგრამ წონასწორობა ვერ შეიკავა. კოორდინაციის ცენტრი დაკარგა და ინერციით გასასვლელ კარებში გავარდა. არ წაქცეულა. მაგრამ ვერ გამოზომა და მკერდით მიასკდა კიბის მოაჯირს. მიჯახებამდე ჩუნგა მაღლა ასწია. ოღონდ გულისფიცარი ეტკინა. კატა ველარ შეაკავა და გადაუვარდა. ის ჰაერშივე შეტორტმანდა. ბრჭყალები მოამზადა და ქვედა სართულის კიბეზე

დავარდნისთანავე ფეთიანივით მოუსვა ქვევითკენ. ჯერ კიდევ მოაჯირზე გადაზნექილიყო, ჩუნგას აპრეხილი კუდი მოსახვევს მიეფარა, და რომ მიხვდა პირუტყვი მას ადანაშაულებდა, ყვირილით დააწია, მოდი, მოდი ჩემი ბრალი არ არისო. როდესაც გაარკვია კატა აღარ მობრუნდებოდა - თავისთავს უთხრა, შემთხვევით მომივიდაო. დაძახებაზე, კატის მაგივრად ქალი გამოვიდა. „შემთხვევით არა?" ქალის ფეხის ხმა არ გაუგონია იმდენად იყო ვითარებაში ჩართული და როდესაც დრამატული სახე მოატრიალა მოაჯირზე გადაყუდებულმა, ქალმა ცივად უთხრა „მორჩი სპექტაკლს". გონება ჯერაც კატით ჰქონდა დაკავებული და იფიქრა ქალიც მასვე აბრალებდა ძალად გადაგდებას, შემთხვევით მომივიდაო... თავი უნდოდა ემართლებინა, მაგრამ ქალმა „ჰმ" თქვა და აღარ გაჩერებულა, უკან შებრუნდა.

გვიან მიხვდა რაშიც იყო საქმე, ოღონდ ქალს არ დაწევია, იფიქრა ახსნებით უფრო გაიფუჭებდა საქმეს და კატას გამოედევნა. გზად არაფერი შეუნიშნავს საგულისხმო, ყოველ არსებულ ხვრელში გაფაციცებით იჭვრიტინებოდა, მაგრამ ისე ჩააღწია ლიფტიორის შესახვევამდე რომ ჩუნგას კვალს ვერ მიაგნო. ნაჩქარევად დაასკვნა, ქუჩა მიზანშეუწონელი იქნებაო და ეზოში გავარდა. რა საკვირველია კატა არსად შეუნიშნავს და რამოდენიმე უშედეგო მზერის მოტარების შემდეგ ჩუგნა, ჩუნგაო ხმამაღლა დაიძახა და რატომღაც დაუსტვინა. ჩუნგას მაგივრად ეზოს ქოფაკი გამოეკიდა. საღარბაზოში რომ შეასწრო და კარები მიხურა, ძაღლი თათებით მოასკდა კარებს და ყეფა აუტეხა. ხელით ეკავა კარი და მისი შუშიდან უძახდა ძაღლს წადი აქედანო, მაგრამ ქოფაკი შუშიდან რომ ხედავდა ამის შეშლილ სახეს კიდევ უფრო უღრენდა. მიხვდა ვერაფერს გააწყობდა, შემოტრიალდა და კიბეზე აირბინა. ძაღლი აღარ გამოკიდებია, მაგრამ სირბილისას ეს ვერ გაარკვია და გახსნილ თასმაზე რომ ჟღარ დაებიჯა ფეხებს განივად იქნევდა.

ერთი სული ჰქონდა როდის ააღწევდა თავის სართულამდე. გზად არც ამოუსუნთქავს. კარი მიხურა და მას მიეყრდნო ზურგით. თვალებში რომ გამოიხედა, ჩანგა დაინახა, რომელიც ინტერესით უყურებდა ოთახში შემავალი თაღის ქვეშ მდგომი და თავი ოდნავ გვერდზე გადაეგდო, თან აბზეკილი კუდის წვერს ნელა ატრიალებდა და ადგილიდან არ იძროდა. ჩაიკუზა და ჩანგაო დაუძახა, მან ყურების დაფერთხვით უპასუხა და ლოთის პირობასავით ზანტად

დაახამხამა თვალი.

ოთახში რომ შედიოდა, დაიხარა და კატას გადაუსვა ხელი არ გაჩერებულა ისე. არც ჩანგა განძრეულა, ხერხემალი ჩაზნიქა დაჭიმულად, სანამ მტევანი მიუყვებოდა მის მალებს, და გაიზმორა, თითქოს მაგიდის ფეხზე იფხანდაო ფერდს. მტევანში გაიძვრინა მისი აბზეკილი კუდი. თეთრეული არც გაუსწორებია და შემოსილივე წამოწვა ლოგინზე. ფეხსამოსი ხელის წახმარების გარეშე გაიძრო, ლოგინის კუთხეს გამოსდო ქუსლები და ძირს ჩაყარა. არ ეძინებოდა, მაგრამ წამოდგომის არც თავი ჰქონდა, არც ხასიათი და არც აპირებდა. ჭერში გაჩენილ ბზარს მიაშურა. გულაღმა იწვა და ფეხები აქეთ იქედან გადმოყროდა ლოგინიდან. მართალია, ბზარს მიშტერებოდა, თვალწინ მაინც ამურის უკანასკნელი ჰალსტუხი ედგა. ამდენს აღარ მოელოდა. მაშასადამე, თვითგანადგურებამდე ერთგულები არიან ორგანიზაციისადმი? თუ ასეა, მაშ რაღა გასაკვირია, რომ ვერაფერს უხერხებს მათ. ისინი თურმე მზადაც კი ყოფილან თავიც გაინადგურონ თუ ასეთი დავალება მიიღეს, მაგრამ აქ ოდენობის პროცენტული შეუსაბამობაა. ეს ერთია, ისინი კი ღმერთმა უწყის – რამდენი და მათ რიცხვს რამოდენიმე მათგანი რომც გამოაკლდეს, მაინც ვერ იგრძნობენ დანაკლისს, მათ სრული სიზუსტით ეყოლებათ შტატები შევსებული და თუ ერთი მიდის, მის ადგილს მეორე იკავებს. იმათ ისიც შეუძლიათ ყოველდღიურად თითო მუშაკი დაითხოვონ და არც ამით დაემჩნევათ რაიმე, მაგრამ რადგანაც ეს მარტოსულია, მაშასადამე შანსიც აღარ რჩება, თუ ისინი დათხოვნის შემთხვევაშიაც კვლავ ერთ ბირთვად რჩებიან და არაფერი ზიანდება სტრუქტურის მუშაობაში. ასეთ დროს ამას შეზღუდულს უწევს მათთან ბრძოლა. ეს ვერასგზით ვერ გაიმეორებს ამურის საქციელს და სწორედ ამითი არის რომ დაანახვეს საკუთარი უსუსურობა, კი ბატონო, რამდენიც გენებოს ჩაეძიე, მაგრამ შეუძლებელს ნურც შეეცდებიო! მათ შეიძლება იმის დანახვებაც სურდათ, კი არ სურდათ უბიძგებდნენ, რომ მსგავსი რამ გაემეორებინა, მაგრამ არა, ეს სრული კრახია, დანებებას ნიშნავს. თუ ჩამოყალიბებული ტრადიცია მათი დამსახურებაა, მაშ მათ ნასუფრალს უნდა მიუჯდეს? „არა“ დაიყვირა და რომ მიხვდა ლოგინზე იწვა, ისევ მოეშვა. ვერც იგრძნო ჩანგა რომ ლოგინზე ამოხტა და მის ჩაწეულ მუცელში მოკალათდა. არაფერი ყოფილა

ამორალური ამურის საქციელშიო გაიმეორა გუნებაში და აზრის მიმდინარეობას მიჰყვა, პირიქით ეს თვითნებობის გამოხატვის უმაღლესი წერტილია, ამიტომაც იყო ამური საკვანძო ფიგურა. არ შემცდარა ორგანიზაცია მასზე არჩევნით და ალბათ არც სხვა რომელიმეზე. თვითმკვლელებითაც, ტყუპებითაც და შიშვლებითაც კი შეუძლიათ თავდასხმები აწარმოონ, ყოველი შესაძლებელი სვლა წინდაწინვე მოჭრილი აქვთ ნებისმიერისთვის და ამიტომაც არის უშეცდომოდ ანხორციელებენ თავიანთ საქმიანობას. თუ აქამდე მარტო თვალყურს ადევნებდნენ მის ქმედებებს, ამიერიდან თავდასხმებზე აპირებენ გადმოსვლას. ამასთან ისიც დასაშვებია, ამურიმ შესაბამისი ბრძანების მიღებისას უგუვებელყო იგი, გაურჩდა და იმათმა ძალით ჩამოახრჩვეს... არა, არა, გამორიცხულია. ძალადობა მათგან შორს დგას, მათი შტატები ფილტრაციის შემდგომ კომპლექტდება ასე, რომ გაურჩება და ბრძანების უგუვებელყოფა გამორიცხულია, მითუმეტეს თუ სუბიექტი მოაზროვნეა. ხოლო ფილტრაცია ამის გამოკვლევას გულისხმობს. მიზერული ეჭვის შემთხვევაშიც თუნდაც თეორიულისა, განსახილველი ობიექტი მათი ზედამხედველობის ქვეშ ექცევა. მაგრამ არც ასეთ დროს კარგავენ მას, რეზერვის სახით დამხმარე ძალად პროგრამდება და მისი მონაცემები დალუქული სახით არქივს გადაეგზავნება. უარით არავის ისტუმრებენ და არც ვალდებულებას კისრულობენ რაიმეს, მაგრამ თუკი ოდესმე მაინც ხილული გახდა ბირთვის არსებობა მას შემდეგ ასეთი ობიექტი მათი თვალთახედვის არეალში ექცევა და მათგან დასხლტომა თითქმის წარმოუდგენელია. თითქმის? ამ სიტყვის მიგნებით გახარებულმა თუ კმაყოფილმა თვალები დახუჭა. თითქმისობის არც თეორიული და არც პრაქტიკული შანსი არ არსებობს. თუმცა ხომ შესაძლოა მოჩვენებითი იყოს ეს? თუ ასერიგ ღრმად არიან დარწმუნებული თავიანთ ძლიერებაში, მაშ რატომღა იყენებენ უკიდურესს შესაძლებლობებს? და მეტიც. თუ ეს არაფერს წარმოადგენს მათთვის რატომ წირავენ ამოდენა მსხვერპლს? დასაშვებია ამურიმ ამოწურა თავის ფუნქცია და მისი არსებობა ბირთვისათვის მიზანშეუწონელი გახდა და ამიტომაც გაიცა შესაბამისი დავალება და მისი სისრულეში მოყვანა უბრალო დამთხვევა იყო ამის აქტიურობის გამოვლინებასთან, ოღონდ ამდენი დამთხვევა? თუმცა შეიძლება მთელი ცხოვრება დამთხვევა იყოს! რა საკვირველია ამის შანსი არსე-

ბობს, მაგრამ აქცენტს, უფრო სწორად იმედს ვერ დაამყარებენ ვერც ცხოველებზე და ვერც პიროვნულად მასზე, რა იცოდნენ რომ მას თასმა აუცილებლად გახსნილი ექნებოდა და ამის გამო ჩუნგა აუცილებლად გადაუვარდებოდა? თუმცა შეიძლება ყოველივეს ბიოველების მეშვეობით ახერხებენ და გაანგარიშებული მუხტების გამოგზავნით სწორედ იმ ნერვებს აღაგზნებენ ამის გონში, რომელთაც მიზანშეწონილად მიიჩნევენ და აგრეთვე იმ ნერვების ფუნქციებს ნაკლებად მგრძნობიარენს გახდიან, რომელთა აქტიურობაც შესაბამის მომენტში არ აწყობთ და ასე გაუთავებლად... მაგრამ, მაშინ ასეთ შემთხვევაში მათთვის ზღვარი არ უნდა არსებობდეს, სურვილისამებრ ძალუძთ მართონ ყოველი და... განა ვინა სთქვა რომ მათთვის ზღვარი არსებობს? თვალებდაჭყეტილი იჯდა ლოგინში და ჩანგა ძალაუნებურად ჩაეხუტებინა. აღარ იცოდა რა მოეაზრებინა. თუ ასეა, მათთან ჭიდილს აზრი არა ჰქონია, გამოდის რომ ყოველი მხრიდან უძლურია, მაგრამ (აი ეს „მაგრამ" იყო რომ რაღაცის იმედს უნერგავდა და არ ანებებინებდა) გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ეს მხოლოდ სიტყვებია. თავზე საყრელად არსებობს გამოუვალი მდგომარეობები! თუმცა, სანამ იმედი იარსებებს, იმედში რა თქმა უნდა ფიქრი იგულისხმება, სანამ ფიქრი იარსებებს, მანამდე არ არის დამთავრებული ყველაფერი, დაკარგული არ იგულისხმება, რადგანაც ფიქრის არსებობის შემთხვევაში დაკარგულის კვლავ შეძენაც დასაშვებია, ხოლო როდესაც ფიქრი გათავდება, მაშინ ფარდაც ეშვება. ჩანგა გულდასმით აკვირდებოდა სახეზე მიმდინარე ცვლილებებს და თათებით ეთამაშებოდა, ეს ვერ ამჩნევდა მის ოინბაზობას, საერთოდ ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ, ერთ დიდ მაგრამში ჩატეულიყო მისი გონება და ყოველ შესაძლებელ სვლას იხილავდა შემდგომში განხორციელებისათვის, თუმცა ყოველი მათგანი უსუსური ეჩვენებოდა ბირთვის გახსენებისას და უეცარი მიგნებით გახარებულმა კინაღამ დაიყვირა, თვალები დაჭყიტა, ისევ ბზარს ჩააშტერდა და ჩამოაყალიბა; გამორიცხულია მათ მმართველ ძალას ასეთი ფართო სპექტრი მივაკუთვნოთ, რადგანაც თუ ფიქრი არსებობს, მაშასადამე ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ მასთან ერთად უნდა იარსებოს იმედმაც, რადგანაც ფიქრი როგორც ასეთი, გამოსავლის გარეშედ იგივეა რაც არსებობის უკუპროცესი, ხოლო ფიქრი უნდა ამოიწუროს, თორემ მისი დათრგუნვა მიგვიყვანს იმ შედეგამ-

დე რასაც ჰქვია... ბოლო სიტყვა შეგნებულად აღარ უთქვამს, არ წარმოადგენდა საჭიროებას, რადგანაც მიაგნო პასუხს. რომელიც ასე უწვრილებდა სულს. თავიდანვე მის ფიქრებში ჩაბუდებულიყო, იცოდა რასაც ეძებდა, ოღონდ ისე, თანდათანობით და თავისით რომ ამოტივტივებულიყო.

ჩანგას კმაყოფილი უყურებდა და სადარბაზოდან შემოღწეულ ფეხის ხმებს აყურადებდა. პირველად არ ჩაესმოდა ეს ხმები, რომელსაც მეზობლად მიმავალი ჭირისუფლები გამოსცემენ. გუმანით ხვდებოდა ისინი ხმას არ იღებდნენ და მტკიცე გამოხედვებით ჯიუტად ამოდიოდნენ, შემოდიოდნენ და მიდიოდნენ. და ვერც კი ხვდებოდნენ (თუმცა არც უნდოდათ მიხვედრა), რომ ამით კიდევ უფრო ამძიმებდნენ არა ვინმეს მდგომარეობას კონკრეტულად, არამედ საერთოდ სიტუაციას. თავიანთი არსებობით, პირქუში გამოხედვებითა და ჯიუტი ხელის ჩამორთმევებით იმის თქმა უნდოდათ, ჯერ კიდევ ცოცხლები ვართო. ამ ხმებმა რატომღაც ბებია გააცხენეს და ფიქრმა უკითხავად მიაშურა შორეულ წარსულს. ვერ ხვდებოდა თუ რატომ მაინცა და მაინც ბებია, თუმცა ფიქრი არ მოეშვა და ყვავილების სუნი გაიგონა, რომელიც სადარბაზომდე ისმოდა და იქ მოფარებულ ჩურჩულსა და სიგარეტის კვამლს უერთდებოდა. არაფერი ყოფილა ამაში განსაკუთრებული რომ არა ბოლომდე გამოღებული კარი, სწორედ ის, რომლიდანაც მოედინებოდა ყვავილების სურნელი. ბებიას უკვე მოესწრო შუბლის ძვალზე იისფერ კანთან ერთად სიგრილის გადაჭიმვაც და კუბოში მწოლიარეს კიდევ უფრო პიტალო იერი დაფენოდა მომღიმარ სახეზე. ბებიასთან ერთად მისივე მონაყოლი ზღაპრებიც გათავდნენ და სანამ კუბოს ნიკოტინშემშრალი კაცები გააჩოჩიალებდნენ, სანამ ჯერ კიდევ ესვენა ბებია, თუნდაც ხმისამოუღებლად, ვერავინ გაბედა ეთქვა მისათვის, რომ ზღაპარი გათავებულიყოს. არც მაშინ უგრძვნია, როდესაც იისფერ შუბლზე ტუჩები გააგრილებინეს, არც მაშინ, როდესაც ხელში ტალახის გუნდა მიაჩეჩეს და უთხრეს დააყარეო. გუნდა ფრთხილად ჩააგდო, თითქმის ჩაიხარა და დაადო. ალბათ, შიშობდა არ შევაწუხოო? ერთი კია, ფიცარზე დანარცხების ხმა არ გაუგონია, მარცვლებად რომ გაიპნა მიწა და რონინით გადაპენტა კუბოს თავი, ის ხმა მისწვდა, უფრო სწორად ის ხმები. არც მაშინ უგრძვნია რომ ზღაპარიც იმ გუნდასავით დაშლილიყო როდესაც

ტალახი სკოლის ცარცივით შეაშრა ხელზე... ისიც ახსოვს, სახლში რომ მიბრუნდნენ ყვავილები აღარ იყო. რეტუშირებული სურათი იღიმოდა კედლიდან და მის გვერდით გვირგვინების დანატოვარ ლაქებს ჯერ კიდევ ასდიოდათ ტკბილი სურნელი. ბევრი ლაქა იყო. სხვადასხვა ზომის მიხედვით შეიძლებოდა მათი გამორჩევა. კედელს მინარცხებული სერსოებივით ეკიდენო თითქოს. სურათიც იღიმოდა სერსოებში მოქცეული და სანამ სურათი იქ ეკიდა, ყოველ ჯერზე მასთან ჩავლისას ეგონა, ბებია მას ულიმოდა და რატომღაც ეშინ ოდა. ისიც ახსოვს, ბებიამ დასაფლავებიდან ზუსტად ორმოცი დღე კიდევ იცოცხლა და ალბათ, ორმოცზე რომ დაწვეს თანაგრძნობის დეპეშები იმათ კვამლს აჰყვა ცაში. ბებიასაგან ნაცარი დარჩა საფლავის ნესტიან მიწაზე, რომლითაც ქარმა ღამით ღრუბლიანი ზეცა გადაბელა. დეპეშებთან ერთად ჩაიფერფლა. მისი ზღაპარიც და დროდადრო ის ნაცარი ასაკთან ერთად ქერტლივით ებნეოდა თმა-ში...

გაუკვირდა რომ ბებია გაახსენდა. წამოჯდა ლოგინში, რათა შემოღწეული ხმები უკეთ გამოერკვია. დაკვირვებისას ვეღარაფერი გაიგონა და გაუკვირდა, ნუთუ ბებია არსებობდა ოდესღაც, თუ საიდანმე ამოკითხული გაახსენდა? ამ კითხვას პასუხი ვერ მოუძებნა და ისევ დაიძაბა, განა ასეთ სისულელეებზე ღირს ფიქრი? მაგრამ ერთი წუთით, ამიტომაც ღირს ჩაფიქრება. სწორედ რომ სისულელე იგულისხმება. „ჰა", გაიცინა და ოთახში მოატარა მზერა, არა რაიმის მისაგნებად, არამედ ისე – უბრალოდ და გაიფიქრა, ნუთუ იმას ამოწმებენ სულელი ხომ არ არის? წარმოუდგენელია! თუნდაც მის მიერ უკვე განვლილი საფეხურები მეტყველებენ საწინააღმ-დეგოს. ხოლო თუ ისინი საკითხს მეცნიერულად უდგებიან და თეორიის დასამტკიცებლად ყოველ ჯერზე სურთ ერთი და იმავე შედეგის მიღება, მაინც წარმოუდგენელია, თუკიღა დადებითი პა-სუხი განამტკიცეს საბოლოოდ, რაში შეიძლება ის გამოადგეთ? რაში და, დანარჩენებსაც დაანახონ, აი, თქვენც ასეთები ხართ, არც თქვენ ფასობთ მეტადო, მაგრამ – ეს ხომ აბსურდია. ამიტომ ამ საკითხზე დაეჭვება არ ღირდა და ის ისევე გადადო გვერდზე, როგორც ჩანგა და ფეხზე წამოდგა.

არ შეიძლებოდა უსაქმოდ ჯდომა, რაიმე უნდა მოემოქმედებინა, გაჩერება დამარცხებას ნიშნავს, მარტო ფიქრიც რის მაქნისია?!

სანამ ისინი რაიმეს გადაწყვეტენ, უნდა დაასწროს; თორემ ისინი არა ჩერდებიან, გათვლილ პროგრამას ანხორციელებენ, და თუ არ აჰყვა მათ რიტმს, შეიძლება ჩამორჩეს. რა, ხომ არ დაუცდიან, იმათ საკუთარი განრიგი გააჩნიათ და ამას ისიც არა აქვს გარკვეული, რა ადგილს იკავებს ამ განრიგში. აი თურმე რა ყოფილა უპირველესად გასარკვევი, გარნა სრული გროტესკი არ არის ამის გარკვევის გარეშე რაიმეზე ფიქრი? „განრიგი" ჩურჩულით უთხრა ჩანგას და თვალი ჩაუკრა. თვალის ჩაკვრისას ამური გაახსენდა, უფრო სწორად ბნელი ოთახი და მის სიბნელეში ამურის ლანდი, მართალია სადღაც გვერდიდან გაახსენდა და წამსვე გადაავიწყდა კიდეც. ლოგინზე წამომჯდარი თასმებს რომ იკრავდა უკვე გადაწყვეტილი და დალაგებული ჰქონდა პირველ რიგში ვისაც უნდა წვეოდა. რად უნდოდა ამდენი ფიქრი – ლიფტიორი იყო სასწრაფოდ სანახავი, ის იდგა ამასა და ამურის შორის... აგრეთვე ჩუნგას შორისაც. რაო? თუ ლიფტიორი უშუალო მონაწილეა ამ ყველაფრისა, არ არის გამორიცხული, რომ ჩუნგას ქვემოთ თვითონ დახვედროდა და გაეთოკა, ამასთანავე გზაკვალის ასაბნევად, წინდაწინ შემუშავებული გეგმა განახორციელეს, რადგანაც ქოფაკის ასეთი უეცარი თავდასხმა დაუშვებელი იყო, ამან მხოლოდ ჩუნგაო დაიძახა, ხოლო თუ ქოფაკი ყოველ დამძახებელს თავს ესხმის, მაშასადამე სათანადო სამსახურებს აქამდის უნდა განერიდებინათ საცხოვრებელი ეზოდან და თუ არ განურიდებიათ, იმის მანიშნებელია ქოფაკი არ უნდა წარმოადგენდეს საშიშროებას. რას უნდა მივაწეროთ მისი ამრიგი განრისხება თუ არა მეეზოვის მიერ არ იყო დაქსეული? მაშასადამე, მეეზოვეც აშკარა შეტევებზე გადმოდის? რატომაც არა, მარტო ხვეტა ხომ არ დაევალებოდა მას ორგანიზაციის მხრიდან, რა საკვირველია, არა! სამებისაგან ბირთვი მოელის ჯაჭვურ რეაქციას და თუ აქამდე სამების ერთ-ერთ ტოლფარდ ნაწილს ამური შეადგენდა, აწი ასეთ შესაძლებლობას მისი მხრიდან აღარ უნდა მოველოდეთ. რადგანაც მას ეს პრეროგატივა ჩამოსცილდა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ მის ადგილს სხვა დაიკავებს, თუკი აქამდე არ დაიკავა. ჰარმონიულობა სამებისა არ უნდა დაირღვეს არცერთ შემთხვევაში, ეს არის ორგანიზაციის აუცილებელი და უპირველესი ამოცანა. თუ ცალკეული თეზისი ცალკეულ ინდივიდში იწვევს ცალკეულ მიხვედრილობას, ამ დროს სამება არ თვლემს და ამ თეზისს განა-

სამებს, ანუ ქმნის ეგრეთწოდებული სამკუთხედის პრინციპს, ტოლგვერდა სამკუთხედისა, რომელიც ამავდროულად შეიძლება მივიჩნიოთ მუდმივი ბრუნვის სიმბოლოდ, რადგანაც ცვეთა უტოლდება ბრუნის სიხშირესა და შეხების კოეფიციენტს; სწორედ ასეთ დროს სამება ავლენს თავის ჭეშმარიტ ცენტრს და ცალკეული ინდივიდის მიხვედრილობა, როგორც ასეთი, უკეთეს შემთხვევაში სამდება, ხოლო რადგანაც სამივე ნაწილი ამ მიხვედრილობისა (უფრო სწორად ერთი კითხვის სამივე პასუხი) ტოლფასია ერთმანეთისა, ინდივიდის ხედვა იყოფა სამ ტოლ ნაწილად, ამ დროს უკვე საქმეში ერთვება ბირთვი და მისთვის სასურველ ნაწილზე ზეწოლით ამავე ინდივიდში ტოლობას გარდაქმნის უტოლობად და ინდივიდის მართვა საგრძნობლად გაადვილებული ხდება. ამის დასამტკიცებლად არსებობენ უტყუარი ფაქტები და თუ განვიხილავთ ყველაზე უბრალოსაც კი, მივალთ იმ დასკვნამდის, რომ მართლაც ასეა, მაგალითად, როდესაც ბავშვი აღწევს ექვსი-შვიდი თვის ასაკს და ოთახში მუხლებზე დაფორთხავს შესაძლოა, (თუკი მას საფენი არ გააჩნია) მიაფსას ოთახის ნებისმიერ კუთხეს. ამ დროს მისი მშობელი, ღამენათევი და ბავშვის ჭინჭყლობისაგან გაწამებული, თვალებში ნორმალურად ვერ იხედება, ყველგან ბალიში ელანდება და გასაკვირი არც არის, შუადღის ფანჯრიდან შემოღწეულ შუქში ლაქგადასმულ იატაკზე ვერ შენიშნოს მისი პირმშოს განძი და შეუმჩნეველად აუაროს გვერდი. ასეთ დროს თავის ისტორიულობას ავლენს მული, რომელიც ტილომომარჯვებული, მუხლებზე დაჩოქილი და გუბეს მიმდგარი რძლის გასაგონად დიდღინებს: „ვერ გამიგია ჩემი ბავშვია თუ...“ რა თქმა უნდა რძალი თავიდან აკავებს აქავლებულ ენას, მაგრამ დიდი ხნით როდი გრძელდება და ერთ მშვენიერ დღესაც გუბესთან დაჩოქილ მულთან თავს ვეღარ იკავებს და იწყება... სწორედ ამ დროს იღება კარი და არენაზე გამოდის დედამთილი, ცხოვრების უგუნურებისაგან წაშლილი სახით და ორის ტოლფარდ ნაწილებს შორის თავისას აკვეტებს „კარგით გეყოფათ, არცერთი არ ხართ მართლები...“ და სანამ გავიდოდეს, სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს საკუთარ თავზე ინიციატივის აღებით - მე არავინ მეხმარებოდაო... ტოლობიდან დედამთილმა რატომღაც უტოლობის გამოყვანა მოიწადინა და თანაც ასეთი პრიმიტიული შემთხვევისას. თორემ როდესაც საქმეში სამება არ არის ჩართული

უტოლობიდან შესაძლებელია აბსურდამდისაც მისვლა. მაგრამ აქ გულისხმიერებას იჩენს ბირთვი და განადგურების მაგიერ ინდივიდის ფიქრს ხდის დაქვემდებარებულს და მისი შესაბამისი დაპროგრამებით მას არსებობის უფლებას ანიჭებს და ისიც განსაზღვრული ვადით. ამ ყველაფრის გათვალისწინების შემთხვევაში იბადება კითხვა, რატომ აქამდე არ აქტიურობდა სამება. მაგრამ ეს კითხვა მეორეხარისხოვანია, რაზედაც ფიქრი მხოლოდ დროს დააკარგვინებს რაშიც ისედაც შეზღუდულია. ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოინახულოს ლიფტიორი. გადაუდებლად. „დრო არ იცდის". ამ სიტყვებით თავი უფრო გაიმაგრა, ვიდრე ჩანგას უთხრა. კატას შიგ თვალებში უყურებდა და აღმოჩენით გახარებულმა საჩვენებელი თითი ზე აღმართა. კატამ თითს ჩაფიქრებით გააყოლა მზერა. კუდი ფეხებს შორის შეიგრიხა. წინა თათები სწორად გაქიმა. წელი შეძლებისდა გვარად ჩაზნიქა, კმაყოფილად გაიზმორა და ისევ გაწვა. მაგრამ ეს მას აღარ დაუნახავს. უკვე გასასვლელში იდგა. ოღონდ გასვლა ვერ გადაეწყვიტა. ჯერ კარებს მიაყურადა და როდესაც სადარბაზოდან საგულისხმო ვერაფერი გაიგონა, კარი ფრთხილად გამოაღო.

სამების მიგნებით გახარებული შეუმჩნევლად ჩადიოდა კიბეზე და თავის თავს არწმუნებდა, მართალი ვარო. ლიფტიორის შესახვევთან გაჩერდა. მარცხენა კუთხეში ისევე აეყუდებინათ ცოცხიცა და აქანდაზიც. მათთვის გვერდის ავლას აპირებდა და კვლავ დაეჭვდა. განა ასეთ დროს მეეზოვე ეზოს არ უნდა გვიდეს? მართალია, იმწამსვე დამშვიდდა, პასუხმა დაასწრო ეჭვის გაღრმავებას; რაღა თქმა უნდა არა სცალია, ქოფაკის დაგეშვით არის დაკავებული. გაიფიქრა და შეუხვია კიდეც ლიფტიორის ოთახისაკენ მიმავალ ბნელ ჰოლში.

ოთახის კარები გამოღებული იყო. შორიდანვე დაინახა. შუქი არ ენთო. მაგრამ მაგიდის ღილაკების სიჩუმე მაინც მოესმოდა. გარკვევა იმისა, ღილაკების ხმა იყო თუ სხვა რამისა, ვერ შესძლო და ყურადღებაც აღარ გაუმახვილებია. ხელისგულებზე შეფეთქილი ოფლი შარვალზე შეიწმინდა და გაიფიქრა, რომ ფურცლების ბინაში დატოვება საზრიანი ქმედება იყო. მარცხი აღარ უნდა განმეორდეს. გამოღებულ კარებზე დააკაკუნა, ყრუდ მოესმა შეპატიჟების მაგვარი და გამეორებას აღარ დალოდებია, შევიდა. ოთახში მართლა არ იდგა შუქი. ამასთან სიჩუმის პირველწყარო კვლავ უცნობი დარჩა

და იქაურ ღარიბ განათებაში (რომელსაც მაგიდის წითელი ღილაკები ქმნიდნენ) სწრაფად მოატარა მზერა. თავიდან ვერ მიხვდა ვის შეეძლო შეეპატიჟებინა. ოთახის ბინდი ცარიელი ეჩვენა. რკინის ლოგინმა ამოიოხრა და მხოლოდ მერეღა მიიწია მისკენ. რომ არა ამოოხრება გაბრუნებას აპირებდა, ახლა უკეთ ხედვისათვის მოამზადა თვალები და სანამ მასზე მწოლიარეს გამოარჩევდა, ისევ ეგონა მეჩვენებაო. ლიფტიორი გაუნძრევლად იწვა, არასაკმარისად კვეთდა მის სილუეტს წითელი მცირე შუქი და ერთის შეხედვით მართლა ცარიელს ჰგავდა ლოგინზე გადაფარებული შალი. დახრილი მიუახლოვდა ლოგინს, უკეთ უნდოდა გამოერკვია რაში მდგომარეობდა საქმე და უხერხულად რომ არ მდგარიყო სკამი მიიჩოჩა. ჩამოჯდა. კისერი უფრო დახარა და სიბნელეს მიჩვეულმა ნელი-ნელ მოახერხა მისი გამორჩევა. ლიფტიორს იმდენი ბინტი მოეხვია თავზე, სიბნელეში ჩალმიანს ჰგავდა. მარჯვენა ხელიც არანაკლებ გაეხვია. რომლის ბოლოდან მხოლოდ თითის წვერები გამოეშვირა. ისიც გამოარჩია ლიფტიორს ცალი ფეხი მოხრილი ჰქონდა, ოღონდ უკვე სახვევის გარეშე და წინდაგაძრობილ კოჭზე სტერილური პლასტირი მიეკრო. მეორე ტერფის მდგომარეობა ვეღარ გაარკვია, რადგანაც ლიფტიორს სწორად გაეჭიმა და მისი ბოლო სიბნელეში იკარგებოდა. კვლავ ჩალმასაკენ მოატრიალა სახე და გზად სახვევიან ხელთან შეჩერდა, რომელიც ლიფტიორს უცნობი ჯარისკაცივით მოხრილად დაედო მუცელზე. ის უკვე მოგვიანებით შეამჩნია ლიფტიორი რომ იღრინებოდა. თუმცა ეს უკანასკნელი ამას არც აპირებდა. ზედა ტუჩი ცალ მხარეს საგრძნობლად შესიებოდა. რის გამოც კბილები მოუჩანდა. სანამ რაიმეს ჰკითხავდა, გონება არ გაჩერებულა, ნუთუ ამოდენა მსხვერპლზე მიდიან? მათ რიგებს, მაშასადამე თვითმგვემელებიც განეკუთვნებიან? რამდენად დიდი ზეგავლენა გააჩნია ბირთვს ყოველ მუშაკზე. რამდენად უშეცდომოა მათი პროგრამა... რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ლიფტიორმა, უკვე იცის რატომ არის ამრიგად გახვეული. რა დიდი ფიქრი იმას უნდა, რომ გუშინდელი ვიზიტისთანავე დაიხვია, რაც ბინტები გამონახა, და სადაც არ ეყო - პლასტირი მიიკრო, მერე ტუჩიც ძალად გაიხეთქა და ალბათ ლიფტის რვეულში მოასწრო კიდეც ჩაწერა, ვითომც მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მისი სამსახურეობრივი მოვალეობა არად ჩააგდო. არადა კარგად ახსოვს მხოლოდ წიხლი რომ

ჰკრა და ისიც შემთხვევით იმას კი ხომ აუცილებლად უნდა გაეზ-ვიადებინა შეიძლება გაბზარვასაც კი უჩივის და სულ მცირე ალბათ კომოციო მიიღო მისმა თავმა და ყველაფერი ეს იმისათვის გაითა-მაშა რომ ამას ვითომც უფრო ფრთხილად ემოქმედა მათს წინააღმდეგ არა იმიტომ რომ ეს დაეზოგათ არამედ იმ მიზნით რომ სინდისზე მოეხდინათ ზეწოლა და ისიც არა იმისათვის რომ ამის კეთილდღე-ობისათვის ირჯებოდნენ არამედ – გაერკვიათ ამას სვინდისი როგორც ასეთი გააჩნდა თუ არა. ამიტომაც ჰკითხა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, რა დაგმართნიაო, და „ნწ-ნწ" დააყოლა. „კიდევ ბედავ და მემაშხრები" იკითხა ლიფტიორმა. მიხვდა ძალად ჩლიფინებდა და თვითონაც ჩლიფინითვე მიუგო „არ გემაშხრები, არა, ვაშლო ჩვენო ჩამოსასხმელო" და თქვა თუ არა ლოყაზე უჩქმიტა ბავშვივით. ლიფტიორმა სახე გაარიდა და ტკივილისაგან გაჭვალულმა ვერ გაახერხა: „ოო, როგორ ცდები თუ გგონია აშე ჩაივლიშ ეშ ყველაფერი, – ერთ სიტყვად ამოიოხრა და დააყოლა, – მაღალია მოწმე იშ ყველაფერშ ხედავშ" და ბნელი ჭერისაკენ აღაპყრო მზერა, მაღალში ვისაც გულისხმობდა იქ ეგულებოდა. ძალაუნებ-ურად მის თვალებს გააყოლა თავისიც და არათუ მაღალი, საერ-თოდ არაფერი შეუნიშნავს. ისევ დაწყნარდა და ლიფტიორს თითქ-მის მისჩურჩულა: „იწექით წყნარად, თქვენი დაღლა არაფრით არ შეიძლება, დამშვიდდით და ეცადეთ დაიძინოთ" თან გადმოშლილ შალს უკეცავდა ფეხებთან და ეტყობოდა ამის ქმედება სიამოვნებას ანიჭებდა. იმდენად გაერთო, მზად იყო კიდევ ცოტა ხანს მჯდარიყო ლიფტიორის სასთუმალთან, თუმცა ხვდებოდა ვერაფერ საინტერე-სოს შეიძენდა მისგან. „ლიმონათს ხომ არ ისურვებდით", ჩუმად თქვა და ხელისგულის მიბჯენას უპირებდა შუბლზე ტემპერატურის შესამოწმებლად, რომ ლიფტიორმა თავი გააქნია, არაფრით დანებ-და და რაც ძალი შესწევდა დაიჩლიფინა – „თავი გამანებე", მაგრამ ჩლიფინი ჩურჩულს არ ასცილებია. ძალად დაადო შუბლზე ხელი: „ოო სიცხე გქონია", მიახარა და შალი უფრო შეუკეცა. „თავი გამანებე მეთქი, ვაა, არ გეშმიშ ადამიანური", კიდევ უფრო გაბრაზდა ლიფტიორი და გატრიალდა. გადატრიალებისას ალბათ ისევ გაჭვ-ალა, „ემ" დაიზმუკუნა და გაჩუმდა. შალი გადმოეშალა, ოღონდ მას არ შეუკეცავს და სანამ სკამიდან წამოდგებოდა, ჩუმად სთქვა, რომ თქმული ლიფტიორის სმენას მიწვდენოდა: „პაციენტმა დაიძ-

ინა, მდგომარეობა მძიმეა, ოღონდ, საგანგაშო არაფერია, კრიზს გადავრჩით". ამ სიტყვებით წამოდგა, დამშვიდობების ნიშნად ლიფტიორის კეფას თავი დაუქნია და ოთახიდან გამოვიდა.

ჰოლს კვეთდა და იმის ფიქრში იყო, თუ ვისი ნახვა იქნებოდა აწი სასწრაფო და აუცილებელი, მეეზოვისა თუ მექვაბეთა. რაღა თქმა უნდა მექვაბეების, რადგანაც ორნი არიან, თანაც შიშვლები, რაც საგრძნობლად ართულებს მათთან კავშირის დამყარებას, მაგრამ ეს არ არის მიზეზი იმისა, მათთან ვიზიტი გადაიდოს. პირიქით, გუნდურად შეჯგუფულებს უნდა დაესხას თავს, რთული პოზიციები უნდა აირჩიოს, თორემ ბირთვი იფიქრებს დაიბნა და ძალებს კარგავსო, ამიტომ ამის გაფიქრების საშუალებაც უნდა მოუსპოს და მიზანში ამოიღოს არა კენტი, როგორც მათ მიაჩნიათ არამედ წყვილი. ასეა თუ ისე, მექვაბეებთან ვიზიტი უპირველესი ამოცანაა და მხოლოდ მათი მონახულების შემთხვევაში გადაწყვეტს შემდგომ ეტაპად ვინ მოინახულოს.

ქოფაკს რომ არ შეჩეხვოდა, ჯერ თვალი მოავლო ეზოს მოხურული კარების შუშიდან და სახიფათო არაფერი შეუნიშნავს. ეზოში გავიდა. ქოფაკის სიახლოვე დასტვენით მოსინჯა და რადგანაც სტვენას შორიდან გამოეპასუხა, უფრო სწორად გამოეპასუხნენ სხვადასხვა ტონალობის ყეფანი, ბგერათა არამკაფიო ოქტავების გამო მიიჩნია, თავისუფლად მოასწრებდა საქვაბემდე. ამიტომ აღარც შეყოვნებულა და გაიქცა.

თავგადასავლების გარეშე მიაღწია სანატრელ კარებამდე და სულის მოუთქმელად შევიდა შიგ. უფრო ღრმად შესვლა აღარ დასჭირვებია. ცარიელი მაგიდის (რომელზეც კვლავ ჭირურგის გულივით ფეთქავდა ნავთის ლამპა) გვერდითა შპალერგადაკრული კარი ოდნავ გამოღებული დაუხვდა. დანატოვარ ნაპრალში თავისუფლად გაატევდა მზერას და მიუახლოვდა კიდეც. ჩუმად მიეპარა, რათა შიგნით მყოფთათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. კარი გაიღო, ოღონდ მას შემდეგ რაც მას მოხვდა შუბლში. არ შეიმჩნია და უბრალოდ იკითხა მექვაბეები თუ არიანო. კარების გამღებს პირველად ხედავდა. გაიფიქრა, ალბათ რეგისტრატორიაო და სანამ ალბათრეგისტრატორისაგან პასუხს მიიღებდა, შიდა ხმამ შინაურულად იკითხა რომელი ხარო. პასუხად რეგისტრატორის მხარსზემოდან დაენახვა და იმავე ხმამ აა, მოდი მადლიაო, თქვა რატომღაც. რეგისტრა-

ტორმა კი მალე მოვბრუნდებიო, და გვერდი აუარა.

მექვაბეები ყუთს შემოსხდომოდნენ, რომელზედაც დალაქავებული გაზეთი გადაეფარებინათ და ლაქები ალბათ მოხარშულ კარტოფილს ეკუთვნოდა, შეიძლება ნაფოტა თევზს, რომელიც კარტოფილის გვერდით იწვა, ანდა სულაც ჭიქების შევსებისას დაწვეთებული არაყი იყო. ყოველ შემთხვევაში სუფრის შუაში გორად მოქცეული მარილის ბრალი ნამდვილად არ იქნებაო, დაასკვნა და მიუახლოვდა კიდეც. იმ მექვაბემ, რომელმაც შეიპატიჟა, სეფის ფიცარივით გრძელ სკამზე ხელის დადებით მიახვედრა დაჯექიო და ესეც დაჯდა. თვითონ ფეხზე წამოდგა, ალბათ ჭიქის მოსატანად.

რკინის კარადიდან კიდევ ერთი სასმისი გამოიღო, მთელი სიძლიერით დაიქნია, ვითომც თერმომეტრი დაეფერთხა და წინ დაუდგა. ჭიქებზე დაკვირვებისთანავე გამოიტანა დასკვნა, ისინი ერთი კომპლექტიდან არ იქნებოდნენ. თანაც ჩაის ან რაიმე მისდაგვარის დასალევად თუ იყვნენ გათვალისწინებულნი. საერთო ნიშანი, რომელიც მათ აერთიანებდათ, თავიდანვე თვალშისაცემი იყო. საერთო ნიშანი მდგომარეობდა მათს ხნოვანებაში, იმდენად ასაკოვანში, ნათელი იყო, არც ერთი დიასახლისი არ იქნებოდა მათი გამჩერებელი. ყოველ შემთხვევისთვის არყის დალევა ჩაის ჭიქითაც შეიძლებაო - ფიქრობდა და ამავდროულად მექვაბე დროს არ კარგავდა და სასმისს უვსებდა.

რომ შეავსო, გამოუწოდა და ამანაც გამოართვა. მეორე მექვაბე არათუ არ აპირებდა ხმის ამოღებას, ნათელი იყო საერთოდ არაფერს აპირებდა. უმოძრაო თვალებით მიწებებოდა საკუთარ ჭიქას და მასვე ნჭვრეტდა. პირველმა ამისას მიუჭახუნა და ეეჰ, აცხონოსო თქვა. მოსვა, ბოლომდის არ დაუცლია, ჭიქა ადგილს დაუბრუნა და ჭაღარაქოჩრიანი (ქოჩორი მარილის დამსახურება გახლდათ) კარტოფილი სეფისკვერივით უგემურად ჩაკბიჩა. უნდოდა ეკითხა ვის საცხონებელს ვსვამთო, მაგრამ სეფისკვერნაგემებმა თითქოს კითხვას მიუხვდაო, მხარზე ჩამოადო მტევანი და უთხრა „ერთი კაი ბიჭი წავიდა... შეიძლება იცნობდი კიდეც, ამური... თუმცა ბედმა გაუღიმა ამურისთანები არა კვდებიან" იმდენად დააეჭვა მექვაბის სიტყვებმა, რომ პირის დაუკარებლად დაუბრუნა ჭიქა ადგილს, ხელი გადაადაფარა და იკითხა „ამური..." „არა სვამ?" გააწყვეტინა მექვაბემ და რომ არა დროული თავშეკავება უარის ნიშნად თავის გაქნევას

აპირებდა და ზრდილობიანად უპასუხა „სიფერადე მაქვს ზედმეტად მომატებული.“ მექვაბე უსმენდა და ხმას არ იღებდა. ამანაც დრო იხილთა ჩამოწოლილი პაუზით და შეკითხვა გაუმეორა „ამური რა, ცოცხალია?“ მექვაბემ დასტურად თავი დაუქნია და მიუგო „მიცვალებული ჩაფიქრებულია...“ რამდენად იყო დასაშვები მექვაბის მოსაზრება, წარმოდგენა არ ჰქონია და რახან მეორე მექვაბე მართლა ჩაფიქრებულის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ისევ პირველმა ითავა, თითქოს კვლავ მიუხვდაო „განა ვინ სთქვა ჩაფიქრება ყველას შეეძლოს? რჩეულთ ძალუძთ ჩაფიქრება. ყოველი ჩაფიქრებაც მიცვალებაა მცირე ლუკმით მოწოდებული, თითო ლუკმა საბოლოო ჩაფიქრებამდის, ხოლო ისინი ვინაც ცხოვრებაში არ ჩაფიქრებულან, ვერც საბოლოოდ ჩაფიქრდებიან. ხო?“ ეგონა შეკითხვა დაუსვეს და პასუხად მხრები აწურა, მექვაბემ კი გაუღიმა და არაფერიაო უთხრა, თითქოს დაამშვიდა. ხელმეორედ რომ წაიღო მელოტი კარტოფილი მარილისაკენ ჩაწობა ვეღარ მოასწრო, კარებზე დააკაკუნეს. კაკუნი ნიშანივით ეჩვენა და არც შემცდარა.

მექვაბემ კარტოფილი ბოთლის გვერდით დასდო, კრახმალიანი თითები გაზეთზე შეაწმინდა და კარებისაკენ გაემართა. არც უკითხავს რომელი ხარო, გავიდა და მოიხურა. მაგრამ კარები ფოსოში არ გაჩერებულა და ოდნავ გამოიღო, ზუსტად იმ დონეზე, როგორიც დაუხვდა თავიდან. ამ შემთხვევითობის წყალობით იყო რომ გარეთა საუბრის გარჩევა მოახერხა.

უცნობის სახე არ დაუნახავს, უფრო წარმოიდგინა როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ტემბრის მეშვეობით. უცნობს კიდევ უფრო მკაფიო სოპრანო ჰქონდა, ვიდრე მექვაბეს და მხტუნავი ლაპარაკი რაღაცით ასთმიანისას მიუგავდა. მისალმება არ გაუგონია, კარების მოჯახუნებამ ჩაახშო, ალბათ. ხოლო მერე რომ უთხრა მექვაბემ უცნობს, გენრიხა უნდა იკითხო, დაბალი ტიპია, ასეთი თვალები აქვსო (და ალბათ თვითონაც დაჭყიტა რომ გენრიხისათვის მიემგვანებინა, ეს ამას აღარ დაუნახავს), მხოლოდ სიტყვები გაიგონა. უცნობმა ისე იკითხა, თითქოს ჰაერს ყლაპავდა, სად არის ეგ საქუდეო. მექვაბემ ისევ ხმადაბლა უპასუხა „სადარბაზოდან რომ გახვალ, მარჯვენა მხარეს ივლი, მოპირდაპირე მხარეს დაინახავ დიდი ასოებით აწერია ქუდების ატელიე, შეხვალ და იკითხავ გენრიხა მინდოდა თქო, ორი გენრიხია, უთხარი დაბალი თქო,

თორემ ის მეორე ნელა მუშაობს და გაგიჯანჯლებს, რომ გამოვა უთხარი ჩემგან ხარ და შინაურულად მოგხედავს...“

შემდგომი სიტყვები უკვე აღარ აღელვებდა, რაც აინტერესებდა თავისდაუნებურად გასცეს იმათმა და სანამ მექვაბე შემობრუნდებოდა, ველარ მოისვენა ერთ ადგილზე. ფეხზე წამოდგა და, მართალია, შარვალი არ ჰქონია დასაფერთხი, მაინც ჩამოიფერთხა. მეორე მექვაბე კვლავინდებურად თავის ჭიქას ნჭვრეტდა და ამის ქმედებით სულაც არ ინტერესდებოდა, ეტყობოდა მარტო იმყოფებოდა.

პირველი რომ შემობრუნდა მზად იყო გასაქცევად და ასთმიან სოპრანოს ადევნებოდა, მაგრამ იმასაც ფრთხილობდა მექვაბეს ეჭვი არ აეღო. მითუმეტეს, შემობრუნებისას კარი ღია რომ დაუხვდა, არ ესიამოვნა. ყოველ შემთხვევაში ასე მიიღო მისი დინჯი სახე და გაუგებრობას ადგილი რომ არ ჰქონოდა, უნდა დაგტოვოთ საქმეები მაქვსო, უთხრა მექვაბეს. მან ხელების გაშლით უპასუხა და ეს აღარ დალოდებია, თავი დააქნია და გავიდა.

მუხლები ექავებოდა - ისე უნდოდა გაქცევა, მაგრამ არ შეიძლებოდა, ასეთი ნაჩქარევი გამობრუნება მექვაბისათვის საეჭვო იქნებოდა. აუცილებლად თვალთვალს დაუწყებდა. ფილაქნებიდან დაინახა, რომ ბედმა გაუღიმა, იმას ჯერ კიდევ არ შეესწრო სადარბაზოში. მისი ზურგი თვალს მიეფარა, და დაწყნარდა. სანამ დაეწეოდა, მათ შორის მანძილი რომც გაზრდილიყო ამ ზურგს ათასში გამოარჩევდა. სადარბაზომდე უბრალო ნაბიჯით მივიდა, საქვაბისაკენ აღარც გაუხედავს. ეზოს კარიდან ქუჩაში გასასვლელამდე დაკარგულის ასანაზღაურებლად მანძილი სირბილით დაფარა. არც ისე შორს დაინახა ზურგი, რომელსაც მხარქვეშ რაღაც ამოედო. ზურგი ნელა მიიკვლევდა გზას მოსიარულეებში და ამას დრო მიეცა უკეთ დაკვირვებოდა მის აღნაგობას. არაფერი განსაკუთრებული, საშუალო სიმაღლე, ოდნავ მოკლე კისერი (კისრის სიმოკლე შეიძლება უკანიდან იყო მოჩვენებითი) საჯდომთან ჩამოჩაჩული შარვალი და ჩამოჩაჩულთან ოდნავ გაპრიალებული, ფეხსაცმელი სავსებით ჩვეულებრივი, თუ არ ჩავთვლით გვერდებში კოჟრებისაგან დაბურთვას, მხრები არც მასიური, არც გამოხუნებული, მხრები როგორც მხრები და არც თავის ფორმა ჰქონია განსაკუთრებული, მითუმეტეს რომ ფორმა გარკვევით ატანდა დაბალ თმაში. ყველაზე საგულისხმოდ მისი როლინგი მიიჩნია, რომელიც იდაყვებთან ოვალური ტყავის

ნაჭრით დამშვენებულიყო და მოხრის ადგილას გაცვეთილიყვნენ. რა იყო განსაკუთრებული როლინგში ვერ ხვდებოდა და არც ინტერესდებოდა. სწრაფად დაფარეს მანძილი დანიშნულების ადგილამდე. ზურგი შეჩერდა, ქუჩის გადაღმა ორსართულიან შენობას გახედა, რომლის თავზეც ნეონის ნათურები დღისითაც აენთოთ «ქუდების ატელიე». გაუკვირდა, რატომ აქამდე არ შეუნიშნავს ეს შენობა და დაეჭვებული, ზურგის შორიახლოს გაჩერდა, რათა არ შეემჩნია მდევარი. ზურგი შუქნიშანისაკენ დაიძრა. კვლავ აედევნა.

საპირისპირო ქუჩაზე მოხვედრისთანავე ისევ მოსიარულეებს შეუერთდნენ და შენობასაც მალე გაუსწორდნენ. ზურგი არ შეყოვნებულა, ფარდაჩამოფარებულ კარში შევიდა. ხელმეორედ ახედა ნეონის ასოებს და შენობის ქვეშ მდგომს ისინი მოკლეები ეჩვენა. ერთი კი გაივლო, რომ სახიფათო იქნებოდა შეჰყოლოდა, რადგანაც ესეც მოწყობილია და ზურგი ახალი შემომატებულია დამხმარე ძალად, თუმცა დაასკვნა, ასეთი ფიქრი არავითარ დასკვნამდე არ მიიყვანდა, გარდა იმისა, რაც უკვე უპყრია ხელთ. ბევრი აღარ უფიქრია, თვითონაც შეაღო ფარდაჩამოფარებული კარი. ზურგი იქვე იდგა, შიდა სივრცეებში შემავალ ერთ-ერთ კარებთან და გახვეული, ხელში მოექცია. როდესაც შედიოდა ოდნავ დაიბნა, რადგანაც ზურგის მაგივრად მისი თვალები შერჩა, ოღონდ თავი ხელში აიყვანა და კედელზე გამოკრული ღილების ნიმუშებისაკენ გაიწია, მათზე გადაფარებული შუშიდან აკვირდებოდა მრგვალ ზედაპირებს და ნახვრეტებში ძაფივით უნდოდა მზერა გაეძვრინა. რომელიღაც კარი გაიღო. სათვალიანი კაცი გამოვიდა. მოუტრიალებლად დაინახა შუშის ანარეკლში. სათვალიანის სიტყვები კი ყოველგვარი ანარეკლის გარეშე გაიგონა. სათვალიანმა, გენრიხა ახლავე გამოვაო, თქვა და გვერდითა კარებში გაძვრა. სანამ მოიხურავდა, კარების შიგნიდან გაკრული პლაკატი დაინახა, რომელზედაც იდაყვზე დაყრდნობილი ქალბატონი წაგორებულიყო პლაჟზე, ფეხებს მუხლებამდე უფარავდა ტალღა, ხოლო ბიკინს ეფუზორული მზის სხივი, თვალებს მზის სათვალე და თავს თმა, ვარცხნილობით – пудель в гневе. მეტი ვერაფრის გარჩევა მოასწრო, კარები მიხურეს და მისმა გლუვმა გარეთა ზედაპირმა შთანთქა პლაკატი. ღილებთან ხანგრძლივი დგომა ზურგისათვის საეჭვო რომ არ გამხდარიყო, გვერდზე გაიწია, გადმოშლილი ქსოვილთა ნაჭრების ნიმუშებისაკენ,

მაგრამ ხელის მოკიდება ვერ მოასწრო, გენრიხა გამოვიდა. გისმენთო, უთხრა გენრიხმა ზურგს, იმან ხმადაბლა მიუგო კაკოსგან ვარო, და ასეთს თუ მომიხერხებო, თქვა და შეხვეულში გენრიხს ჩაახედა. გენრიხმა იკითხა ერთად ხართო? და თავი ამისკენ გამოიქნია. ზურგმა იუარა და გენრიხამ შიგნით შეიპატიჟა.

როდესაც ორივენი კარებმა შთანთქა ამოისუნთქა, არასოდეს ჰქონია ასეთი ნაყოფიერი დღე, ჯერ არ ყოფილა ასე შეუმჩნეველი მათი მხრიდან. კარები სამუდამოდ დაიმახსოვრა და ატელიედან გამოვიდა. ბოლომდე შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა, ალბათ დღესაც ადევნებენ თვალს, სიმართლე რომ ითქვას ადევნონ და იყვნენ, რაც საჭირო იყო ამან უკვე მიაგნო, მართალია უმნიშვნელოს, ოღონდ თუ ნორმალურად გამოიანგარიშებს დღევანდელ მონაპოვარს, შეიძლება უმნიშვნელო მნიშვნელოვნად აქციოს. ჩამოაყალიბა და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა ნეონის ნათურებიან შენობას...

ცოტა ხანში ისევ ლოგინზე იწვა და ჩანგა მის გვერდით მოკალათებულიყო, რაღაცნაირად მომრგვალოდ მოკუნტულიყო, კუდიც ჯაყვის პირივით ფეხებს შორის შეეკეცა და თათს ილოკავდა. ყურადღების მიუქცევლად უქავებდა ბუნტყლს, ამით ოდნავ მშვიდდებოდა და მართალია ჭერში იყურებოდა, თვალწინ კვლავ ზურგი ედგა. უკვე მერამდენედ აანალიზებდა საერთო სურათს, ეგაა საბოლოო შედეგამდე მაინც ვერ მივიდა. თავიდან ჩამოუყვა ხელთარსებულ ფაქტებს და რიგრიგობით დაალაგა. ყველაფერი იმით დაიწყო რომ ერთ ერთ გამომცემელთან შემთხვევით თვალი მოკრა მაგიდაზე უყურადღებოდ მიგდებულ სადარბაზო ბარათს მასზე ამოკვეთილი ტელეფონის ნომერი დაიმახსოვრა და ესაუბრა კიდეც ვის ჯერაც გაურკვეველია გარკვევამდე ცოტაღა დარჩა საუბრისას არ მოეწონა მისი ზედმეტად ზრდილობიანი ხმა ოღონდ ახსოვს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და დაბარებულ დღეს გაემართა მისკენ სწორედ იმ საბედისწერო დღეს შესდგა ამის და ამურის ვითომ შემთხვევითი შეხვედრა კაბინაში მას მერე იყო მოხუცთან შეხვედრა ის უცნობიც ახსოვს მოხუცისგან რომ აღარ გამობრუნებულა მომღიმარიც ახსოვს მაგრამ მასზე ყურადღების გამახვილებაც არა ღირს ლოთია ვიღაცაა ხოლო უკვე მეორე დღით იყო მოხუცმა რომ უთხრა წადით საჩქარო არაფერი გაქვთ თვითონ დაგიძახებენო დეტალებზე არც ღირს ჩაძიება ცივი გონებით უნდა გამოიანგარიშოს ყვე-

ლაფერი და არც ის უნდა დაივიწყოს მოხუცის შემდეგ ლიფტიორი მოინახულა რომელიც წინდაწინვე მომზადებულიყო და ლოგინის ქვეშ მუხანათურად მიმალულიყო მართალია ვერ გაუგრთლა სივიწროვის გამო და ამის მიერ აღმოჩენილ იქნა ლიფტიორის შემდგომ სახლმმართველებს ეწვია რომლებთანაც ცარიელი ბლანკის გარდა ვერაფერს გახდა და რაც მთავარია მდევარი რომელიც უკვალოდ გაქრა არც ფანქრის მსროლელზე ღირს შეჩერება თუმცა იმაზე ჩაფიქრება უცილობელია რომ მას შემდეგ რაც ამურის პერსონას მიაგნო კვლავ ლიფტიორს ესტუმრა მართალია ამურის პერსონას მიხვედრილობით მიაგნო მაგრამ ამ შემთხვევაში მიხვედრილობამ გაამართლა ლიფტიორის შემდეგ ამურისთან შეხვედრა განხორციელდა რასაც შემდგომ ეტაპად საქვაბის მონახულება მოჰყვა რომლიდანაც უკვე ჩანგასთან ერთად გამობრუნდა და ეს ყველაფერი რაც უშუალოდ ამის კომპეტენციაში შედიოდა საკუთარი ძალისხმევით მოიმოქმედა ყოველივე სხვისი კარნახის გარეშე და თანაც მშრალი ფაქტები ძირითადი მომენტები იმ ათასი მიხვედრილობა და გაანგარიშების გამოკლებით ოღონდ ამ ყველაფერს ერთად აღებულს გროშის ფასი ექნებოდა რომ არა დღევანდელი დღე რამაც ზურგი იმდენად არაფერი ნეონის შენობა აღმოაჩენინა ანუ ბირთვი ხოლო ბირთვი თუ არა მისი დამხმარე ძირითადი კოლექტივი ამიტომ დღეს ამაზე ფიქრი აღარ ღირს სჯობს გამოშუშდეს და ძალები მოიკრიბოს რათა დილიდან ახალი ძალებით შეეცადოს ფლანგების გარღვევას დღეს საკმაოდ უნდა გამოიძინოს რადგანაც ადრიანად მოუწევს ადგომა და იმისდა მიუხედავადაც თუ ყველაფერი გარინდული იქნა უნდა წავიდეს